# კვირის პალიტრა

ყოველკვირეული გაზეთი

№ 28 (439) ◆ 14 – 20 ივლისი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## სახლი, სადაც დღეს არძინბა ზის, ბაბუაჩემის მისაღები იყო...

არანაირი სასახლე თბილისში არ მაქვს და არც მჭირდება, მე აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მერი (მაშიკო) შერვაშიძის შვილიშვილი და, აქედან გამომდინარე, აფხაზეთში გაფანტული მთელი მისი ქონების, რიწის ტბიანად, სამართალმემკვიდრე ვარ. გვ.3

ახლახან, ერთ-ერთი მინისტრი ევროპაში იმყოფებოდა. ინვესტიციების თემაზე მოლაპარაკებისას, ბუნებრივია, მოგებაზე წავიდა საუბარი – ინვესტორ ბანკს ამდენი პროცენტი ექნება, თქვენს ქვეყანას ამდენი, მწარმოებელ სექტორს – ამდენიო. კი მაგრამ, საქმე თუ გავაკეთე, ჩემი წილი რამდენი იქნებაო, მინისტრს უკითხავს...

მე ვიცი ადამიანები ქართულ პოლიტიკასა და ხელისუფლებაში, რომელთა ქონებამაც ას მილიონ დოლარს გადააჭარბა. **თამაზ ნადარეიშვილი**

## ხელისუფლების „გემი“ იძირება?!

### ვთხოვ ჩვენს თანამემამულეებს, ნუ იქნებიან ღორები

გვ.13



### „ბე-ი-ქერ-მა და-გვი-ბარა“

„ამ ოლიგარქებმა საკუთარ თავს მიხედონ... თორემ ისიც ითქმება, ვისი ინვესტიციებით არიან ზურგმომაგრებული“ გვ.11,27 **ზურაბ ტყემალაძე**



### ჟორბენაძე გაწირეს... გვ.7

„ამერიკელებმა პრეზიდენტის ოჯახს გარანტიები მისცეს... სხვა საკითხია დაინიშნება თუ არა პაატა შევარდნაძე გია ჭანტურიას ადგილზე“.

ყველას ტორტის შეჭმა უნდა, მაგრამ ტორტი, რომელიც ხელისუფლების ლანგარზე დევს, თანდათან პატარავდება.

## დაზვერვის დეპარტამენტი სულ მთლად „ჭურში არ ზის“

### „მეც მაქვს ჩემი ინტერესები გარკვეულ ქვეყნებში“

ყველაფერი ცუდი, რაც საქართველოში ხდება, იგეგმება ქვეყნის გარეთ, მაგრამ შემსრულებლები ნამდვილად ქართველები არიან. მთელი უბედურება ის არის, რომ მოღალატისთვის ღალატის დამტკიცება ძალიან ძნელია... გვ.11,27

ჩემი აზრით, ესპანელი ბიზნესმენების საქმე თავიდან ბოლომდე უნდა იყოს გამოძიებული.

**ავთანდილ იოსელიანი**

## დათო დვალიშვილი: კარგად გამსინჯეთ, ნახეთ, ხომ ვარ კაი მკვდარი!

გვ.17



## დაინფიცირებულია მსოფლიოს 1/5

### „პიმაფუცინი“

ეფექტურობა და უსაფრთხოება გვ.24

## აბა! კიდევ ერთხელ გამოვცვალოთ პასპორტები

### 35 მილიონი ლარი საქართველოს მოქალაქეებმა ტყუილად გადაყარეს(?!)

ამ ათი წლის განმავლობაში მილიონი პასპორტი მაინც გაიცა. თუ ვიანგარიშებთ, რომ ერთი პასპორტის აღება მოქალაქეს 35 ლარი უჯდება, გამოდის, 35 მილიონი ლარი საქართველოს მოქალაქეებმა ტყუილად გადაყარეს. უფრო სწორად, მათ გადაყარეს, სამაგიეროდ, სამინისტროს სპეცანგარიშზე ჩაირიცხა. გვ.5

**სხვადასხვა ფერის პასპორტებს დაგვირიგებენ(?!)**

## „ბაბაჯან, წყალი!“, ანუ რას გვიპირებენ ფრანგები

### კოფი ანანი: – მტკნარი წყლის გამო მალე ომები დაიწყება





გვ.6

წამში თბილისს 21 კუბ. მეტრი წყალი მიეწოდება. აქედან საკანალიზაციო სისტემით უკვე გამოყენებული წყლის მხოლოდ 5 კუბ. მეტრი გაედინება. სად მიდის დანარჩენი 16 კუბ. მეტრი?

ზედაპირული წყალი ზედმიწევნითი დამუშავების შემდეგაც ვერ იქნება ისეთი, როგორიც გრუნტის წყალია. ფრანგული კომპანია თბილისის წყალმომარაგებას თბილისის ზღვიდან აპირებს. თბილისის ზღვაში კი კანალიზაციიდან ფეკალური მასები ჩაედინება და ამდენად, მისი წყალი დასალევად უვარგისია.

## (2) 15 ივლისი ვლაქერნობაა



...იგი ლეგენდებითაა მოცული. მის დასაუფლებლად ომებს აჩაღებდნენ, იპარავდნენ, ტაძრებს უგებდნენ, მერე ცხრაკლიტულში ინახავდნენ, მის გასამშვენებლად უამრავ ოქრო-ვერცხლსა და თვალმარგალიტს ხარჯავდნენ. მხოლოდ სამგზის განბანილ ბიზანტიის იმპერატორს შეეძლო მასთან მიახლება. მას ბევრი ავადმყოფი განუკურნავს და უფრო მეტი სასწაულიც მოუხდენია. იგი დადიანების სასახლეშია დაცული და მას მარიამ ღვთისმშობლის უწმინდესი კვართი ჰქვია. გვ.12

## საქართველოს საპატრიარქოს განცხადება გვ.4

### ლიბერალურად განწყობილი ძალები ცილს სწამებენ ეკლესიას

ეს ბრალდებები, რა თქმა უნდა, უსუსური და უსაფუძვლოა...

თვითონ დეკანოზი ბასილ კობახიძე არის მძიმე მდგომარეობაში, მიუხედავად მრავალჯერ გაფრთხილებისა, იგი მოქმედებს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევის გარეშე... შეურაცხყოფს და დასცინის ეკლესიას და მოძღვართ, რაც ნებისმიერი სასულიერო პირისთვის ყოვლად მიუღებელი ქმედებაა.

## შოთა ჭიჭიაშვილის მამამ საკუთარი ძმა „გადააგდო“...



### ვისი „პეშკაა“ ჭიჭიაშვილი?!

თქვენს გაზეთში წავიკითხე შოთა ჭიჭიაშვილის მამის, ქიჩირის ინტერვიუ. იგი ზოგიერთ დეტალს ამახინჯებს და მალავს. მაგალითად, ამბობს, რომ მოქანდაკეა. ეს სიცრუეა. შოთას დედა ქისტი იყო. ის ქალი მისი მეუღლე არასოდეს ყოფილა, არაოფიციალური ურთიერთობა ჰქონდათ.

შსს-ს ერთ-ერთმა ყოფილმა თანამშრომელმა (მის ვინაობას ვერ დავასახელებ) მითხრა: შოთას აყვანას რა უნდა, მაგრამ ჯერ გვჭირდება. როცა მოვისურვებთ, მივალთ და გავაგორებთო. ე. ი. სჭირდებოდათ, ხომ? გვ.5

## თქვენს გაზეთს მთელი საქართველო კითხულობს!

## პარლამენტი პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებს

2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სეკვესტრის პროექტის შესვლისთანავე, საქართველოს პარლამენტში შესაძლოა, მთავრობის ეკონომიკური გუნდის პასუხისმგებლობის საკითხი დაისვას. ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლები და ეკონომიკური პროფილის კომიტეტები ამისათვის უკვე ემზადებიან.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, ზაზა სიორიძის განცხადებით, მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად უნდა დაისვას, მისი მასშტაბი და ფორმა პარლამენტმა უნდა განსაზღვროს, საბოლოო გადაწყვეტილებას კი პრეზიდენტი მიიღებს.

კომიტეტის თავმჯდომარე სეკვესტრის პროექტს ელის და მკაცრი შეფასებისთვის ემზადება. „მთავრობა ამტკიცებდა, რომ ბიუჯეტში წარმოდგენილი პარამეტრები რეალური იყო. ამიტომაც მან პასუხი უნდა გასცეს კითხვას, რატომ გახდა საჭირო სეკვესტრი“, — განაცხადა სიორიძემ. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების პროექტს ფინანსთა სამინისტრო პარლამენტს, სავარაუდოდ, 20 ივლისამდე წარუდგენს.

## ფინანსთა სამინისტროს ახალი დეპარტამენტი შეემატება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ახალი სტრუქტურული ერთეული დაემატება. პარლამენტში განსახილველად შევიდა კანონპროექტი „ფინანსთა სამინისტროს ოპერატიულ-საგამოძიებო დეპარტამენტის შესახებ“, რომელიც ეკონომიკურ დანაშაულთან საბრძოლველად ახალი უწყების შექმნას ითვალისწინებს. ოპერატიულ-საგამოძიებო დეპარტამენტი საგანგებო ლეგიონის ბაზაზე შეიქმნება. მას საგადასახადო და საბაჟო სფეროში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების უფლება გადაეცემა. ამასთან, დეპარტამენტი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით იმოქმედებს. საგამოძიებო ზედამხედველობას მას პროკურატურა გაუწევს. წარმოდგენილი კანონპროექტი დეპარტამენტის მიერ ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხული და ჩარიცხული თანხების განსაზღვრული პროცენტის თავად დეპარტამენტში მობილიზებას ითვალისწინებს. კერძოდ, თანხის 30%, რომელიც დეპარტამენტის სანქციის სახით იქნება ამოღებული, ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე ჩაირიცხება. აღნიშნული თანხა დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებასა და დეპარტამენტის თანამშრომელთა მატერიალურ სტიმულირებას მოხმარდება. ხაზინის ანგარიშზე აკუმულირებული თანხის 50%-ს ის თანამშრომლები მიიღებენ, რომლებიც აღნიშნული თანხის დარიცხვისა და ამოღების უშუალო მონაწილეები იქნებიან.

## თავდაცვის მინისტრი ჯიხურის გახსნას ფიქრობს...

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა ძალოვანი უწყებების 6 თვის ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა განიხილა.

სხდომას თავდაცვის, უშიშროებისა და შს მინისტრები და ამ უწყებების საფინანსო სამსახურების უფროსები ესწრებოდნენ. როგორც ცნობილია, სავალუტო ფონდის რეკომენდაციის თანახმად, 15 აგვისტომდე ხელისუფლებამ ბიუჯეტის კორექტირება უნდა მოასწროს, რაც ძალოვანი უწყებებისთვის დაფინანსების 20 მილიონით შემცირებას გულისხმობს. სხდომაზე სიტყვით გამოსულმა დავით თევზაძემ მისთვის უჩვეულოდ დრამატული ტონით ისაუბრა თავდაცვის სამინისტროს დავალიანებებზე და განაცხადა, რომ სეკვესტრის შემთხვევაში, ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლობას იხსნის. სიტყვის დასასრულ, თევზაძემ ხელისუფლებას მოუწოდა, დაფიქრდნენ საქართველოში შეიარაღებული ძალების საჭიროებაზე — თუ არ გჭირდებით, გაგვათავისუფლეთ ფიცისგან და სხვა საქმეს მოვეკიდებით, ბოლოს და ბოლოს, ერთ ჯიხურს მაინც გავხსნითო...

## გაქცეული პატიმრები დააკავეს

ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შს სამინისტროს თანამშრომლებმა და სპეცდანიშნულების რაზმმა რუსთავის კოლონიიდან გაქცეული სამი პატიმარი ვარკეთილში დააკავეს. 1962 წელს დაბადებული ტარიელ ნადაშვილი, რომელსაც 14 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი, 1963 წელს დაბადებული თეიმურაზ ავალიშვილი (10-წლიანი პატიმრობა), 1974 წელს დაბადებული დავით გორგაძე (განზრახ მკვლელობა, 20 წელი) და მეოთხე, ჯერ-ჯერობით დაუდგენელი პირი ვარკეთილის დასახლებაში, დაქირავებულ ბინას აფარებდნენ თავს. შს მინისტრის განცხადებით, გაქცეულ პატიმრებს დაკავებისას სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, ყველა მათგანს გაქცევისათვის დამატებითი სასჯელი დაემატება.

2003 წლის 23 მაისიდან 7 ივლისამდე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებებიდან პატიმართა გაქცევის ექვსი შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის, ხუთი — ჯგუფური.

ავჭალის №6 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან გაქცეული პატიმარი, 36 წლის სამჯერ ნასამართლევი ვეფხია თინიკაშვილი კი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს. 2003 წლის 27 ივნისს თინიკაშვილი ავჭალის №6 დაწესებულებიდან შვიდ პატიმართან ერთად გაიქცა. პატიმრებმა გუშაგზე თავდასხმა განახორციელეს და ციხის ტერიტორია დატოვეს. გაქცეული ყველიაშვილი პოლიციამ იმავე დღეს რუსთავში დააკავა, კიდევ ერთი პატიმრის, ზვიად გელაშვილის გვამი მტკვარმა გამორიყა. უცნობი რჩება ხუთი გაქცეული პატიმრის ადგილსამყოფელი.

## ვეტერანები მშვიდობისმყოფელთა წინააღმდეგ

იმელის შენობის წინ, სადაც აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლებაა განთავსებული, აფხაზეთის მეომართა კავშირის წევრებმა შიმშილობა გამოაცხადეს. ისინი აფხაზეთიდან რუსული ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანასა და გაეროს მე-7 მუხლის ამოქმედებას მოითხოვენ, რომელიც მშვიდობის ძალით დამყარებას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ აქციის მონაწილეებს მხარი უშიშროების საბჭომაც დაუჭირა. უახლოეს მომავალში საბჭო საგანგებო მიმართვას მიიღებს, რომელიც გაეროსა და ეუთოს შესაბამის უწყებებს დაეგზავნებათ.

## ეუთო საპარლამენტო არჩევნებისთვის მზად არის

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ეუთოს გენერალურმა მდივანმა იან კუბიშმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში შეხვედრა გამართა, რომლის ძირითადი თემა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები და საქართველოში არსებული ეთნოკონფლიქტები იყო. იან კუბიშის განცხადებით, ეუთო მზადაა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების უმაღლეს დონეზე ჩასატარებლად ქართულ მხარეს დახმარება აღმოუჩინოს. რაც შეეხება ეუთოს მიერ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნას, იან კუბიშის განცხადებით, ეს საკითხი უახლოეს მომავალში ვენაში გადაწყდება.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, დავით აფციაურის განცხადებით, ქართულმა მხარემ ეუთოს ქართულ-ოსურ და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონებში გააქტიურება და უფრო მეტი კონკრეტიზაცია მოსთხოვა. დავით აფციაურის თქმით, აუცილებელია, გალის რაიონში, რაც შეიძლება სწრაფად გაიხსნას ეუთოს ოფისის სპეციალური წარმომადგენლობა, რათა ხელი შეეწყოს ამ რაიონში დევნილთა დაბრუნებასა და სოჭში საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის მიღწეული შეთანხმებების რეალიზაციას.

## მძევალი გამოსასყიდის ფასად გაათავისუფლეს

სამართალდამცველები კარგა ხანს ცდილობდნენ საიდუმლოდ შეენახათ ვაგზლის ბაზრობის დირექტორის მოადგილის, მუხრან ბაგრატიონის 16 წლის ქალიშვილის გატაცების ამბავი. როგორც არაოფიციალური წყაროებიდან გახდა ცნობილი, გოგონა სოლიდური გამოსასყიდის ფასად გაათავისუფლეს. ცნობილი გახდა ისიც, რომ სამართალდამცველები გოგონას გათავისუფლებაში უძლურნი აღმოჩნდნენ და მისმა ახლობლებმა დახმარებისთვის რუსეთში მცხოვრებ მსხვილ კრიმინალურ ავტორიტეტებს მიმართეს. ორი კვირის დაგვიანებით ფაქტის გამჟღავნებას პოლიცია იმით ხსნის, რომ პირველ დღეებში თეონა ბაგრატიონი ქართული „ტრადიციის“ შესაბამისად, ცოლად მოყვანის მიზნით ეგონათ მოტაცებული. მოგვიანებით, თბილისსა და სამეგრელოს რეგიონში ერთდროულად ჩატარებული სპეცოპერაციების შედეგად გატაცებაში ეჭვმიტანილი 5 ბოროტმოქმედი დააკავეს. მათ შორის 4 ოსი ეროვნების მოქალაქეა. გამტაცებელთაგან ორი თბილისში, აღმაშენებლის ხეივანთან გამთენიისას დააკავეს. ჩხრეკისას მათ 11 ათასი დოლარი აღმოაჩნდათ. დანარჩენი სამი გამტაცებლის დასაკავებლად თბილისიდან სამეგრელოში ქალაქის მთავარი სამმართველოს სპეციალური ჯგუფი მიავლინეს. „გამოძიების“ ინტერესებიდან გამომდინარე, საქმის დანარჩენი დეტალები არ ხმაურდება.

## სავალუტო ფონდმა დამატებითი დრო „დაგვინიშნა“

ხანგრძლივი შეხვედრებისა და გამოძიების შემდეგ საქართველოდან გამგზავრებამდე სავალუტო ფონდის ექსპერტებმა ბიუჯეტის 135 მილიონი ლარით კორექტირება, საპენსიო და სახელფასო დავალიანებების გასასტუმრებლად საჭირო მექანიზმებისა და პირობების შექმნა, საგადასახადო კოდექსში ზოგიერთი ცვლილების შეტანა და საგანგებო ლეგიონისთვის საგამოძიებო უფლებების მინიჭება მოითხოვეს. ამ რეკომენდაციების შესრულება საქართველოს მთავრობამ 15 აგვისტომდე უნდა მოახერხოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, 10 ოქტომბერს შეკრებილი ფონდის დირექტორთა საბჭო საქართველოსთან ურთიერთობას გაწყვეტს. მიუხედავად ამისა, საქართველოში ჯერჯერობით არ აღმოჩნდა უწყება, რომელიც ბიუჯეტში თავისი წილის დაფინანსების სეკვესტრზე იქნება თანახმა. ხელისუფლება საგანგებო სესიის იმედად რჩება, თუმცა, საეჭვოა, ქართველმა კანონმდებლებმა ესოდენ რთულ ამოცანას თავი გაართვან.

## ხანძარი ეშერაში

სოხუმთან მდებარე სოფელ ეშერაში ნავთობბაზაზე აფეთქების შედეგად ხანძარი გაჩნდა. ცეცხლი იმდენად ძლიერი იყო, რომ ნავთობბაზის ტერიტორიას მოედო და მის ახლომდებარე სახლებზეც გადავიდა. მსხვერპლისა და მატერიალური ზარალის შესახებ, ჯერჯერობით, ინფორმაცია არ ვრცელდება. ცეცხლის ჩასაქრობად ათამდე სახანძრო ბრიგადის მობილიზება გახდა საჭირო.

სოხუმის სეპარატისტული რეჟიმი, როგორც ჩანს, პანიკის თავიდან ასაცილებლად მომხდარ ფაქტს თავდაპირველად უარყოფდა, მოგვიანებით კი ადგილობრივმა ტელევიზიამ ნავთობბაზაზე მომხდარი ხანძრის შესახებ ინფორმაცია გადასცა და მომხდარი იმით ახსნა, რომ თითქოს ნავთობბაზის ტერიტორიაზე კონტრაბანდული ნავთობი შეიტანეს.

## დევნილებს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდებათ...

„გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“ კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს ელექტროენერგიის მიწოდებას შეუწყვეტს, თუ ფინანსთა სამინისტრო დარჩენილ დროში ლტოლვილთა მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს არ აანაზღაურებს. ფინანსთა ყოფილი მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, რომელიც ამჟამად კომპანიის მრჩეველია, გაკვირვებას ვერ მალავს იმის გამო, რომ სახელმწიფო ხაზინამ გასულ კვირას დახარჯულ 11 მილიონ ლარში რატომღაც ვერ მოახვედრა ლტოლვილთა მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური — 350 ათასი ლარი.

## „ამცახარამ“ არძინბას ალტერნატივა დაასახელა

აფხაზ მეომარ ვეტერანთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციამ „ამცახარამ“ რიგგარეშე ყრილობაზე აფხაზეთის პრეზიდენტობის კანდიდატად ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი სტანისლავ ლაკობა დაასახელა. სოხუმის სეპარატისტული ხელისუფლების ვიცე-პრეზიდენტის, ვალერი არშბას შეფასებით, „ამცახარას“ ყრილობამ ცხადყო, რომ „აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნების ბინძური კამპანია დაიწყო“. მისი თქმით, ზოგიერთი პოლიტიკური ძალა პირადი ინტერესებისთვის იმ აფხაზ მეომრებს იყენებს, რომლებიც არძინბასთან ერთად „აფხაზეთის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის იბრძოდნენ“. „ყრილობამ ჩემზე დამთრგუნველი შთაბეჭდილება დატოვა იმის გამო, რომ პრეზიდენტ არძინბას მისამართით ყოვლად დაუმსახურებელი და შეურაცხმყოფელი ბრალდებების მოსმენა მომიწია“, — განაცხადა ვალერი არშბამ.

## ხელისუფლება რუსეთის მოქალაქეებზე ზრუნავს

აფხაზეთში შექმნილი უაღრესად მძიმე კრიმინოგენული ვითარების გამო, საქართველოს ხელისუფლება რუსეთის მოქალაქეებს აფხაზეთში ჩასვლისგან თავის შეკავებას ურჩევს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, აფხაზეთში კრიმინალურ გარჩევებსა და ყაჩაღურ თავდასხმებს რუსეთის 16 მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა, უგზო-უკვლოდ არის დაკარგული 20-მდე კაცი.

## ყაჩაღობა, რომელიც მსხვერპლით დასრულდა

ზუგდიდი-ჩხოროწყუს საავტომობილო გზაზე, სოფელ ჯიხაშკართან, „06“ მარკის ავტომანქანას, რომელშიც მამა-შვილი შენგელიები ისხდნენ, ჯერჯერობით დაუდგენელმა სამმა პირმა ცეცხლი გაუხსნა. სროლის შედეგად შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა 22 წლის თემურ შენგელია. გარდაცვლილს რამდენიმე ტყვია აქვს მოხვედრილი. მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მუხლით აღიძრა — განზრახ მკვლელობის, იარაღის უკანონო ტარება-გამოყენებისა და ყაჩაღობის მუხლით. პოლიციისთვის თავდამსხმელთა სავარაუდო წრე ცნობილია, მაგრამ მათი ვინაობა ამ ეტაპზე არ ხმაურდება. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის — „აკაესის“ სამი მასრა და თოფის ერთი ვაზნა, რომელიც გასროლილი არ არის.

## უცხოური ავიაკომპანიების რეისები განახლდება

— ამ საკითხზე შეთანხმებას ხელი თურქეთში მოეწერა. შეთანხმების საფუძველზე სექტემბრიდან საქართველოში ორ რეისს თურქული ავიაკომპანია განახორციელებს, ორს კი — ქართული. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის, მერაბ ადეიშვილის განცხადებით, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ყოველთვის უნდა მოინახოს გამოსავალი, რათა უცხოურ კომპანიებსაც შეეძლოთ ქვეყანაში ავიარეისების განხორციელება, თუმცა „რა თქმა უნდა, ქართული კომპანიების ინტერესებიც უნდა დავიცვათ“. მინისტრის თქმით, საქართველოში უახლოეს მომავალში „ბრიტანეთის ავიახაზების“ რეისებიც განახლდება. ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბრიტანულ მხარეს წერილობით უკვე მიმართა. ადეიშვილი იმედოვნებს, რომ მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება და ბრიტანული ავიაკომპანია საქართველოში რეისების განხორციელებას ოქტომბერში შეძლებს.

## მოხუცი ტერორისტი?!

აფხაზი სეპარატისტების ცინიზმი ყოველგვარ საზღვარს გადასცდა. ჭუბურხინჯის ოთხმხრივ მოლაპარაკებაზე აფხაზური მხარის წარმომადგენლებმა წარბშეუხრელად განაცხადეს, რომ გულრიფშის რაიონის სოფელ ფშაფში დაკავებული 81 წლის გრიგოლ ნანავა ტერორისტულ აქტს ამზადებდა! სეპარატისტების თქმით, მოხუცს თან „შაჰიდის ქამარი“, დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერება და ხელყუმბარები აღმოაჩნდა. თურმე, ქართული სპეცსამსახურები მოხუც ტერორისტს სოხუმში გადასაყვანად ამზადებდნენ...

## ბუში შესაძლოა ინფორმაციის გაყალბებაში ამხილონ




— თუმცა, როგორც თავად აშშ-ის პრეზიდენტი დღეს აცხადებს, მას ამერიკელები არ მოუტყუებია, როცა ერაყში საომარი ოპერაციის დაწყების წინ სადამ ჰუსეინის რეჟიმისგან მომდინარე საფრთხეზე საუბრობდა. სახელმწიფო მდივნის, კოლინ პაუელის განცხადებით, პრეზიდენტს მცდარი ინფორმაცია ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მიაწოდა.

როგორც ცნობილია, იანვარში ბუშმა ამერიკელი ხალხისადმი მიმართვაში ერაყის დიქტატორი აფრიკულ ქვეყნებში აკრძალული იარაღის დამზადებისთვის საჭირო გამდიდრებული ურანის შეძენის მცდელობაში დაადანაშაულა. სწორედ ეს ბრალდება გახდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ საომარი კამპანიის დაწყების მიზეზი. რამდენიმე დღის წინ, ვაშინგტონმა ოფიციალურად აღიარა, რომ ბრიტანეთისა და ამერიკის დაზვერვის ინფორმაცია, რომელსაც ბუში დაეყრდნო, არასარწმუნო იყო.

## პარტიზანული მოძრაობა ძალას იკრებს?

ერაყში კოალიციის ძალების სამხედრო მოსამსახურეებზე თავდასხმები გრძელდება. თავდასხმის შედეგად კიდევ ორი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა.

ერთი მათგანი ბაღდადიდან სამხრეთით მდებარე ქალაქ ელ-მაჰმუდიას მიდამოებში დაცხრილეს, მეორე — ქალაქ თიქრიტის მახლობლად სამხედრო კოლონაზე თავდასხმის დროს. აშშ-ის თავდაცვის მინისტრის, დონალდ რამსფელდის განცხადებით, ამერიკელებს ერაყული კამპანია თვეში 4 მილიარდი დოლარი უჯდებათ. პენტაგონის ხელმძღვანელს მიაჩნია, რომ ერაყში სამხედრო კონტინგენტი სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეებისგან უნდა შედგებოდეს, რომლებმაც გარნიზონების შენახვისა და ომის შემდგომი რეკონსტრუქციის ხარჯები უნდა გადაინაწილონ.

## ახალი პლანეტა 13 მილიარდი წლისაა

NASA-ს ასტრონომებმა ზემძლავრი ტელესკოპის „ჰაბლის“ დახმარებით, ჩვენს გალაქტიკაში უძველესი პლანეტა აღმოაჩინეს. ექსპერტთა თქმით, ამ მოვლენამ შესაძლოა მთლიანად შეცვალოს სპეციალისტთა წარმოდგენა ციურ სხეულთა ფორმირებისა და კოსმოსში სიცოცხლის წარმოშობის დროის შესახებ.

პლანეტა, რომელიც ძირითადად გაზისგან შედგება, დაახლოებით 13 მილიარდი წლისაა. ციური სხეული დედამიწიდან 5.600 სინათლის წლის მანძილზე, ღრიანკალის თანავარსკვლავედში აღმოაჩინეს. ის ზომით ორჯერ აღემატება მზის სისტემის პლანეტას — იუპიტერს. მეცნიერების მიერ ადრე აღმოჩენილი რამდენიმე ვარსკვლავის ასაკი 4,5 მილიარდი წელია. სპეციალისტები სწორედ ამ მაჩვენებელს იყენებდნენ სამყაროს შექმნის მიახლოებითი თარიღის გამოთვლისას.

## ავტოკატასტროფა ჰონკონგში

ორსართულიანმა ავტობუსმა, რომლის ბევრი მგზავრი სკოლის მოსწავლე იყო, ხიდის დამცავი პარაპეტი გაანგრია და 50 მეტრის სიმაღლიდან ხევში გადაიჩეხა. ავტობუსის ნაწილი მიწაში ჩაიჭედა. მაშველებს ავტობუსის დეფორმირებული ნაწილის გაჭრა მოუხდათ, რათა შიგნით დარჩენილი მგზავრები გაეთავისუფლებინათ. დაშავებულები უახლოეს საავადმყოფოებში გადაიყვანეს. ავტობუსის კატასტროფის შედეგად 22 კაცი დაიღუპა და 20-მდე დაშავდა.

## მექსიკას ტროპიკული ქარიშხალი დაატყდა

მექსიკის კურორტებს, სადაც ძირითადად, მდიდარი ტურისტები ისვენებენ, ტროპიკული ქარიშხალი, მეტსახელად „კლოდეტა“ დაატყდა. ძლიერმა კოკისპირულმა წვიმამ ქალაქ კანკუნის ქუჩები დატბორა. ძლიერმა ქარიშხალმა 35 საცხოვრებელი სახლი დააზიანა. მოსახლეობა ევაკუირებულია.

როგორც ამბობენ, კლოდეტას „სტუმრობამ“ მხოლოდ სერფინგის მოყვარულები გაახარა.



# სახლი, სადაც დღეს არძინბა ზის, ბაბუაჩემის მისაღები იყო...

საკმარისი იყო, სავალუტო ფონდის მისიას (თუ რევიზიას) აეროპორტის საკონტროლო-გამშვები პუნქტი გაევლო, რომ ქართველი ჩინოსნები ერთიმეორის მიყოლებით აწუწუნდნენ — აქაოდა, თუ ფონდისგან რეკომენდებული სეკვესტრი ჩვენს უწყებაზე განახორციელეთ, დარგი დაიღუპება და მერე პასუხს არაფერზე ვაგებთო. თითქოს ათწლიანი საბიუჯეტო ღრეობის შედეგად საქართველოში რომელიმე დარგი დაღუპვას იყოს გადარჩენილი, ან ამის გამო დღემდე ვინმეს პასუხი ეგოს. არათუ პოლიტიკოსობაზე პრეტენზიის მქონე, უბრალოდ, ზრდასრული ადამიანისთვის უნდა ყოფილიყო სამარცხვინო, როდესაც საარჩევნო კომისიის გასაყოფად კაცი ცხრა მთას იქიდან გამოგვიგზავნეს. უფრო სამარცხვინო იყო, როდესაც ეს კაცი ქართველი პოლიტიკოსების სიტყვას არ ენდო და სიტუაციის საბოლოოდ გარკვევამდე თბილისში სახელმწიფო მდივნის მოადგილე ელიზაბეტ ჯონსი დაგვიტოვა. ამის შემდეგ რაც მოხდა, სახელი და ხარისხი თავად მოუძებნეთ — ფაქტია, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ოპოზიცია თავის კუთვნილ 9 სკამს ვერა და ვერ იყოფს. ერთ, ჩვეულებრივ სკამზე სამი ნაჭამნასვამი კაცი თავისუფლად რომ ვერ დაჯდება, ამის დასადგენად ყოველდღიური, მრავალსაათიანი ინტერფრაქციული შეხვედრები იმართება. პრეზიდენტი ოპოზიციური პარტიების სეირით ისე გაერთო, რომ სახელდახელოდ შეკოწიწებული ტივი, სახელისუფლებო ბლოკი, „ვადაზე“ ადრე იშლება — ოდიოზური ეკიპაჟის მართვა ჩაძირული გემების აღიარებულ ლოცმანსაც გაუჭირდა... როგორც ჩანს, სოციალისტების ლიდერი იმ სიძის როლში აღმოჩნდება, შვიდი წლის თავზე, მეშვიდე შემორიგების შემდეგ, მერვედ რომ გამოაცხადებს, „გატეხილი ქოთნის“ მუშტარი არა ვარო და სახელისუფლებო ბლოკთან ხელახალ პოლიტიკურ ქორწინებაზე უარს იტყვის. ბუნებრივია, ცარიელ სუფრაზე აღარც მისი რკინიგზელი მეჯვარე შერჩება... ეკონომიკური გუნდი სახელმწიფო მინისტრის თამადობით სეკვესტრს გადაჰყვება (ოპოზიცია უკვე დიდი ხანია, გარედან ექაჩება, საქმე იქით მიდის, რომ შიგნიდან ხელს პრეზიდენტიც „წააშველებს“) და შექმნილ ვითარებაში პოზიციაც და ოპოზიციაც უკვე ერთნაირად მოსაბეზრებელი ხდება...

მოსაბეზრებელი ხდება საქართველოს დაკარგულ ტერიტორიებზე ლაპარაკიც, რადგან ყველა დონეზე — გაეროს ტრიბუნიდან თუ პრესის მეშვეობით, ლაპარაკი ლაპარაკად რჩება. წლები კი გადის და აფხაზები საქართველოს გარეშე ცხოვრებას ეჩვევიან, ქართველები კი აფხაზეთის გარეშე. ქართულ პოლიტიკასა თუ ეკონომიკაში შექმნილ ბაკქანალიას ისიც დაერთო, რომ თამაზ ნადარეიშვილმა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესია მოიწვია და ცენტრალურ ხელისუფლებას აფხაზეთის პრობლემის მოგვარების პოლიტიკაში ერთხელ და სამუდამოდ გაემიჯნა. იმელის წინ აფხაზეთის ომის ვეტერანები მე-12 დღეა შიმშილობენ და არაფერს განსაკუთრებულს, — უბრალოდ, აფხაზეთის საკითხში ხელისუფლების ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებას მოითხოვენ. საარჩევნო მარათონის გულშემატკივრებმა მომხდარი — სახელისუფლებო ბლოკის დასუსტებად და ოპოზიციის გაძლიერებად აღიქვეს; ზოგმაც, დეფოლტის რეალური საფრთხისას, აფხაზეთის დაბრუნების მოთხოვნით დევნილთა შიმშილობა მინიმუმ — არასერიოზულ ნაბიჯად, ხოლო მაქსიმუმ — ქვეყნის ღალატად გამოაცხადა (არეულობის მეტს არაფერს მოგვიტანსო...), ნაწილი მიიჩნევს, რომ კონტრაბანდული და სხვა „ქვენა“ მიზეზების გამო, აფხაზეთის დაბრუნება ყველაზე მეტად თვითონ ნადარეიშვილს არ აძლევს ხელს, ამიტომაც დროდადრო ვითარებას ამწვავებს და ამით დაპირისპირებულ სეპარატისტებს საქართველოდან მომდინარე საფრთხის წინაშე აერთიანებს. თვითონ **თამაზ ნადარეიშვილს** სრულიად განსხვავებული მოსაზრებები აქვს როგორც აფხაზეთთან, ისე ქართულ პოლიტიკასა თუ ეკონომიკაზე:

— არ მესმის, რატომ მოჰყვა ასეთი აურზაური ჩვენს განცხადებას. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ არანაირი დახურული სხდომა ჩვენ არ მოგვიწვევია — სესიაზე დასწრება შეეძლო ყველას, ვინც კი დარბაზში დაეტია. რაც შეეხება სესიის მიერ მიღებულ განცხადებას, მასში უბრალოდ, ოფიციალურად დაფიქსირდა ის, რასაც აქამდე ხშირად ვაცხადებდი — არ ვეთანხმები და არ მჯერა ხელისუფლების მიერ აღებული კურსისა აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საკითხებში. ჩემს განცხადებას და იმელის წინ მიმდინარე აქციას ათასი კუდი გამოაბეს... აქციაში მხოლოდ აფხაზეთიდან დევნილები არ მონაწილეობენ. აქ თბილისელებიც არიან და სხვა რაიონებიდან ჩამოსულებიც. არიან სხვადასხვა პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენლებიც. მადლობა ღმერთს, ქართულმა საზოგადოებამ დაიწყო გაცნობიერება იმისა, რომ აფხაზეთი მხოლოდ ჩემი ან მხოლოდ დევნილთა პრობლემა არ არის — მთელი საქართველოს პრობლემაა... თუ ვინმეს ეეჭვება, რომ ჩემი გააქტიურება ამ კუთხით მომავალ საპარლამენტო არჩევნებთან არის დაკავშირებული, შემიძლია განვაცხადო, რომ არავითარ არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებ. არც პარლამენტი მარგია რამედ და არც დეპუტატობა. დღემდე პარლამენტარობა ტრიბუნისთვის მჭირდებოდა, როგორც სტატუსი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში გამოსვლისას. ერთხელ და სამუდამოდ დავრწმუნდი, რომ არავითარი საერთაშორისო ორგანიზაცია პრობლემას არ გადაგვიჭრის და ეს სულაც არ არის იმის ბრალი, რომ ისინი არ არიან დაინტერესებული აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებით, ან ჩვენდამი მტრულად არიან განწყობილი. ჩემი რადიკალური პოზიციის გამო ხშირად მაკრიტიკებენ. შემიძლია ვთქვა, რომ აფხაზეთის პრობლემაზე ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის ტრიბუნიდან მისაუბრია. არასოდეს, არავის უთქვამს ჩემთვის, რომ უტოპიური, ან დაუშვებელი მოსაზრებები მქონდა. ნატოშიც, გაეროშიც და ეუთოშიც პრობლემის ჩემეულ ხედვას ეთანხმებოდნენ, მაგრამ მეკითხებოდნენ, თუ როგორი პოზიცია ეჭირა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას. თუ როგორი პოზიცია უჭირავს მას, კარგად არის ცნობილი. ცნობილია ამ პოზიციის შედეგიც — დაკონსერვებული აფხაზეთი, სადაც მოვლენები ჩვენთვის სასარგებლოდ ნამდვილად არ ვითარდება...

**— თქვენი პოზიცია გასაგებია, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ცენტრალური ხელისუფლების ქმედებას როგორ ახსნით — პრეზიდენტი ვერ ხვდება, რომ გაუთავებელი მოლაპარაკებებით და რეზოლუციებით პრობლემა არ მოგვარდება, თუ ჯერჯერობით მას არ სურს ამ პრობლემის მოგვარება?**

— ვერ ვიქნებოდი ასეთი კატეგორიული, რომ მხოლოდ მე მინდა აფხაზეთში დაბრუნება და სხვას — არა. მაგრამ ვფიქრობ, მაქვს პრეტენზიის უფლება, რომ ყველაზე ძალიან ეს მე მინდა, რადგან ზოგიერთისგან განსხვავებით, აფხაზეთში ჩემი სახლია. არა მგონია, რაიმე უჩვეულო იყოს იმაში, რომ კაცს შინ დაბრუნება ეჩქარებოდეს. ათი წელი კი ალბათ საკმარისი დრო უნდა იყოს იმის გასაგებად, რომ რაც აქამდე ვერ შევძელით, ასეთი ქმედებით კიდევ ათი წელი ვერ შევძლებთ. სამწუხაროდ, ამ საკითხისადმი ბევრი ქართველი ჩინოსანი დღეს სრულიად ინდიფერენტულია — მათთვის აფხაზეთი დილის ცხრა საათზე იწყება და საღამოს ექვსზე მთავრდება — უქმე დღეების გამოკლებით. ასეთი ხალხი აფხაზეთს მხოლოდ პლაჟის თვალსაზრისით უყურებს და ამიტომაც სულაც არ აწუხებს, თუ დღეს გაგრის პლაჟზე ბანაობა არ შეუძლია — ანთალიაში დადის... ეშინია, როდესაც გაეროს წესდების მე-7 თავზეა ლაპარაკი, რადგან ასეთ შემთხვევაში, თავისი დაჭაობებული ყოველდღიურობით უნდა გარისკოს — ვიღაცა გაიკაწრება, ვიღაცა დაიჭრება, ვიღაცა დაიღუპება... მაგრამ სხვანაირად როგორ უნდა იყოს, ჩვენ ხომ ტერიტორიადაკარგული ქვეყანა ვართ. აქ კიდევ ერთი ფაქტორია — აფხაზეთის თემა ხელისუფლებისა და საზოგადოების ერთმა ნაწილმა და აქ მყოფმა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა თავის რჩენის საუკეთესო საშუალებად აქციეს. უამრავი კონფერენცია, გრანტები, მივლინებები... ცივილიზებულ მსოფლიოში ქვეყანა არ დარჩა, აფხაზეთის საკითხზე მოლაპარაკება თუ არა, სემინარი მაინც რომ არ იყოს ჩატარებული. შედეგი — არანაირი. ეს ყველაფერი აფხაზებშიც და ქართველებშიც, ერთ ვიწრო წრეში ტრიალებს და ბუნებრივია, სურთ, რომ ყველაფერი უსასრულოდ გაგრძელდეს...

საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც მშვენივრად გრძნობენ თავს ამ არეულ-დარეულობაში. წლიდან წლამდე არ აკლიათ საუკეთესო ოფისები და ბინები, საუკეთესო ტრანსპორტი, სადაც მოეგუნებებათ, იქ დადიან. საქართველოში ყოფნა სიცოცხლისთვის სახიფათო ზონად ითვლება და სამმაგ ხელფასს იღებენ, რაც მთავარია, სამშობლოში გმირებად ბრუნდებიან და კარიერას იკეთებენ. ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევაში აფხაზეთის პრობლემის უახლოეს პერიოდში გადაჭრაზე მაინცდამაინც თავს არავინ შეიწუხებს...

სხვათა შორის, არაერთხელ მსმენია, გრანტის დაცინცვლის მიზნით, „სიცოცხლისთვის საშიშ“ ზონაში უცხოელ ექსპერტებს იმისთანა სუფრებს უშლიან ხოლმე, რომ სამშობლოში დაბრუნებულნი, ლეგენდებს ჰყვებიან — ჩვენი დასახმარებელი რა სჭირთო...

ამასობაში კი აფხაზეთში თაობები იცვლება არა მხოლოდ მოსახლეობაში, პოლიტიკაშიც კი...

> საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც მშვენივრად გრძნობენ თავს ამ არეულ-დარეულობაში. წლიდან წლამდე არ აკლიათ საუკეთესო ოფისები და ბინები, საუკეთესო ტრანსპორტი, სადაც მოეგუნებებათ, იქ დადიან. საქართველოში ყოფნა სიცოცხლისთვის სახიფათო ზონად ითვლება და სამმაგ ხელფასს იღებენ, რაც მთავარია, სამშობლოში გმირებად ბრუნდებიან და კარიერას იკეთებენ. ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევაში აფხაზეთის პრობლემის უახლოეს პერიოდში გადაჭრაზე მაინცდამაინც თავს არავინ შეიწუხებს...

სეპარატისტულმა რეჟიმმა უკვე საკუთარი პასპორტების ბეჭდვა დაიწყო და ქართველ დევნილებს დაბრუნების შემთხვევაში პირობად წაუყენებენ აფხაზეთის მოქალაქეობის მიღებას. დარწმუნებული ვარ, ერთ მშვენიერ დღეს ეს მოსაზრება ლტოლვილთა უსაფრთხოებისთვის საერთაშორისო სტრუქტურებისთვისაც დაუჯდებათ ჭკუაში და საინტერესოა, მერე რაღას იტყვიან ქართველი „სამშვიდობოები“... თუმცა ესეც მათ წისქვილზე დაასხამს წყალს, რადგან ასეთ შემთხვევაში ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ერთხელ და სამუდამოდ გაიყინება...

**— ანალოგიური ბრალდებები თქვენს წინააღმდეგაც გამოითქმის — ოპოზიციისა თუ არასამთავრობო სექტორის ზოგიერთი წარმომადგენელი აცხადებს, თამაზ ნადარეიშვილს ქართულ-აფხაზური კონტრაბანდისგან სოლიდური შემოსავალი აქვს და მას ყველაზე მეტად არ უნდა აფხაზეთის კონფლიქტის აღმოფხვრაო... იმასაც ამბობენ, დეფოლტის საშიშროების პირობებში დესტაბილიზაცია აფხაზეთის თემაზე სახელმწიფო ინტერესებში არ შედის...**

— საარჩევნო კომისიის კვოტებზე მუდმივი აჟიოტაჟი ან გაუთავებელი კამათი სრულიად უაზრო და ზოგჯერ უმნიშვნელო დეტალებზე ცენტრალურ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შედის სახელმწიფო ინტერესებში? ალბათ ეს ხალხი ყველაფერს თავისი საზომით ზომავს. მე სასამართლოს გზით, ძალიან იოლად, სამჯერ თუ ოთხჯერ დავამტკიცე ჩემი სიმართლე და კიდევ ერთხელ თავის მართლება ზედმეტად მიმაჩნია. თავისთავად ცხადია, რომ ჩემი სახელის დისკრედიტაცია იმიტომ სურთ, რომ აფხაზეთიდან დევნილები ერთი ძალის გარშემო არ გაერთიანდნენ — ეს ერთნაირად შემაშფოთებელი იქნება ხელისუფლებისთვისაც და ოპოზიციისთვისაც, რადგან გაერთიანების შემთხვევაში ხელისუფლებას მთელი სიმკაცრით მოსთხოვენ პასუხს, ოპოზიციას კი აფხაზეთის თემით მანიპულირების საშუალება აღარ ექნება. ამიტომაც ხდება, რომ კონტრაბანდა და თანხების მითვისება კი არა, ცისფეროების გარდა, თითქმის ყველაფერი დამაბრალეს — ჯანდაბას, ამაზეც მადლობელი ვარ. სხვათა შორის, ერთი კურიოზიც მოხდა — დევნილები საბურთალოს რაიონიდან, შემწეობის უზარმაზარი რიგიდან გამოიყვანეს — ნუცუბიძეზე, ნადარეიშვილის სასახლესთან მივიდეთ და პასუხი მოვთხოვოთო. გამწარებული ხალხი ამერიკის ელჩის რეზიდენციასთან მიიყვანეს და უმტკიცებდნენ, რომ ეს ჩემი სახლი იყო...

არანაირი სასახლე თბილისში არ მაქვს და არც მჭირდება, რადგან მე სასახლეები აფხაზეთში მაქვს და ყოველდღე იქ დაბრუნების სურვილით ვსულდგმულობ. მე აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მერი (მაშიკო) შერვაშიძის (გალაკტიონის მერი არ გეგონოთ) შვილიშვილი და, აქედან გამომდინარე, აფხაზეთში გაფანტული მთელი მისი ქონების, რიწის ტბიანად, სამართალმემკვიდრე ვარ. დღევანდელი სეპარატისტული რეჟიმის მთავრობის სახლი, სადაც დღეს არძინბა ზის, ბაბუაჩემის მისაღები იყო...

> არანაირი სასახლე თბილისში არ მაქვს და არც მჭირდება, რადგან მე სასახლეები აფხაზეთში მაქვს და ყოველდღე იქ დაბრუნების სურვილით ვსულდგმულობ. მე აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მერი (მაშიკო) შერვაშიძის (გალაკტიონის მერი არ გეგონოთ) შვილიშვილი და, აქედან გამომდინარე, აფხაზეთში გაფანტული მთელი მისი ქონების, რიწის ტბიანად, სამართალმემკვიდრე ვარ.

თბილისში, ჩემი დევნილობის მანძილზე, ჩემ თვალწინ ათეულობით პოლიტიკოსმა ჩაიარა — პოზიციამაც და ოპოზიციამაც. დღეს 135 მილიონი ლარის სეკვესტრზეა ლაპარაკი და ვის ჩამოაჭრან, არ იციან. სინამდვილეში კი, ბევრ მათგანს შვეიცარიის, ტაივანის და ჰონკონგის ბანკებში მილიარდობით დოლარი აქვს. ახლახან, ერთ-ერთი მინისტრი ევროპაში იმყოფებოდა. ინვესტიციების თემაზე მოლაპარაკებისას, ბუნებრივია, მოგებაზე წავიდა საუბარი — ინვესტორ ბანკს ამდენი პროცენტი ექნება, თქვენს ქვეყანას ამდენი, მწარმოებელ სექტორს — ამდენიო. კი მაგრამ, საქმე თუ გავაკეთე, ჩემი წილი რამდენი იქნებაო, მინისტრს უკითხავს... ნეტავ იცოდეთ, როგორ და რა სასტუმროში ცხოვრობს ზოგიერთი ქართველი თანამდებობის პირი უცხოეთში მივლინების დროს. ან, რა მივლინებაზეა ლაპარაკი, თბილისიდან აფრიკასა და აზიაში შაბათ-კვირას სანადიროდ დაფრინავენ... უმარტივესად შეიძლება დღევანდელი საბიუჯეტო კრიზისის აღმოფხვრა — ამის მაგალითები მსოფლიოში მრავლად არის. თუნდაც, იმავე რუსეთის პრეზიდენტმა ე.წ. ოლიგარქები დაიბარა და ბიუჯეტის სასარგებლოდ ყველას თავისი წილი მოატანინა. ნურავინ იფიქრებს, რომ საქართველოში ნაკლები ფული ტრიალებს. მე ვიცი ადამიანები ქართულ პოლიტიკასა და ხელისუფლებაში, რომელთა ქონებამაც ას მილიონ დოლარს გადააჭარბა. ეს ფული რომ კანონიერი გზით იყოს ნაშოვნი, საქართველოს ბიუჯეტი მილიარდ ორასი ათასი ლარი კი არა, ათი ამდენი იქნებოდა...

***გვერდი მოამზადა დაჩი გრძელიშვილმა***

# „დიდი თამაში“



„ჭადრაკის დიდი პარტია“ ქართული პოლიტიკის ორ „გრანდს“ შორის აზარტულ ფაზაში შედის. როგორც ჭადრაკს სჩვევია, პაიკები სამეფო მანევრისთვის წინასწარ განწირულებად ითვლება. ამჯერად ასლან აბაშიძემ არც ლაზიერი დაინდო — აჭარის ავტონომიის პარლამენტის საბჭოსა და სენატის ერთობლივ სხდომას, რომელზეც უკანასკნელი 6 თვის ბიუჯეტის შესრულება განიხილებოდა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ედუარდ კაკაბაძის გადაყენება მოჰყვა. მისი ბედი გაიზიარეს 19-მა მინისტრმა და 14-მა დეპარტამენტის თავმჯდომარემ. მინისტრთა საბჭოს გადაყენების გადაწყვეტილება ასლან აბაშიძემ არა მხოლოდ ბიუჯეტის 28 მლნ-ით ჩავარდნის, „არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის“ გამოც მიიღო. ასლან აბაშიძემ ერთი სვლით რამდენიმე მიზნის ნება გააკეთა — თუ ცენტრალური ბიუჯეტი აჭარის გამო ჩავარდა, აჭარის მმართველს უკვე შეუძლია თქვას, რომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მკაცრი ზომები მიიღო. აბაშიძემ, როგორც მკაცრმა ხელმძღვანელმა, არჩევნების წინ ქულები სრულიად საქართველოს მოსახლეობასთან ჩაიწერა.

შემდეგი სვლა შევარდნაძეს ეკუთვნის. აჭარისგან განსხვავებით, ცენტრალური ბიუჯეტის კორექტირება 135 მილიონი ლარით არის საჭირო. სავალუტო ფონდის მკაცრი რეკომენდაციით, ნებისმიერი საბიუჯეტო შესწორება პარლამენტის გავლით უნდა დაკანონდეს. შევარდნაძე „შარიან“ საპარლამენტო ოპოზიციას გვერდს ვერ აუვლის. მით უმეტეს, რომ პარლამენტარები დიდი ხანია, ეკონომიკური ბლოკის პასუხისმგებლობის საკითხის დასმას მოითხოვენ. გამორიცხული არ არის, შევარდნაძემ აბაშიძის სვლა აიტაცოს და არჩევნების წინ „დიდი წმენდა“ გამოაცხადოს. ასეთ შემთხვევაში, სახელისუფლებო ბლოკთან დაკავშირებული წარსული ბატალიები შევარდნაძის მიერ დადგმული დიდი სპექტაკლი იქნება და ცესკოდან კუთვნილი ცხრა ადგილის გაყოფაში გართული ოპოზიცია სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდება — თუ პრეზიდენტმა თავის ბლოკში არსებული ძალების უმრავლესობა ჩამოიცილა, ისინი ცესკოს დაკომპლექტებისას ოპოზიციას მიაკითხავენ და მათთვის განკუთვნილი 9 ადგილიდან თავის წილს მოითხოვენ. როგორც ცნობილია, ბეიკერის გეგმით, 5 ადგილი საპრეზიდენტო ძალებს ეკუთვნით, 9 კი დანარჩენ პოლიტიკურ ისტებლიშმენტს. საბოლოოდ გამოვა, რომ არჩევნების წინ შევარდნაძე ქართველ პოლიტიკოსებსაც გააცურებს და ქართულ დემოკრატიაზე მზრუნველ ამერიკასაც — ჭრელი ოპოზიციით დაკომპლექტებულ საარჩევნო კომისიაში მას კვლავ გადამწყვეტი უპირატესობა — 5 ადგილი ექნება. მთავრობის გადაყენებით კი, თუნდაც დროებით, მოსახლეობის თანაგრძნობასაც მოიპოვებს...

CMYK

# ლიბერალურად განწყობილი ძალები ცილს სწამებენ ეკლესიას



სამწუხაროდ, ბოლო დროს გახშირდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისადმი უსაფუძვლო ბრალდებები. არსებობს სერიოზული ეჭვი იმისა, რომ გარკვეული ძალები ცდილობენ ეკლესიის დისკრედიტაციას. ამიტომაც ჩვენზე დარტყმები ხორციელდება როგორც მარცხნიდან, ანუ ლიბერალურად განწყობილი მხარისაგან, ისე მარჯვნიდან — ექსტრემისტულად განწყობილი ძალისგან.

ექსტრემისტები ბრალს გვდებენ სხვა კონფესიის წარმომადგენლებთან ურთიერთობის, ანდა მათდამი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების არქონის გამო, ლიბერალები კი კარჩაკეტილობას გვიკიჟინებენ და რუსეთის სპეცსამსახურებთან ურთიერთობაში „გვამხელენ“. როგორც ადრე აღვნიშნეთ, ეს ორივე ფრთა სხვადასხვა ძალებისგან იმართება, თუმც მიზანი ერთი აქვთ — საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამეუფეო გზიდან გადაყვანა და თავისი გავლენის ქვეშ მისი მოქცევა.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებით მემარცხენეები (ლიბერალები) გააქტიურდნენ. მათ მთავარ დასაყრდენს დეკანოზი ბასილ კობახიძე წარმოადგენს, რომელმაც ა. წ. 9 ივლისს „კავკასიურ სახლში“ გამართა პრესკონფერენცია და „რუსთავი-2“-ის ეთერითაც წარდგა მაყურებლის წინაშე. იგი საქართველოს ეკლესიას უწოდებს ბნელი ძალების გავლენის ქვეშ მყოფს და კარჩაკეტილს. ამის ძირითადი მიზეზი კი ის არის, რომ ჩვენ 1997 წლიდან გამოვედით „ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან“ და „ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან“.

ეს ბრალდებები, რა თქმა უნდა, ყოვლად უსუსური და უსაფუძვლოა. ჩვენ ძმური და მეგობრული ურთიერთობა გვაქვს ყველა მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ამიტომაც არის, რომ ხშირად ხორციელდება ორმხრივი ვიზიტები. მარტო ბოლო ორი წლის მონაცემებით ჩვენი ეკლესიის დელეგაციები ეწვივნენ: კონსტანტინეპოლს, კვიპროსს, ბულგარეთს, აშშ-ს, სერბეთს, რუსეთს, იერუსალიმს, ელადის ეკლესიებს. ასევე ჩვენთან სტუმრად ჩამოდიან როგორც პირველი იერარქები, ისე სინოდის წევრები თითქმის ყველა ეკლესიიდან.

ჩვენ ახლო ურთიერთობა გვაქვს სხვა კონფესიებისა და რელიგიების წარმომადგენლებთანაც, ოღონდ იგი არ გულისხმობს ლოცვით — ევქარისტულ კავშირს. შეგახსენებთ, რომ სწორედ საქართველოს ეკლესია იყო ინიციატორი 2002 წელს თბილისში ჩატარებული იმ საერთაშორისო კონფერენციისა, რომელიც კავკასიის ხალხთა მშვიდობიან თანაარსებობას მიეძღვნა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა რელიგიისა და ქვეყნის წარმომადგენლები. 2002 წელსვე მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მონაწილეობდა ბრიუსელში გამართულ სამშვიდობო შეხვედრაზე, რომელსაც სამი მონოთეისტური რელიგიის მეთაურები ესწრებოდნენ.

რაც შეეხება ჩვენი ეკლესიის ურთიერთობას „ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთან“ და „ევროპის ეკლესიათა კონფერენციასთან“, შევნიშნავთ, რომ ჩვენი აზრით მათ, სამწუხაროდ, ვერ გაამართლეს მოლოდინი და ვერ მოამზადეს ნიადაგი ჭეშმარიტი ქრისტიანული ერთობისათვის. უფრო მეტიც, თანდათან დაკარგეს თავდაპირველი სახე ფორუმისა და დღეს უკვე იღებენ ეკლესიოლოგიურ ხასიათს. ეს გახდა მიზეზი სხვადასხვა მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა მხრიდანაც მათ მიმართ გამოთქმული ხშირი კრიტიკისა. სწორედ ამიტომ დატოვეს საქართველოს და ბულგარეთის მართლმადიდებელმა ეკლესიებმა აღნიშნული ორგანიზაციები 1997 წლის წმიდა სინოდის განჩინებით.

ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, თითქოს საქართველოს ეკლესია უარს ამბობს ორმხრივ დიალოგზე. პირიქით, ჩვენ მომხრე ვართ იმ პრინციპისა, რომელიც არ გულისხმობს სხვადასხვა კონფესიების თანალოცვით გაერთიანებას, არამედ დიალოგის გზით გადაჭრას იმ დოქტრინალური პრობლემებისა, რომელიც არსებობს სხვადასხვა ქრისტიანულ მიმდინარეობაში.

რატომ არის ეს „კარჩაკეტილობა“ ანდა „სიბნელე“? რატომ უთვლიან ზოგიერთნი საქართველოს ეკლესიას „ცოდვად“ და „დანაშაულად“ ეკლესიოლოგიურ სფეროში მართლმადიდებლური სწავლების დაცვას, ანუ თავისი 2000-წლოვანი ჭეშმარიტი რწმენის შეუზღუდავად აღიარებას, მაშინ როდესაც იგივე ძალები თავგამოდებით იცავენ ნებისმიერი სხვა რელიგიური მიმდინარეობის თავისუფლებას და ქომაგად უდგებიან თვით ისეთ სექტებსაც კი, რომელნიც ადამიანის სიცოცხლეს და ქვეყნის სიძლიერესაც რეალურ საფრთხეს უქმნიან?

რაც შეეხება დეკანოზ ბასილ კობახიძის მხრიდან საქართველოს ეკლესიის ამა თუ იმ იერარქისა და სასულიერო პირის მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს, თითქოს ისინი თანამშრომლობენ ზოგიერთი ქვეყნის სპეცსამსახურებთან, — უხეში ცილისწამებაა და დიდი ცოდვა ღვთის წინაშე. თვითონ დეკანოზი ბასილ კობახიძე არის მძიმე მდგომარეობაში; მიუხედავად მრავალჯერ გაფრთხილებისა, იგი მოქმედებს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევის გარეშე, თვითნებურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა შეკრებებსა და ფორუმებზე, შეურაცხყოფს და დასცინის ეკლესიას და მოძღვართ, რაც ნებისმიერი სასულიერო პირისთვის ყოვლად მიუღებელი ქმედებაა. ამით იგი თვითონ აყენებს თავის თავს ეკლესიის გარეთ.

სამწუხაროდ, „რუსთავი-2“-ის ეთერში დეკანოზ ბასილის ოპონენტის მხრიდანაც გამოითქვა არაკორექტული აზრი ერთ-ერთი მღვდელმთავრის მისამართით. მიგვაჩნია, რომ ჩვენს პოლიტიკურ სინამდვილეში არსებული არაჯანსაღი განწყობილებების შემოტანა ეკლესიის წიაღში გაუმართლებელია და საშიში ზოგადად ქვეყნისთვის.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მიუხედავად შექმნილი მრავალი პრობლემისა და სხვადასხვა უსაფუძვლო ბრალდებებისა, საქართველოს ეკლესია ღვთის წყალობით შეძლებს თავისი პოზიციის ღირსეულად დაცვას და კვლავაც სამეუფო გზით დაუბრკოლებელ სვლას.

***საქართველოს საპატრიარქო***
*11. 07. 2003*

# ჯილდოები მამსირაშვილების „ზარდახშაში“

საქართველოში მელექსეებით და მომღერლებით ვერავის გააკვირვებ, მაგრამ მაინც გვხვდებიან გამორჩეულები, რომლებსაც სხვებზე მეტად „სჭირთ“ ქართული ჰანგის სიყვარული, ვინც სხვებზე მეტად შეიგრძნობს მშობლიური სიტყვის მადლსა და ლაზათს. ამ შემთხვევაში განუზომლად დიდ როლს თამაშობს ნიჭი.

რედაქციაში მიჩვეულნი ვართ ხშირ სტუმრიანობას, მაგრამ როცა მომღერალი და-ძმა მშობლებთან ერთად გვეწვია და გვითხრეს, თიანეთიდან ვართ, გვინდა, რომ ჩვენს სიმღერას მოუსმინოთო, სიამოვნებით დავთანხმდით.



გოგონამ ფანდურს ჩამოჰკრა, წკრიალა ხმებმა რედაქციის ყველა ოთახამდე, კუთხე-კუნჭულამდე მიაღწია და ცოტა ხანში საკმაოდ მრავალრიცხოვანმა „აუდიტორიამ“ მოიყარა თავი მათ ირგვლივ.

აღმოჩნდა, რომ მომღერალი და-ძმა მორიგი ჯილდოს (ვინ იცის, მერამდენე) მისაღებად იყო ჩამოსული თბილისში. მერე კი, გადაუწყვეტიათ „კვირის პალიტრისთვისაც“ ეცნობებინათ ეს სასიხარულო ფაქტი და ჩვენც თანამოზიარე გავხდით მათი წარმატებისა.

თიანეთელ მაია და მინდია მამსირაშვილებს რომ ვკითხე, რა გიყვართ და რა გიტაცებთ ყველაზე მეტად-მეთქი, დაუფიქრებლად მიპასუხეს — სიმღერაო. ბიჭი 15 წლისაა და პატარაობიდანვე მღერის. „4 წლის ვიყავი, რომ ვიმღერე, — იხსენებს მინდია, — უფროსები სუფრას რომ მიუსხდებოდნენ, სიმღერასაც შემოსძახებდნენ, მე კი სატრფიალო ჩამრჩა გულში და ერთხელაც „შავი თვალები რა თვალებია“ წავიღიღინე. დედაჩემმა თავისთან მიხმო: — აბა, შვილო, ხმამაღლა იმღერეო, — მთხოვა. გავიმეორე. ახმაურდნენ სტუმრები, შემაქეს და მეც გავთამამდი“.

მაიკო ორი წლით უმცროსია ძმაზე. ცოტა ხანში ისიც ამღერდა, ძმას „მხარში“ ამოუდგა და ფანდურიც მთიელი ქალივით მოიხდინა. ახლა მათი დუეტის მოსმენას არაფერი სჯობს. მაიას და მინდიას თავიანთი რეპერტუარი აქვთ. მღერიან სამშობლოზე, მეგობრობაზე, სიკეთესა და სიყვარულზე, საჯიხვეებზე, მთის წყაროზე, მწვანედ აბიბინებულ მდელოსა და მოჩურჩულე, იდუმალ ტყეზე.

და-ძმა სოფელ ჯიჯეთში ცხოვრობს, სკოლაში მისასვლელად ყოველდღე 2 კილომეტრს გადიან, მაგრამ ეს გზა სულაც არ ეშორებათ — ზარიძეების სკოლაში ხომ მინდია და მაია ყველას გამორჩეულად უყვარს. არც ერთი საღამო, შეხვედრა თუ კონცერტი არ ტარდება ამ ხმაშეწყობილი დუეტის გარეშე. ამიტომაც იყრის თავს მამსირაშვილების ოჯახურ „ზარდახშაში“ უამრავი ჯილდო, სიგელი და მედალი, რომელიც უძვირფასეს რელიკვიად ქცეულა მინდიასა და მაიკოს მშობლებისთვის.

მაინც გამიკვირდა ამდენ ჯილდოს შორის თვალი რომ მოვკარი ცნობილ ჯიმშერ მუჯირის („ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის ცენტრის“ ყოფილი დირექტორი) დროინდელ ოქროს მედალს. ახლა ყველა „ვარსკვლავია“, მაშინ კი მართლაც რჩეულთა შორის რჩეულები იღებდნენ დამადასტურებელ ჯილდოს.

სხვათა შორის, შარშან, როცა ჰოლივუდში გასამგზავრებელ ნიჭიერ ბავშვთა სიებს ადგენდნენ, თიანეთის განათლების (გამგე — მერი ბოდაველი) და კულტურის განყოფილებამ (გამგე — ქეთევან შარმიაშვილი) რეკომენდაცია გაუწიეს პატარა მომღერლებს. თბილისში ჩამოსულ დუეტს მუსიკათმცოდნე მაია დათუნაშვილმაც მოუსმინა და აღფრთოვანება ვერ დამალა: — ჩემი ნება რომ იყოს, არც დავფიქრდებოდი, ისე წავიყვანდი ამ ბავშვებს ამერიკაშიო. სამწუხარო ფაქტია, მაგრამ დღეს ყველაფერი ფინანსებს, უფრო სწორად, მის დეფიციტს უკავშირდება. თითოეულ ბავშვზე სულ ცოტა 7.000 დოლარი უნდა გადმორიცხულიყო, მაგრამ სავალალოდ, მეცენატებამდე ვერ მიაღწიეს ჯიჯეთელმა მომღერლებმა.

მალე და-ძმა მამსირაშვილები პრეზიდენტის სტიპენდიანტები გახდებიან. ალბათ მერე უფრო „გამოჩნდებიან“, მერე უფრო შეამჩნევენ მათ და მეცენატებიც დაინტერესდებიან ამ ნიჭიერი ბავშვებით. ხომ გვაქვს ქართველებს ფრთიანი ფრაზა: „მიეცი ნიჭსა გზა ფართო“-ო... ჰოდა, ჩვენც მივცეთ გზა მომავალს.

***მარინა ბაბუნაშვილი***

# ჯერ ამოვწურავ გუდინის და კოპერფილდს და მერე წარმოვადგენ ჩემსას

პოლიტიკური ფოკუსებით თავმობეზრებულ თბილისელებს კიდევ ერთხელ შეეძლებათ ნამდვილი ილუზიონისტური ხელოვნების ნახვა. 16 ივლისს, აღმაშენებლის გამზირზე, ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალური ცენტრის შენობის უკან მდებარე ბაღში ილუზიონისტი ზურა ვადაჭკორია ჰარი გუდინის კიდევ ერთ ნომერს გაიმეორებს. თუ აქამდე ქართული ციხეებიდან პატიმრების გაქცევის ამბავს ვიგებდით, ამჯერად ჩვენი თვალით ვნახავთ „ჩინური წყლის ციხიდან“ გაქცევას. ამ ცნობამ უკვე აალაპარაკა სეირისა და ინტრიგების მოყვარულები, ჭორებმაც არ დაახანა. საქმის არსში გასარკვევად ილუზიონისტს ვესაუბრეთ.

**— ძალიან სწრაფი ტემპით დაიწყეთ მოქმედება. ორ თვეში ერთხელ ახალ ნომერს თუ გვაჩვენებთ, წლის ბოლომდე ალბათ არ მოვიწყენთ. რას აპირებთ 16 ივლისს?**



— უპირველესად, მინდა მადლობა გადავუხადო იმ ხალხს, ვისაც 26 მაისს მტკვარში ჩემი სამუდამო გაუჩინარება უნდოდა და პროვოკაცია მომიწყვეს. ამან ძალა შემმატა და უფრო ამანთო სამოქმედოდ. ისინი რომ არა, შეიძლება იმ მატარებლის ვაგონს დავმსგავსებოდი, რომელსაც სამოძრაოდ ბიძგი სჭირდება. რახან საქართველოში ილუზიონისტი ბევრი არ არის (თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ ჩინოსანს), კონკურენტი თითქმის არ მყავს და ამიტომაც მეზარება ხელის განძრევა. მაგრამ 26 მაისის შემდეგ ისეთი ბიძგი მივიღე, გაჩერება მიჭირს. ფილმ „რეკორდში“ რომ არის, შემაგინოს და ვესვრიო, მგონი, მეც ეგრე მომივიდა. ამიტომ 16 ივლისს წარმოგიდგენთ ჰარი გუდინის ნომერს, რომელსაც ჰქვია „ჩინური წყლის ციხიდან გაქცევა“. მისი განმეორება ბევრმა ილუზიონისტმა სცადა, მაგრამ სულ 12-მა შეძლო. მე გუდინის ოინს უფრო გავამძაფრებ, მინის აკვარიუმში ჩავასხამთ წყალს. ჯაჭვებითა და ბოქლომებით ხელფეხშეკრულს სპეციალური დანადგარით ჩამსვამენ აკვარიუმში, საიდანაც, არქიმედეს კანონის თანახმად, ჩემი მოცულობის წყალი აუცილებლად გადმოვა და ამის გამო არ დაიწყონ — წყალი რატომ გადმოვიდაო. მერე დაახურავენ ამ აკვარიუმს ხუფს, ჯაჭვებით შეკრავენ, ბოქლომებით ჩაკეტავენ, გადააფარებენ ტილოს და... ორ წუთში მეც გარეთ ვიქნები. გუდინის ნომერში ფეხები ყველას გარეთ აქვს გამოყოფილი, მე კი მთლიანად აკვარიუმში ვიქნები ჩაკეტილი.

**— თქვენზე ამბობენ, იაპონიიდან გამოუგზავნეს ხელოვნური ლაყუჩები, რომელსაც კუზანოვი ჩაუდგამსო. გარდა ამისა, ის ბოქლომები, რითაც ასე ართულებთ გუდინის ნომერს, დისტანციური მართვისა (მაწყვეტინებს) ყოფილა...**

— ასევე გამომიგზავნეს უხილავი, 10-სანტიმეტრიანი ჟანგბადის ბალიში, რომელშიც 20 ატმოსფერო ჰაერი ეტევა, არა?.. ასეც რომ იყოს, გამაგებინეთ, რა მნიშვნელობა აქვს? მთავარი ხომ ფოკუსის ჩვენებაა. მავანთა გასაგონად ვამბობ, — თუ მაგრები ხართ, თქვენც გააკეთეთ. მე არ შემიძლია ჟურნალისტობა და არც ვწერ. ჩემი გაკრიტიკებაც მხოლოდ ჩემს კოლეგებს შეუძლიათ. თქვენ კი, ვისაც ფოკუსის ყურება არ გინდათ და თავში ათასგვარი ხრიკი გიტრიალებთ, აცალეთ იმ ხალხს, ვინც სანახაობისთვის მოვა ბაღში, დაჯდება ტელეეკრანთან და ვინც იცის, რომ სანამ კაცობრიობას გაოცების, იუმორის, აღტაცების უნარი აქვს, მანამ იარსებებს საილუზიო ხელოვნების ჟანრი.

**— 26 მაისს მტკვარში შესრულებულ ნომერზე თქვით, — სარისკო იყო, რაღაც რომ შემშლოდა, დავიღუპებოდიო. ახლა როგორ არის საქმე. ეს ნომერი ალბათ შედარებით იოლია.**

— არა, ეს გაცილებით რთულია. აქაც ასისტენტის ერთი შეცდომა და საფრთხეში აღმოვჩნდები. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, ასისტენტმა დროულად რომ არ დააჭიროს ბოქლომების დისტანციური მართვის პულტს თითი (ეცინება)...

**— მაინცდამაინც გუდინის ნომრებს რატომ ჩააჯინდით?**

— იმიტომ, რომ გუდინი ყველაზე მაგარია, ჯერ მაგის ნომრებს ამოვწურავ, მერე კოპერფილდისას და მერე შევქმნი ჩემსას, საკუთარს და შემდგომი თაობის ილუზიონისტები უკვე ზურა ვადაჭკორიას გაიმეორებენ.

**— „ჩინური წყლის ციხიდან გაქცევის“ შემდეგ რას აპირებთ?**

— ჯერ არ გადამიწყვეტია. ვნახოთ, როგორ „შემაგინებენ“ ჩემი „რეკორდის“ შემდეგ. პირველს თქვენ გაგიმხელთ ჩანაფიქრს. ისე, ხომ არ გამემეორებინა მტკვარზე ნაცადი ნომერი?

***ეკა ლომიძე***

## მკითხველის პრემია ✱ მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.** *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:



1. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „ვაჟასთვის თვალი ვერ გამისწორებია, თითქოს მე გავძარცვე“ — 122 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „დიდი სტალინი, პატარა დაუნები და საბედისწერო გაჯირითება“ — 95
3. **ლელა ჯიყაშვილი** — „უდაბნოში ვართ ჩარჭობილები ქვევრებივითა...“ — 56
4. **დაჩი გრძელიშვილი** — „ჩვენთან პარლამენტარიზმი ბიზნესმენობასთან არის გაიგივებული“ — 28
5. **იზო რიკაძე** — „ამ თვეში უკვე ორჯერ „ვიტირე...“ — 23

თქვენს პრემიას ამჯერად ჟურნალისტი **ზვიად ჩაკვეტაძე** მიიღებს.

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 465-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

# შოთა ჭიჭიაშვილის მამამ საკუთარი ძმა გადააგდო...

## ვისი „პეშკაა“ ჭიჭიაშვილი?!

რამდენიმე წლის წინ ადამიანების გატაცებითა და ნარკოტიკების ქარხნით „სახელგანთქმული“ პანკისის ხეობა ცნობილი ავტორიტეტის, შოთა ჭიჭიაშვილის დაკავების შემდეგ კვლავ ყურადღების ცენტრშია. მიუხედავად იმისა, რომ ქართული მხარე მის ექსტრადიციას ელოდებოდა, დღეს ეს უკვე სათუოა. რუსი სამართალდამცველების ვარაუდით, შოთა ჭიჭიაშვილი რუსეთში მომხდარ გახმაურებულ ტერაქტებშიც მონაწილეობდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქმის გამოძიებამდე ჭიჭიაშვილის ექსტრადიცია აღარ მოხდება. არ არის გამორიცხული, ყველაფერი ეს საგანგებოდ იყოს გათამაშებული, რადგან ჭიჭიაშვილის საქართველოში ჩამოყვანა და მისი ალაპარაკება ბევრი სახელმწიფო მოხელის, რბილად რომ ვთქვათ, არასახელმწიფოებრივ ქმედებას ახდის ფარდას. დღეს უკვე აშკარად ასახელებენ იმ ძალოვან მაღალჩინოსნებს, რომლებიც სავარაუდოდ ჭიჭიაშვილს მფარველობდნენ: უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ბიუროს ყოფილი უფროსი ლევან კენჭაძე, შს მინისტრის ყოფილი მოადგილე კახა ბაკურაძე, შს ყოფილი მინისტრი კახა თარგამაძე, შს სამინისტროსთან არსებული ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების ყოფილი უფროსი გოჩა სისაური — ეს ის ხალხია, რომლებსაც პანკისის ანკლავის ხელოვნურად ჩამოყალიბებასა და კრიმინალების მფარველობას სდებენ ბრალად. თითოეული მათგანი დღეს ყველაფერ ამას სისულელეს უწოდებს, მაგრამ...

თუმცა, მათ რომ ხელშეუხებლობა გარანტირებული აქვთ და ყველაფერი რომ ლაპარაკისა და მითქმა-მოთქმის დონეზე დარჩება, ამას შს მინისტრის, კობა ნარჩემაშვილის კომენტარიც ადასტურებს. უშიშროების საბჭოს სხდომის შემდეგ, როდესაც მას ჟურნალისტებმა ლევან კენჭაძე გაახსენეს, მინისტრმა ბრძანა — ამის დადგენას მტკიცებულებები სჭირდება, დღეს სამართალდამცველებს ამგვარი არაფერი გააჩნიათო. ისე კი, ჭიჭიაშვილის დაკავების შემდეგ ერთი დეტალი იქცევს ყურადღებას. მაშინ, როდესაც დღევანდელი შს მინისტრი ამაყად აცხადებს, რომ ადამიანის გატაცებების ორგანიზატორი შოთა ჭიჭიაშვილი დააკავეს, ყოფილი შს მინისტრი კახა თარგამაძე ჭიჭიაშვილს „პეშკას“ უწოდებს. მისი თქმით, ჭიჭიაშვილს განგებ აიდეალებენ მაშინ, როდესაც მასზე გაცილებით საშიში დამნაშავეები მიჩქმალულები არიან. კახა თარგამაძე არ აკონკრეტებს, „გაცილებით საშიშ დამნაშავეებში“ ვის გულისხმობს, მაგრამ არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ იმ გახმაურებული გატაცებების (რომლებსაც დღეს ჭიჭიაშვილს მიაწერენ) უმრავლესობა სწორედ მათი განხორციელებული იყოს. საინტერესოა, მაინც ვისი „პეშკა“ იყო შოთა ჭიჭიაშვილი? დღეს ყველა სამართალდამცველი ამის დაკონკრეტებისგან თავს იკავებს და ჭიჭიაშვილის პიროვნება საზოგადოებისთვის ამოუხსნელი რჩება. ჩვენ შევეცადეთ ნაწილობრივ მაინც შეგვევსო ეს ვაკუუმი და მკითხველისთვის დროდადრო ექსკლუზიური ინფორმაცია მიგვეწოდებინა. ამას წინათ ჩვენ შემოგთავაზეთ ინტერვიუ შოთა ჭიჭიაშვილის მამასთან, ქიჩირი ჭიჭიაშვილთან. დღეს კი გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს შოთა ჭიჭიაშვილის ბიძაშვილთან, **მერი ჭიჭიაშვილთან**, რომელიც თუმცა თავშეკავებით, მაგრამ მაინც გვაცნობს დღემდე გაუხმაურებელ ფაქტებს:



მერი და შოთა ჭიჭიაშვილები

თქვენს გაზეთში წავიკითხე შოთა ჭიჭიაშვილის მამის, ქიჩირის ინტერვიუ. იგი ზოგიერთ დეტალს ამახინჯებს და მალავს. მაგალითად, ამბობს, რომ მოქანდაკეა. ეს სიცრუეა. მამაჩემმა, მისმა ძმამ წაიყვანა ბაქოში და თავისთან დააწყებინა მუშაობა. იმ დროს შოთაც იქ ჰყავდა. შოთას დედა ქისტი იყო. ინტერვიუში კი ქიჩირი ამბობს, ქალი ჩეჩენი იყოო. ქისტსა და ჩეჩენს შორის მგონი განსხვავებაა, არა? სხვათა შორის, ის ქალი მისი მეუღლე არასოდეს ყოფილა, არაოფიციალური ურთიერთობა ჰქონდათ.

**— მერი, მითხრეს, რომ რაღაც ინფორმაციის მოწოდება გინდოდათ ჩემთვის...**

— თქვენს გაზეთში წავიკითხე შოთა ჭიჭიაშვილის მამის, ქიჩირის ინტერვიუ. იგი ზოგიერთ დეტალს ამახინჯებს და მალავს. მაგალითად, ამბობს, რომ მოქანდაკეა. ეს სიცრუეა. მამაჩემმა, მისმა ძმამ წაიყვანა ბაქოში და თავისთან დააწყებინა მუშაობა. იმ დროს შოთაც იქ ჰყავდა. შოთას დედა ქისტი იყო. ინტერვიუში კი ქიჩირი ამბობს, ქალი ჩეჩენი იყოო. ქისტსა და ჩეჩენს შორის მგონი განსხვავებაა, არა? სხვათა შორის, ის ქალი მისი მეუღლე არასოდეს ყოფილა, არაოფიციალური ურთიერთობა ჰქონდათ. ბავშვი რომ შეეძინათ, არც მაშინ მოაყვანინეს ცოლად. არც ქიჩირის უნდოდა. მერე ქალს ბავშვიც წაართვეს და ბებიაჩემი ზრდიდა შოთას. ბაქოში გადასვლის შემდეგ კი მამამისმა თან წამოიყვანა. თორმეტი წელი იქ ვცხოვრობდით. შემდეგ ძმებს შორის უთანხმოება მოხდა.

სხვათა შორის, დედამისმა რამდენჯერმე სცადა შოთას მოტაცება და მისი გროზნოში წაყვანა, მაგრამ ბიჭს იმდენი ცუდი რამ ჰქონდა დედაზე გაგონილი, გამოექცა.

**— თავის დროზე რატომ მიატოვა დედამ?**

— ხომ გითხარით, არ გაატანეს. ბებიაჩემი ცოტა უცნაური ქალია. ის ქალი ტიროდა კიდეც, მაგრამ... შოთა 20 წლის იქნებოდა, დედამისის გასაცნობად პირველად გროზნოში რომ ჩავიდა. გაიცნო ნახევარძმები, ბიძაშვილები. ისინი შავ სამყაროში ტრიალებდნენ. შოთაც ჩააბეს „საქმეში“. ერთხელ გააკეთეს „საქმე“, ორჯერ... შოთასაც გაუტკბა იოლად ნაშოვნი ფული...

**— საქმეში რას გულისხმობთ?**

— სხვათა შორის, მუსა ხანგოშვილი შოთას ბიძაშვილია. მე ამას არ მეტყოდნენ, მაგრამ ვიცოდი, რომ ის ფული პატიოსანი გზით ნაშოვნი არ იყო.

**— ბევრს შოულობდნენ?**

— როგორც მუსა ამბობდა, კი. მაგრად „გულაობდნენ“, რესტორნებს ხურავდნენ... ჩეჩნეთში ომი რომ დაიწყო, აქ ჩამოვიდნენ. ჩემი ბიძაშვილი ჩვენთანაც იყო სტუმრად. ეს ფოტოც მაშინდელია, 2000 წელს არის გადაღებული.

**— თქვენი ბიძაშვილი პირველად ებრაელების გატაცების ბრალდებით დააკავეს.**

— იცით, მაშინ როგორ დააპატიმრეს? მე და ჩემი მეგობარი გოგონები გაგვაცილა. მე ინსტიტუტში წავედი, ისინი — სახლში. მაშინ ქაშუეთთან ბინა ჰქონდა დაქირავებული და იქ წავიდა. იმ დღეს აიყვანეს. გარიგება კი მერე მოხდა. ჩეჩნები ჩაერივნენ საქმეში... ვიცი, რომ მამამისმა და ჩეჩნებმა დიდი ფული ჩაყარეს შოთას გასათავისუფლებლად.

**— იცოდით, ადამიანებს რომ იტაცებდა?**

— დღესაც არ მჯერა, ბერი მაჩიტაძე და ცისკარიშვილი მისი გატაცებული რომ იყოს. უბრალოდ, ყველა გაუხსნელი საქმის შოთასთვის აკიდება უნდათ.

**— სამაგიეროდ, ამბობენ, რომ წითელი ჯვრის თანამშრომლები მან გაიტაცა.**

— გათავისუფლების შემდეგ პანკისში დასახლდა. როცა საქმე ხელახლა აღძრეს, აღარ გამოცხადდა. მერე ოფიციალურად გამოაცხადეს მისი ძებნა. იმ დროს გაიტაცეს წითელი ჯვრის თანამშრომლებიც. მაშინ შოთა და ვეფხია მარგოშვილი ერთად იყვნენ.

**— მართალია, რომ მოგვიანებით ერთმანეთს დაუპირისპირდნენ?**

— დიახ, ვეფხია ნარკობიზნესში იყო... ამაზე იჩხუბეს...

**— შოთას ადამიანების გატაცება უფრო პრესტიჟულად ეჩვენებოდა?**

— არ ვიცი, იმ დროს შოთა რას საქმიანობდა. მახსოვს, დავურეკე კიდეც და ვუთხარი: შენი ნახვა მინდა, სად ხარ-მეთქი. ჩამოდი და ჩემამდე მოგიყვანენო, მითხრა.

**— ჩახვედით?**

— არ გამიშვეს. პანკისი მაშინ გადაკეტილი იყო.

**— მარგოშვილი წითელი ჯვრის თანამშრომლების გატაცებაში ჭიჭიაშვილს ადანაშაულებდა...**

— მე ის ვიცი, რომ შოთამ პოლიციის ერთ მაღალჩინოსანს აღუთქვა დახმარება ამ საქმეში.

**— მაშინ შს მინისტრის მოადგილე, კახა ბაკურაძე აწარმოებდა მოლაპარაკებებს...**

— დიახ, ბაკურაძე დაუკავშირდა შოთას. შოთამ უთხრა, იმ პირობით დაგეხმარებით, თუ ძებნაში აღარ ვიქნები და ნორმალურად ცხოვრების საშუალება მომეცემაო. როგორც ვიცი, შევარდნაძის ხელმოწერით მისცეს ხელშეუხებლობის გარანტია და უთხრეს: თავისუფალი ხარო. ახალი პასპორტიც აიღო. ისიც ვიცი, რომ სრულიად უსასყიდლოდ გაათავისუფლა მაშინ წითელი ჯვრის თანამშრომლები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტს მას მიაწერენ, ჩემი ინფორმაციით, ეს სხვა დაჯგუფების ნახელავია — ვისი, ვერ გეტყვით.

**— წითელი ჯვრის თანამშრომლების დაბრუნების შემდეგ თქვენი ბიძაშვილი რას აკეთებდა?**

— თითქოს გაათავისუფლეს, მაგრამ მაინც ყურადღების ცენტრში იყო. პანკისიდან ველარ გამოდიოდა. არ ვიცი, საიდან, მაგრამ შოთამ გაიგო, რომ წითელი ჯვრის ხალხის გათავისუფლების შემდეგ მისი ადგილზევე ლიკვიდაციის ბრძანება გაიცა და დაიმალა.

**— ერთი წლის შემდეგ მოკლეს მარგოშვილი. თქვენი ინფორმაციით, ვინ მოკლა?**

— როგორც ვიცი, სამართალდამცველების ნახელავია.

**— ჭიჭიაშვილს უკავშირებენ პიტერ შოუს გატაცებასაც.**

— იმ დროს პანკისიდან წასული იყო და როგორ გაიტაცებდა პიტერ შოუს...

**— მერე რა, რომ პანკისიდან წასული იყო. 23-კაციანი ჯგუფი ჰყავდა. დაავალებდა ტელეფონით და მორჩა... თქვენ რომ გკითხოთ, შოთა ჭიჭიაშვილს არაფერი დაუშავებია...**

— როგორ არა.

**— მაგალითად...**

— თუნდაც ებრაელების საქმე (ამ საქმეზე „კვირის პალიტრა“ ორი კვირის წინ წერდა — მ.მ.)...

**— მატერიალურად გეხმარებოდათ?**

— არა..

**— ამბობენ, საკმაოდ ბევრი ფული ჰქონდაო...**

— ექნებოდა კიდეც. კბილებამდე შეიარაღებული იყო. ფული რომ არ ჰქონოდათ, როგორ იყიდდნენ იარაღს...

**— რუსეთი მოსკოვში მომხდარ ტერაქტებშიც ადანაშაულებს...**

— ვიცი, რომ ყველაფერს საქართველოში აკეთებდა და არა — რუსეთში.

**— იმასაც ამბობენ, ესპანელი ბიზნესმენების გამოსასყიდი თანხა ჭიჭიაშვილამდე არ მივიდა და განაწყენებულმა ბიზნესმენები აღარ გაათავისუფლაო.**

— არ ვიცი... მაგრამ ფაქტია, რომ შოთამდე არ მისულა ის ფული.

**— ეს შოთამ გითხრათ?**

— არა. სხვამ...

**— როგორ ფიქრობთ, შოთა ძალოვნებთან თანამშრომლობდა?**

— ალბათ, კი. ეს ჩემი აზრი არ არის მხოლოდ... ყველა ამბობს, თითქოს პიტერ შოუმ გატაცება გაითამაშა. რაც შეეხება ესპანელებს, მითხრეს, რომ მათ ნათესავებს აეროპორტში დახვდნენ ვიღაც ოფიციალური პირები და ფულიც იქიდან გაქრა. შსს-ს ერთ-ერთმა ყოფილმა თანამშრომელმა (მის ვინაობას ვერ დავასახელებ) მითხრა: შოთას აყვანას რა უნდა, მაგრამ ჯერ გვჭირდება. როცა მოვისურვებთ, მივალთ და გავაგორებთო. ე. ი. სჭირდებოდათ, ხომ?

**— ბოლოს როდის ესაუბრეთ თქვენს ბიძაშვილს?**

— რამდენიმე თვის წინ.

**— თქვენ თქვით, რომ გემუქრებოდნენ?**

— დიახ, გამაფრთხილეს, სჯობს, შოთაზე არც კარგი თქვა და არც ცუდიო.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ სატელეფონო ზარი პოლიციიდან იყო?**

— არა. უფრო მისი სამეგობროდან.

**— ინტერვიუს დასაწყისში თქვით, რომ მამათქვენსა და შოთას მამას შორის უთანხმოება მოხდა...**

— როდესაც „დავით აღმაშენებლის“ ძეგლი დაიდგა ქუთაისში, რა თქმა უნდა, გასამრჯელო ეკუთვნოდათ. მაშინ ამაშუკელს მამაჩემი ეხმარებოდა. ექვსი თვე გავიდა და თანხა არ ჩანდა... მამაჩემი მაშინ ვლადიკავკაზში მუშაობდა. ერთ დღეს დაგვირეკა და გვითხრა, წადით ელგუჯა ამაშუკელთან და გაიგეთ, რა ხდებაო. მე და დედაჩემი მივედით. ამაშუკელმა გვითხრა, 4-5 თვეა, რაც ფული ქიჩირის მივეციო. 20 ათას ლარამდე იყო. ქიჩირიმ უარყო — გატყუებთ ამაშუკელიო. დღესაც იმავეს იმეორებს. დარწმუნებული ვარ, მან აიღო ფული. ამიტომ მოხდა ძმებს შორის განხეთქილება.

***მარინა მამისაშვილი***

# აბა! კიდევ ერთხელ გამოვცვალოთ პასპორტები

## 35 მილიონი ლარი საქართველოს მოქალაქეებმა ტყუილად გადაყარეს(?!)




ამ ათი წლის განმავლობაში მილიონი პასპორტი მაინც გაიცა. თუ ვიანგარიშებთ, რომ ერთი პასპორტის აღება მოქალაქეს 35 ლარი უჯდება, გამოდის, 35 მილიონი ლარი საქართველოს მოქალაქეებმა ტყუილად გადაყარეს. უფრო სწორად, მათ გადაყარეს, სამაგიეროდ, სამინისტროს სპეცანგარიშზე ჩაირიცხა.

იცით, თურმე რომელი საბუთის გაყალბება შეიძლება ყველაზე იოლად? რომლის და საქართველოს მოქალაქის პასპორტის. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **დავით თოდუა** გვიხსნის: „პასპორტების გაყალბება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. მთავარია, კარგი კალიგრაფია ჰქონდეს. აიღებს პასპორტს, გახსნის ყდას, ფრთხილად გამოიღებს იქიდან ჩემს სურათს, ჩააკრავს თავისას და ვიღაცა დავით თოდუა გახდება. ის პასპორტები, რომლებსაც 1993 წლიდან გვიბეჭდავდნენ, არ შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს. პასპორტებს არ აქვს საკმარისი დამცავი მექანიზმები, ამიტომ დღის წესრიგში დადგა ახალი პასპორტის დაბეჭდვა, რომელსაც ასე იოლად ვერავინ გააყალბებს. სასწრაფო რეორგანიზაციას მოითხოვს აგრეთვე პასპორტის გაცემის მეთოდიც. სამწუხაროდ, არ არის შექმნილი ცენტრალური კომპიუტერული სისტემა, რომელშიც მონაცემთა ბაზა იქნებოდა შეტანილი და ყველა პასპორტის გაცემა მხოლოდ ცენტრალური კომპიუტერის ნებართვის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი. ახლა ვინ და როგორ გასცემს პასპორტებს, ძნელი გასარკვევია“.

ყოველივე ამას, როგორც მოგახსენეთ, მინისტრის მოადგილე აცხადებს და არა — რიგითი მოქალაქე. ერთ-ერთი საპასპორტო მაგიდის გამგემ გულახდილი საუბრისას მითხრა: — რას ფიქრობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა, როდესაც პასპორტების დაბეჭდვა უცხოელებს შეუკვეთა და მათი დამზადებული ნიმუშები მოიწონა? ამ ათი წლის განმავლობაში მილიონი პასპორტი მაინც გაიცა. თუ ვიანგარიშებთ, რომ ერთი პასპორტის აღება მოქალაქეს 35 ლარი უჯდება, გამოდის, 35 მილიონი ლარი საქართველოს მოქალაქეებმა ტყუილად გადაყარეს. უფრო სწორად, მათ გადაყარეს, სამაგიეროდ, სამინისტროს სპეცანგარიშზე ჩაირიცხა. ძველი და კარგად აპრობირებული მეთოდია — თუ სამინისტროს სპეცსახსრების შემოსავალმა იკლო, იტყვიან — ესა თუ ის დოკუმენტი თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესაბამება, სასწრაფოდ გამოსაცვლელიაო. მე შენ გეტყვი, მინისტრს გაუჭირდება და პრეზიდენტს საჭირო განკარგულებაზე ხელს ვერ მოაწერინებს. ახლაც ასე გაკეთდა...

ერთი მომენტიცაა — არჩევნები მოახლოვდა. სამინისტრომ საფრანგეთში რამდენიმე მილიონი ლარი გადარიცხა და დიდი რაოდენობით ძველი ნიმუშის პასპორტები შემოიტანა(?!). თუ მომავალი წლიდან ახალ პასპორტებზე გადავდივართ და თანაც ძველები უვარგისია, მაშ, რა საჭიროა ასი ათასი ძველი ნიმუშის პასპორტი?! ახალ წლამდე, დიდი-დიდი, ხუთი-ექვსი ათასი პასპორტი გავცეთ. ალბათ ხელისუფლებას 95 ათასი პასპორტი არჩევნებისათვის სჭირდება...

შინაგან საქმეთა სამინისტროში როგორც აგვიხსნეს, ახალ პასპორტზე აღარ იქნება წარწერა „საქართველოს მოქალაქე“. ყდიდან გამქრალია ბორჯღალიც. სხვადასხვა ფერის იქნება სამსახურებრივი პასპორტები — დაწყებული ლურჯით და დამთავრებული ყვითელი ფერით. ანუ პარლამენტარებს, კანცელარიის თანამშრომლებს, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს სხვადასხვა ფერის პასპორტები დაურიგდება(?). ჩვეულებრივი მოკვდავის პასპორტი კვლავ წითელი ფერისა იქნება.

შს მინისტრის მოადგილემ ახალი პასპორტების ნიმუშების სანახავად საქართველოს სავიზო-საპასპორტო სამსახურის უფროსთან, ზურაბ უროტაძესთან გაგვაგზავნა. სამწუხაროდ, ნიმუშები არც ბატონ ზურაბთან აღმოჩნდა. თავის მხრივ, უროტაძემ ხელი დავით თოდუასკენ გაიშვირა, — იგი კომისიის ხელმძღვანელია და, რა თქმა უნდა, ნიმუშები მას უნდა ჰქონდესო. ალბათ მინისტრის მოადგილემ ახალი პასპორტის ნიმუში იმიტომ არ გვაჩვენა, რომ ძველსა და ახალს შორის, გარდა გამქრალი წარწერისა და ბორჯღალისა, სხვაობა თითქმის არ არის. სწორედ ამიტომ შს სამინისტროს ამ ამბის გახმაურება ხელს არ აძლევს, რადგან არჩევნები კარსაა მომდგარი და თანაც სპეცსახსრების შევსებაა საჭირო. ამიტომაც აკრიტიკებს ასე მონდომებით დავით თოდუა ძველ პასპორტებს. სინამდვილეში კი, ძაღლის თავი სხვაგან რომ არის დამარხული, ალბათ მიხვდით.

***რატი ახალაძე***

# „ბაბაჯან, წყალი!“

## ანუ რას გვპირებენ ფრანგები



კოფი ანანი: — მტკნარი წყლის გამო მალე ომები დაიწყება

თურქეთიდან დაბრუნებული ჩვენი რედაქტორი იქაურ შთაბეჭდილებებს გვიზიარებდა: „...საუკეთესო ხუთვარსკვლავიან, კომფორტულ სასტუმროში ჩემი ყურადღება სასტუმროს ვესტიბიულსა და კიდევ რამდენიმე ადგილზე გამოკრულმა განცხადებებმა მიიქცია, — ადმინისტრაცია კატეგორიულად აფრთხილებდა სასტუმროს ბინადართ, არავითარ შემთხვევაში არ დაელიათ ონკანიდან გამდინარე წყალი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასტუმროს დირექცია მათ ჯანმრთელობაზე პასუხს არ აგებდა. და ეს ხდება არა რიგით, არამედ უმაღლესი კლასის სასტუმროში. კიდევ კარგი, საქართველოში ჯერჯერობით არა მარტო ონკანიდან, ზოგიერთი მდინარის წყლითაც შეიძლება წყურვილის მოკვლა“. ჟურნალისტებმა ერთმანეთს თავმომწონედ გადავხედეთ. თურქებს ერთ რამეში მაინც ვჯობივართ თურმე, — ონკანიდან გამდინარე წყალს მსოფლიოს მხოლოდ ხუთ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში სვამენ (გერმანია, ესპანეთი, უნგრეთი, ჰოლანდია, საქართველო). მაგრამ...

გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეაზე ამ საერთაშორისო ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ბატონმა კოფი ანანმა დაახლოებით შემდეგი შინაარსის განცხადება გააკეთა: — მალე მსოფლიოში ომები ნავთობის საბადოების გამო კი არა, მტკნარი წყლის გამო მოხდებაო. ამჟამად სასმელი წყლის მწვავე დეფიციტს მსოფლიოს მოსახლეობის 30%-ზე მეტი განიცდის და თუ ასე გაგრძელდა, ათიოთხუთმეტი წლის შემდეგ მტკნარი წყლის პრობლემა თითქმის მთელ მსოფლიოს შეაწუხებს. საქართველოსა და ქართველებს ამ მხრივ საშიშროება ნამდვილად არ გვემუქრება, თუმცა... ამ აზრს თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის წყლის რესურსების გამოყენების, წყალმომარაგებისა და წყალარინების კათედრის მეცნიერები არ იზიარებენ. ვიდრე მათ მოსაზრებებს გაგაცნობდეთ, თბილისის საკანალიზაციო სისტემის ერთ-ერთი ინჟინრის მონოლოგი მინდა შემოგთავაზოთ: „სამი ათეული წელიწადი თბილისის „წყალკანალის“ სისტემაში ვიმუშავე. მხოლოდ რამდენიმე წელია, რაც კანალიზაციის სფეროში ვემსახურები დედაქალაქს, ამიტომ ორივეგან მიმდინარე პროცესებს ხუთი თითივით ვიცნობ. სხვათა შორის, ორივე დარგს გამოცდილი და პროფესიონალი მუშაკები ხელმძღვანელობენ. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ დედაქალაქს, ავად თუ კარგად, დღემდე მიეწოდება სასმელი წყალი. სასმელი წყლის და საკანალიზაციო სისტემები სავალალო მდგომარეობაშია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მილების მესამედი ავარიულ მდგომარეობაშია, დანარჩენიც მალე გამოვა მწყობრიდან. ამიტომ დადგა დღის წესრიგში უცხოელი ინვესტორის მოწვევის საკითხი, რომელიც „თბილწყალკანალის“ რეაბილიტაციას თავის თავზე აიღებდა. საქმეში მსოფლიო ბანკი ჩაერთო, რომელმაც „თბილწყალკანალის“ რეაბილიტაციისათვის 25 მილიონი აშშ დოლარის შეღავათიანი კრედიტი გამოუყო საქართველოს და თან თავისი რეკომენდაციებიც მოაყოლა — სარეაბილიტაციო სამუშაოები მხოლოდ უცხო ქვეყნის კერძო ფირმას უნდა განეხორციელებინა. „თბილწყალკანალის“ ხელმძღვანელობას სხვა გზა არ ჰქონდა და ტენდერში ფრანგულ ფირმას გაამარჯვებინეს, რომლის უკან პრეზიდენტის საფრანგეთში მოღვაწე ვაჟიშვილი, პაატა შევარდნაძე მოიაზრება. ფრანგები ესპანელებთან ერთად მინერალური და მტკნარი წყლის მსოფლიო ბაზრის მონოპოლისტებად ითვლებიან... ტენდერში გამარჯვებულ ფრანგულ ფირმას ნაკლებად აღელვებს „თბილწყალკანალის“ პრობლემები. მას საქართველოს მტკნარი წყლების რესურსების ხელში ჩაგდება სურს, რომელსაც შემდეგ ჩამოასხამს და ერთ ნაწილს საზღვარგარეთ გაიტანს ხოლო მეორეს, ისევ ჩვენ მოგვყიდის“. დაახლოებით იმავე აზრს იზიარებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალმომარაგების კათედრის ხელმძღვანელობა, ოღონდ პირველი რესპონდენტისაგან განსხვავებით, თავიანთ არგუმენტებს დოკუმენტებით ასაბუთებენ.

ტექნიკური უნივერსიტეტის წყლის რესურსების გამოყენების, წყალმომარაგებისა და წყალარინების კათედრის გამგე, პროფესორი **ლევან კლიმიაშვილი:** — მსოფლიო ბანკმა ჩვენი წყალკანალის სისტემის რეაბილიტაციისათვის დიდი კრედიტი გამოყო. პირობისამებრ, „თბილწყალკანალის“ სისტემები ათწლიანი იჯარითა და მართვის უფლებით უცხოურ კერძო კომპანიას უნდა გადასცემოდა. ტენდერში ფრანგული კომპანია „ვივენდის“ შვილობილმა საწარმომ, „ჯენერალ დეზომ“ გაიმარჯვა. „თბილწყალკანალის“ ხელმძღვანელობამ სატენდერო პირობების მომზადებისას და შემდგომაც ჩვენი კათედრის მეცნიერების საქმეში ჩართვა რატომღაც არ ისურვა. თავდაპირველად, ტენდერში ექვსი კერძო კომპანია მონაწილეობდა, მაგრამ ჩატარებამდე ხუთმა კომპანიამ უარი განაცხადა და დარჩა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი — „ჯენერალ დეზო“, რომელმაც გაიმარჯვა კიდევაც. დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ თბილისის საკრებულოდან მივიღეთ „ჯენერალ დეზოს“ „თბილწყალკანალის“ რეაბილიტაციის პროექტის მხოლოდ ტექნიკური ნაწილი, რომლის გაცნობის შემდეგ ჩვენი მოსაზრებები წარვუდგინეთ როგორც საკრებულოს, ასევე „თბილწყალკანალის“ ხელმძღვანელობას...

— **როგორი იყო თქვენი მოსაზრებები რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით?**

— უარყოფითი და ამის სრულ საფუძველს გვაძლევდა პროექტის ტექნიკური ნაწილი. ჩვენ კატეგორიულად არ ვეთანხმებით სამ ძირითად პუნქტს. კერძოდ, პროექტის ტექნიკურ ნაწილში „ჯენერალ დეზო“ განიხილავს თბილისის წყალმომარაგებაში არსებულ ვითარებას, ძირითადად, ჟინვალის წყალსაცავისა და თბილისის ზღვის მაგალითზე. პროექტში მითითებულია, რომ თბილისს დიდი და კარგი ხარისხის მომარაგების წყარო აქვს ამ წყალსაცავების მეშვეობით, ანუ აქცენტი ზედაპირულ წყალზეა გადატანილი. საგანგებოდ არის დამცრობილი მიწისქვეშა წყლების როლი და წილი თბილისის ამჟამინდელ წყალმომარაგებაში. თითქოს „თბილწყალკანალი“ გრუნტის მიწისქვეშა წყლების მხოლოდ 10%-ს იყენებდეს, სინამდვილეში კი დედაქალაქი დღეს გრუნტის წყლების თითქმის ნახევრს მოიხმარს.

— **რა განსხვავებაა ზედაპირულ და მიწისქვეშა, ე. წ. გრუნტის წყლებს შორის?**

— თავისი ხარისხობრივი მაჩვენებლებით გრუნტის წყალი გაცილებით სჯობს ზედაპირულს. მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში გრუნტის წყლების გამოყენებას უპირველეს ამოცანად მიიჩნევენ, რადგან გრუნტის წყალი მისი მიწისქვეშა ბუნებრივი ფილტრატების წყალობით უმაღლესი ხარისხისაა. იგი არ საჭიროებს ქიმიურ დამუშავებას და შეიძლება მოსახლეობას პირდაპირ მივაწოდოთ სასმელად. მაგალითად, არაგვის ხეობის გრუნტის წყლები იმდენად სუფთა და გამჭვირვალეა, რომ სამი მეტრის სიღრმეზე ჩაგდებული გაზეთის წაკითხვასაც კი შეძლებთ. ევროსტანდარტით 30 სანტიმეტრის სიღრმეზე ე. წ. „ჯვრის“ დანახვაც საკმარისია, რათა წყალი სასმელად ვარგისად იქნეს მიჩნეული. ზედაპირული წყალი ზედმიწევნითი დამუშავების შემდეგაც ვერ იქნება ისეთი, როგორიც გრუნტის წყალია. ფრანგული კომპანია თბილისის წყალმომარაგებას თბილისის ზღვიდან აპირებს. თბილისის ზღვაში კი კანალიზაციიდან ფეკალური მასები ჩაედინება და ამდენად, მისი წყალი დასალევად უვარგისია. მოსახლეობა იძულებული იქნება ბოთლებში ჩამოსხმული მაღალი ხარისხის სასმელი წყალი იყიდოს. ერთი სიტყვით, „ჯენერალ დეზო“ სისტემაში ზედაპირულ წყალს გაუშვებს და ჩვენც მოგვიწევს ონკანიდან გამდინარე წყლის ადუღება და ისე მირთმევა. წყლის ხარისხის გაუარესებასთან ერთად უცხოური კომპანია აუცილებლად გაზრდის ტარიფს წყალზე (დღეს ერთ სულ მოსახლეზე წყლის გადასახადი თვეში ლარი და ოცი თეთრია). ჯერ არ შემოსულა და უკვე ერთ კუბურ მეტრ წყალს ერთ თეთრს უმატებს, ანუ ხუთი თეთრის ნაცვლად, ექვს თეთრს გადავიხდით ყოველ კუბურ მეტრ დახარჯულ წყალზე. არ არსებობს მექანიზმი, რომელიც ტარიფის მატებას შეუშლის ხელს და იგიც უსასრულოდ გაზრდის წყლის საფასურს. „ჯენერალ დეზო“ აპირებს აგრეთვე თბილისისათვის წყლის მიწოდების მოცულობის შემცირებას. დღეს დედაქალაქს წამში მიეწოდება 21 კუბ. მეტრი სასმელი წყალი, რაც წლის განმავლობაში შეადგენს 600 მილიონამდე კუბ. მეტრ წყალს. ფრანგული კომპანია ამ რაოდენობას სამჯერ შეამცირებს და თბილისს წამში მხოლოდ რვა კუბ. მეტრ სასმელ წყალს დააჯერებს. ეს კი გამოიწვევს მკაცრი გრაფიკის შემოღებას. მიუხედავად სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების წყალმომარაგების შიდასისტემებში არსებული ჟონვებისა და დანაკარგების დიდი პროცენტისა, კომპანია დანაკარგების მოსპობას მხოლოდ გამრიცხველიანების საშუალებით აპირებს.

— **ანუ წყლის მრიცხველებს დაგვიყენებენ...**

— ასე რომ იყოს, კიდევ რა გვიჭირს. „ჯენერალ დეზო“ მრიცხველებს მხოლოდ კორპუსს, ან უკეთეს შემთხვევაში, სადარბაზოს დაუყენებს. როგორ მორიგდებიან მობინადრეები, ვინ რამდენი უნდა გადაიხადოს? ჩვენი ამბავი რომ ვიცით, დავჭამთ ერთმანეთს. მაგალითისათვის „ეი-ი-ეს თელასის“ ამბავიც გამოგვადგება. ელექტროენერგიის საერთო მრიცხველი სადარბაზოსთვისაც არის დადგმული. სადარბაზოს განათებისათვის დაახლოებით შვიდი-რვა ლარი თუ იხარჯება თვეში, მაგრამ ხალხს ამის გადახდაც არ უნდა და სადარბაზოები ჩაბნელებულია. იგივე მოხდება სასმელ წყალზე თანხის ამოღებისას...

საუბარში ამავე კათედრის დოცენტი **ნუკრი ნაცვლიშვილი** ჩაგვერთო: „ფრანგული კომპანიის ტექნიკური წინადადებების პაკეტის მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტში ნათქვამია: „ოპერატორი, ანუ იგივე „ჯენერალ დეზო“ დაუბრუნებს „თბილწყალკანალს“ სისტემას იმავე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ის იყო მიღებული. გაწეული კაპიტალური ინვესტიციების, ამორტიზაციისა და ცვეთის გათვალისწინებით“. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ოპერატორი არ იქნება დაინტერესებული მოწყობილობების განახლებით, გამოცვლით ან მათზე სარემონტო სამუშაოების ჩატარებით. მისთვის ხელსაყრელია, მოწყობილობამ იჯარის პერიოდში იმუშაოს, შემდეგ კი იგი „თბილწყალკანალს“ სისტემას ყოველგვარი ტექნიკური პარამეტრების გაუმჯობესების გარეშე დაუბრუნებს. ეს კი არ გახლავთ რეაბილიტაცია. ნიშანდობლივია ის მომენტიც, რომ ტექნიკური წინადადებების პაკეტში თითქმის უყურადღებოდაა დატოვებული თბილისის საკანალიზაციო სისტემის საგანგაშო მდგომარეობა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, წამში თბილისს 21 კუბ.მეტრი წყალი მიეწოდება. აქედან საკანალიზაციო სისტემით უკვე გამოყენებული წყლის მხოლოდ 5 კუბ.მეტრი გაედინება. დანარჩენი 16 კუბ.მეტრი მდინარე მტკვარში ან სახლების საძირკვლებში ჩაედინება. სწორედ ამიტომაა თბილისში უამრავი სახლის საძირკველი დამპალი. სახლები, მრავალსართულიანი კორპუსები დანგრევის პირასაა მისული. საცხოვრებელ კორპუსებში სასმელი წყლის შიდასისტემები გაუმართავია. ამიტომ ძალიან დიდია წყლის დანაკარგი. ამას მხოლოდ გამრიცხველიანებით ვერავინ აღმოფხვრის.

ბატონმა ლევან კლიმიაშვილმა გადმოგვცა კათედრის თანამშრომელთა წერილობითი დასკვნა ფრანგულ კომპანიასთან საიჯარო კონტრაქტის შესახებ, სადაც ვკითხულობთ: „საკონტრაქტო პირობების შესწავლის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ათი წლის შემდეგ „თბილწყალკანალის“ სისტემა ქალაქს უარეს მდგომარეობაში დაუბრუნდება, ვინაიდან აღნიშნული პერიოდის განმავლობაში გათვალისწინებულია მისი მხოლოდ მუშა მდგომარეობაში შენარჩუნება და არა — რეალური რეაბილიტაცია. ფრანგი ოპერატორის, „ჯენერალ დეზოს“ მიერ შემოთავაზებული კონტრაქტის პირობები ხელსაყრელია მხოლოდ ამ კომპანიისა და არა თბილისის მთავრობისა და მოსახლეობისათვის...“ დასკვნას ხელს აწერს კათედრის 10 მეცნიერი თანამშრომელი.

დედაქალაქში „ჯენერალ დეზოს“ საქმიანობასთან დაკავშირებით ჩვენ კომენტარი „თბილწყალკანალის“ განვითარების ბიუროს ხელმძღვანელს, ზურაბ ლონლაძეს ვთხოვეთ, რომელიც იმავდროულად მსოფლიო ბანკის აღმასრულებელი ორგანოს საქართველოს ოფისის დირექტორიცაა. მას წინასწარ გავაცანით ქართველ მეცნიერთა მოსაზრებები. თუმცა, როგორც გაირკვა, მან ყოველივე ეს უკვე იცოდა.

**ზურაბ ლონლაძე:** — წყლის მოპოვებას, ტრანსპორტირებას, გადამუშავებასა და მომხმარებლამდე მიტანას ბუნებრივად მოსდევს დანახარჯებიც. საწარმომ, ანუ ამ შემთხვევაში „თბილწყალკანალმა“ გამართულად რომ იმუშაოს, დანახარჯები უნდა დაიფაროს. ის ტარიფი, რომელიც დღეს თბილისში მოქმედებს, მისი თვითღირებულების დაახლოებით 30-35%-ს შეადგენს. გაუმართლებლად დაბალი ტარიფი საწარმოს ფინანსურ კრახს იწვევს და წყლის მოხმარების დონეს ზრდის. დღეში 800 ლიტრი წყლის მიწოდება თითოეულ თბილისელზე დიდი ფუფუნებაა. რეალურად 360 ლიტრი მოიხმარება, დანარჩენი ტყუილად იღვრება. მეტსაც გეტყვით, ღამის სამ საათზე რამდენიმე საცხოვრებელი კორპუსის წყლის დანახარჯი გავზომეთ. მიღებული შედეგით გაოცებული დავრჩით — გვიან ღამითაც თითქმის იმდენივე წყალი იხარჯებოდა, რამდენიც დღისით. სხვაობა რამდენიმე ათეული ლიტრით იზომებოდა. ამიტომაც სავსებით მართებულია ფრანგი კოლეგების მოსაზრება, რომ თბილისის მოსახლეობამ წყლის მომჭირნედ ხმარება უნდა ისწავლოს.

— **გეთანხმებით, მაგრამ წყლის ხარისხის მოსალოდნელ გაუარესებაზე რას იტყვით?**

— თბილისის წყალმომარაგება ხორციელდება ორი გზით — ჟინვალის წყალსაცავითა და არაგვის ხეობით. უდავოა, რომ მიწისქვეშა წყლები სჯობს ზედაპირულს. არც ფრანგები კამათობენ და არც უარს ამბობენ მიწისქვეშა წყლების გამოყენებაზე.

— **არსებობს თუ არა გარანტია იმისა, რომ „ჯენერალ დეზოს“ შემოსვლის შემდეგ თბილისს 24 საათის განმავლობაში ექნება წყალი?**

— მათი გაანგარიშებით, ოპერატორი ხელოვნურად კი არ შეამცირებს წყალს, არამედ შემცირდება წყლის მოხმარება მოსახლეობის მიერ მას შემდეგ, რაც წყალმზომები დაიდგმება. ამიტომ წყალი ტყუილად არ უნდა დაიხარჯოს.

— **ამბობენ, რომ წყლის ტარიფი მნიშვნელოვნად გაიზრდება.**

— პირველი სამი წლის განმავლობაში ტარიფი უცვლელი იქნება. მოგვიანებით, გამორიცხული არ არის, წყლის ტარიფი მის თვითღირებულებას მიუახლოვდეს, ანუ მინიმუმ სამჯერ გაიზარდოს.

— **ვინ ლობირებს ფრანგულ კომპანიას?**

— არავინ. საქართველოში რატომღაც მიღებულია, რომ ვინმეს აუცილებლად უნდა ჰყავდეს „კრიშა“. ფანტაზიორებმა ასეთი „კრიშა“ პაატა შევარდნაძის სახით მოუძებნეს „ჯენერალ დეზოს“. კომპანიის ხელმძღვანელები გაოცებულები დარჩნენ ამ განცხადებით. ისინი არ იცნობენ პრეზიდენტის შვილს და მასთან არავითარი ურთიერთობა, მით უმეტეს, საქმიანი, არ აქვთ...

საკრებულოს სათბობ-ენერგეტიკის საგანგებო, დროებითი კომისიის თავმჯდომარესთან, **ზურაბ მინდელთან** საუბარში გაირკვა: — საკრებულოს როგორც ძველი, ასევე ახალი შემადგენლობა, კარგად იცნობს „თბილწყალკანალის“ სატენდერო მასალებს და „ჯენერალ დეზოს“ ტექნიკურ წინადადებათა პაკეტს, მაგრამ არჩევნების წინ ამ თემაზე ლაპარაკი მომგებიანი არ არის, მით უმეტეს, როცა მოსალოდნელია წყლის ღირებულების გაძვირება. ახლა სატენდერო კომისია ეკონომიკურ წინადადებათა პაკეტს შეისწავლის, შეაჯერებს, რის შემდეგადაც იგი დაეგზავნება საკრებულოს წევრებს და განხილვის შემდეგ ხელი მოეწერება ხელშეკრულებას...

— **ქართველი მეცნიერები ეჭვობენ, რომ უცხოური კომპანიისათვის „თბილწყალკანალის“ სისტემების ათი წლით გადაცემა მკვეთრად გააუარესებს სასმელი წყლის ხარისხს. არ მოხერხდება 24-საათიანი წყალმომარაგება, გაიზრდება ტარიფი და არც „თბილწყალკანალის“ რეაბილიტაცია მოხდება.**

— სასმელი წყლის ხარისხი არ გაუარესდება. ფრანგები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ სასმელი წყლის ხარისხი გაუმჯობესდება. ასევე ვერ დავეთანხმები მეცნიერებს, რომ არ იქნება 24-საათიანი წყლით მომარაგება. ტარიფის გაზრდა წყალზე კი მოსალოდნელია. უნდა ვისწავლოთ ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტის მომჭირნედ გამოყენება.

— **ამბობენ, რომ „ჯენერალ დეზოს“ საკმაოდ გავლენიანი მფარველი ჰყავს.**

— დიახ, ამას პაატა შევარდნაძის სახელთან აკავშირებენ. შეიძლება, პრეზიდენტის კლანი იყოს ამ საქმეში გარეული, მაგრამ მე ვერ ვხედავ იმ ხვრელს, საიდანაც კლანი ფულს გამოიტანს. მსოფლიო ბანკის მიერ „თბილწყალკანალის“ სარეაბილიტაციოდ გამოყოფილი მილიონები ბოლო კაპიკამდეა განაწილებული სამუშაოების დასაფინანსებლად და დაუშვებელია რაიმე მაქინაციები. რაც შეეხება მაღალხარისხიანი მტკნარი წყლის ბოთლებში ჩამოსხმას და საზღვარგარეთ გაყიდვას, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. პირიქით, ბიუჯეტში დამატებითი თანხები შემოვა... ქართველი მეცნიერების უკმაყოფილება იმითაც არის გამოწვეული, რომ „თბილწყალკანალის“ სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ადგილობრივი საწარმო არ ჩაატარებს. მსოფლიო ბანკის მოთხოვნით, ტენდერში ისეთი კომპანიები უნდა დაეშვათ, რომელთაც მილიონნახევრიანი ქალაქის სასმელი წყლით მომარაგების გამოცდილება და წელიწადში მინიმუმ 40-მილიონიანი საქონელბრუნვა ექნებოდათ. სამწუხაროდ, ასეთი კერძო კომპანია საქართველოში არ არსებობს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიო ბანკი აღარ გვენდობა. თითქმის ოთხ მილიარდს შეადგენს საქართველოს საგარეო ვალი და რა გაკეთდა ამ ფულით? არაფერი. ამხელა თანხა ერთეულებმა ჩაიდეს ჯიბეში. დავუშვათ ქართულ კომპანიას გაემარჯვა, ხომ იცით, რამდენი სისხლისმწოველი გამოუჩნდებოდა?! ფრანგული კომპანიის შემოსვლა თბილისში ამ კუთხითაც გამართლებულად მიმაჩნია. მას ასე ადვილად ვერ ჩაუჯდებიან წილში...

*P. S. სტატიაში ჩვენ მხოლოდ „ჯენერალ დეზოს“ მოწინააღმდეგეებისა და მომხრეთა აზრი დავაფიქსირეთ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტი, რომ იმ ბუნებრივ სიმდიდრეს, რომელსაც ვერ ვუვლით, უცხოელებს ვუთმობთ და იქიდან მოველით სარგებელს. საკითხავი ის არის მხოლოდ, რამდენად სწორად და თბილისის მოსახლეობისათვის მომგებიანად გაფორმდება ხელშეკრულება ფრანგებთან. თუ ისევ ისეთ კაბალურ ხელშეკრულებას დავდებთ როგორიც „ეი-ი-ეს თელასთან“ გავაფორმეთ?! ჩვენ ხომ ვერც სხვისი და ვერც საკუთარი შეცდომებით ჯერაც ვერაფერი ვისწავლეთ. არადა, დრო არ ითმენს — „ჯენერალ დეზოსთან“ ხელშეკრულებას ხელი შემოდგომაზე მოეწერება. რას მოგვიტანს ის თბილისელებს?!*

*ზვიად ჩაკვეტაძე*

CMYK

# ჟორბენაძე განირეს...

## „ამერიკელებმა პრეზიდენტის ოჯახს გარანტიები მისცეს...“

*პრეზიდენტმა პოლიტიკოსები ნებაზე მიუშვა. შევარდნაძეს ძალა ძველებურად აღარ ერჩის და თავს ზედმეტად არ იტვირთავს. ის უკვე მიდის და როგორც ამბობენ, მემკვიდრის დატოვებაზე აღარც ფიქრობს. მას დღეს ყველაზე მეტად თავისი ოჯახის კეთილდღეობისა და ხელშეუხებლობის გარანტია აინტერესებს. ითქვა, ბეიკერისგან ეს გარანტია უკვე მიიღო, მაგრამ სანაცვლოდ მას არჩევნებზე ობიექტურობის დაცვა მოსთხოვესო. შევარდნაძე დემოკრატი პრეზიდენტის როლის თამაშისთვის ემზადება, მაგრამ მანამდე რეპუტაციაა საჭირო. რეპუტაციისთვის და იმიჯის გამოსაკეთებლად ყველაზე ხელსაყრელი და მომგებიანი კორუმპირებული მთავრობის მოცილება იქნება. მით უმეტეს, რომ „მეგობარმა ბეიკერმა“ მოსახსნელი 11 ჩინოვნიკის სია „შევის“ ამერიკიდან უკვე ჩამოუტანა (მათ შორის 2 — გუბერნტორია. ასახელებენ შს, ფინანსთა, თავდაცვისა და სახელმწიფო მინისტრებს. ასევე ლაპარაკია რამდენიმე დეპარტამენტის ხელმძღვანელზეც). 150 მლნ-ით გარღვეული ბიუჯეტის გამო პრეზიდენტი ალბათ მალე გაუწყრება „ფულთან დაკავშირებულ“ მინისტრებს და ძალოვნებსაც არაერთ ნაკლს მოუძებნის.*

*მთავრობის გარეკვის სქემის კონტექსტში კარგად თავსდება „პრეზიდენტის ტექნოლოგიების მცოდნე“ რჩეულიშვილის ბოლოდროინდელი გულისტკივილი — პენსიებისა და ხელფასების გაუცემლობის გამო სახელისუფლებო ბლოკს დავტოვებო (სოციალისტთა ლიდერმა „მომგებიანი თემა“ აირჩია).*

*დიდი ბატალიების მოლოდინში გარინდულ პოლიტიკურ სპექტრში ბეიკერის სტუმრობის რეალურ მიზეზებზე მარჩიელობა ყველაზე აქტუალურ თემად რჩება. მაინც რისთვის ჩამოვიდა ბეიკერი? ამ საკითხზე ტრადიციონალისტთა კავშირის ლიდერს* ***აკაკი ასათიანს*** *ვესაუბრეთ:*

— ზოგი ეჭვობდა, საქართველო ამერიკას დიდად არ აინტერესებსო, მაგრამ საწინააღმდეგო დადასტურდა. აშშ-ს თავადაც უამრავი საზრუნავი დაუგროვდა — ერაყი ახალი აღებულია, ავღანეთში პრობლემებია, ორ შტატში წყალდიდობა მოხდა და ამ დროს ბუში საქართველოში საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებაზე ფიქრობს. ამით ხომ ცხადია, რადაც ვულირვართ ამერიკელებს.

შტატებმა დაინახა, რომ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის ძალზე გამწვავდა ურთიერთობა. პრეზიდენტი ოპოზიციასთან შეხვედრას აღარ აპირებდა და თქვა კიდეც — არჩევნებს ძველი ცესკოთი ჩავატარებო. ოპოზიცია ამას არ შეეგუებოდა და შესაძლოა პროცესები უმართავი გამხდარიყო. ასეთი დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად გადაწყდა საქართველოში ბეიკერის გამოგზავნა. ზოგის ლაპარაკი — ამერიკელები შევარდნაძეს დატუქსავენ და ეტყვიან, წადიო, — პროვინციული მსჯელობაა. ამას ამერიკელები პრეზიდენტს პირდაპირ არ ეტყვიან, მაგრამ აგრძნობინებენ — თუ ძველებურად მოიქცევი, ჩვენი მხარდაჭერა მოგაკლდებაო. „ბეიკერის ფორმულით“ კომისიაში ადგილების გადანაწილება ისე მოხდა, გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად ვერც ოპოზიცია გაიტანს და ვერც ხელისუფლება. მთავარი ეუთოს დანიშნული დამვირვებლის ხმა იქნება. ბეიკერმა შემოგვთავაზა — არჩევნების შედეგები კომისიის პარალელურად, საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმაც დაითვალონო — ამაზე ჩვენ ვერც კი ვიოცნებებდით.



ბეიკერის ჩამოსვლა ყველასათვის იყო გაფრთხილება — თქვენი მეგობრები ვართ, თქვენთვის სიკეთე გვინდა და საკუთარი თავისთვის თუ სიკეთე გსურთ — შეთანხმდითო. იმდენი ჭკუა არ გვეყო, მომრიგებელი არ დაგვჭირვებოდა. კიდევ კარგი, ახლა მეგობარი მომრიგებელი მაინც გვყავს; აქამდე ისეთი ჩრდილოელი მომრიგებელი გვყავდა, ცეცხლზე ნავთს გვისხამდა ხოლმე.

**— ითქვა, ბეიკერი მარტო საარჩევნო კომისიების დასაკომპლექტებლად არ ჩამოსულა საქართველოშიო.**

— ამბობენ, კორუმპირებულთა სია გადასცა პრეზიდენტსო.

**— მთავრობის დათხოვნაზეც ლაპარაკობენ კულუარებში.**

— ბიუჯეტის შეუსრულებლობის გამო ვინმემ პასუხი ოდესმე ხომ უნდა აგოს. როგორ შეიძლება, წლიდან წლამდე მდგომარეობა უარესდებოდეს და არავინ გრძნობდეს პასუხისმგებლობას. დაჭერას ხომ არ ვითხოვ, თანამდებობა მაინც უნდა დატოვონ იმ ადამიანებმა, რომლებიც დაგვპირდნენ, მაგრამ არ შეასრულეს ბიუჯეტი.

დიდი ეკონომისტი არ ვარ, მაგრამ რა უნდა ბენზინის გადასახადის დაანგარიშებას. ვერ ვხედავთ, რამდენი მანქანა დადის? საშუალოდ 10 ლიტრი ხომ მაინც სჭირდება ერთ მანქანას. ჩვენს ბიუჯეტს რომ შეხედოთ, იფიქრებთ, საქართველოში 200 მანქანა დადის, ისიც კვირაში ორჯერო. მარტო ამ სფეროდან უზარმაზარი თანხა ქრება — 100-დან 200 მლნ-მდე, ზოგი ამბობს, სამას მილიონამდეცო.

შეაწუხა ამერიკელები თავისი მეგობრის უწესობამ. ასეა, მეგობარი მიგითითებს, თორემ მტერი ყველაფერზე თავს დაგიკრავს და გულში იფიქრებს, — უთუოდ კისერს მოიტეხსო. ჩვენმა მეგობარმა გვითხრა, — ამდენი ფული რომ მოგეცი და გააქრე, ახლა მაინც მოდი ჭკუაზეო. ამერიკელები, ვხედავთ, მტრებს როგორ ექცევიან, ჩვენ კი ისე გველოლიავებიან, როგორც უფროსი ძმა ავყია და მოუსვენარ უმცროსს.

**— ითქვა, ბეიკერმა შევარდნაძეს მისი სანათესავოსთვის პრივილეგიების შენარჩუნება 2005 წლის შემდეგაც აღუთქვაო, ნავთობკორპორაციის პრეზიდენტად პაატა შევარდნაძე ინიშნებაო.**

— დიახ, არის ასეთი ლაპარაკი და ვფიქრობ, ამაზე ისაუბრებდა ბეიკერი შევარდნაძესთან. შევარდნაძეს მართლაც აქვს ავტორიტეტი და გარკვეული დამსახურება. შტატებს კი უმადურობა არ ახასიათებს, მაგრამ გამორიცხულია, რომ მათ შევარდნაძის მთელ სანათესავოს აღუთქვან ხელშეუხებლობა. სხვა საკითხია, დაინიშნება თუ არა პაატა შევარდნაძე გია ჭანტურიას ადგილზე. ეს საერთაშორისო ნავთობკორპორაციის გადასაწყვეტია და თუ ასე მოხდა, ჩვენ ვერაფერს ვიტყვით (ამით, ფაქტობრივად, აზერბაიჯანის პრეცედენტი გამეორდება, — ი.რ.). იმის შიში, რომ შევარდნაძის შემდეგ მისი შვილი გაპრეზიდენტდება, უსაფუძვლოა. ღრმად ვარ დარწმუნებული, არც აზერბაიჯანში და არც საქართველოში დღეს ეს არ მოხდება. კაცი თუ რამედ ვარგა, პრეზიდენტის შვილობით არ უნდა დაიჩაგროს, მაგრამ ჩვენში, ახალშობილი დემოკრატიის პირობებში, გენიოსიც რომ იყოს პაატა შევარდნაძე, მისი გაპრეზიდენტება ცუდად გამოჩნდება, ამიტომ ცოტა უნდა მოითმინოს...

შესაძლოა შევარდნაძეს უთხრეს, — ამ ქვეყანას შენივე შექმნილი კორუმპირებული ხელისუფლება მოაშორე და თუ შეცდომას გამოასწორებ, რაღაც გარანტიებს შენს ოჯახსაც მივცემთო. გამორიცხულია საქართველოში მეორე პუტინის პოვნა. პრეზიდენტს მეც ვეუბნებოდი, — სისტემა შეცვალე-მეთქი. მაგრამ, სამწუხაროდ, მას ბეიკერისა უფრო სჯერა, ვიდრე ჩემი, თანაც მე ხომ ნავთობი არ შემითავაზებია მისთვის.

**— როგორც ამბობენ, სახელისუფლებო ბლოკში დიდი ქაოსია და საარჩევნო სიებში, კვოტების გარდა, ეს დაპირისპირება რას უნდა გამოეწვია?**

**შევარდნაძეს მართლაც აქვს ავტორიტეტი და გარკვეული დამსახურება. შტატებს კი უმადურობა არ ახასიათებს, მაგრამ გამორიცხულია, რომ მათ შევარდნაძის მთელ სანათესავოს აღუთქვან ხელშეუხებლობა. სხვა საკითხია, დაინიშნება თუ არა პაატა შევარდნაძე გია ჭანტურიას ადგილზე. ეს საერთაშორისო ნავთობკორპორაციის გადასაწყვეტია.**

— ეს დაძაბულობა გარედანაც ჩანს. გამარჯვება კი არა, სახელისუფლებო ბლოკს 7%-იანი ბარიერის გადალახვის პრობლემა ექნება. კვოტების გარდა, იქ სხვადასხვა ინტერესი ეჯახება ერთმანეთს. თითქმის ყველას (2-3-ის გარდა) მთლიანი ტორტის შეჭმა უნდა. მაგალითად, ედპ-ს ესმის, რომ ერთი ტორტის შეჭმა რომ გინდოდეს, მარტო უზრდელობა კი არა, მავნეცაა ჯანმრთელობისთვის. ტორტი, რომელიც ხელისუფლების ლანგარზე დევს, თანდათან პატარავდება და სანამ მისი მთლიანად შეჭმის მსურველები ერთმანეთს ეცილებიან, სახელისუფლებო ბლოკი სუსტდება. თანაც მისი წევრები ხედავენ, რომ შევარდნაძე მიდის და ზოგიერთი ცდილობს, იქ გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვოს, დანარჩენები ამას ეწინააღმდეგებიან. ცხადია, ეს კოლიზიებს გამოიწვევს. ჟორბენაძის გადაყენება ლიდერობიდან და პოლიტსაბჭოს შექმნა იმაზე მეტყველებს, რომ ჟორბენაძე გაწირეს. მან ბევრი შეცდომა დაუშვა. სახელმწიფო მინისტრი, რომელიც ბიუჯეტს ვერ ასრულებს, რად უნდა ბლოკს ლიდერად? ჟორბენაძეს ეგონა, სახელისუფლებო ბლოკში ხალხი ჩემს გასაბედნიერებლად შეიკრიბაო. ისინი თავიანთი ბედნიერებისთვის არიან იქ და ჟორბენაძისა და შევარდნაძის კეთილდღეობისთვის თავს არ მოიკლავენ.

**— სახელისუფლებო ბლოკს მაინც აქვს ძლიერი ადმინისტრაციული ბერკეტი. უკვე ლაპარაკობენ, რომ რეგიონებში, კერძოდ კი ქვემო ქართლში, დიდი „გამარჯვება“ აქვთ დაგეგმილი.**

— ვეჭვობ, ეს მოხერხდეს იმ სისტემაში, რომელიც ბეიკერმა შემოგვთავაზა.

**— ბოლო დროს ნინო ბურჯანაძის ლიდერობით, პოლიტიკური ძალების გაერთიანებაზეც ლაპარაკობენ.**

— თუ ნოემბერზეა ლაპარაკი, ნინო ბურჯანაძე ქალია და შესაძლოა, სიაში პირველ ნომრად ჩაწერონ. საქართველოში მას პოლიტიკურ ლიდერად არავინ იცნობს. ის შესანიშნავი ადამიანია, მაგრამ ლიდერობა სხვა რამეა. ლიდერი ვარ მე, იმიტომ, რომ ჩემი შეხედულებები მაქვს და მათ განსახორციელებლად უკვე 15 წელია ვიბრძვი. ლიდერობისთვის მარტო ის არ კმარა, რომ ხალხს მოსწონდე. მასე რომ იყოს, ალენ დელონი მსოფლიოს პრეზიდენტი უნდა ყოფილიყო მამაკაცებში, ქალებში კი — მონიკა ბელუჩი უნდა ელიარებინათ დედოფლად.

ინტელიგენციის პროტესტი არსებული სისტემისადმი მისასალმებელი ფაქტია. მათ არჩევანი ქვეყნის პირველი პირის ნაცვლად სხვაზე გააკეთეს. ეს ფაქტი საგულისხმო უნდა გახდეს შევარდნაძისთვის, რომელმაც დაკარგა ხალხი, ვისზეც იდგა მისი ძალაუფლება...

***იზო რიკაძე***




# ხელისუფლების „გემი“ იძირება?!

## ვინ დაზარალდება ყველაზე მეტად...

იმ ხმაურმა, რომლითაც სახელისუფლებო ბლოკი შეიქმნა, ბევრს აფიქრებინა, რომ მთავრობა მნიშვნელოვან წინასაარჩევნო მობილიზაციას იწყებდა. გაჩნდა აზრი, რომ თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენის შიში აიძულებდა ხელისუფლების წარმომადგენლებს, მოქმედების ისეთი გეგმა შეედგინათ, რომლის განხორციელება ცოტა მაინც შეეშველებოდა მათ შელახულ რეპუტაციას. თითოეული სიტყვისა თუ ნაბიჯის გათვლა თუ ვერ მოხერხდებოდა, წინასაარჩევნოდ ხელფასებისა და პენსიების დარიგებას, ანუ ბიუჯეტის შესრულებას მაინც უნდა დადგომოდა საშველი.

გადის რამდენიმე თვე და ცხადი ხდება, რომ ხელისუფლება ვერც შიშმა გამოაფხიზლა და ვერც მოახლოებულმა არჩევნებმა. ერთიან გუნდს და წინასაარჩევნო სტრატეგიას ვინ ჩივის, მთელი ქვეყანა მთავრობის მხრიდან „თვითმკვლელობის მცდელობის“ მოწმეა. რამდენიმე თვის მანძილზე შეუსრულებელ, შემდეგ კი სეკვესტრირებულ ბიუჯეტს სხვას ვერაფერს უწოდებ. არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ხალხის უხელფასოდ და უპენსიოდ დატოვება, ნამდვილად იმ ტოტის მოჭრაა, რომელიც ისედაც ძლივს იჭერს ხელისუფლებას. თანაც, მისი სიტყვა და პირობა ისედაც ცოტას თუ სჯეროდა, ახლა კი აღარც ხატზე დაფიცებულს ირწმუნებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წინასაარჩევნოდ ის იარაღიც დაკარგეს, რომლის გამოყენება ჯერ კიდევ შეეძლოთ — სიტყვას ვგულისხმობთ...

ისე, ჩვენში რომ დარჩეს, საქართველოში ბიუჯეტის შევსება იოლი თუ არ არის, არც შეუძლებელია. ცხადია, თუ ამის სურვილი არსებობს (თუნდაც საბაჟოზე ტვირთები ოფიციალურად დაბეგრილიყო და მისი დიდი ნაწილი კონკრეტული ადამიანების ჯიბეებში არ წასულიყო). ნურც იმას იფიქრებთ, რომ ამოღებული სახსრები ბიუჯეტის მაგივრად საარჩევნო სალაროში მიდის. ბლოკი აუცილებელ წინასაარჩევნო აქტივობასაც ვერ აფინანსებს (მათივე თქმით), მაშინ, როდესაც ახლების, ლეიბორისტებისა თუ დემოკრატების სარეკლამო რგოლებით უკვე აჭრელდა სატელევიზიო ეთერი თუ პრესის ფურცლები. თანაც საუკეთესო სარეკლამო კამპანია ხომ დროულად გაცემული ხელფასი და პენსიაა... მაშინ რა ხდება? მთავრობის წევრების გონს მოყვანაა შეუძლებელი? არა, რა თქმა უნდა...

ყოველ შემთხვევაში, თუ ამას შევარდნაძე მოისურვებს, ის ერთადერთია, ვისაც მთავრობაში „საგანგებო მდგომარეობის“ შემოღება შეუძლებელია, მაგრამ ის ასე არ იქცევა...

რატომ? მანაც რეალობის შეგრძნება დაკარგა თუ საკუთარი ბლოკის იმედი?

იქნებ ქვეყნის პრეზიდენტს მოქმედების საკუთარი გეგმა გააჩნია და ამ გეგმის კოლეგებისათვის გაცნობასაც კი არ აპირებს (იქნებ იმ გემს, რომელშიც აქამდე თავადაც იჯდა, ჩაძირვასაც უპირებს?!)... მან ხომ კარგად იცის, რომ თუ დღეს ოპოზიციისათვის მისი ლანძღვაა მომგებიანი, ხვალ, ანუ საპრეზიდენტო არჩევნების წინ, მისი მხარდაჭერა რადიკალებსაც კი წაადგებათ... მით უფრო შედარებით ლოიალურებს, მაგალითად, პარლამენტის დღევანდელ თავმჯდომარეს, რომელიც დემოკრატებისაკენ იხრება... დემოკრატები კი მის გაპრეზიდენტებაზე (მხოლოდ შეკვეცილი უფლებებით) სულაც არ იტყვიან უარს. მით უმეტეს, თუ პარლამენტის თავმჯდომარის უფლებებგაზრდილი სავარძელი მათ ლიდერს დარჩება... თუმცა, ეს მხოლოდ მაგალითია და არა პოლიტიკური პროგნოზი.

თუ შევარდნაძე ფსონს „ახალ საქართველოზე“ არ ჩამოდის, მაშინ რა უნდა ქნან ამ ბლოკის წევრებმა? ალბათ, თავს უნდა უშველონ. ჰოდა, იქნებ ისინიც სწორედ ამას აკეთებენ. ისე ცდილობენ გადარჩენას, როგორც შეუძლიათ. ზოგი ორმაგი თამაშით (ცალ თვალს ოპოზიციას უპაჭუნებენ, ვაითუ, პრეზიდენტმა ფსონი მათზე დადოსო), ზოგი ყველა გზითა და საშუალებით საკუთარი კაპიტალის გაზრდით... ალბათ არც ის ხმა დაირხა შემთხვევით, მთავრობის წევრები ცაიტნოტში არიან და ცდილობენ დარჩენილ დროში რაც შეიძლება მეტად გაივსონ ჯიბეო. ასეთ დროს კი ბიუჯეტის შევსებაზე თუ ქულების ჩაწერაზე არავინ ფიქრობს. გაურკვევლობის შიში და არცთუ სახარბიელო პერსპექტივა არავის გაუჩენს სურვილს, გადანახულ მუთაქას გაუხსნას პირი, ან ხელშეუხებელ ანგარიშზე არსებულ თანხას მოაკლოს რამე. ცხადია, ხელისუფლებაშიც არიან ისეთები, ზემოთ თქმული რომ არ ეხებათ. ისინი შეძლებისდაგვარად ცდილობენ იდეალებსა თუ პრეზიდენტს უერთგულონ. თუმცა, თუ ჩვენი ვარაუდი გამართლდა, ყველაზე მეტად სწორედ ეს ადამიანები დაზარალდებიან.

***მარინა ჩიკვაიძე***

**ნუთუ განვლილი 10 წლის განმავლობაში ამ რუსი მედესანტე-„ცისფერჩაფხუტიანის“ იმედზე ვაპირებდით აფხაზეთში ლტოლვილების დაბრუნებას?!**



# საკუთარი თავის თუ მეშვიდე თავის იმედად?!

საქართველოს უშიშროების საბჭოს ბოლო სხდომაზე დაფიქსირდა საერთო პოზიცია აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით — ეთხოვოს გაეროს, კონფლიქტის ზონაში აამოქმედოს ასე ყბადაღებული მეშვიდე თავი.

რაღა დასამალია და ჩვენს უშიშროების საბჭოს „დიდი კოლეგის“ მიმართ ასეთი თხოვნის მომზადება 5 ან სულაც 7 წლის წინათაც თავისუფლად შეეძლო, რადგან თბილისელ ხელისუფალთა გარდა, ყველა კარგად ხედავდა, რომ აფხაზეთში შეყვანილი რუსი ე.წ. სამშვიდობო ძალები, იქ ქართველ ლტოლვილებს ვერ, და უფრო სწორად, არ დააბრუნებდნენ.

დღეს იგივე ხელისუფლება, რომელმაც თავის დროზე თანხმობა განაცხადა რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ აფხაზეთში შეყვანაზე, გაეროს და მისი წესდების მეშვიდე თავის იმედადაა და ოცნებობს, რომ გაერო აფხაზეთში მშვიდობას ძალით დაამყარებს.

მაგრამ ხომ არ აჯობებდა მეშვიდე თავის ნაცვლად საკუთარი თავის იმედი გვქონოდა?!

გაეროს ბიუროკრატიულობა საყოველთაოდაა ცნობილი და ცოტა ძნელი დასაჯერებელია, რომ მეშვიდე თავის ამოქმედება ახლო მომავალში დაიწყოს, ან საერთოდ აამოქმედოს. ამასთან არ დაგვავიწყდეს, რომ რუსეთი, როგორც საბჭოთა კავშირის მემკვიდრე, არის გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, სარგებლობს ვეტოს უფლებით და ნაკლებსარწმუნოა, რომ კრემლმა თავისივე „ცისფერჩაფხუტიანების“ თითქმის ათწლიანი მოქმედება აფხაზეთში უარყოფითად შეაფასოს და „თავისსავე შვილს მოსჭრას თავი“.

მეშვიდე თავის ამოქმედების იმედზე უფრო მოსალოდნელია ოკეანისგაღმელი მრისხანე მეგობარი — აშშ დაგვეხმაროს.

ერაყის ბოლო ომმა დაგვანახვა, რომ ვაშინგტონს უკვე მარტოც შეუძლია მოურიდებლად და თუნდაც იმავე გაეროს წინაშე შიშის გარეშე, განახორციელოს საკუთარი სტრატეგიული ინტერესები.

ამიტომაც, სანამ გაეროს ბიუროკრატიული აპარატი წლებს მოანდომებს მცდელობას (ან ეცდება კი?), რომ უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნების უმრავლესობის თანხმობა მოიპოვოს აფხაზეთში მეშვიდე თავის ასამოქმედებლად და მშვიდობის ძალით დასამყარებლად, აშშ ამას ელვისუსწრაფესად განახორციელებს.

ვაშინგტონს გააჩნია სრული საფუძველი, რათა თავისი კონტროლის ქვეშ აიყვანოს ის „თეთრი ლაქები“, რომელსაც არათუ თბილისი, არამედ აფხაზეთის ომის მომგები რუსეთიც კი ვერ აკონტროლებს. არადა ეს „თეთრი ლაქები“ და პირველ რიგში კი აფხაზეთი, წარმოადგენს იმ ბუდეს, საიდანაც მთელ მსოფლიოში შეიძლება გავრცელდეს როგორც იარაღი, ისე ფეთქებადი და, რაც ყველაზე საშიშია, რადიოაქტიური ნივთიერებები (ნუ დაგვავიწყდება, რომ სეპარატისტების ხელში აღმოჩნდა რადიოაქტიური ნივთიერებების გარკვეული ნაწილი).

გარდა ამისა, რჩება წმინდა სამხედრო-პოლიტიკური ინტერესებიც — აფხაზეთიდან ადვილია შავი ზღვის იმ აკვატორიის სრული გაკონტროლება, რომელიც ემიჯნება რუსეთის სანაპიროს და სადაც ბაზირებს რუსეთის შავი ზღვის ფლოტი.

აფხაზეთის კონტროლი იძლევა გასაღებს ჩრდილო კავკასიაში პოზიციების გასამტკიცებლად, რაც ასე სურს პენტაგონს. მიუხედავად იმისა, რომ ბუში და პუტინი ერთმანეთს ძმობას ეფიცებიან, ამერიკის საიდუმლო სტრატეგიულ ინტერესებში შედის რუსეთის შემდგომი დასუსტება (თუნდაც შიდაშეიარაღებული კონფლიქტებით) და უპირველესად, მისი ბირთვული იარაღის პოტენციალის ნულამდე დაყვანა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, უნდა ვიფიქროთ, რომ ვაშინგტონმა შეიძლება ცოტა ხანში იგივე განახორციელოს აფხაზეთში, რაც გააკეთა ყოფილ იუგოსლავიაში, კერძოდ, კოსოვოში, ოღონდ საპირისპირო მიზნით — საქართველოს გასაერთიანებლად.

# რუსეთი სომხეთში გრანდიოზულ სამხედრო ფორპოსტს ქმნის...

## შესაძლოა, საქართველო-აშშ-ის დაახლოების საპასუხოდაც



რუსულ მასმედიაში უკვე გამოჩნდა ნახევრად ოფიციალური ცნობები იმის შესახებ, რომ სომხეთში, გიუმრის 102-ე რუსულ სამხედრო ბაზაში უკვე დამთავრდა დამატებითი შეიარაღებისა და საბრძოლო მასალის გადაზიდვა... საქართველოს ტერიტორიიდან.

ეს ახალი ამბავი არ არის — ჩვენთან ისედაც ბევრმა იცოდა, რომ ვაზიანიდან, თბილისიდან თუ საგარეჯოდან საბრძოლო საჭურველი, შეიარაღება და ტექნიკური საშუალებები მეზობელ სომხეთში გაჰქონდა ГРВЗ-ს (ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფება) სარდლობას, ხოლო ვაზიანის პოლიგონზე უვარგის ნაღმებს აფეთქებდა. ეს არა მარტო ჩვენს ბუნებას აყენებდა ეკოლოგიურ ზიანს — დაღუპული და დასახიჩრებულია ორ ათეულამდე სამოქალაქო პირი — ისინი სახელდახელოდ აფეთქებული ნაღმებისა და ჭურვების ნარჩენებს ვაზიანის პოლიგონზე აგროვებდნენ ჯართში ჩასაბარებლად...

გამართული იარაღი და საბრძოლო მასალა კი გადაიზიდა სომხეთში, გიუმრის ახლოს დისლოცირებულ რუსულ 102-ე სამხედრო ბაზაში.

**ჩვენი დოსიე: შარშანდელი წლის ბოლოს ГРВЗ-ს სომხეთში განთავსებული ჰყავდა 3.353 სამხედრო მოსამსახურე, აგრეთვე 74 ერთეული Т-72 ტიპის ტანკი, 224 ჯავშანმანქანა (მათ შორის, 96 ცალი БМП-1; 22 სადაზვერვო БРМ-1К; 14 ჯავშანტრანსპორტიორი БТР-70 და 92 ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-2); 122 ჯავშანმანქანის მსგავსი საშუალება; 84 ერთეული 100 მმ კალიბრზე მსხვილი, საარტილერიო დანადგარი (60 ჰაუბიცა Д-30, 12 თვითმავალი 2С1 Гвоздика, 8 ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა БМ-21 Град-ი და 4 ცალი 120 მმ კალიბრის ნაღმსატყორცნი ПМ-38); 4 ცალი ტანკის ბაზაზე გამართული ხიდისგამშლელი და, რაც მთავარია, 18 ერთეული საფრონტო გამანადგურებელი თვითმფრინავი МиГ-29; აგრეთვე სახმელეთო ჯარების საჰაერო თავდაცვის მობილური სისტემის С-300В-ის ბატარეა.**

დღეისათვის ეს ციფრები უფრო გაზრდილია, ოღონდ უმთავრესად საბრძოლო მასალის რაოდენობის ხარჯზე. მოსკოვი დაბეჯითებით ამბობს, სომხეთში არ ვზრდი ჯარის რაოდენობასო, მაგრამ სინამდვილეში იქ ჩუმად უკვე შექმნა თავისი მთავარი კოზირი — მნიშვნელოვანი სამხედრო ფორპოსტი — გიუმრიში და ერევანთან თავი მოუყარა საბრძოლო ტექნიკისა და აღჭურვილობის დიდ მარაგს. მისი დიდი ნაწილი დაკონსერვებულია, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში კრემლს შეუძლია ორ-სამ დღეში (თუ რამდენიმე საათში არა), თვითმფრინავებით რუსეთიდან სომხეთში გადაისროლოს ის პროფესიონალური სამხედრო კონტინგენტი, რომელიც დაუყოვნებლივ აამუშავებს და ფარეხებიდან გამოიყვანს იქ შენახულ რუსულ საბრძოლო ტექნიკას.

ეს ძალზე საინტერესო და ფინანსურად მომგებიანი მორიგი რუსული ხრიკია, რომელმაც შეიძლება სამხრეთ კავკასიაში, მორიგი დაძაბულობის შემთხვევაში, გარკვეული უარყოფითი როლი ითამაშოს ჩვენთვის, საქართველოსთვის.

სხვა თუ არაფერი, აღარც მოსკოვში და აღარც ერევანში აღარ მალავენ, რომ საქართველო-აშშ-ის თანამშრომლობის გაღრმავება სამხედრო საკითხებში მათი განსაკუთრებული შეშფოთების საბაბს იძლევა; მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ქართულ ცაში ჯერ სადაზვერვო U-2 გამოჩნდა, ხოლო გასულ კვირას კი თვით „ყოვლისშემძლე“ საჰაერო რადიოლოკატორი — „ავაქსი“.




აქსისი

AXIS

- 2 ოთახიანი 75 მ²
- 3 ოთახიანი 110 და 130 მ²
- 4 ოთახიანი 150-დან 220 მ²-მდე
- დუპლექსის ტიპის ბინები ტერასებით და ბუხრებით
- ჭერის სიმაღლე 3.24მ
- ერთი წლის განმავლობაში დაცვის სამსახურის და მომსახურე პერსონალის ხელფასს უზრუნველყოფს კომპანია აქსისი.

მშენებარე სახლი თამარაშვილის ქუჩაზე – (იპოდრომთან)

- აქსისი საშუალებას გაძლევთ იცხოვროთ კომფორტულ სახლში თამარაშვილის ქუჩაზე, სადაც თქვენ მყუდროდ და უსაფრთხოდ იგრძნობთ თავს.
- ინფრასტრუქტურა: საცურაო აუზი, სპორტული დარბაზი, სილამაზის სალონი, დაცვის, ტექნიკური და სანიტარული მომსახურება, მარკეტი, მიწისქვეშა სადგომი.
- შენობას სამი მხრიდან ესაზღვრება იპოდრომის ტერიტორია. ეზოში 1000 კვ.მ. კეთილმოწყობილი ეზო და საბავშვო მოედანი.

არაყიშვილის ქ. №14

ტელ: 25 34 34
91 25 34
91 25 33

e-mail: axis@axisbuilding.com

# ამერიკული „ყურები“ ქართულ ცაში მოსკოვს აღიზიანებს

## თბილისიდან აფრენილი „ავაქსის“ მზერა როსტოვს სწვდება




E-3 Sentry AWACS

**ჩვენი დოსიე:** AWACS-ის სისტემა „ბოინგ-707“-ზეა დამონტაჟებული და მისი გარჩევა ძალიან ადვილია, რადგან ფიუზელაჟზე იმპულსურ-დოპლერული რადიოლოკატორის 9,14 მ დიამეტრის ელიფსური ფორმის ანტენაა დამონტაჟებული. მოდერნიზებულ „ავაქსს“ 640 კმ-ის რადიუსში შეუძლია ერთდროულად აღმოაჩინოს 400-მდე მფრინავი ობიექტი. სულ დამზადებულია 66 ცალი „ავაქსი“, რომელთაგან 32 აშშ-ს ჰყავს, NATO-ს — 18, დიდ ბრიტანეთს — 7, საფრანგეთს — 4, ხოლო საუდის არაბეთს კი — 5.

გასულ კვირას პენტაგონმა და მთლიანად ამერიკამ 150-მდე კმ მოიგო!

სწორედ ამდენია საქართველოს ტერიტორიის სიგანე.

დღემდე ამერიკული ადრეული რადიოლოკაციური აღმოჩენისა და მართვის AWACS-ის სისტემის Boeing E-3 Sentry-ის ტიპის თვითმფრინავები თურქეთის საჰაერო სივრციდან ზვერავდნენ რუსეთის სამხრეთ რაიონებს.

გასულ კვირას კი ამერიკული წარმოების, ოღონდ NATO-ს შეიარაღებაში არსებულ „ავაქსს“ მიეცა შესაძლებლობა, უშუალოდ რუსეთ-საქართველოს საზღვრის სიახლოვიდან „შეეჭყიტა“ რუსეთის თითქმის შუაგულამდე — აქტიუბინსკი (სადაც რუსეთის საბრძოლო ავიაციის ძირითადი გამოსაცდელი ცენტრია განთავსებული)-როსტოვის შემაერთებელ ხაზამდე, აგრეთვე შავი და კასპიის ზღვების რუსულ აკვატორიამდე, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩრდილო კავკასიასა და ჩეჩნეთზე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი არ მალავს, რომ უახლოეს მომავალში მისი ქვეყანა დაიწყებს იმ სადაზვერვო მონაცემებით სარგებლობას, რასაც „ავაქსი“ ჩვენს საჰაერო სივრცეში „მუშაობისას“ მოიპოვებს.

ყოველივე ეს კი ძალიან აღიზიანებს არა მარტო რუსულ ოფიციოზს, არამედ რუსულ მასმედიასაც. სხვათა შორის, რუსი სამხედრო ექსპერტები არ ტყუიან, როდესაც აცხადებენ — „ავაქსები“ მარტო სადაზვერვო საქმიანობას როდი ეწევიან, ისინი ერთგვარ საჰაერო მართვის ცენტრებსაც წარმოადგენენ და შეუძლიათ უზრუნველყონ როგორც საბრძოლო ავიაციის მართვა, ისე ფრთოსანი რაკეტებისთვის სამიზნეების ჩვენება რუსეთის ტერიტორიაზე, რაც მათ უკვე არაერთხელ გააკეთეს როგორც ყოფილ იუგოსლავიაში, ისე ავღანეთში და ბოლოს ერაყში.



A-50

**12 წლის წინ ქართული ციდან საბჭოთა A-50-ები ერაყის თავზე ამერიკულ ბომბდამშენებს აფიქსირებდნენ, დღეს კი ჩვენი ციდან ამერიკული „ავაქსები“ რუსეთს დაზვერავენ.**

აქ შეიძლება ერთი ისტორიული პარალელის გავლება — 1991 წელს, როდესაც ქართველები ერთმანეთთან მიტინგებზე „საქმეებს“ არჩევდნენ, მათ თავზე „თეფშებიანი“ თვითმფრინავები დაფრინავდნენ, ოღონდ არა ამერიკული, არამედ საბჭოთა. ერაყში პირველი ომის პერიოდში საქართველოს საჰაერო სივრციდან საბჭოთა ადრეული რადიოლოკაციური დაზვერვის თვითმფრინავები A-50-ები (გიორგი ბერიაშვილის სახელობის ტაგანროგის საავიაციო ქარხანაში სატვირთო Ил-76-ზე დაამონტაჟეს ლოკატორი და ასე შექმნეს ამერიკული „ავაქსის“ ანალოგი) ერაყის თავზე აფიქსირებდნენ ამერიკულ ბომბდამშენებს.

როგორც ხედავთ, დრო შეიცვალა — ამჯერად უკვე ამერიკული „მფრინავი ლოკატორები“ ქართული ციდან „უჭვრეტენ“ ჩრდილოეთს.

**და ერთიც: გავრცელდა სენსაციური ინფორმაცია — აფხაზეთში, რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალების სარდალს ალექსანდრ ევტეევს მოსკოვისთვის უთხოვია, გადმოგვეცით საზენიტო კომპლექსები, რათა აფხაზეთის თავზე გამოჩენილი ყველა ამერიკული მზვერავი თვითმფრინავი ჩამოვაგდოთო. ამას კომენტარი ნამდვილად არ სჭირდება.**

# როდის გამოჩნდებიან ამერიკელი ინსპექტორები ბათუმსა და ფოთში?

## ვაშინგტონი 25 ქვეყნის საზღვაო პორტის გაკონტროლებას იწყებს

აშშ-ის ადმინისტრაცია ტერორისტული თავდასხმის მოლოდინშია. ამერიკული სპეცსამსახურების ანალიტიკურმა ჯგუფებმა უკვე კარგა ხანია გათვალეს, რომ შემდგომ მასშტაბურ თავდასხმას (დაახლოებით 11 სექტემბრის მაგვარს ან უარესს) ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტი საზღვაო პორტებიდან უნდა ელოდოს.

ყოველივე ეს კი იმითაა გამოწვეული, რომ ფაქტობრივად, შეუძლებელია ყველა იმ სატვირთო კონტეინერის შემოწმება, რომლებიც საოკეანო გემებს ყოველდღიურად ათიათასობით შეაქვთ ამერიკის საზღვაო პორტებში.

არადა სტანდარტულ სატვირთო კონტეინერში ათ ტონაზე მეტი ჩვეულებრივი ტროტილი ან უარესი — „ჭუჭყიანი ბომბი“ (ტროტილთან შერეული რადიოაქტიური, ქიმიური თუ ბიოლოგიური ნარჩენები) შეიძლება მალულად მოთავსდეს. ამ „ჯოჯოხეთის მანქანის“ აფეთქება გაანადგურებს არა მარტო საზღვაო პორტის ტერმინალს, არამედ მიმდებარე, მჭიდროდ დასახლებულ უბანსაც კი.

ამიტომაც თეთრი სახლი ამჯობინებს სატვირთო კონტეინერების შემოწმების პირველი ეტაპი ჩატარდეს უშუალოდ იმ ქვეყნების პორტებში, საიდანაც ტვირთი ამერიკაში მიცურავს.

ვაშინგტონი აპირებს, 20-25 ქვეყნის მნიშვნელოვან საზღვაო პორტებში გაგზავნოს თავისი ინსპექტორები, რომლებიც სპეციალური აპარატურით (მათ შორის, რენტგენული დასხივებისა და ზემგრძნობიარე დოზიმეტრების საშუალებით) შეამოწმებენ სატვირთო კონტეინერებს.

ამ საინსპექციო ოპერაციის სახელწოდებაა „ინიციატივა“. ბუშის ადმინისტრაციამ უკვე მიაღწია შეთანხმებას რამდენიმე ქვეყნის მთავრობებთან, რომ ამ წლის ბოლომდე ანტვერპენში, გენუაში, ჰამბურგში, ჰონკონგში, როტერდამში, შანხაიში, სინგაპურში, ტოკიოსა და იოკოჰამაში ჩავლენ ამერიკელი ინსპექტორები.

მაგრამ ამერიკელებს უფრო მეტად მუსლიმანური ქვეყნების საზღვაო პორტების შემოწმება სურთ, ისევე, როგორც პოსტსაბჭოურისა. ისინი დაინტერესებულნი არიან შავი ზღვის პორტების, კერძოდ, ოდესის, სევასტოპოლის, ვარნის, ბურგასის, ბათუმისა თუ ფოთის გაკონტროლებით.

სევასტოპოლში, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკრაინის საკუთრებაა, იქ მდგარი რუსეთის შავი ზღვის ფლოტი ამერიკელებს ცხვირსაც არ შეაყოფინებს.

ბათუმსა და ფოთში კი შესაძლებელია, რამდენიმე თვეში ამერიკელი ინსპექტორები გამოჩნდნენ, მით უმეტეს, რომ მსოფლიოს მასმედიის ფურცლებზე არაერთგზის გაჟღერდა საქართველოს, როგორც რადიოაქტიური ნივთიერებების სატრანზიტო ქვეყნის, სახელი.

ცხადია, ოფიციალური თბილისი სულაც არ შეეწინააღმდეგება ამერიკელთა ამ „ინიციატივას“ (ოღონდ, ეტყობა, უფრო ფოთში, თორემ ბათუმის პორტის ახლომახლო კანცელარიის წარმომადგენლებს არავინ გააჭაჭანებს), მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია „თეთრ ლაქაში“ — აფხაზეთში არსებული სოხუმის, ოჩამჩირის, გაგრისა თუ ბიჭვინთის პორტების კონტროლზე აყვანა, რადგან ამ პორტებიდან კონტრაბანდული გზით არათუ ტროტილით დატენილი ყუთების, არამედ რადიოაქტიური ნარჩენებით პირამდე სავსე კონტეინერების უჩუმრად გატანაც შეიძლება.

# უმაღლესში სწავლა თუ ჯარში სამსახური?

სამხედრო-სავალდებულო სამსახურში საგაზაფხულო გაწვევა ზაფხულის პირველ დღეებში დაიწყო. დღეისათვის 7.600-ის ნაცვლად წვევამდელთა მხოლოდ მესამედმა ჩაიცვა სამხედრო ფარაჯა.

როგორ წარიმართება გაწვევის პროცესი, რამდენადაა დაცული სხვადასხვა კატეგორიის წვევამდელთა უფლებები, რამდენად გამართლებულია სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევის კანონში ბოლო დროს შეტანილი ცვლილებები? ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრეთ გადამდგარ პოლკოვნიკს, პარლამენტის ყოფილ წევრს, სამხედრო მრჩეველს და ამჟამინდელი სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარეს ბ-ნ **ჰამლეტ გეგენავას**.

**— ამ ბოლო დროს რამდენიმეჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები კანონში „სამხედრო ვალდებულების და სამხედრო სამსახურის შესახებ“, რასაც არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოებაში, განსაკუთრებით სტუდენტ ახალგაზრდობაში. იქნებ გვიპასუხოთ, ვინ იცავს საქართველოს წვევამდელებისა და სტუდენტი ახალგაზრდობის უფლებებს?**

— ოფიციალურად — საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს კანონები, ხოლო თუ ცხოვრებას გადავხედავთ — არავინ!

ტელევიზიით, რადიოთი, პრესით ვიცით, რომ არსებობს პატიმართა უფლებების დაცვის ორგანოები. ბატონი გიორგი ყარყარაშვილი, ქალბატონები: რუსუდან ბერიძე, ნანა დევდარიანი, ელენე თევდორაძე და სხვები თავგამოდებით იცავენ ზოგიერთ მძიმე დანაშაულის ჩამდენ პატიმრებს (შეიძლება ესეც საჭიროა), მაგრამ წვევამდელებს და სტუდენტ ახალგაზრდობას რომ დაცვა სჭირდებათ და არავინ იცავს, ფაქტია.

**— რას ფიქრობთ, შეტანილი ცვლილებები დადებითად იმოქმედებს გაწვევისა და არმიის მშენებლობის საქმეში? ილახება თუ არა წვევამდელებისა და სტუდენტი ახალგაზრდობის უფლებები?**

— რასაც ამ საკითხზე მოგახსენებთ, ეს ჩემი პირადი აზრია, ის ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციას, სამხედრო კანონმდებლობას და ჩემს გამოცდილებას. ცვლილებები, რომელიც 2002 წლის 21 ივნისს, ღამის 11 საათზე, პარლამენტმა, ყოველგვარი მუხლობრივი განხილვის გარეშე, შეიტანა კანონში „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, სერიოზული დარღვევაა (თუ უკანონობა არა) და ამ ცვლილებებს ძალა არ უნდა ჰქონდეს. ის ვერ გააუმჯობესებს გაწვევის მიმდინარეობას. ხოლო რაც შეეხება წვევამდელების და სტუდენტი ახალგაზრდობის უფლებებს, ის ნამდვილად ილახება და იზღუდება. შევეცდები, დავასაბუთო ჩემი მოსაზრება. თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ რამდენჯერმე ჩავარდა წვევამდელთა სამხედრო სამსახურში გაწვევა. ამავე დროს, არსებულ კანონში შეაქვს ცვლილება და აუქმებს სამხედრო კომისარიატებს, აწყობილ გაწვევის სისტემას და ქმნის ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სამხედრო განყოფილებებს, სადაც ინიშნებიან გამგებლის ნათესავები, მასთან დაახლოებული პირები, პოლიციის თანამშრომლებიც, ხშირ შემთხვევაში ადამიანები, რომელთაც ჯარში არ უმსახურიათ, არ იციან კანონები და ა.შ.

თავდაცვის სამინისტრო ამ გადაწყვეტილებას იმით ხსნის, რომ საჭიროა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა მიიღონ მონაწილეობა გაწვევის პროცესში. შეიტანეს ცვლილებები და გააუქმეს გადავადება იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც არ გადიან მომზადებას სამხედრო კათედრაზე და სწავლის დამთავრებამდე ეკუთვნით გადავადება ერთხელ, 24 წლის ასაკამდე. 24 წლის ასაკიდან 27 წლამდე უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდაც შეიძლება გაწვეული იქნეს სამხედრო სამსახურში.

ჩემთვის მიუღებელია სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი — 200 ლარი (მაგრამ სამინისტრო ამტკიცებს, რომ არ არის საკმარისი გასაწვევი კონტინგენტი, ამიტომ სტუდენტებისათვის გადავადება არ შეიძლება; მაგრამ თუ მოსაკრებელი — 200 ლარი — გადაიხადა, გადავადება შესაძლებელია. ასეთი გაუგებარი კანონის მიღება მხოლოდ საქართველოში შეიძლება).

2002 წლის 21 ივნისს მიღებულმა ცვლილებებმა არ გაამართლა. ამას თვით თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ადასტურებენ.

პროექტით გაანგარიშებული თანხები, რომლითაც ჯარის დამატებით დაფინანსებას ფიქრობდნენ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, არ იქნა მიღებული. შევახსენებ ყველას, რომ თანახმად საქართველოს კანონებისა „სამხედრო დოქტრინის შესახებ“ და თავდაცვის შესახებ, „საქართველოს სამხედრო ძალების დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე“.

კიდევ ერთი უცნაურობა: თავდაცვის სამინისტრომ წარუდგინა პარლამენტს დასამტკიცებლად მოსაკრებლის 600 ლარამდე გაზრდის ყოვლად პარადოქსული პროექტი. კიდევ კარგი, რომ პარლამენტმა ეს ცვლილება არ დაამტკიცა.

ვერ დავეთანხმები გადავადების გაუქმებას წვევამდელთათვის, ვისაც ჰყავს 20 და მეტი კვირის ორსული ცოლი ან ერთი და მეტი შვილი...

ვფიქრობ, ასეთი გადაწყვეტილებები პარლამენტმა უფრო გამჭვირვალედ, ანალიზისა და სერიოზული განხილვის შემდეგ უნდა მიიღოს (ვის გაუგია გაჭირვებული ხალხის ხარჯით ჯარის შენახვა!).

**— ბატონო ჰამლეტ, თავდაცვის სამინისტრო თურმე პარლამენტში აპირებს წინადადების შეტანას უმაღლეს სასწავლებლებში სამხედრო კათედრების გაუქმების შესახებ — ამდენი თადარიგის სერჟანტი და ოფიცერი არ გვჭირდებაო.**

— ესეც პარადოქსული განზრახვაა. სამხედრო კათედრების პირადი შემადგენლობა, პროფესორ-მასწავლებლები, სასწავლო პროცესი, მატერიალური უზრუნველყოფა (ე.ი. სტუდენტებისათვის სამხედრო საქმის სწავლება) ფინანსდება განათლების სამინისტროს მიერ (გარდა 5-6 ოფიცრის ხელფასისა).

არ ვიცი, რა შეიძლება ვუწოდოთ იმ ადამიანს, რომელსაც სხვა სამინისტრო სპეციალისტებს უფასოდ უმზადებს, მას კი დაუჟინია, — ამდენი სამხედრო საქმის მცოდნე ახალგაზრდა არ მჭირდებაო.

შესაძლოა თავდაცვის სამინისტრომ სამობილიზაციო ფორმირებისათვის 500-600 სერჟანტის მეტი არ გამოიყენოს, მაგრამ ქვეყანა, საჭიროების შემთხვევაში, ნამდვილად ვერ იტყვის უარს სამხედრო საქმის მცოდნე ახალგაზრდებზე (მით უმეტეს მაშინ, როცა საკონტრაქტო სამსახურზე გადასვლა გვინდა).

P.S. საქართველოში ყოველწლიურად 7.000-მდე რეზერვისტს ამზადებდნენ უმაღლესი სასწავლებლების სამხედრო კათედრები. მაგრამ სექტემბრიდან თავდაცვის სამინისტრო არა უმეტეს 675 რეზერვისტის მომზადებას მოითხოვს. კერძო და სახელმწიფო სასწავლებლების ფასიანი სექტორების სტუდენტებს ჩვეულებრივ გაიწვევენ ჯარში... თუკი ისინი 200-ლარიანი გადასახადით არ დაიძვრენენ თავს.

# „გრადები“ არ დაგვიჭრია...



**საბედნიეროდ, არც ერთი „გრადი“ არ დაუჭრიათ, ისინი მწყობრშია და მზად არიან მოწინააღმდეგის გასანადგურებლად.**

ერთი თვის წინ სტატიაში, რომელიც ჩეხიაში მორიგი საარტილერიო სისტემების შესაძლო შესყიდვას ეხებოდა, ვწერდით, რომ ორი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა БМ-21 Град-ის ლულები თავის დროზე სამხედრო-საზღვაო ძალებში მოჭრეს „ურალებიდან“ და გემებზე დააყენეს, ხოლო თავად „ურალებს“ კი ტყიდან შეშის მოსატანად იყენებდნენ.

როგორც აღმოჩნდა, ამ ფაქტმა აღაშფოთა თავდაცვის სამინისტროს საზღვაო თავდაცვის ძალების საარტილერიო დივიზიონი. მათ თავის თავზე მიიღეს „გრადებზე“ ჩატარებული ეს მანიპულაცია, თუმცა ზემოხსენებულ სტატიაში საგანგებოდ იყო მითითებული ფრაზა — „თავის დროზე“.

რედაქციაში საკმაოდ კრიტიკული წერილი მოვიდა, სადაც მოითხოვდნენ ადგილზე ჩასვლას და რეალური სიტუაციის გარკვევას. სტატიის ავტორი ჩავიდა ფოთში სინამდვილის და, უფრო კი, იმ რესპონდენტის სიმართლეში გასარკვევად, ვინც მას დაჭრილი „გრადების“ შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

ფოთში, თავდაცვის სამინისტროს საზღვაო თავდაცვის ძალების ნავსაყუდელში, სარდალმა, გენერალ-მაიორმა ზურაბ ირემაძემ როგორც კი დამინახა, ერთი დარეკა და ოციოდე წუთში სამხედრო პორტში ორი „გრადი“ შემოგრუხუნდა.

საბედნიეროდ, ორივე „გრადი“ სრულ მწყობრში გახლდათ, ხოლო მისი სასროლი მექანიზმები, წესის მიხედვით, კონსერვაციაზე იდგა. „გრადების“ ლულებიც ადგილზე იყო, მხოლოდ ერთ „გრადს“ ჩამსხვრეოდა მარცხენა სარკე.

მართალი გითხრათ, ამ ფაქტმა გაგვახარა — რადგან „გრადების“ მწყობრში ყოფნა გვერჩივნა ჩვენი რესპონდენტის ინფორმაციის გამართლებას.

სხვათა შორის, საზღვაო თავდაცვის სარდლობამ საინტერესო და უნიკალური შემოწმების ჩატარება შემოგვთავაზა. საზღვაო ქვეითთა ბრიგადის ავტოფარეხში ნებისმიერი სატვირთო მანქანის ამუშავება გვთხოვა. 12 ქვეყნის შეიარაღებული ძალების ყაზარმები და ავტოფარეხები გვაქვს დათვალიერებული და კარგად ვიცით, რომ განგაშის დროს რუსული „ურალების“ კი არა, გერმანული „მან“-ების დროული ამუშავებაც ჭირს. არადა მეზღვაურების ამ ავტოფარეხში რომელ მანქანასაც ხელი დავადეთ, ყველა პირველსავე დაქოქვაზე ამუშავდა, მათ შორის ნახევარსაუკუნოვანი და დღეისთვის უნიკალური „გაზ-62“-ებიც.

ქვეითთა საბრძოლო მანქანების საბრძოლო მზადყოფნის შემოწმების უფლება კი არ მოგვცეს — რადგან საბრძოლო მანქანების დაქოქვასა და ფარეხიდან გამოყვანას მხოლოდ გენერალური შტაბის საგანგებო ბრძანება სჭირდება (რას იზამთ, ისე მოხშირდა სამხედრო ნაწილებიდან ტანკებისა და ჯავშანმანქანების გატაცება, სამხედრო ნაწილებში უცხო პირთა შეჭრა, რომ გენშტაბმა სპეციალური გამაფრთხილებელი ზომები მიიღო).

ვიცე-პოლკოვნიკ ანდრეი სერგაჩოვის თქმით, ისინი ამ „გრადებს“ ცივ ნიავს არ აკარებენ და მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში ჰყავთ, საჭიროებისას მოწინააღმდეგის საზღვაო დესანტის მოსაგერიებლად და მისივე სანაპირო ზოლის გემებიდან საარტილერიო ცეცხლით დასამუშავებლად.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# ჯოჯოხეთად ქცეული გზა



ფეხმძიმე ქალი, უძველესი თორა და სანუკვარი განძი...

## ჩემი მეგობარი მორდეხა

მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალური ნებართვის შესაბამისად პირველმა ქართველმა ებრაელმა საზღვარი გადაკვეთა, ორ ათეულ წელზე მეტი იყო გასული და მორდეხა შალოლაშვილმაც (გვარ-სახელები აქ და შემდგომშიც შეცვლილია), საბოლოოდ ჩაიქნია ხელი — „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო“ — და აღთქმულ მიწაზე გასამგზავრებელ სამზადისს შეუდგა. არადა, როგორ არ უნდოდა წასვლა, მაგრამ როცა ქვეყანას ავტომატიანი ხალხი დაეპატრონა, როცა თვითონ ქართველებიც გაქცევით შველოდნენ თავს (საუბედუროდ, ეს პროცესი დღესაც გრძელდება), ებრაელს, თანაც ისეთს, მთელი ცხოვრება ტყე-ღრე რომ დაეხეტებოდა ლუკმაპურის საშოვნელად, საქართველოში ნამდვილად აღარ დაედგომებოდა.

— რა ვქნა, დაგენაცვლე, გარეთ გამოსვლა კი ავიკრძალე, მარა აღარც სახლში მაყენებენ. ხო გახსომს, ახალი წლის ღამეს რო დამაყაჩაღა ციხიდან გაქცეულმა მკვლელობაზე ნასამართლევმა ორმა ძმამ. პრეფექტის მოადგილე რომ მალავდა საკუთარ სახლში (მორდეხას იმ ხანებში ჩემი რაიონის მილიციის უფროსად მუშაობა ჰქონდა მხედველობაში), მეორე დღესვე გააშვებინეს შენს შემცვლელ მილიციის უფროსს. ვისი იმედი უნდა მქონდეს?

— მართალია, მორდეხ, მაგრამ რომ მიდიხარ, დარწმუნებული ხარ, იქ უკეთესი ცხოვრება რომ გელის?

— ხომ გახსოვს, ბიჭობაში კალოშებს ვაწებებდი, მერე კირზის ჩექმებს. იმდენი მათრია წუთისოფელმა, იმდენი შხამი მასვა, აღარაფრის მჯერა. ერთი ვიცი დანამდვილებით — ამაზე უარესი იქ არ იქნება. პირველი მე ვლანძღავდი ჩემს ხალხს — ოცდაექვსი საუკუნეა ჩვენი წინაპრები ამ მიწაში იმარხებიან და მეტი რაღა სამშობლო გინდათ-მეთქი. მარა ახლა რომ ვხედამ, ქართველებმაც გამასწრეს და ისევ წასვლა ვამჯობინე. არც უკან დასაბრუნებელი ხიდი ჩამინგრევია, სახლი უფასოდ დავუთმე ერთ კორბოულელ გლეხს. ვუთხარი: — თუ ღმერთმა ქნა და საქართველოს ცაზე გამოიდარა, დავბრუნდები და ამ სახლს მაშინ დამიბრუნებ, როცა ორივენი შენს სახლს ავაშენებთ-მეთქი. თუ არადა, რა დიდი რამეა ერთი ოჯახის სამყოფი სახლი იმ სიყვარულის სანაცვლოდ რომ გავაჩუქო, რაც აქედან მიმყვება... ცოლ-შვილი ორი თვის წინ გავუშვი. გასამგზავრებლად სამი დღე მაქვს დარჩენილი. ონში მინდა ავიდე. იქ ერთი ჩემსავით ჩარჩენილი ნათესავი ურია ცხოვრობს, უნდა დავემშვიდობო. შენთანაც ამისთვის ამოვედი.

შევატყვე, ცოტაც და თვალებიდან ცრემლები წასკდებოდა მორდეხას, რომელიც საქართველოში ცხოვრების ბოლო დღეებს ითვლიდა. თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, ბედი სწორედ ახლა უმზადებდა ისეთ განსაცდელს, რომლიდანაც თავის დაძვრენას მხოლოდ მორდეხასნაირი კაცი თუ შეძლებდა.

## გამგზავრების სამზადისი

ჭიათურაში მარგანტრესტის საერთო საცხოვრებელში ერთი ფეხმსუბუქი რუსის ქალი ცხოვრობდა. ყოველ კვირა ახალ-ახალ საყვარლებს იცვლიდა მარია და როცა ერთ მშვენიერ დღეს მასთან ებრაელი შენიშნეს, არავის გაჰკვირვებია. მით უმეტეს, რომ მორდეხას იცნობდნენ და ისიც იცოდნენ, რომ ცოლი და ბავშვები ცოტა ხნის წინ ისრაელში გაეგზავნა. იფიქრეს, ალბათ ახლა ერთობაო, მაგრამ ჭკვიან ებრაელს გასართობად ნამდვილად არ ეცალა. გონება იმით ჰქონდა დაკავებული, როგორ გაეტანა საზღვარზე ის ქონება, რომელიც ათეული წლების განმავლობაში დაეგროვებინა და ურომლისოდაც იქ, ისრაელში, ისეთივე არარაობა იქნებოდა, როგორიც ეთიოპიიდან გადმოსახლებული ღარიბ-ღატაკი შავკანიანი ებრაელების უმრავლესობა.

— მარია, ეს სამი დღე ჩემთან ერთად უნდა იმგზავრო. კვირა საღამოს შინ დაგაბრუნებ. გასამრჯელოდ სამას მილიონ კუპონს მიიღებ ერთი პირობით, — რაც უნდა ნახო, არც გაიკვირვო და არც იკითხო რამე. გარდა ამისა, ჩემი წასვლიდან ზუსტად ერთ თვეში კიდევ ამდენივეს მიიღებ. რა თქმა უნდა, თუ ამ ხნის განმავლობაში ენას კბილს დააჭერ. მერე კი, რაც გინდა, ის ილაპარაკე...

მას შემდეგ, რაც მაღაროები დაიხურა, ქალს ისე გაუჭირდა, რომ ბევრი არც უფიქრია, უყოყმანოდ დათანხმდა.

— დღეიდან შენ ორსული ქალი ხარ და სწორედ ისე უნდა მოიქცე, როგორც ორსულებს სჩვევიათ, ანუ დაჯდომაც უნდა გიჭირდეს. დროდადრო გულისრევის შეგრძნებაც უნდა გაწუხებდეს და... — არიგებდა მორდეხა მარიას.

ერთი სიტყვით, მარიას იმ ღამით იმდენი უჩიჩინა, მეორე დილით „ბავშვის მომლოდინე“ წყვილი მორდეხას დაფეხვილი „მოსკვიჩით“ ნაქერალას აღმართს ისეთი თავდაჯერებით მიუყვებოდა, თითქოს ვინმესთვის უნდა ეხარებინათ გვარის გამგრძელებლის ქვეყნად უთუო მოვლინების ამბავი...

— ესე იგი, დაიცალა საჩხერის ებრაელობა. ალბათ მეც მალე წავალ აქედან და ონის სინაგოგაშიც აღარავინ წაიკითხავს თალმუდს. გული მეწვის, მორდეხ! აქაურობას გადახედე, ამ წყალ-ჭალის, ამ მთების პატრონი უდაბნოში უნდა მიდიოდეს საცხოვრებლად?

— ჩვენი ბედი ეს ყოფილა, შიმშონა, წუწუნი ვერას გვიშველის. ვიდრე დაგემშვიდობებოდე, ი ჩემი მინაბარები დამიბრუნე.

— გაგიჟდი? ტყიბულამდე გაგძარცვავენ. ახლა კაცი ოქროსა და ბრილიანტს ინდობს გზაში? ვთქვათ, სასწაული მოხდა და საბაჟომდე მიაღწიე, იქ რაღას შვრები, ხომ იცი, რომ იქაც ყაჩაღები სხედან.

— სხვა გზა არა მაქვს, შიმშონ. თუ ფოთამდე ჩავაღწიე, ხომ კარგი, იქ ჩემი ბარგია და იქნებ როგორმე ავეჯში ჩავმალო. ვიცი, რომ გამჩხრეკენ და მაგაზეც ვიფიქრე.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მორდეხ, არ დაგავიწყდეს, ბათიამში ჩემები მოინახულე და უთხარი, დაზამთრებამდე შიმშონიც აიკრავსთქო გუდა-ნაბადს.

მორდეხამ ორმაგ ქსოვილში გამოკრული ოქროულობა თავისი ხელით შემოარტყა მუცელზე მარიას და ზემოდან ისე მოხერხებულად დაადო ჟანგბადით სავსე რეზინის ბალონი, რომ ქალი ცხრა თვის ორსულს დაამსგავსა. მარიამაც იყოჩაღა და სახეზე ისე დაიჭორფლა, მის ფეხმძიმობაში ეჭვს ვერავინ შეიტანდა.

— მორდეხ, ერთი რამ უნდა გთხოვო. ვლადიკავკაზში ერთი ჩვენი ტომის კაცთან უძველესი თორა ინახება. დაიკარგება თუ დროზე არ ვუშველეთ...

უძველესი თორა? იქნებ სულაც ამ ხუთი წლის წინ საჩხერიდან გატაცებული თორაა, რომელიც შაბათის ლოცვის შემდეგ გაქრა სინაგოგიდან. თუ ასეა, უნდა გარისკოს. მით უმეტეს, რომ მარიაც გვერდით ჰყავს...

— კარგი, მისამართი მომეცი, ცდა ბედის მონახევრეა...

დაფეხვილი „მოსკვიჩი“ თუხთუხით დაეშვა თავქვე, ბარაკონისკენ (მორდეხას არ შეუმჩნევია, ორი წუთის წინ იმავე მიმართულებით თეთრი „ჟიგული“ რომ წავიდა), მერე ამბროლაურთან მარცხნივ გაუხვია, ხოტევის გავლით ნიკორწმინდაში ავიდა და თავდაღმართში სვლას უმატა. ნაქერალას ქედს დაეკიდა თუ არა, სამზერ სარკეში უკან მომავალი თეთრი „ჟიგული“ დალანდა. „აქამდე არ შეუნიშნავს ეს მანქანა და ახლა საიდან გამოტყვრა? — უეჭველია შარაგზის ყაჩაღები არიან“, — გაიფიქრა და გადაწყვიტა მანქანა არამც და არამც არ გაეჩერებინა. მართალია, ძვირფასეულობა საგულდაგულოდ ჰქონდა გადამალული, მაგრამ ასეთები არც ორსულ ქალს დაინდობდნენ და რაკი თავდაღმართში ეშვებოდა, თანაც „ჟიგულის“ წინ, გადაწყვიტა ამით ესარგებლა და მდევარი წინ არ გაეშვა. მორდეხამ ნელ-ნელა კიდევ უმატა სვლას. თეთრმა „ჟიგულიმაც“ იგივე გაიმეორა და გადასწრებაც მოუნდომა. მორდეხა დაიძაბა — კარგი სულის ხალხთან რომ არ ჰქონდა საქმე, აღარ ეეჭვებოდა.

— მარია, არ შეგეშინდეს. მარჯვენა კარს აეკარი, შენს ადგილს არ მოსწყდე, თორემ ამოვტრიალდებით, — გააფრთხილა უკანა სავარძელზე მოკალათებული ქალი და მთელი ძალით დააწვა აქსელერატორს.

ხევის ძირში სულ რამდენიმე წლის წინ ჯერ კიდევ მეშახტეთა ქალაქად წოდებული ტყიბული გამოჩნდა, მაგრამ იქამდე ჯერ კიდევ კარგა ხნის სავალი ჰქონდათ. ეს თავდაღმართი ხომ ერთიანად იყო დაკლაკნილი. ყოველ მოსახვევში საბურავები ისე შემზარავად, ისე ავისმომასწავებლად ჭრიალებდნენ, ძარღვებში სისხლი ეყინებოდა დამფრთხალ მარიას, რომელსაც აქამდე ყველაფერი გართობა ეგონა.

ათი წუთიც არ გასულიყო ამ მარულის დაწყებიდან, რომ მდევარმა გამუდმებული სიგნალებით „მოსკვიჩის“ გაჩერება მოსთხოვა მორდეხას. ესროლეს კიდეც, მაგრამ ეტყობა ისე, შესაშინებლად, თორემ კუდზე ისე ახლოს ასხდნენ, ალბათ არ ააცილებდნენ.

**უეცრად მორდეხამ ისე მკვეთრად მოუხვია, რომ მანქანა რამდენიმე წამით ორ საბურავზე დადგა და ის იყო უნდა გადაბრუნებულიყო, მაგრამ მორდეხამ იმარჯვა და საჭე იმ გადამწყვეტ წამში შემოაბრუნა, როცა იმედი თითქმის გადაწურული იყო. მარიამ ახლაღა შენიშნა, რომ მათი მანქანა მოსახვევის ბოლოში მდგარ სატვირთოს მილიმეტრებით ასცდა, თუმცა ვიდრე ნანახს ბოლომდე გააცნობიერებდა, უკნიდან ისეთი ჯახანი მოესმა, იფიქრა, ახლა კი ნამდვილად ყუმბარმტყორცნიდან გვესროლესო...**

უეცრად მორდეხამ ისე მკვეთრად მოუხვია, რომ მანქანა რამდენიმე წამით ორ საბურავზე დადგა და ის იყო უნდა გადაბრუნებულიყო, მაგრამ მორდეხამ იმარჯვა და საჭე იმ გადამწყვეტ წამში შემოაბრუნა, როცა იმედი თითქმის გადაწურული იყო. მარიამ ახლაღა შენიშნა, რომ მათი მანქანა მოსახვევის ბოლოში მდგარ სატვირთოს მილიმეტრებით ასცდა, თუმცა ვიდრე ნანახს ბოლომდე გააცნობიერებდა, უკნიდან ისეთი ჯახანი მოესმა, იფიქრა, ახლა კი ნამდვილად ყუმბარმტყორცნიდან გვესროლესო და ინსტინქტურად უკან გაიხედა. მათ ახლა თეთრი „ჟიგულის“ ნაცვლად, მისგან მოგლეჯილი საბურავები და თუნუქის ნაჭრები მოსდევდა... მორდეხა კვლავაც მთელი ძალით ჩაჰფრენოდა საჭეს და ეტყობოდა, სიჩქარის შენელებაზე არც ფიქრობდა. მან ვერ გაიგო, რა მოხდა იმ მოსახვევში.

— აღარავინ აღარ მოგვდევს, — თითქმის უკივლა ქალმა. კაცს სიჩქარე კვლავაც არ შეუნელებია. მერე ქალს გადახედა და წყნარად იკითხა:

— ვითომ რატომ შეგვეშვნენ?

— სატვირთოს შეასკდნენ... ჩვენ ამაში ბრალი არ გვაქვს. თავის გადარჩენას ვცდილობდით. ამისათვის კი არავის სჯიან, — თქვა მეძავმა და ისე მიესვენა უკანა სავარძელს, თითქოს აგრძნობინა თანამგზავრს, წარმოდგენა დამთავრდა, შეგიძლია, დამშვიდდეო.

ტყიბული ისე გაიარეს, სიტყვა არც ერთს არ დაუძრავს... თერჯოლის დაბლა, ჩოლაბურის ხიდქვეშ ჩაფლა მორდეხამ განძი. მარიას ეგონა, ჩვენი მოგზაურობაც ამით დასრულდაო, მაგრამ როცა „მოსკვიჩმა“ ნატახტართან მარცხნივ, ყაზბეგისაკენ გადაუხვია, მიხვდა, ჩავლილი ფათერაკი მოსალოდნელთან შედარებით ალბათ გართობად მომეჩვენებაო. თუმცა პროტესტი არ გამოუთქვამს — ერთგვარი ინტერესითაც კი ელოდა მოსახდენს.

## „ტიალო დარიალაო...“

მართალია, გზაზე შლაგბაუმები სჭარბობდნენ მანქანებს, მაგრამ ისინი არავის გაუჩერებია. დაფეხვილი „მოსკვიჩი“ დიდად ვერ იზიდავდა „ვოლგაზე“ სანადიროდ გამოსულ შარაგზის ავტომატიან ყაჩაღებს. მისაქციელს რომ გასცდნენ, გვარიანად ბნელოდა. მარიას ჩაეძინა. მორდეხას კი დასვენება არც უფიქრია. მართალია, საჭესთან ერთიორჯერ ჩათვლიმა კიდეც, მაგრამ თავს შემოუძახა და კვლავაც გააგრძელა გზა. დარიალის ვიწროებში რომ ეშვებოდა, ისეთი უცნაური სურათი დაუდგა თვალწინ, იფიქრა, ალბათ მძინავს და სიზმარს ვხედავო. მაგრამ მალევე მიხვდა, სიზმარი კი არა, უფრო მოჩვენება იყო.

მის პირდაპირ, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ფონზე, კლდე იწვოდა და ისეთ საოცარ ფერებს ასხივებდა, გაოგნებულმა მორდეხამ მისდა უნებურად მანქანა გააჩერა. მერე მარია გააღვიძა და რომ დარწმუნებულიყო, მართლა ხომ არ მეჩვენებაო, მის რეაქციას დაელოდა. ქარაფშუტა ქალმა ერთი გაიზმორა, მერე კლდის ალმოდებულ ქიმს გახედა და წაიჩურჩულა: — ზღაპარში ვართ? — მაგრამ ეტყობა, იმავე წამს დაღლილობამ სძლია და კვლავაც ძილს მისცა თავი. მორდეხა კი კარგა ხანს ენაჩავარდნილი იდგა და ვერაფრით აეხსნა ნანახის საიდუმლო... რიჟრაჟზე, როცა ის იყო, ხეობიდან გადიოდნენ, ძილბურანიდან გამორკვეულმა მარიამ მოულოდნელად ისეთი ხარხარი ატეხა, კაცმა იფიქრა, საბრალო ალბათ წუხანდელმა მოჩვენებამ გადარიაო და ღმერთს მადლობა შესწირა, თვითონაც იგივე რომ არ დაემართა. თუმცა კარგად რომ დააკვირდა, ქალი სულაც არ ტოვებდა გიჟის შთაბეჭდილებას. მორდეხას შემყურე იგი ისე ბუნებრივად და გულიანად ხარხარებდა, რომ მორდეხამ მანქანის სარკეში შეათვალიერა საკუთარი თავი და გაშრა — სარკიდან ვიღაც ზანგი, უფრო სწორად, გაჭვარტლულსახიანი მამაკაცი შეჰყურებდა. მორდეხამ სახეზე ხელი მოისვა და ყველაფერს მიხვდა. ღამით ნანახი მოჩვენება კი არა, ხანძარი ყოფილა — წუხანდელი ენით აუწერელი სილამაზე ამდენადვე შემზარავი ჩანდა დღის სინათლეზე. აგერ აქაც, იქაც — საბრალოდ ხრჩოლავდნენ მთები და მიუხედავად იმ უსიამო განცდისა, რომელსაც წუხანდელი ალტაცების შემდეგ ეს სურათი აღძრავდა, მორდეხა მაინც კმაყოფილი დარჩა, რაკი საიდუმლო გამჟღავნდა. წყაროზე ჭვარტლი ჩამოიბანა და გზა გააგრძელა...

მართალია, ძველისძველი თორა საჩხერიდან მოპარულს არ ჰგავდა, მაგრამ მორდეხა მაინც კმაყოფილი იყო, რომ ამ დიდებული ძღვენით ხელდამშვენებული ჩავიდოდა აღთქმულ მიწაზე. ამჯერადაც დიდი გულმოდგინებით შემოახვია მარიას წელზე წმინდა გრაგნილი და მაშინვე უკან გამობრუნდა.

აქეთობას, თელეთთან, ორმა შარახვეტიამ ჯერ ლოდებით ჩაუხერგა გზა და გაჩერება აიძულა, მერე კი ორივენი ძირს ჩამოაბრძანეს და მანქანა წაართვეს. თუმცა მორდეხამ მოასწრო, ასეთი შემთხვევისგან თავდაცვის საშუალება წინასწარ ჩართო და „მოსკვიჩიც“ სულ რაღაც ას მეტრში გაუჩერდათ გამტაცებლებს.

— ახლა ეს შენი ჯაბახანა როგორც გინდა, ისე მოაშორე აქედანა, თორე ბენზინს გადავასხამ და დავწვავ, — დაემუქრა მორდეხას ერთ-ერთი. მორდეხამ ერთხანს ვითომ რაღაც იჩალიჩა, მერე საჭესთან მოკალათდა, ერთბაშად ჩართო ძრავა და ადგილიდან ისეთი სიჩქარით მოსწყვიტა მანქანა, რომ გონებაჩლუნგი შარახვეტიებიც მიხვდნენ... — გაგვაცურაო.

ახლა იგი ფოთისკენ მიიჩქაროდა, სადაც ძველ ნაცნობთან მიბარებული ასევე ძველი კომოდი, დანჯღრეული მაგიდა და რამდენიმე ძველებური სკამი ეგულებოდა. ყველა ნივთი, რაც ფასეული იყო, მორდეხამ ცოლ-შვილის გამგზავრებისთანავე გაგზავნა ისრაელში. ეს ძველმანები კი ყოველი შემთხვევისთვის შემოინახა და ახლა საკუთარი თავის მადლიერი იყო ასეთი წინდახედულებისთვის — ძვირფასეულობას იმ ხარახურაში მოაქცევდა. ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი ძველმანების პატრონს ამდენი ოქრო-ბრილიანტი ექნებოდა. მაგრამ ჯერ ეს ჯოჯოხეთად ქცეული გზა უნდა გაევლო მშვიდობიანად.

სენაკთან ისევ გააჩერეს. ამჯერად სამალავიდან ამოღებული ოქროულობა მარიას ზურგზე ჰქონდა აკრული და ზედ რამდენიმე ფენად თორას გრაგნილი ჰქონდა შემოხვეული.

— რაღაცას გვატყუებ, ებრაელო. ეს ქალი ორსული არ უნდა იყოს. ეს ეტრატიც თვალის ასახვევად გადაგიჭერია... — ყოვლისმცოდნის იერით განუცხადა ერთმა გვარდიელისფორმიანმა მორდეხას, რითაც დანარჩენების ყურადღებაც მიიქცია.

— ჭკვიანი ყოფილხარ, დაგენაცვლე. ორსულად რომ იყოს, ამ ლოცვის ტექსტ რაღაზე დავახვევდი წელზე — ეს ჩვენი, ებრაელების, ძველი წესია. უშვილოებს ასე ვმკურნალობთ და იქნებ მეც გადმამხედოს ღმერთმა ამ სიბერეში... ჩემს დედაკაცს დარდმა ენაც ჩაუგდო. თუ არ შემიშინებთ, მადლობელი დაგრჩებით. ახლა ჭკვიანი კაცი გზას არ დაადგებოდა, მაგრამ დღეს რომ ფოთში ჩვენი რაბინი არ ვნახოთ და მისი დალოცვა არ მივიღოთ, ყველაფერი წყალში ჩაგვეყრება...

— წადი, მორდეხ, წადი და თუ ბიჭი შეგეძინოს, ნათლიებად მაინც დაგვპატიჟე. შენი იღბალი, რომ დღეს კარგ ხასიათზე ვართ ყველანი... — ამ სიტყვებით მართვის მოწმობა დაუბრუნეს და ოხუნჯობა-ოხუნჯობით გაისტუმრეს „მომლოცველი ცოლქმარი“.

ღამე იყო, მაგრამ ნავსადგურს იქით, ზღვისპირა დასახლებაში მორდეხამ ადვილად მიაგნო თავის ნაცნობს. მარიას თორა და ძვირფასეულობა შემოხსნა და ეზოში მდგარ ფიცრულში შევიდა, სადაც მისი ისრაელში გასაგზავნი ძველი ავეჯი ეწყო.

დილამდე იჩალიჩა მორდეხამ და გამთენიისას სახემოღიმარი გამოვიდა ფიცრულიდან — კომოდის ორმაგი ფსკერზე ოსტატურად ჩამალა ყველაფერი. დილაადრიან ნავთის დამტარებლის ფურგონით ავეჯი საბაჟოს ისრაელში გასაგზავნად ჩააბარა — არავის მოსვლია აზრად ამ წვერგაუპარსავი და ჩამოძენძილი ებრაელის ნივთებში ძრომიალი. ისიც იოლად დაიჯერეს, მორდეხამ რომ დაიწუწუნა — ხუთჯერ დამაყაჩაღეს და აღარაფერი შემარჩინეს, თორემ ერთ დროს მეც არა მიჭირდაო. ან ვინ არ დაიჯერებდა ებრაელის დაყაჩაღებას ამ ათი წლის წინ, როცა ქართველებიც არ ზოგავდნენ ერთმანეთს...

P.S. მას შემდეგ აღარაფერი მსმენია ჩემი მეგობარი მორდეხას შესახებ. ამას წინათ კი ტელევიზორში პალესტინელი კამიკაძის მიერ თელ-ავივში დახოცილ ავტობუსის მგზავრების ფოტოებს აჩვენებდნენ. სამწუხაროდ, ერთ მათგანში მორდეხა ამოვიცანი...

*ვაჟა გავაშელი*


რუბრიკა „ვერსიის“ რჩეული პუბლიკაციების კრებული
კარგი საჩუქარია დეტექტიური ჟანრის მოყვარულთათვის!




ფასი 2.5 ლარი

# „ᲑᲔ-Ი-ᲙᲔᲠ-ᲛᲐ ᲓᲐ-ᲒᲕᲘ-ᲑᲐᲠᲐ“...

## „ამ ოლიგარქებმა საკუთარ თავს მიხედონ...“

*ბეიკერის მორიგებული პოლიტიკური სპექტრი მაინც ვერ წყნარდება და შერიგებულის სიმპტომებსაც ნაკლებად ამჟღავნებს. „მრეწველები“ და „აღორძინება“ „ბეიკერის გეგმას“ მტრულად უყურებენ და სამშაბათის სესიაზე ბოიკოტით იმუქრებიან...*



*ოპოზიციის ბანაკში ატეხილ გაწევ-გამოწევას სახელისუფლებო ბლოკის ხელმძღვანელი კანცელარიის მე-11 სართულიდან ლამის ოლიმპიური სიმშვიდით უყურებს და გამშველებლის როლის შესრულებას აზრადაც არ ივლებს. წინ გადამწყვეტი არჩევნებია — ნერვების, ნებისყოფისა და ბრძოლისუნარიანობის ყველაზე დიდი გამოცდა. „გადაპატიჟებული სასიძოს“ როლში მყოფი პოლიტიკოსები მთელი მონდომებით კეკლუცობენ და პოლიტიკურ პოდიუმზე (არჩევნებზე) წარმატების მისაღწევად არც „შპარგალკებზე“ (ბეიკერის დაწერილი სქემა და უცხოელი იმიჯმეიკერების რჩევა-დარიგებები) ამბობენ უარს და არც კომპრომატებით ომზე, რომელმაც სტარტი უკვე აიღო. „ახლებმა“ თავიანთ „ნათესავებს“ — „მრეწველებს“ დასცხეს და რუსული კაპიტალის ლობირება დააბრალეს, ჯერი თოფაძის მუნდირზეა...*

*ვესაუბრებით „მრეწველთა“ ერთ-ერთ ლიდერს,* **ზურაბ ტყემალაძეს:**

**— ბეიკერისა და ოპოზიციის დიალოგისას, „მრეწველები“ არ მიგიწვიეს, ალბათ იცით, ვისი წყალობითაც აღმოჩნდით თამაშგარე მდგომარეობაში?**

— „მრეწველები“ მიუმხრობელი ძალა ვართ, არც პრეზიდენტისკენ ვიხრებით და არც ე. წ. სახელისუფლებო ოპოზიციისაკენ. ჩვენთვის მისაღებ საკითხებზე ყველასთან ვმსჯელობთ და მომავალშიც ვიმსჯელებთ. დღეს პოლიტიკური სპექტრი, ფაქტობრივად, ორ ნაწილად — დასავლური და პრორუსული ორიენტაციის პარტიებად იყოფა. „მრეწველები“ ასეთი დაყოფის პრინციპს არ ვცნობთ და ეროვნულ ცნობიერებას ვიცავთ.

საქართველოზე უნდა ვფიქრობდეთ და არა იმაზე, რას გვიკარნახებს რუსეთი ან დასავლეთი.

ეტყობა, ვაშას ძახილით რომ არ ვუკრავთ ტაშს ყველაფერს, არ მოსწონს ამერიკის საელჩოს. ამას ისიც დაემატა, რომ „მრეწველები“ ამერიკელი სამხედროებისთვის განუსაზღვრელი უფლებების მინიჭების წინააღმდეგ გამოვედით პარლამენტში. შესაძლოა, ამ მიზეზებმა და კიდევ იმის შიშმა, რომ ჩვენი პოზიციები ბეიკერისთვის არ გაგვეცნო, გამოიწვია ჩვენი იგნორირება, მაგრამ მერწმუნეთ, თავს დაჩაგრულად არ ვგრძნობთ.

**— „მრეწველებმა“ საარჩევნო კომისიაში 2 ადგილი რის საფუძველზე მოითხოვეთ?**

— საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებისას ანგარიში უნდა გაეწიოს წინა საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებში მოპოვებულ შედეგებს. ე. წ. რადიკალურ ოპოზიციასთან შევაჯერეთ ვარიანტი, რომლის თანახმად, კომისიაში ორი ადგილი საპარლამენტო არჩევნებში 7%-იან ბარიერგადალახულ პარტიებს („მოქკავშირი“, „მრეწველები“, „აღორძინება“) უნდა რგებოდათ, თითო ადგილი კი ავტონომიებსა და ადგილობრივ არჩევნებში 4%-იან ბარიერგადალახულ პარტიებს. ეს ვარიანტი ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ, როგორც ოპოზიციასთან შეთანხმებული, გააცნო პრეზიდენტს, მაგრამ რადიკალურმა ოპოზიციამ პრეზიდენტსა და ბეიკერთან შეხვედრის შემდეგ იგი უარყო და 9 ადგილს დასჯერდა. ოპოზიცია მოითხოვს კომისიაში იმ პარტიებსაც მივცეთ ერთი ადგილი, რომელთაც თბილისის ადგილობრივ არჩევნებში 4% მოიპოვესო. რატომ უნდა დაკომპლექტდეს ჩხოროწყუს ან აჭარის საუბნო და საოლქო კომისიები თბილისის არჩევნების შედეგების გათვალისწინებით? ვის მოუვიდა თავში ასეთი აბსურდი, არ ვიცი.

*(გაგრძელება იხ. გვ. 27)*

# ᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲘᲡ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲡᲣᲚ ᲛᲗᲚᲐᲓ „ᲭᲣᲠᲨᲘ ᲐᲠ ᲖᲘᲡ“

## „მეც მაქვს ჩემი ინტერესები გარკვეულ ქვეყნებში“

რუსეთში ტერაქტების ბუმი დაიწყო. მარტო 2003 წლის მაის-ივლისის ქრონოლოგიის მიხედვით მათი რიცხვი უკვე ხუთამდე ადის.

სამწუხაროა სრულიად უდანაშაულო ადამიანების ესოდენი მსხვერპლი. დასაგმობია ნებისმიერი ტერაქტი, მაგრამ გაუგებარია, როდემდე გააგრძელებენ რუსები საკუთარ უბედურებაში ქართველების დადანაშაულებას. ჯერ იყო და „ნორდ-ოსტის“ ამბების დროს რუსული მასმედიით ითქვა, თითქოს ჩეჩნები მხოლოდ ქართველებს არ ერჩოდნენ, მერე გაირკვა, რომ ეს სიცრუე იყო და ქართველებიც სხვების მსგავსად ბოლო წუთამდე შენობაში იყვნენ გამომწყვდეულნი. ახლა კიდევ 5 ივლისის ტრაგედიის (ქალმა კამიკაძემ 20 ადამიანი იმსხვერპლა) შესახებ დაბეჭდილ სტატიებში ისევ გაიჟღერა საქართველომ. რუსული სპეცსამსახურების ცნობით, თურმე ტუშინოში შაჰიდი ქალები საქართველოდან ჩაფრინდნენ. მოგვიანებით რუსეთმა უარყო ეს ფაქტები, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციებით რუსეთში მცხოვრებ ქართველებზე უკვე ჩვეულებრივი მოსახლეობისგანაც კი სერიოზული ზეწოლა ხდება, რომელიც მხოლოდ ზიზღითა და ლანძღვა-გინებით კი არ შემოიფარგლება, საქმე მუშტი-კრივამდეც მიდის, რომლის დროსაც ქართველებს ტერორისტების მფარველობაში ადანაშაულებენ. ამ დროს საქართველოში ის ორგანიზაციები, რომლებიც სერიოზულ რეაგირებას უნდა ახდენდეს მიმდინარე მოვლენებზე, დუმან ან სულაც მიმკვდარებულად წამოიკნავლებენ — საქართველო არაფერ შუაშია, ბრალს გვდებენო. ამით მთავრდება მთელი ჩვენი კონტრშეტევა საქართველოს საწინააღმდეგო ინფორმაციულ ომში. ამასობაში რუსულის გარდა, უხერხულობის შემქმნელი ბრალდებები ჩნდება ესპანურ პრესაშიც, სადაც პანკისის ხეობაში მძევლად ყოფილი ესპანელი ბიზნესმენები საქართველოს მთავრობას და სამართალდამცველებს უყენებენ ბრალდებებს.

მთელ ამ ბაკქანალიას ემატება ქართული სპეცსამსახურების მიერ გავრცელებული ინფორმაცია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ვცხოვრობთ არა ქვეყანაში, არამედ ხუხულაში, რომელიც საუბედუროდ დანგრევის საფრთხის წინაშეა, სახიფათო ბიძგის მოლოდინში ვესაუბრებით დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფს **ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲡ.**

**— ბატონო ავთანდილ, საქართველოს წინააღმდეგ უცხოური მასმედიით გაჩაღებულ ომში ქართული მხარე თითქმის არ მონაწილეობს. ამ მხრივ ვერც პრესა და ტელევიზია აქტიურობს სათანადოდ. როგორ რეაგირებენ თქვენი და სხვა სახელმწიფო ორგანოები უსაფუძვლოდ გახმაურებულ ბრალდებებზე?**

— ჩემი აზრით, არ არის აუცილებელი ყველა დეზინფორმაციას დაზვერვის დეპარტამენტის უფროსმა ან უშიშროების მინისტრმა გასცეს პასუხი.

*(გაგრძელება იხ. გვ. 27)*



## ბედია — საქართველოს ერთიანობის გვირგვინი

ოჩამჩირის მოშორებით, სოფელ აგუბედიაში, ბორცვზე, უზარმაზარი ნანგრევები მოჩანს. ამ სანახაობას თხემზე აღმართული ბედიის გუმბათოვანი ტაძარი აგვირგვინებს. იგი 999 წელს აუგია ერთიანი საქართველოს პირველ მეფეს, ბაგრატ III-ს. გარდაცვალების შემდეგ კი ხელმწიფე მის ერთგულ ერისთავთერისთავს, ზვიადს, ფანასკერტიდან გადმოუსვენებია და აქ დაუკრძალავს. დროთა განმავლობაში ბედიის ტაძრის დიდება გასცდა საქართველოს საზღვრებს. წელიწადში ერთხელ, ვლაქერნობას, 14 ივლისს, წარმართი ჩრდილოკავკასიელებიც კი ჩადიოდნენ აქაური სასწაულმოქმედი ხატებისა და სიწმინდეების მოსალოცად. 1640 წლის 10 თებერვალს ეკლესიას რუსი ელჩები — პავლე ზახარევი და ფედოტი ელჩინი ესტუმრნენ. ბედიელმა ეპისკოპოსმა მათ აჩვენა ქრისტეს თმა, ეკლის გვირგვინი, სამსჭვალი და ბაწარი, რომლითაც მაცხოვარი გათოკეს. 1672-1673 წლებში ფრანგმა მოგზაურმა ჟან შარდენმა ზემოაღნიშნული რელიკვიების გარდა, ბედიის ტაძარში ძელი ჭეშმარიტის ჯვარი და ის ტილო ნახა, რომელშიც ღვთისმშობელი ჩვილ იესოს ახვევდა.

ტაძრის უპირველეს სიწმინდედ ბედიის ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი ითვლებოდა. მის კიდობანში მარიამის წმინდა სარტყლის ნაწილი ინახებოდა. ქრისტიანულ გადმოცემათა თანახმად, ღვთისმშობელმა თავისი წმინდა სარტყელი მოციქულ თომას გადასცა. იმპერატორ არკადის ზეობის დროს (395-408 წწ) იგი კონსტანტინეპოლში გადაუტანია იმპერატორის ასულს, წმ. პულხერიას და შავი ზღვის ყურეში, პატარა ნახევარკუნძულ ვლაქერნაზე, მის მიერვე აგებულ ღვთისმშობლის ტაძარში დაუსვენებია. VI ს-ში ბიზანტიაში დაწყებული ხატმებრძოლობის გამო სარტყელი კაბადოკიის ქალაქ ზილაში გაუხიზნავთ, საიდანაც იუსტინიანე II-ს დაუბრუნებია.

ბიზანტიური წყაროებით, X ს-ში იმპერატორ ლეონ VI ბრძენის მეუღლე, დედოფალი ზოია ავად გამხდარა, მას თურმე ვერავითარმა მკურნალობამ ვერ უშველა. სასოწარკვეთილ დედოფალს ძილში ემცნო, რომ გადარჩებოდა, თუკი სხეულზე წმინდა სარტყელს დაასვენებდნენ. ზოია მართლაც განიკურნა.

წმინდა სარტყელი ბიზანტიის იმპერატორებს ლაშქრობისას თან დაჰქონდათ. ერთ-ერთი ომის დროს ალექსი I კომნენოსს (1081-1118) იგი ბულგარეთის მეფე კოლომანემ (1095-1114) წაართვა. 1151 წელს სერბეთის მთავარმა ლაზარემ სარტყელი საჩუქრად გადასცა ათონის მთის ვატოპედის მონასტერს, სადაც ის უნახავს პლატონ იოსელიანს: „მონასტერსა მას შინა არს დაცული ძვირფასად საუნჯედ ნაწილი სარტყლისა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისა. იგი ჰძევს ოქროს მშვენივრად ნაკეთს ყუთში, ხავერდით შიგნიდან მოვლებულში. სიგრძე სარტყელისა არს ორი მტკაველი, სიგანე მისი სამი გოჯი“.

მარიამ ღვთისმშობლის სარტყლის მეორე ნაწილი საქართველოში მოხვედრილა XI ს-ის დასაწყისში, საბერძნეთიდან. ბიზანტიის იმპერატორის რომანოზ III არგიროსის (1028-1034) ასულს, საქართველოს მეფის, ბაგრატ IV-ის (1027-1072) მეუღლეს, ელენეს, კურნება მიუღია ამ სარტყლიდან. მას საქართველოში გამომგზავრების წინ მამისთვის უთხოვია სასწაულმოქმედი ნივთის მზითვად გატანება. იგი ჯერ ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობის ბედიის ტაძარში დაუსვენებიათ, შემდეგ, „როდესაც მაჰმადიანობამ შავი ზღვის სანაპიროებზე იწყო მძლავრობა და მეგრელობა იძულებული გახდა, უკან დაეხია მდ. კოდორამდე, ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი (სარტყელთან ერთად) მტერთაგან დასაცავად დროებით გადაუტანიათ მარტვილში. სარტყელი მიმაგრებული იყო ვლაქერნის ხატზე“. მურავიოვის თქმით, „სარტყელი წააგავს სამთავარდიაკვნო გინგილას და დაკეცილია ოლარივით, ქვედა ნაწილი სარტყლისა მეტად დაძველებულია, სარტყლის ოქრომკედის ნიადაგი მოფენილია მარგალიტებით და ზურმუხტ-იაგუნდის ქვებით. ეს, რასაკვირველია, ერთი უძველესი ნაშთთაგანია, რომელსაც ჩვენამდის მოუღწევია ქრისტიანობის პირველის დროიდან“.

ღვთისმშობლის სარტყელი და ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი დადიანების უმთავრესი საგვარეულო სიწმინდე იყო. მთავარმართებელი პავლე ციციანოვი აღნიშნავს, — როგორც ისტორიით და გადმოცემით, ისე ჩემგან შეკრებილი სარწმუნო ცნობებით, ვლაქერნის ხატი მუდამ ინახებოდა სამეგრელოს დადიანების სასახლეშიო.

**მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას განგებამ უამრავი მადლი არგუნა. მისივე ღვთიური ნიჭი, მსახვრალ ჟამთა სვლაში უცნებლად გამოეტარებინა ერის რწმენისა და ღირსების ის უმთავრესი ნიშანსვეტნი, რასაც ქრისტესთვის თავდადებულთა, მარტვილთა, სასულიერო მოღვაწეთა, ეკლესიის მამათა და დედათა სიწმინდეები ჰქვია.**

**„კვირის პალიტრის“ მკითხველს პირველად ვთავაზობთ ეკლესია-მონასტრების და აქ დავანებული სიწმინდეთა ნაკლებად ცნობილ და უცნობ ამბებს, სულიერი ძეგლების თავგადასავალს...**



ბედიის ტაძარი

# 1919 წლიდან ღვთისმშობლის სარტყლის კვალი იკარგება...



**ამბობენ, რომ მაშინ კოლხეთში ერთმა მთავარეპისკოპოსმა ჩაიტანა ერთი მტკაველი ნაჭერი ძელი ჭეშმარიტისა და კვართი, რომელიც, მისი თქმით, ღვთისმშობელს ეკუთვნოდა.**

მოგვიანებით ხატის შენახვა მთავარმა გრიგოლ დადიანმა (ზეობდა 1788-1804 წწ) მიანდო სიმამრს, ქართლ-კახეთის მეფეს, გიორგი XII-ს, რომლის გარდაცვალების შემდეგ ხატი მიისაკუთრა დავით ბატონიშვილმა და რუსეთში გადასახლებისას თან წაიღო. მან არ შეისმინა დის, გრიგოლ დადიანის ქვრივის, ნინოს თხოვნა, სიწმინდეთა დაბრუნების შესახებ. დედოფალ ნინოს თხოვნით, ციციანოვი იმპერატორს სწერდა: „მისი დაბრუნება აღავსებს გამოუთქმელის სიხარულით მთელ სამთავროს და მოახდენს მეგრელებში იმნაირსავე დიდ შთაბეჭდილებას, როგორიც მოახდინა წმინდა ნინოს ჯვრის საქართველოში დაბრუნებამ“. იმპერატორმა შეისმინა თხოვნა და ეს ხატი მართლაც უკან დააბრუნა. 1883 წელს ხატი აღწერა პროფესორმა ჟიულ მურიემ და აღტაცებული დარჩა მისი ზომითა და შემკულობით — ერთი მეტრის სიმაღლის ეს სამკარედი 300 პატიოსანი თვლით ყოფილა მოოჭვილი. ღვთისმშობლის თავზე, ოქროს შარავანდის სხივებში 29 მარგალიტი და 82 მსხვილი ალმასია, ხოლო ხატის ქვედა ოქროს ქათიბში 79 ლალი, 20 საფირონი, 9 ალმასი და 93 ზურმუხტი კიაფობდა. ეს ხატი ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია, სარტყელი დაკარგულად ითვლება. 1857 წლამდე, სამეგრელოს სამთავროს გაუქმებამდე, შესაძლოა იგი ისევ ზუგდიდის დედოფლისეულ სასახლეში იყო. ამას ცხადჰყოფს ხატზე დატანილი ეკატერინე დადიანის წარწერა. ამბროსი ხელაიას თქმით, „უკანასკნელი რევოლუცია-არეულობის დროს (ე.ი. 1917 წელს, — გ.კ.) იგი შენახული ყოფილა ზუგდიდში, დადიანთა სასახლის ეკლესიის კედლის სამალავში, რომლის კარი ამოუშენებიათ ქვით. 1920 წელს ბატონ ექვთიმე თაყაიშვილს ხატი წაუღია ტფილისს და დაუსვენებია, როგორც მითხრეს, არა ტაძარში, როგორც მორწმუნეთათვის სათაყვანებელი სიწმინდე, არამედ, არ ვიცი, რა მოსაზრებით, სახელმწიფო ხაზინის სალაროში. როგორც გადმომცეს, ღვთისმშობლის სარტყელი ახლა ხატთან არ არის და ვის ხელში გადავიდა და ან სად ინახება ეს ძვირფასი სარწმუნოებრივი რელიკვია, არ არის ცნობილი“.

თუ მოვლენათა ქრონიკას თვალს გადავავლებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: 1914 წლის დეკემბერში თურქ-ოსმალთა ჯარებმა სარიყამიშისკენ გაილაშქრეს. მოსალოდნელი იყო თურქთა შემოჭრა სამეგრელოში, ამიტომ დადიანთა მოურავს ყველაზე ძვირფასად მიჩნეული ოქრო-ვერცხლის ნივთები, ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატთან ერთად, სასახლის კედელში ჩაუშენებია. 1919 წლის 21 დეკემბერს, მთავრობის დავალებით, ექვთიმე თაყაიშვილს შეუღია დალუქული კარი. მოურავს მისთვის უჩვენებია სამალავი, რომელშიც უნახავს ოთხი ყუთი, სავსე ოქროს და ვერცხლის ნივთებით და ვლაქერნის დიდი ხატი თავისი „კიოტით“ ანუ კიდობნით. კომისიის გადაწყვეტილებით, ვლაქერნის ხატი და სამალავში დაცული სხვა ნივთები თბილისში გადაიტანეს. ჩვენამდე შემორჩენილია მანდატი და სასახლიდან განძის გამომტანი კომისიის ოქმი, რომელშიც მოხსენიებულია ვლაქერნის ხატის „კიოტი“, ანუ სარტყლის კიდობანი. 1921 წლის თებერვალში ეს ხატი, სხვა ეროვნულ განძეულთან ერთად, საფრანგეთში გაიტანეს და 1945 წლის 11 აპრილს სამშობლოში დააბრუნეს, მაგრამ აღარსად ირიცხება სარტყელი. ის არ არის ნახსენები განძეულობის გატანის და ჩამოტანის ოქმებში, რაც ცხადყოფს, რომ 1919 წლისთვის სარტყელი უკვე დაკარგული იყო.

## ხობის ტაძრის საუნჯე

...იგი ლეგენდებითაა მოცული. მის დასაუფლებლად ომებს აჩაღებდნენ, იპარავდნენ, ტაძრებს უგებდნენ, მერე ცხრაკლიტულში ინახავდნენ, მის გასამშვენებლად უამრავ ოქრო-ვერცხლსა და თვალმარგალიტს ხარჯავდნენ. მხოლოდ სამგზის განბანილ ბიზანტიის იმპერატორს შეეძლო მასთან მიახლება. მას ბევრი ავადმყოფი განუკურნავს და უფრო მეტი სასწაული მოუხდენია. იგი დადიანების სასახლეშია დაცული და მას მარიამ ღვთისმშობლის უწმინდესი კვართი ჰქვია.

კვართი მოთავსებულია ვერცხლით მოჭედილ მცირე კუბოში, რომელიც ლევან II დადიანის (1611-1657) დაკვეთით დაუმზადებიათ.

კვართის შესახებ შემონახულია ისტორიული წყაროები. მე-17 ს-ის იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის ცნობით, „ხობის მონასტერში აჩვენებენ ღვთისმშობლის პერანგს, რომელსაც იქაურები დიდ პატივს სცემენ“. ამავე საუკუნეში კვართი უნახავს თეატინელთა მისიის პრეფექტს ჯუზეპე მარია ძამპის. მისი თქმით: „ამ ხალხს (ქართველებს, — გ.კ.) ბევრი რელიკვია აქვს... მათ მთავრებს კავშირი ჰქონდათ კონსტანტინოპოლის იმპერატორებთან, რომლებიც ისევე, როგორც ამავე ქალაქის სასულიერო პირები, ბევრ რელიკვიას უგზავნიდნენ საჩუქრად... დაბოლოს, რელიკვიები მიიღეს იმ წმინდა მამათაგან, რომელნიც თურქებისაგან კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, მაჰმადიანთაგან თავის დასაღწევად სამეგრელოში გადაიხვეწნენ... ამბობენ, რომ მაშინ კოლხეთში ერთმა მთავარეპისკოპოსმა ჩაიტანა ერთი მტკაველი ნაჭერი ძელი ჭეშმარიტისა და კვართი, რომელიც, მისი თქმით, ღვთისმშობელს ეკუთვნოდა. ჩვენ პატრებს იგი უნახავთ. ტილო, რომლისგანაც იგი არის შეკერილი, ყვითელი ფერისაა, აქა-იქ დაჩითულია ყვავილებით და მოქარგულია ნემსით. სიგრძით იგი რვა რომაული მტკავლის ოდენაა, განით კი ოთხისა, აქვს ერთი მტკაველი მოკლე მკლავები და ვიწრო საყელო. მეც მინახავს იგი ხობის ეკლესიაში... კვართი ინახება ვერცხლით მოჭედილ, ყვავილებით მორთულ აბანოზის ყუთში“.

მისიონერის მონათხრობში საყურადღებოა ერთი გარემოება — მასში ლაპარაკია იმ სავარაუდო გზებსა და საშუალებებზე, რომლითაც ქრისტიანული სიწმინდეები აღწევდნენ სამეგრელოში.

ღვთისმშობლის კვართის ხობის მონასტერში მოხვედრის თაობაზე სხვა ვერსიას გვაწვდიან XVII საუკუნის რუსი ელჩები — ალექსი იევლევი და ნიკიფორე ტოლოჩანოვი. 1650-1652 წლებში ისინი იმყოფებოდნენ იმერეთში. ათონის მონასტრიდან გადასახადის ასაკრებად ჩამოსულმა ერთ-ერთმა ბერმა ალექსიმ ელჩებს უამბო, რომ საბერძნეთის მეფის ჰერაკლეს აგებულ ხობის ღვთისმშობლის მიძინების მონასტერში ძველი დროიდანვე ყოფილა წმინდა ღვთისმშობლის კვართი დაცული. კვართი კონსტანტინეპოლიდან ერთ წიგნთა მცველს ჩამოუტანია თეოფილეს მეფობაში გაჩაღებული ხატთმებრძოლობის დროს. კვართი მიტკლის ან წმინდა ნარმისაგან უნდა იყოს შეკერილი... ის მოხატული იყო. კვართს შაქრისფერი ჰქონდა. დაცულია ვერცხლის კიდობანში და იმ საყდრის საკურთხეველში დგას.

დონ ქრისტეფორე დე კასტელის თქმით, უფლის დიდი დედის კვართი ხობის მონასტერშია, სადაც ბერძნებმა მოიტანეს სარკინოზთაგან კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ. ეს ჩანს საუნჯესთან ერთად შემონახული წარწერიდან. ქრისტიანულ გადმოცემათა თანახმად, მარიამ ღვთისმშობელმა მფარველობის ნიშნად თავისი კვართი დაუტოვა ბერძნულ ეკლესიას. V ს-ის ბიზანტიის იმპერატორის ლეონ დიდებულის დროს, მისი ძმები, ცნობილი საეკლესიო იერარქები, გალვიოსი და კანდიდი, პალესტინაში წმინდა ადგილთა მოსალოცად მოგზაურობდნენ. სოფელ ნაზარეთში, ერთი ღარიბი ქალიშვილის სახლში, მოგზაურებმა ნახეს სანთლებით განათებულ შიდა ოთახში იატაკზე მწოლი უამრავი ავადმყოფი. ებრაელმა ქალიშვილმა მათ უთხრა, ამ ოთახში კიდობნით ასვენია ღვთისმშობლის უწმინდესი სამოსელი, რომელიც მარიამმა მიძინების წინ უანდერძა თავის ორ მსახურს, ღარიბ ქვრივებს. ერთ-ერთი მათგანის ანდერძით, ეს სიწმინდე მემკვიდრეობით გადადის მორწმუნეთა შორისო. ძმებმა განიზრახეს კვართის მოტაცება. დაამზადეს ისეთივე კიდობანი, როგორიც ებრაელი ქალის სახლში ნახეს და იერუსალიმიდან დაბრუნებულებმა შეცვალეს იგი. ნამდვილი კიდობანი, კვართითურთ, კონსტანტინეპოლში წაიღეს. იმპერატორმა დიდად გაიხარა. მისი ბრძანებით, 474 წელს, კუბო ვლაქერნის ღვთისმშობლის ტაძარში დაასვენეს და ამ მოვლენის აღსანიშნავად 2 ივლისი დააწესეს.

626 წელს ბიზანტიელთა სპარსელებზე გამარჯვებას ისტორიული წყაროები მარიამის კვართს მიაწერს. ასევე დაიფარა მან კონსტანტინეპოლი არაბთა შემოსევისაგან. ბიზანტიურ და რუსულ წყაროებში აღწერილია ღვთისმშობლის კვართის კიდევ ერთი სასწაული. 866 წელს, რუსი წარმართი რაინდები, ასკოლდი და დირი, 200 ხომალდით კონსტანტინეპოლს მიადგნენ. პატრიარქმა ფოტიოსმა ვლაქერნის ტაძრიდან კვართი გამოასვენა და მისი ქობა ზღვას შეახო. უცებ საშინელი ქარბორბალა ამოვარდა, ზღვა აღელდა და რუსების ხომალდები ჩაძირა. გადარჩენილმა ასკოლდმა და დირმა წარმართობაზე ხელი აიღეს და ქრისტე ირწმუნეს.

2000 წელს კვართის კიდევ ერთი სასწაულის მოწმენი გავხდით მორწმუნენი — კინოსტუდია „მემატიანის“ ოპერატორებმა (დ. ასათიანი, გ. როგავა) გადაიღეს ღვთისმშობლის კვართი. კინოფირზე გამოჩნდა მაცხოვრის ხელთუქმნელი სახება.

დღეს ეს სიწმინდე ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში ინახება. იგი აქ 1923-36 წწ. ხობის მიზინების ეკლესიიდან გადმოუბრძანებიათ.

**ძვირფასო მკითხველებო! 14 (2 – ძვ. სტ.) ივლისს ვლაქერნობას, ზუგდიდში, ვლაქერნის ღვთისმშობლის ტაძარში თქვენ საშუალება გექნებათ ემთხვიოთ და თაყვანი სცეთ ქრისტიანული სამყაროს ამ სიწმინდეს.**

*გიორგი კალანდია*
*„დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდის“ თავმჯდომარე*
*ლილი ბერაია*
*ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი*



## რას გვეტყვი, მამაო?

**— ჩემს სოფელში, დანგრეული ეკლესიის ადგილას, პატარა სალოცავია, სადაც ხალხისგან შეწირული ხატები ასვენია. აქვე გვერდით დგას გამხმარი კაკლის ხეც. ის შეიძლება წაიქცეს და მსხვერპლი მოჰყვეს. ღვთის შიშით, წმინდა ადგილზე ხის მოჭრას ვერ ვბედავთ. გთხოვთ გვირჩიოთ, როგორ მოვიქცეთ.**

— ღვთის მიმართ ცოდვა იმ გამხმარი ხის მოჭრა კი არ არის, რომელიც საშიშროებას გიქმნით, არამედ ის, როცა ეკლესიას ან მის საკუთრებას კადნიერად შეეხებით. როცა ხე ხმება, მის ადგილზე ახალი უნდა დარგო. სასულიერო პირები დაზიანებულ ხატებსაც წვავენ, როცა მათი აღდგენა არ ხერხდება. ის, ვინც სიძულვილით ან ჯიბრით გაანადგურებს ეკლესიის ქონებას, რასაკვირველია, დაისჯება. როცა საჭიროა, ხეც უნდა მოიჭრას და ეკლესიიდან შემოწირულობებიც გაიცეს, მადლობა ღმერთს, რომ ეს შეგვიძლია.

**— ვუვლი ავადმყოფ დედას და დას, რომელთაც მთელი ჩემი ცხოვრება შევწირე. თუმცა მათგან მადლიერების ნაცვლად, უმადურობას ვიღებ. მეჩხუბებიან და მწყევლიან. ამის გამო სასოწარკვეთა მეუფლება. მირჩიეთ, რა გავაკეთო.**

— ჩვენ, ყველა შემთხვევაში, ვალდებული ვართ მოვუაროთ მშობლებს და დედმამიშვილებს, როგორც არ უნდა იქცეოდნენ. თუ ისინი არ გამოხატავენ მადლიერებას, გარწმუნებთ, ღვთის წინაშე დაუჯილდოებელი არ დარჩებით, ღვთისმშობელი მოგაგებთ სანაცვლოს. ილოცეთ მათთვის და თქვენი სულის დასამშვიდებლად. იცხოვრეთ ეკლესიურად, ეს გაგაძლებინებთ.

**— ამბობენ, როცა სახლში კატაა, იმ სახლზე ღვთის მადლი არ გადადისო. ეს მართალია?**

— ეკლესია კატის და საერთოდ არც ერთი ცხოველის ყოლას არ კრძალავს. იყოლიეთ ისინი, თუ რასაკვირველია ახლობლებს ან მეზობლებს არ აწუხებენ. სახლზე მადლი მაშინ არ გადმოდის, თუ მისი მკვიდრნი ბოროტით არიან შეპყრობილნი.

**— ბოლო დროს ბავშვი ბევრ მშობელს შეჰყავს ე.წ. „შტაინერის“ სკოლაში. რას გვირჩევთ, მართებული იქნება, რომ იქ შვილი შევიყვანო?**

— ეკლესია არ გირჩევთ, რომ ბავშვი შტაინერის, ან მის მსგავს უცხოურ მოძღვრებაზე აგებულ სკოლებში შეიყვანოთ. საქართველოში ასეთი სკოლები უკვე რამდენიმე წელია არსებობს და უკვე ცხადია, რომ იქ აღზრდილები ჩვეულებრივი სკოლის მოსწავლეებზე მეტ განათლებას ვერ იღებენ. ზოგჯერ პირიქითაც არის. თანაც ტრადიციასთან, რწმენასთან შეუთავსებელი მსგავსი მოძღვრებები ბავშვს სულიერად აორებს. არაქრისტიანულ, არამშობლიურ ნიადაგზე გაზრდილი პატარა, მომავალში გაუცხოებულ პიროვნებად მოგვევლინება.

**— რატომ ატარებენ წვერს მართლმადიდებელი მღვდლები?**

— წვერის ტარება ბიბლიური ტრადიციაა — ძველი აღთქმის დროინდელი ღვთისმსახურნიც წვერს ატარებდნენ და მართლმადიდებელი სასულიერო მოღვაწეები, მათი მემკვიდრეები ვართ. ღმერთმა წვერს განსაკუთრებული მისტიკური დატვირთვა და ძალა მისცა, რაც წვეროსანში ყოველთვის იგრძნობა. ამიტომაც შემთხვევითი არ იყო, რომ ჩვენი წინაპრები წვერ-ულვაშს სინდისის სიმბოლოდ იყენებდნენ.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

CMYK

# ვთხოვ ჩვენს თანამემამულეებს, ნუ იქნებიან ღორები

*საქართველოში შეიარაღებული ფორმირებები ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით მომრავლდა. თუ ეს ძალა ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურში ჩადგება, ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ თავად სამხედრო ექსპერტები ეჭვობენ, — ძნელია გამოცნობა, რამდენად კონტროლირებადი იქნება ეს ძალა, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება თბილისშიც გამოჩნდეს „წესრიგის დასამყარებლადო“.*

*კულუარებში კი შიშობენ, — ვაითუ, ეს ბატალიონები ხელისუფლებას მხოლოდ და მხოლოდ არჩევნების პროცესის გასაკონტროლებლად სჭირდებოდეს, რაც ჩვენი სახელმწიფოს დემოკრატიულ ფასადს მეტისმეტად დაამახინჯებსო. სამხედროებს და ვეტერანებს წინასაარჩევნოდ ოქროს ფასი დაედოთ. ვესაუბრებით ექსთავდაცვის მინისტრს, პარლამენტარ* ***გია ყარყარაშვილს,*** *რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანი გაერთიანების „ქართული ლიგის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელია.*

**— ბოლო დროს შეიარაღებული ფორმირებები თითქმის ყველა რეგიონში შეიქმნა. „სვანეთს“, „ხევსურეთსა“ და „ქართლს“ ალბათ რამდენიმე ბატალიონი კიდევ შეემატება. კეთდება პროგნოზი, რომ არჩევნების დროს ამ სამხედრო ძალას ხელისუფლება „თავის სასარგებლოდ“ გამოიყენებს.**

— არმიის აღმშენებლობის პროგრამა რეზერვის ტიპის ორგანიზაციების ჩამოყალიბებას ითვალისწინებს. ეს რეკომენდაცია საერთაშორისო ექსპერტებმაც მოგვცეს, ოღონდ ცოტა განსხვავებული ფორმით. თუ ამ ბატალიონების შექმნა ერთიანი სამხედრო რეფორმის კონტექსტშია, მას მივესალმებით, მაგრამ თუ იგი რაღაც სხვა მიზანს ემსახურება, ძალიან ცუდია. ეს დახურული თემაა. ჩემთვის არ არის ცნობილი, რას ფიქრობს ამ საკითხზე უშიშროების საბჭო. რატომღაც ისინი ჩემთან, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან, საკუთარ პოზიციას არ ამჟღავნებენ. რაიმე შეფასებას იმიტომ ვერ ვაკეთებ, რომ არ ვიცი რა მიზანს ემსახურება სარეზერვო ტიპის ბატალიონების შექმნა და ამ საკითხზე არც მთავარსარდლის — პრეზიდენტის კომენტარი მოგვისმენია.

**— კოდორში პრეზიდენტის რწმუნებულს, რომელსაც საკუთარი შეიარაღებული ფორმირება ჰყავს, იმის ამბიცია გაუჩნდა, რომ „თავის ტერიტორიაზე“ სახელისუფლებო სტრუქტურები არ შეეშვა. გამორიცხავთ, რომ სხვა რეგიონშიც იგივე მოხდეს?**

— ჯერ უცნობია რა ტიპის არმიას ვაშენებთ. რაც შეეხება კოდორის ხეობას, 9 წელია იქ არ ვყოფილვარ. ვიცი, რომ იქ ცუდი რაღაცები ხდება და მერე ცალკეული პიროვნებების ხელით, ინდივიდუალურად გვარდება ეს პრობლემები. რეგიონის უსაფრთხოების ერთიანი სისტემა არ არსებობს და ცალკეული ადამიანების „სიყოჩაღეზეა“ დამოკიდებული ამ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ტერიტორიის ბედი. ქვეყნის უსაფრთხოების საკითხისადმი საზოგადოება რატომღაც გულგრილი და ლმობიერიც კი გახდა, აგრესია მხოლოდ პოლიტიკური პაექრობისას მძაფრდება. არადა, ჩვენ არ უნდა ვაძლევდეთ იმდენი ფუფუნების უფლებას საკუთარ თავს, რომ 5 წელი კორუფციის



**გაგრაში ან სოხუმთან გმირობის ჩადენას ხომ არ ვითხოვ. ელემენტარულს ვითხოვ ჩემი თანამემამულეებისაგან — ნუ იქნებიან ღორები. არ აიღონ ფული ან მხოლოდ იმდენს დასჯერდნენ, რაც ოჯახის სარჩენად ეყოფათ.**

დასამარცხებლად ვემზადოთ, 10 წელი ვსწავლობდეთ ბატალიონების შექმნას, 12 წელი კი აფხაზეთზე საერთოდ არ ვიფიქროთ... სირცხვილია, რაც დღეს ქვეყანაში ხდება. რა გახდა ერთი გზა, საიდანაც კონტრაბანდა შემოდის, რატომ ვერ მოვუხერხეთ ვერაფერი იმ კორუმპირებულ უწყებას, რომელიც გზებზე განუკითხავად თარეშობს? გაგრაში ან სოხუმთან გმირობის ჩადენას ხომ არ ვითხოვ. ელემენტარულს ვითხოვ ჩემი თანამემამულეებისაგან — ნუ იქნებიან ღორები. არ აიღონ ფული ან მხოლოდ იმდენს დასჯერდნენ, რაც ოჯახის სარჩენად ეყოფათ. ვინ უფრო მეტი დამნაშავეა — მეომარი, რომელმაც ვიღაცას მანქანა წაართვა, თუ გუშინდელი ქაჯი (მაპატიეთ, ცუდი სიტყვაა), რომელიც დღეს უკვე მილიონერი გახდა. როგორ შეიძლება ამ ქვეყნის შვილობაზე გქონდეს პრეტენზია და ხალხზე უკეთ ცხოვრობდე, ვინ მისცა ამის უფლება ამ ადამიანებს?!

**— აფხაზეთის მეომართა კავშირის წევრებმა შიმშილობა დაიწყეს, — ისინი საკუთარ სახლში დაბრუნებას ითხოვენ, როგორ უყურებთ ამ აქციას?**

— ძნელია ეს შიმშილობით ან მიტინგით გადაწყდეს, მაგრამ ამ ხალხის აღშფოთებამ კულმინაციას მიაღწია და გამოხატეს თავიანთი პროტესტი. საზოგადოება თავისი ცხოვრებით ცხოვრობს. აფხაზეთის პრობლემა დღითი დღე ნაკლებმტკივნეული ხდება. ამიტომ სცადეს მეომრებმა ხალხის გამოღვიძება. ამ ხალხმა წლების მანძილზე დარცხვენილმა, დამარცხებულმა იარაღ და დღეს მისცა თავს უფლება, ემოცია გამოეხატა — ეს ჯანსაღი ემოციაა.

ჩემთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა თავმოყვარეობის საკითხია. შევარდნაძემ სულ რომ ააყვავოს ეს ქვეყანა, ნავთობის შადრევნებმაც რომ ამოხთქოს მთელ საქართველოში და რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრებიც არ უნდა გავხდეთ, ყველაფერ ამას მაინც აფხაზეთის საკითხი გადაწონის. ჩვენი ერის გაჯანსაღება აფხაზეთიდან უნდა დაიწყოს. მჯერა, რომ პრეზიდენტს გააჩნია აფხაზეთის დაბრუნების რესურსი, მაგრამ მას არ იყენებს. შევარდნაძის ზედმეტად ზომიერი, „მომწიფების პოლიტიკა“ დღევანდელ მოთხოვნებს აღარ აკმაყოფილებს (აქ მხოლოდ აფხაზეთის საკითხს არ ვგულისხმობ). კომპრომისები აფხაზეთთან 10 წლის წინ უნდა გაგვეკეთებინა და 5 ათასი კაცი აღარ მოკვდებოდა...

დღეს აფხაზეთში ვითარება მწვავდება. არძინბას ოპოზიცია დაუპირისპირდა. ენგურს აქეთაც ხალხი აფხაზეთის დაბრუნების მოთხოვნით გამოდის. არის ინფორმაციები, რომლის ანალიზიც საშუალებას იძლევა ვთქვათ, რომ უახლოეს დღეებში აფხაზეთში საინტერესო პროცესები განვითარდება, მეტს ნუ მათქმევინებთ. უნდა ვეცადოთ, რომ ეს პროცესები აფხაზეთის დასაბრუნებლად გამოვიყენოთ.

**— ქართული ლიგა სერიოზულ საარჩევნო რესურსად ითვლება (14 ათასი კაცია მისი წევრი) ვის მხარეს აპირებთ დადგომას?**

— ლიგის ხელმძღვანელობაში ერთსულოვნება არ არის, მაგრამ შევთანხმდებით. მე მაგალითად, თოფაძის გუნდისადმი მაქვს სიმპათია...

**— თოფაძე რატომ არჩიეთ ნათესავ ჯორბენაძეს?**

— ჯორბენაძესთან პიროვნული ურთიერთობა მაქვს, რომელიც ნებისმიერ პოლიტიკურ სიმპათიაზე მაღლა დგას, მაგრამ ავთო სახელისუფლებო ბლოკის წევრია... ორგანიზაცია პარლამენტში ადგილებზე სავაჭროდ არ შეგვიქმნია.

***იზო რიკაძე***



# მსოფლიო ბანკის წარმატებული ალოობა კახეთში



სოფლის მეურნეობის აქტიური წარმომადგენლები, წვრილი და მსხვილი ფერმერები, ერთხმად დამეთანხმებიან, რომ ქართული ხორბლის რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები სერიოზულ წინააღმდეგობას უქმნის მათ ბიზნესს. მიუხედავად ამისა, საქართველოში მაინც მოიძებნებიან ადამიანები, ვისთვისაც ხორბლის კულტურის აღორძინება-განვითარებაზე ზრუნვა მხოლოდ მოგება-წაგება არ არის; მათი თქმით, ამ საქმეს პატრიოტული მიდგომაც სჭირდება.

პროექტი — „მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდება ხორბლის ჯიშების, „აისის“, „მცხეთა I“-ისა და სიმინდის ჰიბრიდის — „ქართული 9-ისა“ და „ივერია-70“-ის დანერგვა თესლის წარმოებით“ — საქართველოს ექვს რაიონში (მცხეთა, თეთრიწყარო, მარნეული, სიღნაღი, ლაგოდეხი, საჩხერე) მიმდინარეობს.

მსოფლიო ბანკის თანადგომით შპს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურმა 2003 წლის 1-ელი მარტიდან დაიწყო პროექტის განხორციელება. მისმა ხელმძღვანელმა ოთარ ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ „გაჭიანურებულმა ზამთარმა, ცუდმა ბუნებრივმა პირობებმა, მღრღნელების შემოსევამ დიდი ზიანი მიაყენა ნათესებს. მიუხედავად ამისა, ლაგოდეხის რაიონში მაინც წარმატებით მიმდინარეობს ტრანშით გათვალისწინებული სამუშაოები. სოფელ ლელიანის საცდელ ნაკვეთზე დაითესა ხორბლის ფაკულტატური ჯიშები: „აისი“ და „კობური“. ამ სახეობის ხორბალს სხვა განსაკუთრებული თვისებებიც ახასიათებს, ადვილად არ ავადდება, მაღალმოსავლიანია, ითესება წელიწადში ორჯერ — გაზაფხულსა და შემოდგომაზე“.

ფერმერმა ჟიული ლოლაძემ ხორბლის ის ნაკვეთები გვაჩვენა, სადაც ალოობა დღე-დღეზე უნდა დაიწყოს: „კახეთსა და ჰერეთში მკას უკვე შეუდგნენ, მომავალ კვირას ჩვენი ყანაც მოიჭრება და ალბათ, სათქმელი მაშინ უფრო მეტი გვექნება“. — გვითხრა ჩვენმა მეგზურმა.

პროექტში ჩართულია ექვსი ფერმერული მეურნეობა და როგორც თვითონ ამბობენ, გრანტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების შემდეგ, ექვსივე შეძლებს დამოუკიდებლად არსებობას. ამ დარგით დაინტერესებული ქართველი ფერმერები კი მიიღებენ საჭირო კონსულტაციებს, გაიზიარებენ გამოცდილებას და ხორბლის ახალ ჯიშებსაც აითვისებენ.

***„სპექტრის“ რედაქტორი მაია ყალაბეგაშვილი***

R

# საქართველოს პრეზიდენტს ამერიკა შეარჩევს



დასრულდა აშშ-ის საგანგებო დესპანის, ყოფილი სახელმწიფო მდივნის, ჯეიმს ბეიკერის ვიზიტი თბილისში. ამ ვიზიტს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა — აშშ-ს სერიოზულად აღელვებს საქართველოს პოსტშევარდნაძისეული ეპოქის ბედი.

ჯორჯ ბუშს შემთხვევით არ გაუგზავნია საქართველოში ჯეიმს ბეიკერი. რთული და დელიკატური პრობლემების განსახილველად სწორედ შევარდნაძის „პერესტროიკის“ დროინდელი მეგობარი გამოდგებოდა. ჯეიმს ბეიკერი პირველად თბილისში 1992 წელს, სამოქალაქო ომის დროს ჩაფრინდა შევარდნაძის მხარდასაჭერად, მეორედ კი — 1994 წლის შემოდგომაზე, როცა შევარდნაძე თავის პარტიას, „საქართველოს მოქალაქეთა კავშირს“ ქმნიდა.

ბეიკერის მესამედ ჩასვლამ საქართველოში დიდი ინტერესი გამოიწვია. მას ორი ისეთი პოლიტიკოსი ახლდა, რომელთა სიტყვას თეთრ სახლში დიდი ფასი აქვს — აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ელიზაბეტ ჯონსი და ეროვნული უშიშროების საბჭოს კოორდინატორი მედ ბრაიზერი. ბეიკერის მისია უპირველესად დაკავშირებული იყო ნოემბრის საპარლამენტო და ახალი პრეზიდენტის (2005 წ.) არჩევნებთან.

ოთხვარსკვლავიანი ოტელის „მარიოტის“ საპრეზიდენტო აპარტამენტებში დასვენების შემდეგ, ჯეიმს ბეიკერი ჯერ ამერიკის ელჩის რეზიდენციას ეწვია, სადაც ოპოზიციას შეხვდა. ბეიკერმა მასპინძლებს პირდაპირ მიანიშნა, საქართველოში ან სამართლიანი არჩევნები ჩატარდება, ან აშშ-ის პოლიტიკა შეიცვლება საქართველოს მიმართო. ეს შეხვედრა აგრეთვე შევარდნაძის შესაძლო მემკვიდრეების „გადანახულებას“ ჰგავდა. საყურადღებოა ის, რომ ბეიკერს არ მიუწვევია ე.წ. პრორუსულად განწყობილი პოლიტიკოსები. მან ასევე უარი თქვა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარესთან, ავთანდილ ჯორბენაძესთან შეხვედრაზე, ამით ყველას მიანიშნა, რომ ვაშინგტონი ჯორბენაძეს პრეზიდენტობის კანდიდატად არ მიიჩნევს. ეს ჟესტი აშკარად გააუარესებს მოქალაქეთა კავშირის პერსპექტივებს მომავალ არჩევნებში. შეხვედრაში არც ნინო ბურჯანაძეს მიუღია მონაწილეობა. არადა ადგილობრივი ანალიტიკოსების აზრით, სწორედ ნინო ბურჯანაძე შეიძლება იყოს ვაშინგტონისა და მოსკოვისთვის კომპრომისული ფიგურა. ოპოზიციის სხვა ლიდერები, ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილი, შეიძლება უფრო მისაღები იყვნენ ვაშინგტონისთვის, ვიდრე ქალბატონი ბურჯანაძე, მაგრამ მოსკოვისთვის ისინი კატეგორიულად მიუღებელნი არიან. ვაშინგტონი კი, ეტყობა, მოსკოვთან კომპრომისს ეძებს — საქართველოს ახალი ლიდერი ორივესთვის მისაღები უნდა იყოს.

ბეიკერისა და შევარდნაძის შეხვედრა პროტოკოლით გათვალისწინებულ დროს გადასცდა და სამ საათს გაგრძელდა. შევარდნაძემ ბრიფინგზე განაცხადა, არჩევნების გარდა, ჩვენ დეტალურად განვიხილეთ აფხაზეთის საკითხიცო. ამით მან მიანიშნა, რომ არ შეეწინააღმდეგება ვაშინგტონისა და მოსკოვის სტრატეგიულ კომპრომისს საქართველოს მომავალი ლიდერის თაობაზე, თუ ეს კომპრომისი აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნებას შეუწყობს ხელს.

როგორც ცნობილი გახდა, შევარდნაძემ ბეიკერთან საუბრისას მკაფიოდ აღნიშნა რეგიონში რუსეთის პოზიციების შესუსტებაში თავისი დამსახურება. იმედი გამოთქვა, რომ აშშ მეტ დაინტერესებას გამოიჩენს და აქტიურ მონაწილეობას მიიღებს სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების დარეგულირებაში. ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა შევარდნაძეს ჩამოუტანა ბუშის წერილი, რომელშიც გამოხატულია ამერიკის მზადყოფნა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში მონაწილეობისა. ეტყობა, ეს არჩევნების ამერიკული ვარიანტით ჩატარების საფასური იქნება...

თბილისიდან გაფრენის წინ ბეიკერმა ჟურნალისტებს ამცნო, რომ მან მოახერხა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მთავარი წინააღმდეგობის დაძლევა.

***კომერსანტი №116***

# საქართველოში არჩევნები საერთაშორისო პრობლემად იქცა

**საქართველოში ხუთდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა ეუთოს გენერალური მდივანი იან კუბიში, რომელსაც იგივე პრობლემა აწუხებს, რაც აშშ-ის ყოფილ სახელმწიფო მდივანს, ჯეიმს ბეიკერს — 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნები.**

ეტყობა, საქართველოს მომავალი პრეზიდენტის არჩევნები მთელ მსოფლიოს აღელვებს. თბილისიდან აშშ-ის პრეზიდენტის ემისარი ჯეიმს ბეიკერი გაემგზავრა თუ არა, იქ ევროსაბჭოს დელეგაცია ჩაფრინდა ჟან-კლოდ ჟოზეფის მეთაურობით. არჩევნები გახდა მთავარი თემა საქართველოში მყოფი ევროსაბჭოს „სამეულისთვისაც“, რომელსაც იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მარგარიტა ბონივერი ხელმძღვანელობს. ქ-ნმა ბონივერმა აღნიშნა, საარჩევნო კამპანიის სამართლიანად ჩატარებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვსო. გასულ კვირას „სამეული“ ეუთოს გენერალურმა მდივანმა იან კუბიშმა შეცვალა. შეგახსენებთ, რომ „ბეიკერის ფორმულის“ თანახმად, საქართველოს ცესკოს თავმჯდომარეს და საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს ეუთო დანიშნავს. მაგრამ ჯერჯერობით, არც ბატონ ბეიკერს და არც კუბიშს წარმოდგენა არა აქვთ, როგორ მოძებნის ეუთო საქართველოში რამდენიმე ათას „აპოლიტიკურ საზოგადო მოღვაწეს“.

გარდა ამისა, ბატონმა კუბიშმა რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნური მონაკვეთი მოინახულა, სადაც 1999 წლიდან ეუთოს წარმომადგენლები მონიტორინგს ახორციელებენ. მან დაადასტურა, რომ ეუთოს წარმომადგენლები საზღვრის დაღესტნის მონაკვეთზედაც დადგებიან. საქართველოს სასაზღვრო უწყებაში აცხადებენ, იან კუბიში კმაყოფილი დარჩა ქართველი მესაზღვრეების საქმიანობით და ეუთოს მონიტორინგითო.

კუბიში სამხრეთ ოსეთშიც ჩავიდა და თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტს ედუარდ კოკოითის შეხვდა. სამხრეთ ოსეთის ლიდერმა ევროპელ სტუმარს განუცხადა, — თბილისი არ იშლის სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ძალისმიერი მეთოდებით მოგვარებაზე ლაპარაკს. ამის დასტურია ის, რომ ქართულმა მხარემ მესაზღვრეები განალაგა რუსულ-ქართული საზღვრის სამხრეთ ოსეთის მონაკვეთზეო. „ერთმა ქართველმა მესაზღვრემაც რომ დაადგას ფეხი სამხრეთ ოსეთის მიწას, ეს შეიარაღებული კონფლიქტის განახლებას გამოიწვევს, — დასძინა პრეზიდენტმა. გარდა ამისა, ედუარდ კოკოითმა საქართველოს მოსთხოვა ომით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება, ხოლო რუსეთსა და ეუთოს ჰუმანიტარული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა.

***გაზეტა. რუ***

# საჰაერო დაზვერვა ნატოს საშუალებებით



ჩვენს ხელთ არსებული ცნობით, საქართველო საჰაერო სივრცეების დასაზვერად გამოიყენებს ნატოს საშუალებებს, კერძოდ კი „ავაქსის“ სისტემის თვითმფრინავს.

რუსეთის აზრით, ეს უფრო გაამწვავებს ისედაც დაძაბულ სიტუაციას სამხრეთ კავკასიაში. აღარ ვლაპარაკობთ იმაზე, თუ როგორ შეილახება რფ-ის ინტერესები, რომელიც შესაძლო რისკის თავიდან ასაცილებლად იძულებული იქნება, შესაბამისი ზომები მიიღოს.

არც საქართველოს და არც ალიანსს არ შეუტყობინებია რუსეთისათვის, თუ რა მიზანს ემსახურება ასეთი საჰაერო დაზვერვა, თანაც, კარგად არის ცნობილი „ავაქსის“ შესაძლებლობები, რომელსაც შეუძლია რუსეთის საჰაერო სივრცეში შეუსვლელად დაზვეროს მისი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი. ვიმედოვნებთ, რომ ნატო-რუსეთის საბჭოს შეთანხმების გათვალისწინებით, მივიღებთ შესაბამის განმარტებას.

ცნობილია, რომ საჰაერო მეთვალყურეობის მიზნით, ევროპაში შექმნილია თანამშრომლობის მექანიზმები. პირველ რიგში, ეს არის ხელშეკრულება ღია ცის შესახებ (მონაწილეები არიან რუსეთიც, საქართველოც და ნატოს ქვეყნებიც), სადაც დაფიქსირებულია სადაზვერვო ფრენების ზუსტი პროცედურები, გარანტირებულია ყველა მონაწილის უშიშროების დაცვა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ საქართველოს ამგვარი ქმედებები და გეგმები ეწინააღმდეგება მისი ხელმძღვანელობის მიერ დეკლარირებულ კურსს რუსეთთან თანამშრომლობის გაღრმავების დარგში და არც ნატოსთან ურთიერთობის ახალ კურსს მიესადაგება. ვვარაუდობთ, რომ ისევე, როგორც ნატოს, საქართველოს ხელმძღვანელობა ყველა ღონეს იხმარს, რათა ეს დაძაბული ვითარება გაანეიტრალოს.

***რფ-ის საგარეო საქმეთა სამინისტრო***
***10 ივლისი, 2003 წ.***





ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიხიობენ

**პატარა ლაშა გოგიას** ძლიერ უყვარდა კარაქი, ბებო კი ჭამას უშლიდა. როცა კითხვა ისწავლა შესაფუთ ქაღალდზე წაიკითხა: „კარაქი ნაღების“ და ბებიას უთხრა, — ახლა მივხვდი, რატომაც მიშლიდი, ბევრი არ უნდა შეჭამო, თორემ გაღებინებსო.

***

**4 წლის ანუკი ბალახაშვილმა,** რომლის მამა სამხედრო ნაწილში მსახურობს, დაინახა სამხედრო ნაწილიდან გამოსული ჯარისკაცები, დედიკოს უთხრა, — დედიკო, მამიკოები მოდიანო.

***

**პატარა ბაჩა ბაქრაძის** უფროსი ძმა, თაზო, ფეხბურთიდან საგურამოში წაიყვანეს ვარჯიშებზე. რამდენიმე დღეში ბაჩამ მოიწყინა და დედას უთხრა:

— დედიკო, სანამ თაზო ჩამოვა, მოდი რა, ერთი ბავშვი გამიჩინეო...

***

**პატარა დათა თადუმაძე** დედიკოს ეუბნება, — პატარა რომ ვიყავი, მაშინ ვამბობდი სამაკრატულოს, ახლა კი ვამბობ სმაკეროპრახეროსო (საპარიკმახერო).

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „ერთი სახის სიმდიდრეა, მას ხელი არ ეკიდება, არც წართმევა შეიძლება და არც ფულით იყიდება, მოხუცი და ახალგაზრდა ამ სიმდიდრით იდიდება.“

III



## იპოვე 10 განსხვავება



## I ანა, გამოიცანი

**1) ვის ეკუთვნის ოპერა „ლელა“?**

ა) ზაქარია ფალიაშვილს; ბ) ვიქტორ დოლიძეს; გ) რევაზ ლაღიძეს; დ) ვაჟა აზარაშვილს.

**2) რომელ სახელმწიფოზე არ გადის მდინარე ნილოსი?**

ა) ეგვიპტეზე; ბ) ლიბიაზე; გ) სუდანზე; დ) ეთიოპიაზე.

**3) რომელ წელს გამოცხადდა თბილისი საქართველოს დედაქალაქად?**

ა) 1122; ბ) 1188; გ) 1226; დ) 1310.

**4) რომელ ქალაქშია ლუვრის მუზეუმი?**

ა) პეტერბურგში; ბ) ბერლინში; გ) პრაღაში; დ) პარიზში.

**5) ვის ეკუთვნის გამოთქმა: „ყოველი ქართველი პოეტია, ხოლო ქართველი პოეტი — ორმაგად პოეტი“.**

ა) ევგენი ევტუშენკოს; ბ) ჰოვანეს თუმანიანს; გ) ლესია უკრაინკას; დ) რასულ ჰამზათოვს.

**6) ბიბლიის მიხედვით, წარღვნის შემდეგ რა გამოისახა ცაზე?**

ა) ცისარტყელა; ბ) ჯვარი; გ) ღმერთის სახება; დ) ანგელოზი.



**II რომელი ყვავილნარიდან არის მოკრეფილი თაიგული?**

მიიყვანე თხა ჭიშკართან



ზღაპარი

## რატომ ზრუნავს ყვავი გუგულის კვერცხებზე

ერთხელ ერთმა ანცმა ბიჭმა ბუს შურდულით გორახი ესროლა. გორახი ბუს კუდის ქვეშ გაეჩხირა და არა და აღარ დაუყუჩდა ტკივილი. შეწუხებული ბუ რჩევისათვის ყვავთან წავიდა.

— მე ექიმი არა ვარ, ძვირფასო, მაგრამ შემიძლია გუგულთან წაგიყვანო. ისაა მკურნალობის ოსტატი. აბა, გავფრინდეთო, — უთხრა ყვავმა.

მივიდნენ, მაგრამ გუგულმა უარი თქვა ბუს მორჩენაზე. მატყუარაა, გასამრჯელოს არ მომცემსო.

ყვავი თავდებად დაუდგა თავის მეგობარს და გუგულმა მაშინღა ინება ავადმყოფის გასინჯვა.

— შენი წამალი წყალია. იპოვე სადმე გუბე, ჩაყავი შიგ ბოლო და იჯექი, სანამ ტკივილი არ გაგიყუჩდებაო, — უთხრა მან ბუს.

მართლაც, ბუ ისე მოიქცა, როგორც ურჩიეს. წყალმა გორახი დაშალა და ტკივილიც გაუქრა.

ბუ გულაღერღილი დაბრუნდა შინ. მთელი დღე ლანძღავდა თავის თავს, გუგულთან სამკურნალოდ რად წავედიო.

— რა სულელი ვარ. კარგად რომ დავფიქრებულიყავი, მეც ხომ მივხვდებოდი, ბოლო წყალში ჩამეყოო.

იმ საღამოს გუგული ბუს მოსანახულებლად მივიდა და მოიკითხა:

— როგორ გრძნობ თავს, ძვირფასო?

— კარგადო, — მიუგო ბუმ და მადლობა გადაუხადა.

— მაშასადამე, სწორად მიმკურნალია, ხომ ასეაო! — ჰკითხა თავისი თავით კმაყოფილმა გუგულმა და გასამრჯელოსათვის ხელი გაუწოდა.

— რა ლამაზი ხელი გქონიაო! — წამოიძახა ბუმ, თითქოს ვერც მიხვდა, რას სთხოვდნენ.

გუგულს, როგორც ღირსეულ პიროვნებას, ფულზე ლაპარაკი დამამცირებლად მიაჩნდა. ის ხან აქედან ჩაუკრავდა სიტყვას, ხან — იქიდან, მაგრამ ვერა და ვერ იქნა, ბუ ვერაფერს მიახვედრა. ბოლოს და ბოლოს, გუგულმა იფიქრა: დამამცირებელია თუ არა, მე ჩემი უნდა მივიღოო და ბუს ჰკითხა:

— გასამრჯელოს საქმე როგორღააო?

— სამწუხაროდ, ვერაფერს გადაგიხდი. მე ხომ წყალმა მომარჩინაო, — უპასუხა ბუმ და გუგული თავისი სახლიდან მიაბრძანა.

სიბრაზისაგან აცახცახებული გუგული ყვავს მიუვარდა:

— აი, ხომ გეუბნებოდი! შენი ძვირფასი მეგობარი უარს ამბობს გასამრჯელოს გადახდაზე. მეუბნება, შენ კი არა, წყალმა მომარჩინაო.

— ო-ო, რა ხუმარაა ეს ბუ! ალბათ, შენი გაბრაზება მოინდომა, აბა, წამოდი, წავიდეთო, — ღიმილით უთხრა ყვავმა.

ყვავმა მიიყვანა გუგული ბუს სახლთან. სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, ჩიტებმა დააკაკუნეს, არავინ უპასუხა. კიდევ დააკაკუნეს, არც მაშინ გამოჩნდა ვინმე. მერე შეამტვრიეს კარი და შევიდნენ. სახლში არავინ დახვდათ.

— ნეტავ, სად არის ჩემი მეგობარი? — შეწუხდა ყვავი.

— სულაც არ მენაღვლება შენი მეგობარი. მე ჩემსას მოვითხოვ, რაკი თავდებად დაუდექი, ფულიც შენ მომეციო, — ბრაზობდა გუგული.

— ბუს ვალი რა ჩემი გადასახდელია! მით უმეტეს, კაპიკი ფული არა მაქვსო, — უარობდა ყვავი.

მაშინ გუგულმა სასამართლოში იჩივლა. მოსამართლემ დაადგინა: ფული ყვავმა უნდა გადაიხადოს, თუ არა აქვს, გუგულს უნდა ემსახუროს და მის კვერცხებს მოუაროსო.

ყვავმა განაჩენი მოისმინა და გუნებაში დაიფიცა: წავალ, ვიპოვი ბუს და მოვკლავო. ბუმ გაიგო მისი მუქარა და ფუღუროში დაიმალა. მას შემდეგ სულ ფუღუროში ზის. სანადიროდ მხოლოდ ღამით, როცა ყვავს სძინავს, მაშინ გამოდის.

ის გორახი, მრავალი წლის წინ ანცმა ბიჭმა ბუს რომ ესროლა, ფრინველთა სამყაროში დღესაც ახსოვთ. ყვავი დღემდე დაეძებს ბუს. ბუ კი სულ ფუღუროში იმალება და გარეთ ღამღამობით გამოდის.

ჰოდა, მას შემდეგ საწყალი ყვავი უვლის და უვლის გუგულის კვერცხებს.

## IV თავსატეხი

**ქვემოთ მოცემულ თითოეულ სიტყვას თავში ან ბოლოში დაუმატე რომელიმე მუსიკალური ნოტი და მიიღე სხვა მნიშვნელობის სიტყვები:**

**ს კ ა** — **ფ ა რ ი**

**მ ი ნ დ ი** — **გ ო რ ი**

## ანდაზები

- **შეემატოს მღვიძარესო, შემოაკლდეს მძინარესო.**
- **შინ მტრის ყოლას, ღომის გზაზე წოლა სჯობიაო.**
- **კაი კაცობით ნაშოვნი ლუკმა ტკბილიაო.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაქტერია ანუ... | პლუსის საწინააღმდეგო | დედა ნახე, ... ნახე, შვილი ისე გამონახე | კამის მსგავსი მცენარე | ქონი, ზეთი და ა.შ. | ნუსხა | |
| ღია, მკრთალი | წმინდა სილა | უარყ. ნაწილაკი | გამბედაობა | ნოტი | ახალი ... კარგად გვისო | საგანგებო დავალება |



ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

**ბიზანტია–ირანის მორიგი დაპირისპირების ფონზე საქართველომ VII საუკუნეში შეაბიჯა. ქართლის ერისმთავარი კვლავ დამოუკიდებლობის მომპოვებელი და მცხეთის ჯვრის ტაძრის აღმშენებელი სტეფანოზია. ირანში ზეობს ხოსრო მეორე. ბიზანტიაში 602 წელს სამხედრო გადატრიალება ხდება — იმპერატორის ტახტს ერთ–ერთი ცენტურიონი, ანუ ასისთავი ფოკა იკავებს, რომელიც მავრიკეს ყელის საწყალ საყარძელს. ახლა კი მიეცა საბაბი ირანის შაჰს, მოესხა სამართლიანობის მანტია და ჩარეულიყო ბერძენთა საქმეებში. საბაბიც თითქოს რაინდული იყო, — უფრო ადრე მავრიკი მიეხმარა მას აჯანყებულ სარდალ ბაჰრამ ჩუბინისაგან ტახტის დაცვაში.**

**... და დაიწყო მორიგი დიდი დაპირისპირება: ბიზანტია–ირანი. მთავარი არენა და ობიექტი ამ დაპირისპირებისა კვლავ კავკასია და საქართველოა — ქართლი და ეგრისი.**

# რელიგიური განხეთქილებიდან თბილისის პირველ ტრაგედიამდე



## ქართული და სომხური ეკლესიები გაითიშნენ

არნახულად გამწვავდა რელიგიური საკითხიც, რაც გარეგნულად გამოვლინდა უთანხმოებაში ქართლისა და სომხეთის ეკლესიის მეთაურებს შორის. ეს იყო მონოფიზიტ და დიოფიზიტ (ანუ ქალკედონელ) ქრისტიანთა დავა. მაგრამ რეალურად, ყველაფერ ამას საფუძვლად ედო პოლიტიკურ-კულტურული ორიენტაციის საკითხი.

გავიხსენოთ — ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრებამ ჭეშმარიტ მოძღვრებად დიოფიზიტობა, ანუ ქრისტეს ორბუნებიანობა აღიარა, მონოფიზიტობა მწვალებლობად შერაცხა. კავკასიაში, იმის მიხედვით, ბიზანტიის ჰეგემონია იყო თუ ირანისა, ხან ერთი მოძღვრება მძლავრობდა, ხან მეორე. ირანი იქ, სადაც მაზდეანობას ვერ ავრცელებდა, მხარს უჭერდა ქრისტიანობის იმ მოძღვრებას (ანუ მონოფიზიტობას), რომელიც იდევნებოდა ბიზანტიაში.

საბოლოოდ ყველაფერი 608 წელს ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის განხეთქილებით დასრულდა. ამიერიდან, და საუკუნოდ, ქართული ეკლესია მართლმადიდებლურ პოზიციაზე დარჩა — აღიარა ქრისტეს ორბუნებიანობა, ანუ ადამიანური და ღვთაებრივი საწყისი, ხოლო სომხებმა მონოფიზიტობას მისცეს უპირატესობა.

სხვათა შორის, ჩვენი მეზობლები დღესაც გამორჩეულნი არიან თავიანთი რწმენით დანარჩენი ქრისტიანული სამყაროდან. უნდა ვაღიაროთ, რომ მართალია მათ ჭეშმარიტი, მართლმადიდებლური რწმენიდან გადაუხვიეს, მაგრამ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე და ახლაც, მთელ დედამიწაზე გაფანტული სომხების თვითმყოფადობის შენარჩუნებაში სომხურმა ეკლესიამ გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია.

## ქართველ და სომეხ კათოლიკოსთა პაექრობა

ყველაფერი კი (ამ ამბების მთავარი წყაროს, სომხურ ენაზე შემორჩენილი „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით) ასე დაიწყო:

ქვემო ქართლში, ცურტავის საეპისკოპოსოს განაგებდა წარმოშობით სომეხი მოსე, — მონოფიზიტი. როგორც ჩანს, სომხური ეკლესიის მესვეურების წაქეზებით ქალკედონური აღმსარებლობის ძაგება დაიწყო თავის მრევლში, მაგრამ მისი ქადაგება მარცხით დასრულდა და იძულებული გახდა 605 წელს სომხეთში გაქცეულიყო. მოსემ თავისი საქმის მეოხად სომხური ეკლესიის მეთაურებს მიმართა.

ქართველთა კათოლიკოსი ამ დროს კირიონ პირველი იყო, — ღრმად განათლებული და შორსმჭვრეტელი, სომხებისა კი — აბრამი. ფართო ეპისტოლარული პაექრობა გაჩაღდა სომეხთა ეკლესიის მესვეურების და მთავრებისა კირიონ პირველთან. ლტოლვილი რენეგატი, უკვე ეპისკოპოსი მოსე უფრო შორს წავიდა და სომეხი პოლიტიკური მოღვაწეებისგან სამხედრო აგრესიასაც მოითხოვდა.

ირანის შაჰის სომეხი დიდმოხელე სუმბატ ბაგრატუნი კირიონს დემაგოგიურად მიმართავდა და „ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე“ დაბრუნებას ურჩევდა: „შაჰის მფარველობის ქვეშ მყოფნი ორივე ხალხი ერთად ვიყავით სარწმუნოებით და ახლაც აუცილებელია ჩვენი შეერთებაო“. მსგავსი არგუმენტები მოჰყავდა თავის წერილებში კათოლიკოს აბრამს.

## კირიონ კათოლიკოსი — მართლმადიდებლობის დამცველი

სომეხთა „შეგონება“ უშედეგო აღმოჩნდა. მათ წინააღმდეგ ხომ კირიონ კათოლიკოსი იყო... წარმოშობით ჯავახეთიდან ყოფილა — ქართველ ერისთავთა წარჩინებული გვარიდან. მძევლად წაყვანილი, ბიზანტიაში აღიზარდა, სადაც მშვენიერი ქრისტიანული განათლება მიიღო. ამის შემდეგ სომხეთში, ქალაქ დვინში მოუწია მოღვაწეობა, სადაც მაღალ საეკლესიო რანგს მიაღწია. ამის შემდეგ ბრუნდება სამშობლოში და კათოლიკოს ბართლომეს გარდაცვალების შემდეგ, 599 წელს, ქართული ეკლესიის მღვდელმთავრად ირჩევენ. კირიონ კათოლიკოსს იმდენად დიდი ავტორიტეტი ჰქონია, რომ ერთ-ერთი ვერსიით, მისი ინიციატივით გადამდგარა ერისმთავარი სტეფანოზი 602 თუ 603 წელს და ამ თანამდებობაზე დიოფიზიტობის მომხრე ადარნასე აურჩევიათ.

კირიონ კათოლიკოსი არ იფარგლებოდა მხოლოდ რელიგიური მეთაურის საქმიანობით, არამედ აქტიურ ეროვნულ-პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ეწეოდა... ქვემო ქართლში, სადაც სომხური თემებიც ცხოვრობდნენ, მათთვის სავალდებულოდ, მღვდელმსახურების ენად ქართული გამოაცხადა.

... სომეხი მმართველები დარწმუნდნენ კირიონის პოზიციის სიმტკიცეში. ახლა კი აბობოქრდა კათოლიკოსი აბრამი და პირვანდელი ტაქტი მუქარითა და შეურიგებელი შეტევით შეცვალა.

608 წელს სომეხთა კათოლიკოსმა გამოსცა „საყოველთაო ეპისტოლე“, რამაც ფაქტობრივად „გააფორმა“ სომეხ-ქართველთა რელიგიური განხეთქილება. აბრამმა ფაქტობრივად დაწყევლა ქართველნი. აუკრძალა თავის თვისტომთ ყოველგვარი კავშირი ქართველებთან (და კავკასიის ალბანელებთანაც), — პოლიტიკურიც, კულტურულიც, სოციალურიც... არც ცოლი მოიყვანოთ მათგან და არც გააყოლოთო... ერთი კია! — სომხებისთვის დამახასიათებელი პრაქტიკული ჭკუა იხმარა და მათთვის სასარგებლო ერთი მხარე ნამდვილად არ დაივიწყა: მხოლოდ ივაჭრეთ — იყიდეთ და გაყიდეთო.

საინტერესო ფსიქოლოგიაა... თუ რწმენის გამოა მოკვეთილი პიროვნება ან მთელი ხალხი, ვაჭრობა-სოვდაგრობა რა, ურთიერთობის ნაწილი არ არის?

**...აბრამმა ფაქტობრივად დაწყევლა ქართველნი. აუკრძალა თავის თვისტომთ ყოველგვარი კავშირი ქართველებთან (და კავკასიის ალბანელებთანაც), — პოლიტიკურიც, კულტურულიც, სოციალურიც... არც ცოლი მოიყვანოთ მათგან და არც გააყოლოთო... ერთი კია! — სომხებისთვის დამახასიათებელი პრაქტიკული ჭკუა იხმარა და მათთვის სასარგებლო ერთი მხარე ნამდვილად არ დაივიწყა: მხოლოდ ივაჭრეთ — იყიდეთ და გაყიდეთო.**

**საინტერესო ფსიქოლოგიაა... თუ რწმენის გამოა მოკვეთილი პიროვნება ან მთელი ხალხი, ვაჭრობა-სოვდაგრობა რა, ურთიერთობის ნაწილი არ არის?**

## ბიზანტიის ტახტი ჰერაკლე კეისარმა დაიკავა

როგორც ვიცით, V საუკუნის დასაწყისში დიოფიზიტურ ბიზანტიას ძნელი დღეები ედგა. ხშირი იყო სატახტო შეთქმულებანი და სამეფო გადატრიალებანი. მორიგი ამბოხი 610 წელს მოხდა. ყოფილი ცენტურიონი, იმპერატორი ფოკა ტახტიდან კართაგენელი სასულიერო პირის, ეგზარქოსის შვილმა ჰერაკლემ (610-641) ჩამოაგდო და ისევე სასტიკად გაუსწორდა მას და მისი ოჯახის წევრებს, როგორც ფოკა თავის დროზე, წინამორბედ მავრიკის.

გადატრიალების პირველ ხანებში, ვერც ჰერაკლე აღწევს წარმატებას. პირიქით, ირანმა წაართვა მას სირია-ანტიოქია, ხოლო იერუსალიმის აღების შემდეგ, 614 წელს ხოსრო მეორემ გააძლიერა დიოფიზიტთა დევნა: ყველა ქრისტიანმა, ვინც შაჰის მორჩილი იყო, სომეხთა სარწმუნოება უნდა მიიღოსო. ამიტომ იყო, რომ კირიონ კათოლიკოსი ადარნასესთან ერთად ტოვებს ქართლს, ეგრისში გადადის და ფაზისის მიტროპოლიტი (კიროსი) ხდება. ადარნასე კი უფრო „ახლოს“, კახეთს აფარებს თავს. ბიზანტიელი ისტორიკოსის თეოფანე ჟამთააღმწერლის მიხედვით, ერისმთავრობა ვარსამუსემ მიიღო.

ჰერაკლე კეისარმა 20-იანი წლებიდან განაახლა ბრძოლა ირანთან. კვლავ ორ ბანაკში აღმოჩნდნენ ქართველები: მონოფიზიტები ირანელებისკენ, ხოლო დასავლეთ ქართველნი (ეგრისელები და აფხაზები) დანარჩენ ქალკედონიკ ქართველებთან ერთად ჰერაკლეს მხარეს.

ჰერაკლემ იცოდა, რომ ირანელთა მთავარი დასაყრდენი კავკასიაში თბილისი იყო და მიზნად დაისახა მისი აღება. აქ კი ბოლომდე ველარ დაეყრდნობოდა ქართველებს და მთავარი მოკავშირის ძიება დაიწყო. მონახა კიდეც. ეს იყო თურქთა სახელმწიფო, ე. წ. თურქთა დასავლეთის კაგანატი, რომელიც აზოვის ზღვიდან და მდ. დონიდან ალტაის მთის ძირებამდე იყო გადაჭიმული. მათ მთელ შუა აზიაში უებრო მეომართა სახელი ჰქონდათ გავარდნილი. თურქთა კაგანატის შემქმნელ ისტემს ბიზანტიელი ისტორიკოსის მენანდრეს გადმოცემით შემდეგი სიტყვებით გაულაშქრია ავარებზე: „ავარები ჩიტები არ არიან, რომ ჰაერში ფრენით თურქთა ხმლებს გადაურჩნენ, არც თევზები არიან, რომ ზღვის სიღრმეში გაუჩინარდნენ; ისინი ხმელეთზე დაეხეტებიან... ხმელეთზე კი ველარ გაექცევიან ჩემს ხმალს“... ბიზანტიელებმა თურქები უზარმაზარი სიმდიდრით დააინტერესეს.



ადარნასე

ამას გარდა, ჩინეთიდან გამოსული აბრეშუმის გზა ევროპისაკენ კავკასიასა და თბილისზე გადიოდა. სწორედ ამ გზის კონტროლი იყო თურქთა და ბიზანტიელთა დაახლოების ერთ-ერთი მიზეზი.

სხვადასხვა მოდგმის თურქებს შორის ხაზარები გამოირჩეოდნენ.

627 წელია. მომთაბარენი დარუბანდის გზით შემოვიდნენ კავკასიაში. სომეხი მემატიანის მოსე კალანკატვაცის სიტყვებით, ეს იყო მართლაც „საშინელი რისხვა — ბოროტი, უტიფარი, ფართოსახიანი, უწამწამო, ქალივით თმაგაშვებული ბრბო“. ამ ბრბომ გაანადგურა ალბანეთი და „...დაიძრა აზვირთებული ნიაღვარი და აბობოქრებული მდინარე ქართველთა ქვეყნის წინააღმდეგ, გარს შემოერტყნენ ნებიერს, მოვაჭრე და სახელგანთქმულ დიდ ქალაქს ტფილისს“. შეხვდნენ ერთმანეთს მოკავშირეები თბილისის გალავანთან. ჰერაკლე კეისარი და ჯიბღუ (თურქ-ხაზართა სარდალი) თავის შვილ შათისთან ერთად. კეისარმა, უფრო რომ დაეინტერესებინა, ჯიბღუს უძღვნა თავისი ქალიშვილის — ულამაზესი ევდოკიას გამოსახულება და უთხრა, — აი, ჩემი ქალიშვილი — რომაელი ავგუსტა. და დახმარების სანაცვლოდ ცოლად მიცემას დაჰპირდა. ჯიბღუმ ჰერაკლეს თავისი უმწიფარი ძე, შათი (შათი ბური) წარუდგინა... გაბრტყელებულსახიან, სტეპის მკვიდრს სურათიდან ქერათმიანი და თეთრყირმიზა ულამაზესი ასული შეჰყურებდა... ჯიბღუ ევდოკიას სილამაზით ალმოდებული კიდევ უფრო შეუკავშირდა ბიზანტიელებს (თანაც, იმდენად მოიხიბლა მშვენიერი რომაელი ქალის სახებით, რომ საკუთარი ვაჟისთვისაც აღარ ემეტებოდა).

კეისარმა დიდი ნადიმი გადაიხადა და მთელი უძვირფასესი სანადიმო ჭურჭელი, ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ოქროსა და ვერცხლის თასები, სურები და კათხები თურქ-ხაზართა წინამძღოლს მიუძღვნა. რაც შეეხება ევდოკიას, შემდგომ, გამარჯვებულ ბიზანტიელებს აზრადაც აღარ მოსვლიათ თავიანთი მშვენიერი ასულის „გაჩუქება“...

## ნებიერი ქალაქის თავდაცვა და აოხრება

თბილისი დაცვისათვის საფუძვლიანად იყო მომზადებული. ციხის გასამაგრებლად ირანელებმა წინასწარ ათასმხედრიანი გარნიზონიც მიახმარეს შარგაპაგის მეთაურობით. ქალაქის დამცველებს ერთი ვერსიით, ქართლის ერისმთავარი ვარსამუსე ხელმძღვანელობდა. თბილისის დამცველები შეუპოვრად იბრძოდნენ. ბიზანტიელებმა საალყო ტექნიკის ყველა ხერხი გამოიყენეს: თან ჰქონდათ ოთხთვლიანი მანქანები და ბერძენ ოსტატთა მიერ შექმნილი კატაპულტები, რომლებიდანაც უზარმაზარ ლოდებს ზუსტად, მიზანში ისროდნენ და ციხის კედლებს ანგრევდნენ. მეციხოვნენი კი არ ნებდებოდნენ და დაბზარულ და შენგრეულ კედლებს მსწრაფლ აღადგენდნენ და კვლავ ბრძოლას აგრძელებდნენ.

სხვა ხერხიც იხმარეს მოალყეებმა: ვიწრო ადგილას მდინარე მტკვარი ლოდებით გატენილი ხარისა და კამეჩის ტყავისგან დამზადებული რუმბებით დააგუბეს და მდინარე ქალაქში შეუშვეს. ვერც ამით გატეხეს თბილისის დამცველთა სიმტკიცე და სულიერი მხნეობა. მოიქანცნენ მომხდურნი, დიდი ზარალი ნახეს, ამიტომაც გადაწყვიტეს — მოეხსნათ ალყა, თბილისს გასცლოდნენ და მისი აღება შემდგომისთვის გადაედოთ, იმ დროისთვის, როცა თვით ირანს დაამარცხებდნენ.

როდესაც ქალაქის დამცველებმა გამარჯვების მოახლოება იგრძნეს, მტრის დაცინვის ხასიათზე მოვიდნენ. საიდანღაც იშოვეს დიდი გოგრა, გადმოდგეს ციხის ქონგურებზე, მოხატეს ადამიანის გამოსახულებით და თურქ-ხაზარებს დაცინვა დაუწყეს — აი, თქვენი ბრტყელსახიანი ჯიბღუ ხაკანიო. არც პირხმელი აღნაგობისა და გრძელწვერა ჰერაკლე კეისარს „დასწყვიტეს გული“ — ბიზანტიელებს გასძახოდნენ, თქვენს კეისარს თხის წვერი და ვაცის კისერი აქვს, ბილწი და მამათმავალიაო!..

გაბოროტდნენ მეალყენი, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს, ალყა მოხსნეს. ერთი კი მოილაპარაკეს, მომდევნო წელს უფრო დიდი ძალით გამოელაშქრათ. ასეც მოიქცნენ: მომდევნო, 628 წელს ბიზანტიელებმა ჯერ ირანის ახალი შაჰი კავადი დაამარცხეს და შემდეგ კვლავ საქართველოსკენ გამოეშურნენ.

უფრო ადრე თბილისს თურქ-ხაზარები მოადგნენ. როგორც ჩანს, ქალაქი ამჯერად სათანადოდ ვერ მოემზადა და ორი თვის ალყის შემდეგ თბილისი დაეცა. ქალაქში შეჭრილმა დამპყრობლებმა ველური ჟინით დაიწყეს მოსახლეობის ჟლეტა. არ ინდობდნენ არავის, დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს... „და როდესაც შეწყდა წუხილისა და გოდების ხმები და აღარც ერთი არ დარჩა ცოცხალი, მაშინ ისინიც მიხვდნენ, რომ გამძღარიყვნენ მათი ხმლები“ — წერდა თეოფანე ჟამთააღმწერელი.

დღიდან დაარსებისა, თბილისს არ ახსოვდა ასეთი საშინელი დღე. სასტიკად ააოხრეს ქალაქი და უამრავი სიმდიდრე იგდეს ხელთ. მთელ ჯარს ზურგით მიჰქონდა განძით სავსე ყუთები და თავიანთი მბრძანებლის წინაშე ახვავებდნენ. იმდენ ხანს მიჰქონდათ ნაალაფარი, რომ მბრძანებლებს ცქერაც კი მოსწყინდათ ოქროსა და ვერცხლის ფულის ურიცხვი სიმრავლისა. ხოლო ვინ მოთვლის, მარგალიტის ქვებით მოოჭვილ საეკლესიო სამკაულს და ჭურჭელს, ჭიქები და სასმისები ვერცხლისა ოქროს ქანდაკებით მოჭედილნი ნადავლად წამოეღოთ თბილისიდან...

ბიზანტიელებს კი თავიანთი ანგარიში ჰქონდათ თბილისელებთან. კეისარს დიდი სისასტიკე გამოუჩენია თბილისელი წარმართებისა და ცეცხლთაყვანისმცემლების მიმართ: „ყოველნი მოგუნი და ცეცხლისა მსახურნი ანუ მოინათლნენ, ანუ მოისრნენ“. ასევე სასტიკად მოექცნენ მონოფიზიტ ქართველებს და ამ ღონისძიებით ჰერაკლემ „განწმინდა შჯული ქრისტესი და წარვიდა“.

**საქართველოში ბიზანტიის პოლიტიკური ჰეგემონია დამყარდა. ქართლის ერისმთავრობა კვლავ ადარნასემ მიიღო. იმპერატორი ხელსაც კი უწყობდა ქართლის ერისმთავრის ხელისუფლების გაძლიერებას. ეგრისში კი პირიქით — თანდათანობით გააუქმეს ადგილობრივი მეფის ხელისუფლება.**

**ქართლისა და ეგრისის ერთმორწმუნე ბიზანტიის გავლენის ქვეშ ერთად მოქცევა ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა ორი ქართული პოლიტიკური ერთეულის, ამიერისა და იმიერის შემდგომი დაახლოება-შერწყმისათვის.**

***ისტორიული წყაროების მიხედვით ქართლი VII საუკუნის პირველ ნახევარში მიმოიხილა ნოდარ შოშიტაშვილმა***

CMYK



# დათო დვალიშვილი: კარგად გამსინჯეთ, ნახეთ, ხომ ვარ კაი მკვდარი!

**ამ ხალისიან, ენერგიით სავსე ადამიანს თითქმის ვერასოდეს ნახავთ უგუნებოდ. პროფესიონალიზმის, კეთილშობილების, ხალასი იუმორის შეზავებით იქმნება საინტერესო პორტრეტი პიროვნებისა. იყო მსახიობი, ეს უკვე ნიშნავს გაწირო თავი დიდი შრომისათვის, განუწყვეტელი ფიქრისათვის, მუდმივად ყურადღების ცენტრში ყოფნისათვის.**

ბატონი დავითი ამბობს:

— მსახიობი რომ ხარ, ფიქრით უნდა გაგისკდეს თავი! სულ უნდა ფიქრობდე, რა შემატო როლს, როგორ შექმნა პერსონაჟი. და კიდევ... უმნიშვნელოვანესია თეატრის სიყვარული, ისეთი დამოკიდებულება მასთან, როგორც ცოცხალ არსებასთან. პირველად თეატრში, როგორც მსახიობმა, ფეხი 21 წლისამ შევდგი. ეს იყო ქუთაისის თეატრში (თუმცა გულში ყოველთვის მარჯანიშვილის თეატრში თამაშზე ვოცნებობდი). თეატრის დირექტორმა, ცნობილმა მსახიობმა შოთა პირველმა დამიძახა: — მოდი, ბიძია, აქ. ეს არის სცენა. აქ ხმამაღალი ლაპარაკი და ბრახაბრუხით სიარული არ შეიძლება. ფეხის წვერებზე უნდა იარო და ჩურჩულით ილაპარაკოო. ეს იყო 1970 წლის აგვისტოში. ახლა 2003 წლის აგვისტო მოდის და მე ეს კანონი არ დამირღვევია.

ფეხაკრეფით დავდივარ და ჩურჩულით ვლაპარაკობ. ძალიან მნიშვნელოვანია, ვინ გხვდება თეატრში. უნდა მოიცალოს დამწყები მსახიობისათვის გამოცდილმა მსახიობმა, აუხსნას, უჩვენოს... არის წამი, როცა ერთი კეთილი სიტყვაც კი სამუდამოდ შენი მეგზური ხდება.

**— თქვენ ვერ დაიჩივლებთ, იღბლიანი მსახიობი ხართ. პირველი დღეებიდანვე შეგამჩნიეს და როლები არ დაგკლებიათ.**

— 33 წელიწადში 150-მდე როლი მაქვს ნათამაშები. თეატრი დაუნდობელია. მერე დგება დრო, როცა მას აღარ სჭირდები. რაც დრო გავა, როლები ჩემთვის ნაკლები იქნება... ერთხელაც აღარ დასჭირდები და ეგ იქნება. მე ამას შეგუებული ვარ. მესხიშვილის თეატრში კაპიტონ აბესაძე გვყავდა, დიდებული ადამიანი. ბოლოს დაბრმავდა, მაგრამ მაინც მოდიოდა, ესწრებოდა სპექტაკლებს, უხაროდა ჩვენი წარმატება, ვუყვარდით საოცრად: აბა, ბიძია, შენ იციო! — გვამხნევებდა. თეატრის სიყვარული სენივით არის, ინსტინქტამდეა დასული. იაშა ტრიპოლსკის საოცარი მეხსიერება ჰქონდა. გახმოვანებისას ერთ ფურცელს ერთი წაკითხვით დაისწავლიდა. ასეთ კაცს უცებ გონება დაებინდა, მაგრამ იმას მაინც კარნახობდა, რომ თეატრში მოსულიყო. იქ დარჩენილი სხივი თეატრს არ ავიწყებდა. ხშირად იპარებოდა კიდეც შინიდან და მოდიოდა.

ასევე იყო ბატონი ტარიელ საყვარელიძეც. მარტო რომ ველარ უშვებდნენ, მანქანით მოჰყავდათ... სხვათა შორის, გვიან შევატყვეთ, რომ ავად ხდებოდა... კახეთში ვიყავით ზაფხულში საგასტროლოდ. უცებ ტექსტი დაავიწყდა. რა დამემართა, ბოშო, ესო, — ჩაიბუბუნა.... მერე ისევ დაავიწყდა. რა არის, ბიჭო, რა მომდისო... გაუკვირდა, შეცბა. „ჩემი ქვეყნის ოქროყანას“ რომ კითხულობდა ტარიელი, იმისი დავიწყება როგორ შეიძლებოდა! ჩამოვედით თბილისში. ერთ თვეში უკვე მძიმე ავადმყოფი იყო და მაინც მოდიოდა თეატრში, თუმცა ზოგჯერ სრულიად გაუცნობიერებლად, მაგრამ მაინც... აი, ეს არის თეატრის ძახილი.

**— თუ გქონიათ დიდი მონატრების განცდა თეატრისადმი. მაგალითად, თუ მისულხართ თეატრში, როცა არც რეპეტიცია გქონდათ, არც სპექტაკლი.**

— ჩვენ სულ თეატრში ვიყავით. გვქონდა საქმე თუ არა — მაინც მოვდიოდით. ავტეხდით ამბავს — რატომ არ გვიშვებთ შვებულებაში, გაგვიშვითო... გაგვიშვებდნენ. მოვდიოდით და თეატრში ვისხედით. რას ითხოვთ ამ შვებულებას, თუ მაინც აქ უნდა იყოთო, — გვეტყოდნენ.

**— ბევრი დიდი მსახიობი დაგხვდათ თეატრში. მათთან ურთიერთობის წლები და დღეები თქვენი სიმდიდრე იქნება...**

— ახალი მოსული ვიყავი თეატრში და ქალბატონ ვერიკო ანჯაფარიძის დაბადების დღეზე მოვხვდი. ვუყურებდი, როგორ დაფარფატდაფუსფუსებდა ვერიკო. ბავშვებო, ჩაის დალევთო? — გვკითხა... მოკლედ, გვმასპინძლობდა. სოფიკო ჭიაურელი დიასახლისობდა... მივიდა ქალბატონი ვერიკო ონკანთან, წყალი მოუშვა. ეტყობა, რაღაც უნდოდა გაეკეთებინა. სოფიკომ ხელი მოჰკიდა და — გამოდი, აქეთ, დედაო, — მოხუც მშობელს გაუფრთხილდა, საქმეს აარიდა; მაგრამ მე გავოგნდი — ჩემთვის წარმოუდგენელი იყო ვერიკოსთვის ასე თამამად მიემართა ვინმეს.

**— იქნებ კიდევ გვიამბოთ რამე, სადაც გამოჩნდება თქვენი — მსახიობების — ურთიერთდამოკიდებულება.**

— ღმერთმა ქნას, მაყურებელი გვყავდეს, წამკითხავი, მომსმენი, გამგონე არ დაილიოს საქართველოში. ერთმანეთის სიყვარული ნუ მოგვიშალოს ღმერთმა. ოთარ მეღვინეთუხუცესს 70 წლის იუბილე აღვუნიშნეთ ძალიან ორიგინალურად... არ მინდა იუბილეო, — ამბობდა. არადა, ჩვენ გვინდოდა აღგვენიშნა. 11 ივლისს შევკრიბეთ ფული, ვიყიდეთ ღვინო, სანოვაგე, მოვიწვიეთ ჩვენი ორკესტრი. თეატრის დირექტორმა, გაიოზ კანდელაკმა დაუძახა ოთარს, — ამოდი აქ, ერთი, ნახე, ოთახი გაუტეხიათო. რას ჰქვია, გაუტეხიათო, — გადაირია ოთარი. ამოვარდა ზემოთ და დავხვდით შეძახილით — მრავალჟამიერ!.. ადამიანს უხარია ყურადღება, კეთილი დამოკიდებულება, არტისტს — განსაკუთრებით.

**— ამბობენ, კულისებში ბევრი საინტერესო ამბავი ხდება და იმაზე ნაკლები ღირებულებისა როდია, ვიდრე სცენაზე მომხდარი. მაყურებელს არა აქვს კულისების ნახვის საშუალება. იქნებ გვიამბოთ, გაგვაცნოთ კულისები, იქაური ამბები.**

— კულისები ჩვენი საქმეა... ნუ გაინტერესებთ მაყურებელს. ეს ჩვენი სამზარეულოა. კარგი დიასახლისი არ მიაკარებს ქვაბთან სხვას... ვხუმრობ, რასაკვირველია... რა თქმა უნდა, კულისები საინტერესოა. საოცარი ამბები ტრიალებს იქ, ოღონდ ეს ჩვენი საიდუმლოა. მე გიამბობთ ამბებს, რომლებიც სცენაზე მოხდა:

**— ახალი მოსული ვიყავი თეატრში და ქალბატონ ვერიკო ანჯაფარიძის დაბადების დღეზე მოვხვდი. ვუყურებდი, როგორ დაფარფატ-დაფუსფუსებდა ვერიკო. ბავშვებო, ჩაის დალევთო? — გვკითხა... მოკლედ, გვმასპინძლობდა. სოფიკო ჭიაურელი დიასახლისობდა... მივიდა ქალბატონი ვერიკო ონკანთან, წყალი მოუშვა. ეტყობა, რაღაც უნდოდა გაეკეთებინა. სოფიკომ ხელი მოჰკიდა და — გამოდი, აქეთ, დედაო, — მოხუც მშობელს გაუფრთხილდა, საქმეს აარიდა; მაგრამ მე გავოგნდი — ჩემთვის წარმოუდგენელი იყო ვერიკოსთვის ასე თამამად მიემართა ვინმეს.**

ქუთაისის თეატრში ილარიონს ვთამაშობდი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“. ისეთი დეკორაცია გვქონდა, შემაღლებულ ადგილას უნდა დავმსხდარიყავით მე და ზურიკელა, არაყი ჩამოგვესხა და სადღეგრძელოები გვეთქვა. ჰოდა, შემთხვევით ამ სცენაში ბოთლი ჩამოგვიგორდა და გატყდა. რაღა მექნა... გამოსავალი უნდა მეპოვა და დავიწყე: — შენ რომ იქნები ჩემხელა, ხომ იქნები ჩემხელა და მე რომ ვიყავი შენხელა, ხომ ვიყავი შენხელა... და მე რომ ვიყო შენხელა, კი არ გამიტყდებოდა ის ბოთლი-მეთქი! იგრიალა დარბაზმა. დამიკრეს ტაში, რომ ასეთი გამოსავალი ვიპოვე...

ედინბურგში გვქონდა გასტროლები. „ანტიგონე“ წარმოვადგინეთ. სპექტაკლში უფროს ჩაფარს ვთამაშობდი. ხელბორკილი უნდა დამედო ნატა მურვანიძისათვის. გასაღები გულზე მეკიდა. აქვე გეტყვით, რომ ბორკილები უბრალო კი არა, ნამდვილი გახლდათ, იტალიური. დავადე ბორკილი ნატას და მერე ოთარ მეღვინეთუხუცესმა რომ დაიძახა, — ახსენით ბორკილიო, გადავაბრუნე გასაღები, შენც არ მომიკვდე, არ იხსნება. კიდევ და კიდევ ვცადე, ვერ ვხსნი. არადა შემოგვყურებს დარბაზი გაფაციცებით. კიდევ კარგი, გამახსენდა, რომ ნატამ მთხოვა: ბორკილებს ძალიან ნუ მომიჭერ, თორემ ოთარი ხელებს რომ მაჯებზე მკიდებს, ისე იკეტება, ლამის ძვლები დამემტვრესო და ხალვათად მქონდა ჩაკეტილი... მოვკიდე ხელი და ცალი ბორკილიდან გამოვაძვრინე ნატას ხელი (პატარა ხელები აქვს, თორემ მე რომ მკეთებოდა, ხომ ვერ დავუძვრებოდი!), მეორე ხელზე კი სამაჯურივით შერჩა და დადიოდა სცენაზე, დაჰქონდა ეს „სამკაული“. მეორე დილით ძლივს მოხსნეს სპეციალური იარაღით. აი, ასეთი ამბები ხდება სცენაზე.

**— თეატრის გარდა, კიდევ რა გიყვართ, რა ხელგეწიფებათ?**

— თქვენ რომ ჩემი თავი გენახათ ვენახში, გაგიკვირდებოდათ. ვენახი ვიყიდე ასურეთში. მაქვს 600 ძირი ვაზი. თვითონ მევენახეები ვერ უვლიან ისე ვაზს, მე რომ ვუვლი. სოფელი ყოველთვის მიყვარდა. ბავშვობაში, მამიდა რომ ყანაში წავიდოდა, რომ არ გავყოლოდი, უსინდისობა იქნებოდა. მაშინ შემიყვარდა მიწა. ახლა იქ ველარ ჩავდივარ, შორია, მაგრამ ასურეთში დავდივარ. ახლა იცი, რას ვდარდობ? ყვავილობის დროს ქარი დაემთხვა და როგორი მოსავალი იქნება, არ ვიცი... რუსეთიდან ჩამოვიტანე შაბიამანი. აქაური არ ვარგაო, მითხრეს. სოფელში ვუწილადე ხალხს. ვნახოთ, ახლა რას იზამს, როგორ მოუხდება ვენახს... რთველში ძალიან ცუდად ვხდები. ჩემი ცოლი არჩევს კარგ მტევნებს. ამით თათარა უნდა გავაკეთო, ეს ძლვნად მინდაო... მე ვგიჟდები. ეგ კი არა, ვინმე რომ ჭამს ყურძენს, ის არ მსიამოვნებს, მენანება, ღვინოდ მინდა ვაქციო და მერე სვან, რამდენიც უნდათ...

როცა თეატრი მაგრძნობინებს, აღარ მჭირდებიო, წავალ ასურეთში და მივხედავ ჩემს საქმეს.

**— დარწმუნებული ვარ, თქვენ ყოველთვის დასჭირდებით თეატრს, ღრმად მოხუცებულიც კი, მოხუცებულებს განასახიერებთ...**

— მთავარი ეგ კი არ არის, ის არის, რომ თეატრი დასჭირდეს საზოგადოებას. გაიმეტებენ კი ფულს თეატრისთვის, კინოსთვის?.. ყველაფერი შინ მიაქვთ, ყველაფერს ჯიბეში იდებენ. 4 თუ 5 მილიარდი დახმარებაა მოსულიო... ერთი ლარი არ მოხმარებია ხალხს. სად წავიდა ეს ფული? ყველაფერი გაიყიდა: ოქროს საბადო, ელექტროენერგია, გაზი... ჩვენ დავრჩით გაცინებული...

**— საქართველოს კუთხეებში არის არაჩვეულებრივი იუმორი, სიტყვიერება, რომელიც მძიმე ამბებსაც კი ღიმილით გადმოგვცემს.**

— კუთხეებში ხალხი აღარ არის და...

**— მართალს ბრძანებთ, ეს დიდი ტრაგედიაა. სოფლის დაცლასთან ერთად, იცლება ადამიანის სულიც.**

— სოფელში, სადაც ჩემი წინაპრები ცხოვრობდნენ, ჩემს ქუჩაზე ახლა ერთი ოჯახი ცხოვრობს ზამთარ-ზაფხულ და ერთიც — მარტოხელა ქალი. ასეა ხელმარჯვნივ ქუჩაზეც, ხელმარცხნივაც. ეგ არის და ეგ. არადა დიდებული სოფელია... მაგრამ რა, წასულია ხალხი ქალაქში. გაიგეს ასფალტზე სიარულის გემო და აღარ უნდათ სოფელი. ქურდობა დაიწყო, სიბინძურე გაჩნდა...

**— როცა ძალიან ცუდად ბრძანდებით, რა გენატრებათ, სად მიგიწევთ გული?**

— ძალიან მენატრება ჩემი სოფელი. იქ ყველაფერი ახლობელია ჩემთვის. ერთი კარალიოკის ხეა ეზოში. პატარაობაში ძალიან დიდი მეჩვენებოდა... ჩემი მდინარე მენატრება... ყველა ქვის ქვეშ რა იყო, ის ვიცოდი. ბავშვობაში ვხელაობდით (თევზს ხელით ვიჭერდით). ეს როგორ დამავიწყდება! კაცები რომ შემაქებდნენ, — ყოჩაღ, ხარს გაუძლვა წინ, ან გუთანს მოეკიდაო, რა დამავიწყებს იმ შექებას. ისე, სამტრედიაში ვცხოვრობდით, სოფლად ზაფხულში ავდიოდით...

**— სამტრედია ველოსიპედების ქვეყანაა...**

— სამტრედიაში, მიუნხენში, ტოკიოში, აბაშაში — სულ ველოსიპედებით დადიან.

**— თქვენ გყავდათ ველოსიპედი?**

— აბა რა, უველოსიპედოდ როგორ იქნებოდა! ახლა შემცირდა ველოსიპედები, იმიტომ, რომ გახშირდა ველოსიპედის ქურდობა. და მერე რომ დაგიბრუნონ, ფული უნდა გადაიხადო. აღარ აქვს ხალხს ფული და ველარ იბრუნებს ველოსიპედს... ვისაც აქვს, ისიც ხრიგინით დადის. შარშანწინ გახლდით გერმანიაში, შვილთან. ერთი ძველი ველოსიპედი ჰქონდა, დავაკარი ზემოდან მანქანას, რომელიც ქალიშვილმა მაჩუქა და ჩავუყვანე ჩემს ძმას სამტრედიაში. ქალაქში №1 ველოსიპედია. ჩემი ძმა მეორე სართულზე აყენებს იმ ველოსიპედს, „ზალაში“, რომ არავინ მოჰპაროს, არ გაუძარცვოს... ასეთ პატივს სცემს იმ ველოსიპედს.

**— ყველაზე მეტად რას განიცდით, რომელი ტკივილი არ გასვენებთ?**

— ჩემი მეგობრები რომ აღარ არიან, შოთა მშვენიერაძე, საშკა იოსელიანი... ირაკლი უჩანეიშვილი... ირაკლი რომ გარდაიცვალა, თუ გული არ გამისკდებოდა, არ მეგონა. აცხონოს ღმერთმა ყველა ჩემი მეგობარი... წუხილია დიდი, რაც ასაკში შედიხარ კაცი. ნეტა იმ დროს, ყველა ცოცხალი რომ მყავდა... არავინ მაკლდა... გაიზარდა, გაივსო ის ქვეყანა ჩემთვის... სამაგიეროდ, ჩემს შვილიშვილს ჰყავს ყველა ცოცხალი. ადრე ხალხი სხვანაირად, მშვიდად მიდიოდა საიქიოს. ოთხი მამიდა მყავდა, ერთი სიმინდს არჩევდა და მოულოდნელად გარდაიცვალა, მეორემ თქვა ოლღა ბებიასავით, — გადით ახლა გარეთო და გათავდა; მესამემ — დღეს ყანაში ვერ წამოვალო. დარჩა შინ. ოდა სახლის აივანზე გამოუტანია მუთაქა, საბანი. რომ დავბრუნდით ყანიდან, ასე მშვიდად მიძინებული დაგვხვდა. მეოთხე — 99 წლისა გარდაიცვალა, ისიც უშფოთველად. თითქოს ისინი შეგუებულებიც იყვნენ სიკვდილს. დღეს ადამიანებს სიკვდილის შიში გვაქვს. მე სულ ვიბარებ: რომ მოვკვდები, კარგად გამსინჯეთ, ნახეთ, ხომ ვარ კაი მკვდარი, თორემ იქ რო გავახილო თვალი, ალბათ გავგიჟდები-მეთქი!

**— პირველად მესმის, ადამიანი ამას იბარებდეს, — მნახეთ, თუ ვარ კარგი მკვდარიო...**

— აბა, როგორ, აბა, როგორ?! ვერ ნახეთ, რას წერენ — გოგოლი საფლავში გადაბრუნდაო, ხელები დაიჭამაო... დამანებე, თავი, ყველაზე მეტად მაგისი მეშინია...

**ლელა ჯიყაშვილი**

ქართველების რძალი

# შეიძლება ეს ქვეყანა არ გიყვარდეს?..

## დალოცვილო, რაღა მუხრანბატონის სათქმელს ამახინჯებ?



ყველას დაგვანახვა, რა დიდი კულტურის სამშობლო ჰქონდა, როგორი ხალხის შვილი იყო

აივნებზე სარეცხია, ეზოში — ბავშვების ყიჟინა, კარები ღია და კარებში ცალი თვალით ეზოზე, ცალი თვალით ოჯახზე გადარაჯებული მეზობლები... ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, სად ვცხოვრობთ, ყველა მოგასწავლისო, — მასპინძლებმა მითხრეს. რა თქმა უნდა, ეს ხომ ძველი თბილისური ეზოა, სადაც ყველამ იცის, ვინ რომელ საათზე გადის შინიდან, რას საქმიანობს, ვის რამდენი სტუმარი ჰყავს და ა.შ. მით უმეტეს, როგორ შეიძლება არ იცნობდნენ ზუმბას — ზაზა კორინთელს და მის ცოლს?.. ეს კაცი, თავის „33-ა“-სთან ერთად, ნამდვილად კარგი მომღერალია და თანაც ორიგინალური ადამიანია სიმღერით, მსოფლმხედველობით და გარეგნობითაც. თავის განსხვავებულობას ისიც დაუმატა, რომ კრაკოვში სასწავლებლად ჩასულმა პოლონელი გოგონა შეირთო ცოლად. არ იფიქროთ, რომ უცხოელთან შეუღლებაში რაიმე განსაკუთრებულს ვხედავდე (პირიქით, გულში მწყინს კიდეც), მაგრამ ვაღიარებ, რომ 25 წლის **მაგდა ნოვაკოვსკა** ბევრად უფრო ქართველია, ვიდრე მისი ასაკის ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე, რომელმაც არც საქართველოს ფასი იცის და არც ქართველობის. სამ წელიწადში ნასწავლი ქართულით წარმოუდგენლად ზუსტად არქმევს ყველაფერს თავის სახელს და იმდენად ღრმად ხედავს ჩვენს გასაჭირს, უყურებ და ფიქრობ, როგორ შეიძლება უცხო მიწაზე გაზრდილი ადამიანი ასე გიცნობდესო...

...მოკლედ, პირველ სართულზე სულ რამდენიმე კიბის საფეხურზე ავედი და თბილისური სახლის ფანჯრებზე დავაკაკუნე. მაგდაც გამოჩნდა. ნათელი ფერებით შეღებილი ოთახი, ძველებური რკინის უთოს თანხლებით, ისე მშვიდად შემხვდა, სულაც არ ეტყობოდა, რომ აქ ზუმბა, თავის მეგობრებსა და ცოლთან ერთად, გულიანად მღერის და ამ სიმღერებს კედლისიქითა მეზობლები გათენებამდე ისმენენ.

**— მაგდა, მიკვირს, რომ ასეთ ეზოში იყიდეთ სახლი, აქ ქვედა სართულის მეზობელს ზედა სართულის მეზობლის დალაპარაკებაც ესმის, წყნარად ვერ იქნები...**

— მერე, რად მინდა, რომ წყნარად ვიყო? ზუსტად ასეთ ეზოში მინდოდა მქონოდა ბინა, სადაც არ არის სიცივე და არის ადამიანური სითბო... და ყველა ერთმანეთს იცნობს. სწორედ ასეთ სახლზე ვოცნებობდი. როცა გადმოვედი, მაშინვე დავიწყე კედლების თბილი ფერებით შეღებვა. ერთგან მზეც მივახატე. საქართველო მზის და სითბოს შეგრძნებას იწვევს და სახლში რატომ არ უნდა იყოს მზე და სითბო? მით უმეტეს, როცა ზამთრობით შუქი არ არის და ცივა... სიცივეში შედიხარ შინ და ეს თბილი ფერები გათბობს.

**— მხატვარივით ლაპარაკობ, რაიმე გაკავშირებს მათთან?**

— თან — ჰო, თან — არა. კრაკოვში ჩავედი იმიტომ, რომ ფერადი მინა მაინტერესებდა. პოლონეთში და საერთოდ, ევროპაში ფერადი მინის მოზაიკა უძველესი ხელობაა. ეს არის ტყვიაში ჩასმული უზარმაზარი ფერადი შუშის კედლები, რომლებსაც მდიდრულ შენობებს უკეთებენ. ასეთი მინებით ამშვენებდნენ ძველ ევროპულ ეკლესიებს. საქართველოში არ იყო ეს კულტურა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ აქ სეისმური ზონაა და დიდი ზომის ფერადი მინა არასანდოა, თანაც, აქ ბიზანტიური კულტურის გავლენას განიცდიდნენ და მხოლოდ მცირე მოცულობის მინის მოზაიკას იყენებდნენ, ისიც იშვიათად.

(გაგრძელება იხ. გვ.33)

CMYK

# რად უნდა ერთ სახლს სამი კარი?!



„მელიქიშვილის გამზირი, იავარდი და ბზა...“ გახსოვთ, არა? წლების განმავლობაში პიტად ქცეული ეს სიმღერა დღესაც არ კარგავს პოპულარობას. ძნელი სათქმელია, რამ განაპირობა მისი ასეთი წარმატება, სიმღერის ტექსტმა, კომპოზიტორის ოსტატობამ თუ შემსრულებლის **ზურა დოიჯაშვილის** ხრინწშეპარულმა ხმამ. ერთი რამ ცხადია, ერთ დროს პოპულარულ მომღერალს დღეს მუსიკალურ-შემოქმედებითი პაუზა აქვს და ბევრი ლუდის რეკლამის სახედ უფრო თვლის, ვიდრე — მომღერლად. არადა, ზურაბ დოიჯაშვილი სცენაზე გამოსასვლელად ისევ ემზადება და ახალ რეპერტუარზე მუშაობს. ჩვენი შეხვედრა იმ დღეს დაემთხვა, როცა თბილისმა უკანასკნელ გზაზე გააცილა შესანიშნავი მუსიკოსი, მომღერალი და ღირსეული პიროვნება რობერტ ბარძიმაშვილი. ზურა დოიჯაშვილი მას მამობილს უწოდებდა და ჩვენი საუბარიც სწორედ მისი გახსენებით დაიწყო:

— როდესაც მუსიკის სამყაროში პირველ სერიოზულ ნაბიჯებს ვდგამდი, უკვე არსებობდა ანსამბლი „75“, რომელიც ბატონი რობერტის ხელმძღვანელობით შეიქმნა. ძალიან მინდოდა ბატონი რობერტის ანსამბლის წევრი გავმხდარიყავი, [illegible]ში“ ვმღეროდი, რომლის ხელმძღვანელიც [illegible]ხლდათ. იგი ჩემი და ბატონი რობერტის [illegible]რ ელალატებოდა, ჰოდა, მეც ჩემს ანსამბლში [illegible]

[illegible]

ეკა ლომიძე



[illegible]

ინტერვიუ მოამზადა ინგა ზაქრაძემ

# თათული დოლიძე: ქალური საქმეები არ მამშვიდებს, რემონტი უფრო მეხერხება



მისი და ბატონი ჯანრი ლოლაშვილის სახლი ერთი დიდი სიურპრიზია მნახველისათვის. კედლებიდან მოცქირალი (ბატონი ჯანრის დახატული) ჩიტები, ქალები, ძველი წიგნები, ყვავილები — ყველაფერს იდუმალ ელფერს სძენენ. ძალიან საინტერესოა ამ სახლში მცხოვრებთა სულიერი სამყარო. ამჯერად იმით დავინტერესდი, თუ როგორ ცხოვრობს ქალი, რომელსაც თავისი გარეგნობის გამო, ძალიან გაუჭირდება, შეუმჩნეველი დარჩეს, თუნდაც სრულიად უცხო საზოგადოებაში.

— ცხადია, ყველა მსახიობს ამჩნევენ, მათზე ლაპარაკობენ, ჭორაობენ კიდეც. როცა ამ პროფესიას აირჩევ, უნდა ამასაც შეეგუო. ამას წინათ გამიელვა — რომ არავინ გამჩნევდეს, ნეტავ როგორი იქნებოდა ცხოვრება-მეთქი. მე ბავშვობიდან ყურადღებით გარემოცული ვცხოვრობ და ამას არ შევუწუხებივარ. ასე მგონია, ცხოვრებაში კომპენსაცია ხდება. თუ ადამიანი მაინცდამაინც მიმზიდველი გარეგნობისა არ არის, სამაგიეროდ, სხვა რამეს, ძალიან მნიშვნელოვანს, აძლევს მას უფალი, რამაც შეიძლება პოპულარობა მოუტანოს.

**— ძალიან ლამაზი დედა გყოლიათ...**

— პატარა რომ ვიყავი, ვერ ალვიქვამდი დედაჩ[illegible] ბედნიერი ვარ. ბებიაც მშვენიერი მყავდა... ასეთი წინა[illegible] როგორიც უნდა ვიყო. საერთოდ, მე ყოველთვის სხვ[illegible] ვყოფილიყავი... ჩვენი თაობა უფრო სხვანაირად იზრ[illegible] თავიანთი გარეგნობის ფასი, იციან, რა უნდა წარმოა[illegible]

[illegible]

— არა, მე მაქვს საშუალება, განვმარტოვდე. მიყვარს კიდეც სიმარტოვე, ოღონდ არა დიდი დოზით... ღმერთმა ნუ ქნას, მარტო ვიყო.

თქვა ქალბატონმა თათულიმ და ნათელი ჩაუდგა თვალებში. რაც არ უნდა ძნელი წარმოსადგენი იყოს, ის უკვე ბებიაა, დიდი, მშვენიერი ოჯახის დიასახლისი და მშვენიერი ქალბატონი...

ლელა ჯიყაშვილი


გჭირდებათ დახმარება მიწასა და უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას?

გსურთ მიწისა და უძრავი ქონების შეძენის წინ, წინასწარ გადაამოწმოთ ინფორმაცია და დარწმუნდეთ მის სიზუსტეში?

გესაჭიროებათ დახმარება მიწის ნაკვეთების შეძენისას, ან შეგექმნათ პრობლემა მიწის ნაკვეთის, ან ნებისმიერი უძრავი ქონების საკუთრებისა და ფლობასთან დაკავშირებით?

მოგმართეთ - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას!

ასოციაცია გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებებს:
- მედიაცია ანუ მოდავე მხარეებთან მოლაპარაკება,
- იპოთეკა,
- მემკვიდრეობა,
- ყიდვა-გაყიდვა,
- კერძო არბიტრაჟი,
- სასამართლოში მხარის ინტერესების დაცვა,
- უფასო იურიდიული კონსულტაცია.

ჩვენი დახმარებით დაზოგავთ დროს და ენერგიას, თქვენი უფლება კი გარანტირებულად იქნება დაცული.

დაგვიკავშირდით, თქვენ სამსახურშია ასოციაციის ცენტრალური და რეგიონალური ოფისები: თბილისი, გაგარინის I შესახვევი, №8, ☎ 877 458 651; 899 982 809, 912 159; 931 969; ქუთაისი, 899 587 094; გორი 893 336 683; ოზურგეთი 899 966 488; ახალციხე 899 572 669, გურჯაანი 899 271 912.

# 13-დან 19-მდე

რუბრიკის სტუმარი ამჯერად ქალბატონი მერი პატარაია გახლავთ. დარწმუნებული ვარ, სახელი და გვარი არაფერს გეუბნებათ. ჩემი რესპონდენტი, პოპულარული ახალგაზრდა „ჩინოსანი“ მიმღერლის, ნეკა სებისკვერაძის დედაა. რაც შეეხება ნეკას „ჩინოსნობას“, თუ აქამდე არ იცოდით, გეტყვით, რომ 18 წლის მომღერალი ბავშვთა ფედერაციის მუსიკალური ფესტივალის „ბროლის ნაძვის“ გენერალურ დირექტორად დანიშნეს და საქმეებში ჩაფლულს ოჯახში მონატრებული მშობლები სტუმარივით ელიან. ერთი სიტყვით, ნეკა ჯერჯერობით ისევ ტინეიჯერების ასაკშია, თუმცა საკმაოდ დატვირთული და საქმიანი რიტმით ცხოვრობს, რითაც მხოლოდ და მხოლოდ მშობლები არიან უკმაყოფილო. მათ ხომ ძალიან ენატრებათ ჯერაც პატარა, მაგრამ უკვე დიდი ნეკა.

## „მე ჩემი დინებით აუცილებლად ვიცურებ ოკეანეში“



10 წლის ნეკა



**— ქალბატონო მერი, ნეკა ჰოროსკოპით მშვილდოსანია. ამ ნიშნით დაბადებულებს ხალხმრავლობა მოსწონთ და მარტოობას გაურბიან**

— ნეკა მართლაც ასეთია. როცა პაწაწინა იყო, წუთითაც რომ მიგეტოვებინა, იბუტებოდა და ტირილს იწყებდა. ყოველთვის ხალხმრავალი ადგილები მოსწონდა და სიხარულით აღსავსეს, ისე მიეძინებოდა ხოლმე, ყურთან ბომბი რომ აგეფეთქებინათ, შეშფოთებას მაინც ვერ შეამჩნევდით. უზომოდ კომუნიკაბელური და აქტიური იყო.

**— მშვილდოსანი ბავშვები, თურმე წესრიგისკენ მითითებას ვერ იტანენ.**

— ნეკა ბავშვობიდანვე ძალიან მოწესრიგებულია. სულ გადარბენაზეა, ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ საოცრად უყვარს მოწესრიგებულ გარემოში ყოფნა, თვითონ არასდროს ირჯება ამისათვის. სამაგიეროდ, ვერ იტანს ტყუილს. გამორიცხულია ვინმესთან იცრუოს. ისე, სიტყვაძუნწობაც სჩვევია. სადღაც რომ გარბის, მიზეზი არ უნდა ჰკითხო. მაინც არ გიპასუხებს.

**— თავის მქაიდუმლეუდ არ გთვლით, ამბებს არ გიყვებათ?**

— მხოლოდ საკუთარ თავთან დაკავშირებულს. ნეკას სხვაზე ვერაფერს ათქმევინებ. როგორი დამოკიდებულებაც მას აქვს სხვების მიმართ, იმავეს მოითხოვს ჩვენგანაც. ნეკა უფლებას არ მოგცემთ, მისი თანდასწრებით ვინმეზე იჭორაოთ.

**— ნეკა ძალიან ცნობისმოყვარეც უნდა იყოს.**

— მართლაც ასე იყო. ქუჩაში გავიდოდით თუ არა, კითხვების კორიანტელს მაყრიდა. თავს არ დაგვანებებდა, თუ პასუხს არ გავცემდით. მერე კითხვას სხვაგვარად შემოგიტრიალებდა და პასუხის მოლოდინში, რომ იტყვიან, სულს ამოგართმევდა.

**— თუ ასტროლოგებს დავუჯერებთ, თქვენს შვილს ბავშვობიდანვე უნდა გამოემჟღავნებინა დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა.**

— არ ვიცი, მის „მშვილდოსნობას“ უნდა ვუმადლოდე თუ ჩემი, როგორც მშობლის დამსახურებაა, რომ ბავშვობიდანვე დამოუკიდებლობას ვაჩვევდი. გვიან გავთხოვდი და ნეკა ნანატრი შვილია. 13 წლის რომ გახდა, ვუთხარი, მიუხედავად იმისა, რომ დიდი სანათესავო წრე გვყავს და შენ თავს მარტო არასდროს იგრძნობ, გახსოვდეს, რომ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა გქონდეს-მეთქი. მართლაც, 13 წლის ასაკიდან ნეკა უკვე დამოუკიდებელ ადამიანად იქცა. ჩემგან კი მხოლოდ ერთი დარიგება ესმის გამუდმებით: იყავი ჭკვიანი, დაფიქრებული და ყოველთვის გახსოვდეს ქართული ტრადიციები.

**— მშვილდოსანი ადრეულ ასაკშივე თავდავიწყებით შეყვარებულია, მაგრამ, მისი სიყვარული ხანმოკლეაო — იუწყებიან ვარსკვლავები. ნეკა თუ გიყვებათ თავისი სიყვარულის შესახებ?**

— სერიოზულად შეყვარებული არასდროს ყოფილა, ჰქონდა გატაცებები და ამის შესახებ ყოველთვის მიამბობდა. პირველად ორი წლის წინ გამენდო.

**— თურმე ბავშვობიდანვე უნდა მიაჩვიო ეკონომიურობას და წესრიგს, თორემ მისგან მფლანგველი შეიძლება დადგესო (მშვილდოსნებს ვგულისხმობ).**

— ჩვენ პენსიონერები ვართ და როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ოჯახს ნეკა ინახავს, ძალიან ხელგაშლილია. საკმარისია ყური მოჰკრას, რომ ვიღაცას უჭირს, დაუფიქრებლად უკანასკნელ კაპიკს გაიღებს. მეუხერხულება ჩემს შვილზე საუბარი, მაგრამ ის მართლა ასეთი მოწყალეა.

**— არანაირი წინააღმდეგობა არ აბრკოლებს, რომ დაეცეს და ცხვირიც გაიტეხოს, წამოდგება და მიზნის მისაღწევად ბოლომდე იბრძოლებსო. ნეკაც ასეთია?**

— წინააღმდეგობის და გულისტკენის მეტი რა შეხვედრია, მაგრამ შეუძლებელია უკან დაეხიოს, თანაც საოცარი ოპტიმისტია და აქვს დევიზი: „მე ჩემი დინებით ვივლი და აუცილებლად ვიცურებ ოკეანეში“.

**— ნეკას საყვარელი თამაშობები თუ ჰქონდა, თუ ბავშვობიდანვე დიდობდა?**

— ისე გამოვიდა, რომ 6 წლისამ უკვე სცენაზე შედგა ფეხი და დრო აღარ რჩებოდა თამაშისთვის. სამი წლისა იყო, როცა სიმღერის ნიჭი აღმოაჩნდა და გადავწყვიტე, პედაგოგისთვის მეჩვენებინა. მოსასმენად რომ მივიყვანე, ისე გაჯიუტდა, ხმა ვერ ამოვაღებინეთ.

**— რა საჭმელი უყვარს?**

— უყვარს ხინკალი, ტოლმა და საცივი. 6 წლამდე ძალიან უჭმელი ბავშვი იყო — მაგიჟებდა. ერთ ლუკმას რომ ჩავუდებდი პირში, გავარდებოდა სადღაც, ერთ წუთში მოირბენდა და პირს მიღებდა ისევ. თურმე ლუკმებს აივნიდან ყრიდა. რომ გავიგე, ძალიან გავბრაზდი და მივტყიპე. რომ ტიროდა, მეზობელი მეჩხუბა, თუ კლავდი, რაღას აჩენდიო.

**— რას ნიშნავს ნეკას მშვენიერი სახელი, რამე განსაკუთრებული მიზეზის გამო ხომ არ დაარქვით?**

— ნეკას ნამდვილი სახელი ნელია, რომელიც ჩემი გარდაცვლილი ტყუპისცალი დის საპატივსაცემოდ დავარქვი. ნეკა ჩემი დის ქორწინების დღეს დაიბადა და ისეთი პატარა იყო, გაოცებისაგან წამოვიძახე, რა ნეკაა-მეთქი. მას შემდეგ შერჩა ეს სახელი

***ეკა ლომიძე***

## შეგიძლია დაქალს უღალატო, იმიტომ რომ მისი მეგობარი ბიჭი შეგიყვარდა?

**შეავსე ტესტი და შეამოწმე თქვენი მეგობრობა**



***1. ყოფილა შემთხვევა, რომ ორივეს ერთი ბიჭი შეგიყვარდათ?***

***2. შეგიძლია შეხვდე დაქალის ყოფილ შეყვარებულს?***

***3. როდესაც მეგობართან და მის შეყვარებულთან ერთად გასეირნება გიწევს, ცდილობ, განსაკუთრებით გამოიპრანჭო?***

***4. ხშირად ატყუებ (თუნდაც უმნიშვნელოდ) მეგობარს?***

***5. დაქალის გარდა შეგიძლია მეტოქეობა გაუწიო ნაცნობ გოგონას ან თუნდაც დას?***

*ყველაზე მეტი „დიახ“-ის* — შემთხვევაში.

**მოღალატე**

შენი დევიზია, სიყვარულსა და ომში ყველა წესი გამართლებულია, ამიტომ ყველაფერს გააკეთებ, რომ დასახულ მიზანს მიაღწიო, მაშინაც კი, როდესაც შეყვარებული შენს დაქალს ხვდება.



*ყველაზე მეტი „არას“* შემთხვევაში.

**ნამდვილი მეგობარი**

„ის ჩემი არ არის“, ამიტომ არც გაინტერესებს, რადგან ყველაზე მთავარი შენთვის მეგობრობაა და მეტი არაფერი.

# საყვარელო „პალიტრავ“



## არ ვიცი, როგორ დავიბრუნო

მე ვარ თამრიკო, 16 წლის, ვცხოვრობ ზესტაფონში. ამჟამად სწავლის გასაგრძელებლად თბილისში ჩამოვედი. ზესტაფონში შეყვარებული მყავდა — დათო. მასთან ძალიან ბედნიერი ვიყავი. მაგრამ მალე ყველაფერი შეიცვალა. დათომ ბოლო პერიოდში შეწყვიტა ჩემთან შეხვედრები და ამისათვის უდროობას იმიზეზებდა. საშინლად მტკიოდა გული. ჩემი მეგობარი სულ ერთსა და იმავეს ჩამჩიჩინებდა, რომ დათოს არ ვუყვარდი და ამიტომ უნდა დამევიწყებინა, რა თავს იკლავო, ხშირად დამცინოდა კიდეც. იმის მიუხედავად, რომ დათოს იშვიათად ვნახულობდი, როცა კი შევხვდებოდით, ყოველთვის მეუბნებოდა, რომ ისევ ძველებურად ვუყვარდი. მე კი მისი აღარ მჯეროდა. რამდენიმე თვე გავიდა და უცებ გაირკვა, რომ ჩემი მეგობარი, რომელიც მარწმუნებდა დათომ გადაგიყვარაო, თურმე თავად ყოფილა მასზე შეყვარებული და ამიტომაც დაგვაშორა ერთმანეთს.

მეგონა თბილისში ჩამოსვლის შემდეგ დავივიწყებდი, მაგრამ, ამაოდ, მე დათო ისევ მიყვარს. გთხოვთ დამეხმაროთ და მითხრათ როგორ მოვიქცე, რომ დათო ისევ დავიბრუნო.

წინასწარ გიხდით მადლობას.

***თამრიკო, 16 წლის, ზესტაფონი***

**თამრიკო, შენმა წერილმა ცოტა არ იყოს დამაბნია. ვერაფრით გავიგე მეგობარი შენი სიყვარულის დაკარგვაში რა შუაშია. გეთანხმები, ცუდად მოგექცა. იმის მაგივრად, რომ დაემშვიდებინე, შეყვარებულისადმი უფრო ცუდად განგაწყო. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგია დამნაშავე შენ რომ დათო დაგშორდა. მე მაინც მგონია, რომ დათომ (მიუხედავად იმისა, რომ უდროობა მოიმიზეზა) ვერ გაგიბედა ეთქვა, აღარ მიყვარხარო. ამ შემთხვევაში ყველაზე კარგი გამოსავალი დათოსთან შეხვედრა და დალაპარაკებაა. სთხოვე, გულწრფელი იყოს და დაუფარავად გითხრას ყველაფერი, თუნდაც მისმა ნათქვამმა გული გატკინოს, სამაგიეროდ, ყველაფერს ნათელი მოეფინება და თავად შეაფასებ, ღირს თუ არა დათოს დაბრუნება.**

## მხოლოდ თქვენ მეიმედებით

ძვირფასო „კვირის პალიტრის“ რედაქციავ! დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოგესალმებით.

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ დახმარების სათხოვნელად მოგმართავდით. შეიძლება ითქვას, მხოლოდ თქვენი იმედიღა დამრჩა, მჯერა, რომ რითაც შეგიძლიათ, დამეხმარებით...

15 წლის ვარ. მაქვს ყველაფერი, რაზეც ოცნებობენ ჩემი თანატოლები, მაგრამ ის, რაც მე მემართება, ძალიან უცნაურია. გთხოვთ ნუ ჩამთვლით უნებისყოფო, გადარეულ გოგოდ. თუმცა ახლა ჩემს გრძნობებს ველარ ვაკონტროლებ...

უკვე ერთი წელია არანორმალურად ვარ შეყვარებული თბილისის „ლოკომოტივის“ მე-20 ნომერზე — დავით სირაძეზე... თითქმის მისი ყველა თამაში ვიდეოკასეტაზე მაქვს ჩაწერილი, ყოველდღე კომპიუტერთან მისი სურათების გადიდება-დაპატარავებით, მონტაჟით ვირთობ თავს... მეც არ ვიცი, რა მემართება, ჩემთვის დათო იდეალია. არ ვიცი, რა მომწონს მასში, მას ხომ პიროვნულად არ ვიცნობ! ვცდილობ, თავი დავირწმუნო, მაგრამ თანდათან უფრო და უფრო მასზე ვხდები დამოკიდებული. მისი სურათების გარეშე სახლიდან ფეხს არ ვადგამ. მის სურათს რომ ვუყურებ, ვმშვიდდები...

მჯერა, რომ უყურადღებოდ არ მიაგდებთ ჩემს წერილს, რომლის მოწერაც ძალიან გამიჭირდა... მეიმედებით და გთხოვთ დათოს გადასცეთ ეს სიტყვები:

***დათო!***

***მე შენ ძალიან მიყვარხარ. თუმცა ჩემი სიყვარული იმდენად გულწრფელია, რომ არ მინდა სხვებივით შეხვედრა და გაცნობა გთხოვო. არა, მე შენ ასეთი, შორეულიც მიყვარხარ! მე შენი გულშემატკივარი ვიქნები ყოველთვის. შენგან კი მხოლოდ ორიოდ სიტყვას ვითხოვ პასუხად. ჩემზე რომც თქვა, გიჟია ვიღაცაო, მაინც მეყვარები. გეხვეწები, მანუგეშე. შენგან ნათქვამი თითოეული სიტყვა ჩემთვის ძვირფასია... პირობითად შეგიძლია „ლილუ“ დამიძახო...***

P.S. გეხვეწებით, უახლოეს ნომერში დამიბეჭდეთ ეს წერილი. ამისრულეთ ოცნება, რადგან თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ...

## გამოხმაურება მეც მიმატოვეს, მაგრამ ვაპატიე

ლელა, „კვირის პალიტრის“ №13-ში გამოქვეყნებულმა შენმა წერილმა გული მატკინა. ჩემთვის ხომ ძალიან ნაცნობია შენი ისტორია. ჩემი მშობლებიც ერთმანეთს რომ დასცილდნენ, საშინლად განვიცადე. მაშინ 15 წლის ვიყავი. იმის წარმოდგენამ, რომ მამამ მიმატოვა და სხვაგან წავიდა — სიგიჟე დამმართა. მაოცებდა დედის სიმშვიდე, მამაზე ერთხელაც რომ არ დასცდენია ცუდი. პირიქით, სულ იმას მეუბნებოდა, დრო გავა, გაიზრდები და ყველაფერს მიხვდებიო.

თვე თვეს მისდევდა, მამა ტელეფონითაც არ გვეხმიანებოდა. ხშირად ქუჩაში უცხო ადამიანისთვის მიმიმსგავსებია და კუდში გავყოლილვარ. როგორ მინდოდა, ერთხელ მაინც შემხვედროდა, რომ მეკითხა, რატომ მიმატოვა, ჩვენ ხომ ასე კარგად ვიყავით ერთმანეთთან. ყველაფერში მას ვბაძავდი. ერთ დღეს შინმისულს სამზარეულოში დამხვდა. ის და დედა მაგიდასთან ისხდნენ. მამამ რომ დამინახა, წამიერად სახე გაუნათდა, მერე კი, ისე დაპატარავდა, სიბრალულის გრძნობა გამიჩნდა. არაფერი მითქვამს, უხმაუროდ შევტრიალდი და ჩემი ოთახისკენ წავედი.

მერე მამამ სახლში მოსვლას მოუხშირა. მინდოდა მშობლების საუბრისთვის მომესმინა, მაგრამ კართან ატუზულს, არაფერი მესმოდა. ერთხელ ისიც ვიფიქრე, ოთახში შევვარდები და ვეტყვი, რომ წავიდეს-მეთქი, მაგრამ ეტყობა, გულით მაინც არ მინდოდა ამის გაკეთება და... ერთ დღეს მამა სკოლასთან დამხვდა. დაღლილი და დაქანცული მეჩვენა — სახლში დაბრუნების ნება მთხოვა. არაფერი მითქვამს, თანაც ძალიან გამიხარდა, რჩევა რომ მკითხა. მამა ახლა ჩვენთანაა, ძველებურად ერთად ვცხოვრობთ. მე კი მაინც მიჭირს იმის გაგება, რატომ მიგვატოვა (თუმცა ვაპატიე) და ველოდები იმ დროს, როგორც დედამ მითხრა, როცა ყველაფერს მივხვდები.

***გოჩა ხუსკივაძე***
***თბილისი***

***გვერდი მოამზადა ლია იაკობაშვილმა***

— ვეღარაფერი გავიგე ქალისა, — დაიწყო ჩემმა სტუმარმა, — მეგონა, ვიცნობდი ქალის ბუნებას, მაგრამ თურმე ვცდებოდი. გველის, მელიის და ქორის თვისებები ჩემს უსაყვარლეს ადამიანში რომ დავინახე, კინაღამ გავგიჟდი. ჭაბუკობიდან მხოლოდ ის ერთი მიყვარდა, — არც ხელს მკრავდა, არც ახლოს მიშვებდა; როცა ვიფიქრე, ამისრულდა ოცნება და მალე ჩემი ცოლიც გახდება-მეთქი, სწორედ მაშინ გათხოვდა... გვიან მოვიყვანე ცოლი, თუმცა მაინც მასზე ვფიქრობდი...

*იშვიათად მინახავს კაცი, რომელსაც ასეთი ბოღმითა და გაბოროტებით ელაპარაკა საყვარელ ქალზე. როგორც წესი, ჩემთან მოდიან ისეთები, რომლებსაც ახლობლისგან დიდი გულისტკენა უკვე დავიწყებული აქვთ, ან სურთ შეცდომის მონანიება. ბატონი სოსო გალიზიანებული მიამბობდა თავის ამბავს. მთელი სიცოცხლე „ის ქალი“ უყვარდა, „მას“ ადარებდა ყველას, ვისთანაც ოდესმე ურთიერთობა ჰქონია. ბოლოს კი, როცა დიდი ხნის შემდეგ კვლავ ერთმანეთს შეახვედრა ბედმა, „მისი“ გულისთვის დათმო ყველაფერი, ოჯახი დატოვა, ბევრიც მოიმდურა და რა? რამდენიმე წლის შემდეგ „ის ქალი“ კვლავ ქმარს დაუბრუნდა, იოსები კი მარტო დარჩა.*

— ხომ გაგიგონიათ ევრიპიდე? — მეკითხება ბატონი სოსო.

**— თქვენც მასავით ქალთმოძულე ხართ?**

— მეტიც. აღარ ვენდობი არც დედას, არც დას, არც ჩემს პატარა გოგონას, რომელიც ათი წლისაა და ჩემთვის არაფერი დაუშავებია. ერთი სიტყვით, „მან“ მთელი საქალეთი შემაძულა.

**— მერე, არ გიჭირთ ასე ცხოვრება?**

— ამიტომაც მოვედი თქვენთან, რომ მითხრათ, — მტყუანი ვარ თუ მართალი... „მასზე“ ერთი წლით უფროსი ვიყავი. ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა. იმდენად ლამაზი არ იყო, მაგრამ თავისებური ხიბლი ჰქონდა. არავის ჰგავდა. არც ცდილობდა სხვისთვის მიებაძა. პირიქით, სხვები ხან თმას შეიჭრიდნენ მისნაირად, ხან მისნაირ კაბას შეიკერავდნენ — ყველაფერში ჰბაძავდნენ. ნიჭიერიც იყო, თუმცა ზარმაცი. სკოლის დამთავრების მერე, ოთხი წელი აბარებდა სამედიცინო ინსტიტუტში. მეხუთე წელს იურიდიულზე ჩააბარა. მიყვარხარო, — არ მეუბნებოდა, მაგრამ ვგრძნობდი, გულგრილი არ იყო ჩემდამი. ისეთი ქალების კატეგორიას ეკუთვნოდა — „არა“-ს რომ ამბობენ და „ჰო“-ს გულისხმობენ. ამიტომაც თავს ვერ ვანებებდი, მუდამ მის გვერდით ვიყავი. ხან დამცინოდა, ხან თბილად მექცეოდა. ზოგჯერ მაწამებდა კიდეც, მაგრამ რომ დამინახავდა გამწარებულს, დამიყვავებდა, მომეფერებოდა და მეც მაშინვე ვივიწყებდი წყენას. დიდხანს გაგრძელდა ასე. ცოლობა რომ ვთხოვე, უარი არ უთქვამს. მოვიფიქრებო, — მიპასუხა და ერთ თვეში ულტიმატუმი წამომიყენა: ახალგაზრდები ვართ, რატომ უნდა ვიცხოვროთ უფროსებთან ერთად. ოთხოთახიანი ბინა დააშლევინე შენს მშობლებსო. იმ საღამოსვე გამოვუცხადე მშობლებს ჩემი გადაწყვეტილება. დედა წინააღმდეგი იყო: შენ გარდა ორი შვილი კიდევ მყავს. კარგი, გოგოს მზითევს გავატან, როცა გათხოვდება, მაგრამ შენს ძმასაც ხომ უნდა წილი და ასე უცებ როგორ გადავაგდო ეს ბინაო? ქვა



# ქალებო, შეგიძლიათ „მისი“ საქციელის გამართლება?

ავაგდე და თავი შევუშვირე. მამა მიხვდა, ჩემი საქმე ცუდად იქნებოდა, თუკი „მას“ არ მოვიყვანდი ცოლად. ჩვენებმა ბინა და აგარაკი გაყიდეს და იმ თანხით თავიანთთვისაც იყიდეს ბინა და ჩემთვისაც. რემონტი დავამთავრე და ქორწილისთვის დავიწყე სამზადისი, რომ „მან“ დაჰკრა ფეხი და გათხოვდა...

ვიფიქრე, ორივეს მოვკლავ-მეთქი. იმათ ვერ ვავნე, მაგრამ მე კინაღამ გადავყევი ამ ამბავს. ახლობლების თანადგომამ გადამარჩინა. გავიდა დრო. რამდენიმე წლის შემდეგ ცოლი უსიყვარულოდ შევირთე. მერეც ვერ შევიყვარე. გამუდმებით ვფიქრობდი „მასზე“. მე და ჩემმა ორმა მეგობარმა თბილისის გარეუბანში რესტორანი გავხსენით. საქმე ავაწყვეთ. ოჯახს ვარჩენდი. ცოლს ჩემგან მხოლოდ ფული უნდოდა. მე კი მისგან ის, რომ ბავშვისთვის დედობრივი მზრუნველობა არ მოეკლო... ზოგჯერ საკუთარ თავზე ვბრაზობდი — იყო კი „ის“ ღირსი ამდენი ფიქრის და დარდისა? ძმაკაცები ვერაფერს მეუბნებოდნენ, რადგან ერთხელ, როცა ერთ-ერთმა მითხრა: ლამისაა თმა გაგითეთრდეს, ჭკუა კი მაინც ვერ ისწავლე. დაანებე იმ ქალს თავი, ვინ იცის, ახლა ვისთან გრიალებსო, — ისეთი უსიამოვნება მომივიდა, რომ კინაღამ დავკარგეთ ერთმანეთი. ბოლოს, ყველა მიხვდა, რომ უზომოდ მიყვარდა.

ვიცოდი, „ის“ სადაც ცხოვრობდა, შორიდან ვიგებდი მის ამბებს, მაგრამ არ ვნახულობდი. ძმაკაცებს უკვირდათ კიდეც: ნახე მაინც, იქნებ რა ჭკუაზეა ის ქალი დღესო, მაგრამ ვპასუხობდი, თუ ბედია, თვითონ მოვა და მომძებნისმეთქი, და მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს ბედმა თავისი ფეხით მოიყვანა „იგი“ მეგობრებთან ერთად ჩემს რესტორანში. მაშინ მეგონა, შემთხვევითი იყო ჩვენი შეხვედრა, მაგრამ მოგვიანებით გამომიტყდა, ჩემს მეგობრებს მე ვურჩიე შენს რესტორანში გვესადილაო. წარმოიდგინეთ, რა მომივიდოდა, მის დანახვაზე. წყენა ერთბაშად გამიქრა, დავტრიალდი... საღამოს შინამდე მივაცილე. მთელი გზა ჩუმად იყო. მეგონა, მომიყვებოდა თავის ამბავს, რაც გადახდა ჩემ შემდეგ, ის კი დუმდა. დამშვიდობებისას ვკითხე, მომცემ ნებას, ხვალაც გნახო-მეთქი. ამის პასუხად კი — ქმარს გავშორდიო, მითხრა. გამიხარდა, მაგრამ არ შევიმჩნიე. გადავწყვიტე, ფრთხილად მემოქმედა. არ მიკითხავს ქმართან დაშორების მიზეზი. მას უკვე ორი მოზრდილი გოგონა ჰყავდა. ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდა. ცოლობა კვლავ ვთხოვე. კარგა ხანს ყოყმანობდა, არ მინდა ოჯახი დაგინგრიოო. ავუხსენი, რომ უმისობა ოჯახს კი არა, მთელ ჩემს ცხოვრებას თავდაყირა აყენებდა. რამდენიმე თვეში ხელიც მოვაწერეთ და ჯვარიც დავიწერეთ. არც მას და არც მე მეუღლეებთან ჯვარი არ გვქონია დაწერილი. ეს ფაქტი ორივეს ბავშვივით გვიხაროდა. სიგიჟემდე მინდოდა „მისგან“ შვილი, მაგრამ უარზე იყო — მშობიარობას ვეღარ გადავიტან, მეორე გოგონას გაჩენას კინაღამ გადავყევიო. ოღონდ ჩემთან ყოფილიყო და აღარაფერს დავეძებდი. შევეგუე იმ აზრს, რომ საყვარელ ქალთან აღარ მეყოლებოდა ბავშვი. სამი წელი ერთად გავატარეთ. მერე კი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ბარათი დამიტოვა: „თემური გამოჩნდა. შერიგება მთხოვა. გოგონებსაც ასე სურთ. გადავწყვიტე, შვილების მამას დავუბრუნდე. მგონი, ასე აჯობებს. შენც დაბრუნდი ოჯახში“.

ისეთი „დიდსულოვანი“ ქალის როლს თამაშობდა, გეგონებოდა, აქამდე არაფერი შეშლია, ან სხვა არ გაუმწარებია: ოჯახში დაბრუნდიო, — მწერდა. განა ჩვენ ოჯახი არ გვქონდა? განა რამეს ვაკლებდი მის შვილებს? ალბათ ჩათვალა, რომ ოჯახი მხოლოდ დედ-მამას და შვილებს ჰქვია, ჩვენ კი საერთო ბავშვი არ გვყავდა. გვეყოლებოდა, მაგრამ მან არ ისურვა. რატომ? არ ვუყვარდი? მაშ, რატომ გამომყვა ცოლად, რატომ დაიწერა ჩემთან ჯვარი? შეგიძლიათ მიპასუხოთ?.. ქალის დანახვა კი არა, ხსენებაც არ მინდა...

**— არც „მისი“ რჩევის მიღება გინდათ?**

— რა? ისევ პირველ ცოლს შევურიგდე? არ გავაკეთებ ამას!.. არც ცოლყოფილი იქნება ამაზე თანახმა და არც მე მინდა.

**— „ის“ რომ დაგიბრუნდეთ და პატიება გთხოვოთ, რას იზამთ?**

— ნეტავ ამქვეყნად არ არსებობდეს... „მან“ მე გამაბოროტა. აღარც სიყვარულისა მწამს, აღარც სიკეთის. ხანდახან მეგობრების დანახვაც არ მინდა...

ამის შემდეგ გიკვირთ, ქალთმოძულე რომ ვარ?.. და თუ მაინც გიკვირთ, მაშინ იმ ქალის საქციელსაც გამართლება მოუძებნეთ, რომლისთვისაც ყველაფერი გავაკეთე, მან კი არაფერი დამიფასა.

***მარინა ბაბუნაშვილი***

# ვეხმაურებით „ლიზის“

**გაზეთის წინა ნომერში დაიბეჭდა პატარა წერილი სათაურით „მოღალატე ცოლის აღსარება“. როგორც თავად ავტორი ვარაუდობდა, მართლაც ბევრი გამოხმაურება მივიღეთ მის „აღსარებაზე“. „ლიზი“ შიშობდა, მკითხველები ალბათ გამკიცხავენ და შემაჩვენებენო. მართლაც წერილების უმეტესობაში უარყოფითი რეაქცია ჩანდა, თუმცა იყო ისეთი, სადაც მკითხველი ღალატში ქმარს ადანაშაულებდა. ავარჩიეთ ორი გამოხმაურება, რომელსაც მცირეოდენი შემოკლებით შემოგთავაზებთ.**

„...ვერ მოვითმინე, რომ პასუხი არ გამეცა ლიზისთვის“. მოღალატე ვარო, — აცხადებ და თითქოს არც გრცხვენია... რატომ გადადგი ეს ნაბიჯი? დავიჯეროთ, მართლა შეგიყვარდა ის „ხანში შესული“ მამაკაცი? თუ შეგიყვარდა, შე დალოცვილო, ქმარმა რაღა დაგიშავა, არ გეცოდება შენი შვილების მამა, რატომ უნდა იაროს რქოსანმა? სერიალებს მაინც არ უყურებ? ბრაზილიელი ქალები სიმართლეს უსწორებენ თვალს და როცა გრძნობა იცვითება, მეუღლეებს ეუბნებიან ამას, რადგან მათაც კი სიცრუე ულირს საქციელად მიაჩნიათ... შენ, ქართველ ქალს, რა დაგემართა?

„იმან“ ოჯახი შეინარჩუნა, მე კი დამენგრაო, — ამბობ. გეტყობა, ბოლომდე გულახდილი არა ხარ. როგორ დაგენგრა, თუკი ამბობ, რომ ქმარ-შვილს თვალებში ვერ ვუყურებო... სულ მიკვირდა იმ ქალებისა, რომლებიც ორმაგ თამაშს ეწეოდნენ. არ გეკადრება, ნამდვილად. შვილად მერგები და გირჩევ, დაიცვა შენი ოჯახი და ღირსება, რომელიც მართლის თქმით იწყება.

***თინა მაცაბერიძე“.***

„თუ ქალი გადაგვარებული არ არის, მისი ღალატის მიზეზი კაცში უნდა ვეძებოთ... უგერგილო ქმრების ცოლები სითბოს და სიყვარულს სხვა მამაკაცთან ეძებენ... ვერ გეტყვით, პოულობენ თუ არა, მაგრამ ზოგიერთისა მესმის და ვუგებ.

ერთი მეზობელი მყავს, ყოველმხრივ შემკული ქალი. რა არ სცადა, მაგრამ ქმარი ვერ „გამოაღვიძა“. სამუშაო ხომ წლების მანძილზე ვერ იშოვა, შინაც დიდი უქნარა ვინმეა. სკამის გადადგმა რომ სთხოვოს ცოლმა, იმას არ გააკეთებს. შეეჩვია ცოლის მოტანილს, მშობლების მზრუნველობას და ჭამა-სმის, ნარდის თამაშის მეტი არაფერი აინტერესებს. არ აწუხებს არც შვილების მომავალი. მოჰბეზრდა იმ ქალსაც და როგორც კი „ჰორიზონტზე“ თაყვანისმცემელი გამოჩნდა, ზურგი არ აქცია, პირიქით, მეგობრული ურთიერთობა დაამყარა. ალბათ „ლიზისაც“ ჩემი მეზობლის მსგავსი ქმარი ჰყავს, ალბათ კაცური თვისებები იმ „სხვაში“ აღმოაჩინა... დარწმუნებული ვარ, ძლიერ კაცს ცოლი არ უღალატებს.

***ნ.თ., თბილისი“.***

# ლამაზი ხელები ყველა ქალის ოცნებაა

— ხელის მტევნები რომ ხავერდოვანი გქონდეთ, დროდადრო წაისვით თბილი თაფლი და 15-20 წთ გაიჩერეთ, მერე ჩამოიბანეთ და კარგად გაიმშრალეთ.

— ყოველი დაბანის შემდეგ ხელებზე სპეციალური კრემი წაისვით, კვირაში ერთხელ კი დანაყილი ქვამარილით დაიზილეთ.

— ხელების მოვლისათვის საუკეთესოა ლიმონის წვენი. ის არა მარტო არბილებს და ატენიანებს კანს, არამედ აქათქათებს კიდეც.

— ძილის წინ დაიბანეთ თბილი წყლით, წაისვით ალოეს, გლიცერინის, გვირილის ან კალენდულის მკვებავი კრემი, ჩამოიცვით ბამბის ხელთათმანი და დაიძინეთ. დილით ხელის მტევნები ჩვილის კანივით სათუთი გექნებათ.





## დიასახლისთათვის

# ხორციანი ჭყინტი ლობიო

1 კგ მსუქანი ძროხის ხორცი დავჭრათ წვრილად, მოვხრაკოთ 3-4 თავ დაკეპილ ხახვთან ერთად. ჩავუმატოთ 1 კგ გასუფთავებული ჭყინტი ლობიო და დავდგათ მოსახარშად ნელ ცეცხლზე. როცა ლობიო მზად იქნება, დავასხათ 0.5 კგ გახეხილი პომიდორი. ვადუღოთ.

როცა ყველაფერი მზად იქნება, შევურიოთ თითო კონა დაკეპილი ქინძი, ოხრახუში, ნიახური, ცერეცო, ქონდარი, შაშკვლავი, ნიორი, 3 ძირი პრასი, მარილი, წიწაკა.

# მზე, ზღვა და სიყვარული

*მოგეხსენებათ, სიყვარული — დროს, სეზონს, ამინდს და სხვა ხელშემწყობ პირობებს სულაც არ საჭიროებს, მათ დაუხმარებლადაც მშვენივრად და თამამად მოდის, მაგრამ კაცობრიობის გამოცდილებასაც ვერსად გავექცევით — სიყვარულის ნამდვილი აფეთქება გაზაფხულზე იწყება და პიკს ზაფხულში აღწევს. ახლაც თაკარა ივლისია და სიყვარულის ბუმია ყველგან: ზღვაზე, ტბაზე, მდინარეზე თუ თბილისში ასე მომრავლებულ საცურაო აუზებზე, სადაც ამურთან ერთად თურმე ხიფათიც არის ჩასაფრებული და სიყვარულით გადარეულ მამაკაცებს ათას ფათერაკს უმზადებს. სხვათა შორის, ამჟამინდელი გამოკითხვის მონაწილენი სწორედ ისინი არიან, ამურისაგან ლამის დაბრმავებული, ზოგჯერ კურიოზულ, ზოგჯერ კი საკმაოდ საჭოჭმანო მდგომარეობაში ჩავარდნილი ჭაბუკები, რომლებიც ღიმილით ჰყვებიან მზესთან, ზღვასთან ან სულაც საცურაო აუზთან და სიყვარულთან დაკავშირებულ ამბებს და მიმტკიცებენ, რომ საცურაო აუზთან და ზღვის სანაპიროზეც შეიძლება გეწვიოს ნამდვილი სიყვარული...*

**რეზიკო (26 წლის):** — მაგარი რამეა ზაფხული. ასე მგონია, შემოდგომაზე და ზამთარში სადღაც დამალულმა სილამაზემ ერთბაშად იფეთქა და ქვეყნიერება მზით აავსო. ქუჩები სავსეა ლამაზი ქალებით. ზოგი ჩივის, ქალებმა თამამად ჩაცმა დაიწყესო. მე კი ისე მომწონს, ვგიჟდები. გუშინწინ ვაკეში, ქუჩაზე ქალი გადადიოდა, ისეთი, ისეთი, რომ მანქანები გააჩერა. კაი იყო, ნატიფი, სასურველი. იცოდა თავისი ფასი და თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერ ხვდებოდა, რატომ ერგო უცებ „სვეტაფორის“ როლი. რომ გაიარა, კაცებმა მანქანებიდან ერთმანეთს გავხედეთ და სიცილი აგვიტყდა. დაილოცოს ქალის შემქმნელი. მაგარი ტვინის ამრევი ვინმეა, გაგიჟებს და ვერ ხვდები, რატომ გიჟდები. მე, ჩემო ბატონო, დავდივარ ახლა კოჭლობით მაგ სიგიჟის გადამკიდე. აუზზე ერთი ქალღმერთის ყურებით ისე გავერთე, რომ რაღაცას წამოვედე, აუზში გადავვარდი, კიბის ძგიდეს მივარტყი ფეხი და გავიგლიჯე. ტკივილისაგან სული გამიმწარდა, მაგრამ ვინც ამ დღეში ჩამაგდო, იმის შემკრთალი თვალები რომ დავინახე, აუზიდან ამოსვლისთანავე რომ მომვარდა და ჭრილობის დამუშავება დაიწყო (ექიმი ყოფილა), მისი ხელის შეხებამ ტკივილი დამავიწყა და ისეთ რამეებს ვბჟუტურებდი, რომ ახლაც მეცინება ჩემს თავზე.

**ლუკა (31 წლის):** — ვინ თქვა, ნამდვილ სიყვარულს ზღვის ტალღებში ვერ იპოვიო, არ მჯერა. შარშანწინ ქობულეთში, პლაჟზე, ერთი ისეთი ღვთაება გამოჩნდა, რომ მზად ვიყავი, მის ცქერაში მზის დაკვრისთვისაც გამეძლო. ის კი იწვა ქოლგის ქვეშ და ვითომ აინუნშიც არ მაგდებდა. მე კიდევ ისე გამომაშტერა, ხმას ვერ ვცემდი. ერთ დღესაც შეზლონგიდან ზანტად წამოდგა, ერთი დამცინავად გამომხედა და წავიდა ტალღებში. იმის მაგივრად, რომ შევყოლოდი, დავეგდე ნაპირზე და პირდაღებული მივაჩერდი. კაი შორს გაცურა. მერე ტალღებში გაუჩინარდა. ცოტა ხანში გამოჩნდა და ხელები გაასავსავა. აშკარად შველას ითხოვდა. ელვასავით შევვარდი ზღვაში... განწირული მკერდზე ახუტებული გამოვიყვანე. მერე კარგა ხნით ამით თავი მომქონდა და ერთ დღეს იცით, რა მითხრა? — შე უტვინო, ნაპირზე დასალაპარაკებლად არ მეკარებოდი და ზღვაში არ მომყვებოდი, ისევ დახრჩობა უნდა მომეგონებინაო. ახლა ის „აფერისტი ღვთაება“ ჩემი ცოლია.

**გიგი (28 წლის):** — აუზზეც და ზღვაზეც ქალების სათვალთვალოდ დავდივარ. ვიცი, მავანი პოპულარული ქართველი ლამაზმანი სად ირუჯავს ნაფერებ სხეულს. დიდი ამპარტავნები არიან. ისე დადიან, გეგონებათ, მაგათ გარდა ქალს არ შეეხედება, არადა, აუზზე ისეთ გოგოებს შეხვდები, მაგათ ცალი თვალითაც არ გახედავ.

ქართველებთან შედარებით სულაც აღარ მომდის თვალში ერთფეროვანი რუსის ქალები, რომლებზეც ასე გიჟდებოდნენ ჩვენი მამები და ბაბუები. ქართველ ქალს მართლა ვერავინ შეედრება. არგენტინაშიც ვიყავი შარშან. ვერსად ვნახე გრძელფეხება, მკერდსავსე, ტანკენარი ქალები. საშინელი ჭორფლიანი კანი აქვთ იქაურებს და სხვა რამითაც არ გამოირჩევიან. ჩვენ კი ტელეეკრანზე რასაც ვხედავთ, გვგონია სინამდვილეში ისეა. უცხოეთში თუ სადმე ლამაზი ქალი ნახეს, ფილმებში იღებენ.



**გურამი (30 წლის):** — შვებულებას ყოველთვის ზაფხულში ვიღებ და მას „სასიყვარულო არდადეგებს“ ვეძახი. წლიდან წლამდე სულ სასიყვარულო არდადეგების მოლოდინში ვარ. შარშან ლოდინი რომ გაუსაძლისი არ გამხდარიყო, გამოსავალი ვიპოვე: ზამთარში ორკვირიანი შვებულებით ერთ-ერთი ცხელი ქვეყნის კურორტზე გავვარდი, მაგრამ რა, იქ სხვანაირი ქალები დადიან. ყრიან პლაჟებზე და მზეს ისრუტავენ, ან კიდევ „ნადირობენ“ კაცებზე. აქ, საქართველოში კი ქალები ჯერაც ნაზები, რბილები და ფისუნიები არიან და გეპრანჭებიან, თანაც ისე, რომ ვითომ ვერ გხედავენ. კაცსაც მეტი რა უნდა! მაგარია „სასიყვარულო არდადეგები“.

***ეკა ლომიძე***





დედაქალაქით – აკრა, სახელმწიფო – ?

ამფიბიის „სახელობის“ გერმანული ფირმა

ქართული მულტფილ. „... და წრუწუნა“

დროებითი თეატრალური ან საცირკო ნაგებობა

უნგრელი კომპოზიტორი ... კალმანი

ავტორალი „პარიზი-...“

იაპონური მარცვლოვანი ანბანი

„არაჩვეულებრივი გამოფენის“ პერსონაჟი

„დორიან გრეის პორტრეტი“ (ავტორი)

მედეას წარმომავლობა

მუხა, წიფელი

რომულის ძმა

ფრანგი მწერალი (1850-93)

იაპონური თეატრი

პოლ მაკარტნი, ... სტარი

ძველი ფრანგული სიგრძის ერთეული

მდინარე ყირგიზეთსა და ყაზახეთში

ავსტრალიური ხირაქლემა

კომპიუტერის მანიპულატორი

ჩეხი მომღერალი კარელ ...

სამეჯლისო ცეკვა

თბილისის ძველი უბანი

ნადირთა დასაჭერი მოწყობილობა

ცნობილი დანიელი ფიზიკოსი ... ბორი

კუნთს ამაგრებს ძვალზე

სცენის განათება



მცირე მუსიკალური ნაწილი

ზემო ეგვიპტის დედაქალაქი (ძველად)

„ველური ორქიდეა“ (მსახიობი)

ღამის ფრინველი

ნავსი

აპულეუსი „ოქროს ...“

„ჩელსის“ ყოფილი იტალიელი ფეხბურთ.

რუსული თვითმფრინავი

1000 მმ

გრძელფეხა ფრინველი

საბუთების დაცვა პოლიეთილენით

დედამიწის თანამგზავრი

სქელი და მაგარი ქაღალდი

წინასწარ გადასაცემი თანხა

„სამკაული“ ჩლიქზე

„ჩემი მშვენიერი ლედი“ (კომპოზიტ.)

ბრიუს უილისის ნაცოლარი

ბალახიანი მინდორი

ამერიკელი მსახიობი ... გოლდბერგი

კორჩნოი-კარპოვი (მატჩის ადგილი)

„მარტოობის 100 წელი“ (მწერალი)

ჩინური ჭადრაკი

მრუდი ხაზების გასახაზი ხელსაწყო

საკონდიტრო ნაწარმი

სულგუნი

მწერი

ნამცხვრის სახეობა



„კავკასიელი ტყვე ქალი“ (პერსონ.)

ზოლას რომანი

მულტფ. „... დამაცადე“

კუნძული და ქალაქი ეგეოსის ზღვაში

იაპონური ვალუტა

ნატოს ყოფილი გენერ. მდივანი

მამლის „მშვენება“



**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. თემიდა; 2. ქერქი; 3. მორფი; 4. ქინძი; 5. შარავანდი; 6. დანია; 7. რადიო; 8. ვარძია; 9. დანდური; 10. ფავნი; 11. დი; 12. გრიმი; 13. გო; 14. სეიფი; 15. ენკი; 16. ფანდი; 17. „სუ“; 18. მინი; 19. ასი; 20. აკინი; 21. ლა; 22. ესპადა; 23. მერფი; 24. ბიკინი; 25. მიმი; 26. ეშვი; 27. მინინი; 28. ზულფია; 29. არი; 30. თეორია; 31. ბაზალეთი; 32. ბარელი; 33. ძაბვა; 34. ვაკელი; 35. კეგლი; 36. ირისი; 37. ავლი; 38. ლაზიერი; 39. ინა; 40. თორა; 41. ბილეთი; 42. „ბერეტა“; 43. ცენტი; 44. დენევი; 45. მთა; 46. აგარა; 47. ბაკარა; 48. ნაზი; 49. ძერა; 50. ძირმაგარა; 51. ლეილი; 52. ბადე; 53. ბანი; 54. ნოტა; 55. სივრცე; 56. ტაიმი; 57. ანი; 58. კრედიტი; 59. „ლატავრა“; 60. ლილი; 61. ვისკი; 62. ვენეცია; 63. მარკიზი; 64. გოეთე; 65. ნევა.

1. თქვენ ასე შესძლებთ; 2. მირბის, მიმაფრენს; 3. მკვდარი ზღვის ნობათი; 4. შვილობილი; 5. გამალიზიანებელი დიზაინი.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ.**
**ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

შეადგინა **რამაზ ალანიამ**

# ირაკლი ნოზაძე ბევრ ქალს ჰყვარებია...

**— გავიგე, რომ ირაკლი ნოზაძე, „ქუჩის ბიჭების“ წევრი, მეუღლეს დაშორებია, მაგრამ ჭორია თუ სიმართლე, ვერ დავადგინე. თქვენი გაზეთის მჯერა და იქნებ გამცეთ ამ შეკითხვაზე პასუხი.**

***მაიკო ზაქარეიშვილი***

კითხვაზე უპასუხებს **ირაკლი ნოზაძე**.



— მეუღლეს მართლაც გავშორდი. რა მიზეზით, ამაზე არ ვსაუბრობ. შევურიგდები თუ არა, ამ შეკითხვაზე კი გიპასუხებთ. ალბათ არა, თუმცა ცხოვრებაში წინასწარ რაიმეს მტკიცება დაბეჯითებით არ შეიძლება. სიყვარული ისეთი რამაა, რომ როცა გიყვარს, ვერ ამჩნევ ბედნიერებას, მაგრამ საკმარისია იგი დაკარგო, ძალიან გტკივა გული. ოჯახური ცხოვრება საკმაოდ რთულია. ვინ იცის, რა ვადით ქორწინდები. თუმცა, მიუხედავად განშორებისა, ოჯახური ცხოვრება მაინც სასიამოვნოდ გახსენდება ადამიანს. ჩვენ სიყვარულით შევქმენით ოჯახი, თუმცა მისი შენარჩუნება ვერ შევძელით. ძალიან მწყდება გული იმაზე, რომ ასე მალე გაქრა სიყვარული. წარმოუდგენელია, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ეს თითქმის 15 დღეში მოხდა, ცხოვრებაში თურმე ასეც შეიძლება მოხდეს. ერთი რჩევა მინდა მივცე ყველა შეყვარებულს და ახალდაოჯახებულს. თუკი ოდესმე ცხოვრება შენს მეორე ნახევარს განსაცდელს მოუვლენს, არ გარიყო, არ მიატოვო და ამის გამო ოჯახი არ დაანგრიო.

თუმცა, ბევრ რამეზე მწყდება გული, მაგრამ ერთი რამ მიმსუბუქებს დარდს, ძალიან ბევრ ლამაზ ქალბატონს ვყვარებივარ, მე კი ეს სულ ახლახან გავიგე.

# დიდმოხელეთა შემოსავლები

**— იქნებ თქვენი გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნოთ სახელმწიფო მოხელეებისა და ჩინოვნიკების ხელფასების რაოდენობა, რომლითაც ისინი „ცხოვრობენ“. გაგვაგებინეთ თუ რა სახსრებით ახერხებენ ჩვენი ჩინოვნიკები ფეშენებელური სასახლეების აშენებას. საინტერესოა, რამდენია პრეზიდენტის, სახელმწიფო მინისტრისა და მინისტრების წლიური ხელფასი.**

***ვაჟა ნებიერიძე***

კითხვაზე უპასუხებს **ნათია არზოლიშვილი**, თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი.

*(სიაში მითითებულია სამუშაოს შესრულებით მიღებული წლიური შემოსავალი ლარებში)*

**ედუარდ შევარდნაძე** — საქართველოს პრეზიდენტი — 4.800.

**ნანული შევარდნაძე** (მეუღლე) — საერთაშორისო საზოგადოება „საქართველოს ქალები მშვიდობისა და თანამშრომლობისთვის“ — 900.

**ავთანდილ ჯორბენაძე** სახელმწიფო მინისტრი — 2.040.

**ნინო ვეფხვაძე** (მეუღლე) — თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, კათედრის გამგე — 2.468; სანიტარიის და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერ-მუშაკი — 1.636; რადიოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი — 1.405; (სულ 5.509).

1. **როლანდ გილიგაშვილი** — იუსტიციის მინისტრი 7.083.

**ნინო ჯილაშვილი** (მეუღლე) — თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის ნეიროქირურგიის კათედრის ლაბორანტი — 360.

2. **დავით მირცხულავა** — სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი — 1.980; აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი 380 (სულ 2.360).

**მანანა კილაძე** (მეუღლე) — გ. ალადაშვილის სახ. თბილისის სახელმ. სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკური საავადმყოფოს ექიმი-ენდოკრინოლოგი — 420.

3. **ნინო ჩხობაძე** — გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი — 1.610.

**მალხაზ ძნელაძე** (მეუღლე) — ბუნების დაცვის საერთაშორისო მსოფლიო ფონდის ექსპერტი — 16.800.

4. **დავით კირვალიძე** — სოფლის მეურნეობის და სურსათის მინისტრი — 1.560. აგრარული უნივერსიტეტის ნიადაგმცოდნეობის კათედრის დოცენტი — 270 (სულ 1.830).

5. **მირიან გოგიაშვილი** — ფინანსთა მინისტრი — 1.761; პრემია — 14.750; (სულ 16.511).

6. **სესილი გოგიბერიძე** — კულტურის მინისტრი — 1.980; თსუ ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის მეცნიერ-მუშაკი — 465,24 (სულ 2.445,24).

**ზაზა შენგელია** (მეუღლე) — საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის თავმჯდომარე — 8.160.

7. **დავით თევზაძე** — თავდაცვის მინისტრი — 3.987.

8. **ალექსანდრე კარტოზია** — განათლების მინისტრი — 1.980; თსუ კათედრის გამგე — 960; ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ ექსპერტი — 2.000 (სულ 4.940).

**ნინო სიმონიშვილი** (მეუღლე) — თსუ დოცენტი — 700.

9. **ირაკლი მენაღარიშვილი** — საგარეო საქმეთა მინისტრი — 2.105,39.

**მანანა მიქაბერიძე** (მეუღლე) — ფსიქოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი — 216; თბილისის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრის ფსიქოლოგი — 1.440; თბილისის განათლების განყოფილების სამეცნიერო-პედაგოგიური კომისიის ფსიქოლოგი — 1.800 ფონდ „ჰორიზონტის“ ექსპერტი — 1.380,03 ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ ფსიქოლოგი — 310 (სულ 5.146,03).

10. **კობა ნარჩემაშვილი** — შინაგან საქმეთა მინისტრი 2.459,21.

11. **ვალერი ხაბურძანია** — სახ. უშიშროების მინისტრი 2.680.

**ნინო გივზერაშვილი** (მეუღლე) — საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ექსპერტი — 2.100.

12. **გიორგი გაჩეჩილაძე** — ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის მინისტრი — 4.033.

13. **მერაბ ადეიშვილი** — ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი — 12.541,95 ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი — 360 (სულ 12.901,95).

**მარიკა დარჩია** (მეუღლე) — საქართველოს გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე — 2.136; თბილისის საკრებულოს კომიტეტის თავმჯდომარე — 1.200; ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი — 756 (სულ 4.092).

14. **ამირან გამყრელიძე** — საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი — 5.445.

**მარინე კვეზერელი-კოპაძე** (მეუღლე) — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოცენტი — 1.940.

*P.S. როგორც ხედავთ, სახელმწიფო მინისტრის შემოსავალი საკმაოდ მოკრძალებულია. უფრო მეტიც, ზოგიერთი მინისტრი მასზე ბევრად მეტ გასამრჯელოს იღებს...*

# სიტყვათა კონა

**ბაღდადი** — 1. აბრეშუმის ოთხკუთხედი მანდილი, სახეებიანი (თავზე მოსახვევი ლეჩაქს ზევით). 2. აბრეშუმის დიდი ხელსახოცი მამაკაცისა (იცოდნენ ძველად).

**ბაღდადური** — ძველებური ცეკვა ბაღდადით ხელში; დამახასიათებელია ბუქნა.

**ბაღერა** — ნივრის თავს ზევით ღეროზე გამოსული სხვა კბილები.

**ბაყალი** (არაბ. ძვ.) — ხილით, ბოსტნეულით, სანელებლებითა და ტკბილეულით მოვაჭრე.

**ბაყბაყი** — ბოხი, უშნო ხმა.

**ბაყბაყდევი** — ყველაზე დიდი და საზარელი დევი.

**ბაყვი** — ბარძაყის შიგნითა მხარე.

**ბაყილა, ბაყილო** — ახალი, ნორჩი ხე.

**ბაშუსტა!** (თურქ. ძვ.) — დიახ, ბატონო! ბატონი ბრძანდებით!

**ბაჩა** — 1. პატარა ტანის საქონელი. 2. ცხენი, რომელსაც ძუა-ფაფარი გაკრეჭილი აქვს.

**ბაცაცა** — იგივეა, რაც ბაჭია. 2. იგივეა, რაც ქურდბაცაცა.

**ბაძგი** — მარადმწვანე ბუჩქი.

**ბახი** — უვარგისი ცხენი.

**ბაჯაჯღანა** — 1. პატარა ბავშვი. 2. დაბალი, სქელი და უშნო ადამიანი.

**ბებკი** — ძონძის ნაკერები. „ძველზე ძველი დაკერებული“ (საბა).

**ბებუთი** (სპ.) — დიდი, მოხრილი, უკეცი დანა.

**ბედასლი** (სპ.-არაბ. საუბ.) — უფხო, უხეირო, უუნარო, მოუხერხებელი კაცი.

**ბედენა** — არაფერი ბედენაა — არაფერი განსხვავებაა, არაფერს ნიშნავს. რა (დიდი) ბედენაა? — რა (დიდი) განსხვავებაა? რა მნიშვნელობა აქვს?

**ბედუინი** (არაბ.) — მომთაბარე არაბი.

**ბეზმენი** (რუს.) — იგივეა, რაც ცალსასწორი (ხელში დასაჭერი ზამბარიანი სასწორი).

**ბეითალი** (ძვ.) — იგივეა, რაც ვეტერინარი.

**ბელგა** (ძვ.) — ბეჭედი ან სხვა რამ სამკაული, სასიძოს მიერ საპატარძლოსთვის მირთმეული იმის ნიშნად, რომ ქალს ირთავდა ცოლად.

**ბელეტაჟი** (ფრ.) — 1. ჩვეულებრივ მეორე სართული (საცხოვრებელ სახლში). 2. თეატრში — პირველი იარუსი ბენუარს ზევით.

# რუკა «კვირის პალიტრისგან»

**— ძალიან გამიხარდა, როცა „კვირის პალიტრის“ 26 მაისის ნომერში საქართველოს რუკა აღმოვაჩინე. ბავშვი დიდი ხანია მთხოვდა მის ყიდვას, მაგრამ სამწუხაროდ, ფულს ვერ ვიმეტებდი. ძალიან კარგია, რომ ასეთი საჩუქარი გაგვიკეთეთ, მაგრამ რუკაზე ბევრი დიდი სოფელი არ არის დატანილი, ხომ ვერ გვეტყვით ვინ არის რუკის შემდგენელი და რატომ აკლია მნიშვნელოვანი ობიექტები?**

***მარინა გელაშვილი***

— პროფესიული რუკების ბეჭდვა რთული პროცესია, ამიტომ მას სპეციალიზებული სტამბა ესაჭიროება. ეს კი ერთი-ათად აძვირებს პროდუქციას. ჩვენ მიზნად არ გვქონდა პროფესიული რუკის გამოცემა (ასეთები საკმაოდ იყიდება, თუმცა ძვირია), უბრალოდ გვინდოდა, რომ ყველა ოჯახში, სადაც ჩვენს გაზეთს კითხულობენ, ყოფილიყო საქართველოს რუკა. ამ მიზნის განსახორციელებლად რედაქციამ კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტს მიმართა და მათი რჩევით, რუკის ელექტრონული ვერსია სააქციო საზოგადოება „აეროგეოდეზიას“ შეუკვეთა. როგორც მკითხველმა უკვე იცის, ჩვენი რუკა არ არის ისეთი ფორმატის, რომ მასზე დატანილი ყოფილიყო ყველა დიდი თუ ისტორიული მნიშვნელობის დასახლებული პუნქტი. სწორედ ამ გარემოების გამო ჰქონდა რუკას თეთრი ფონი, რომ მკითხველს თვითონ დაეტანა მისთვის სასურველი ობიექტები.

# კანაფი მარტო ნარკოტიკი არ არის

**— ჩემს მეგობრებს ვერაფრით ვუმტკიცებ, რომ კანაფი ანუ იგივე „პლანი“ ნარკოტიკული ზემოქმედების გარდა სასარგებლო თვისებების მატარებელიცაა. იქნებ თქვენ დამიდასტუროთ?**

***ნიკუშა აღდგომელაშვილი***



— დღესდღეობით კანაფი ფართო საზოგადოებაში აღიქმება როგორც ნარკოტიკული საშუალება. სწორედ ამიტომ არის, რომ მსოფლიოში სახელმწიფოთა მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პლანტაციები გაძლიერებული დაცვის ქვეშ არის, ხოლო კერძოები ნადგურდება. ეს დღეს, თორემ ადრე კანაფს დიდი სამრეწველო მნიშვნელობა ჰქონდა და მის კულტივირებას თითქმის ყველა ქვეყანაში მისდევდნენ. მცენარის მამრი ეგზემპლარიდან მზადდებოდა საუკეთესო ხარისხის ქსოვილი, რომელიც ერთდროულად თხელიც იყო და გამძლეც. მდედრი მცენარისგან მზადდებოდა უფრო უხეში ქსოვილი და ძალიან გამძლე თოკი. ეს უკანასკნელი საუკეთესო იყო საზღვაო ალჭურვილობისთვის, რადგანაც კანაფის ბოჭკო ერთადერთია ბუნებრივ ბოჭკოებს შორის, რომელსაც ზღვის მლაშე წყალი არ ხრწნის. მდედრი კანაფის თესლისგან ხდიდნენ საკვებად ვარგის და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ზეთს. მამრი და მდედრი კანაფის გარჩევა ძალიან ადვილია: მამრი ორი-სამი კვირით ასწრებს მდედრს ყვავილობას და დამწიფებას.

# ყველაზე გრძელი წვერ-ულვაში მსოფლიოში

**— ძალიან მომწონს თქვენი გაზეთის სტილი და მასში მოთხრობილი საინტერესო ინფორმაცია. იქნებ ჩემს უწყინარ შეკითხვასაც უპასუხოთ: ვინ შევიდა გინესის რეკორდების წიგნში ყველაზე გრძელი წვერისა და ულვაშების მქონე მამაკაცის სახელით.**

***მალხაზ მურღულია***



— ყველაზე გრძელი წვერი თურმე ჰანს ლანგსეტს (დაიბადა 1846 წელს, ნორვეგიაში) ჰქონია. რა სამწუხაროც არ უნდა იყოს, წვერის სიგრძის გაზომვა მისი დაკრძალვის დღეს მომხდარა, ქალაქ კენსეტში (ამერიკა, აიოვას შტატი), სადაც ჰანსი ბოლო 15 წლის განმავლობაში ცხოვრობდა. მისი წვერის სიგრძე 5,33 მეტრი ყოფილა და 1967 წლიდან მოყოლებული დღესაც სმიტსონის ინსტიტუტში (ვაშინგტონში) ინახება.

რაც შეეხება მსოფლიოში ყველაზე გრძელი ულვაშის პატრონს, ამ „ჟანრში“ რეკორდსმენი გახლავთ ბირგერ პელასი (დაიბადა 1934 წლის 21 სექტემბერს) მალმიდან (შვეიცარია). ულვაში, რომელიც ბირგერმა 1973 წელს მოუშვა, 2,87 მეტრამდე გაზრდილა. მისი ფორმის შესანარჩუნებლად პელასი მდოგვს, კარაქსა და სპეციალურ კრემს იყენებდა. ჩვენი თანამედროვე რეკორდსმენი კი 62 წლის თურქი მუჰამედ რადიში გახლავთ. მას ულვაში 10 წელია არ მოუპარსავს და ამ ხნის განმავლობაში სიგრძემ 160 სმ-ს მიაღწია.

იტალიაში ქალაქ მაპელოში ხშირად იმართება კონკურსი, რომელშიც ყველაზე გრძელი წვერისა და ულვაშის მქონე მამაკაცები მონაწილეობენ. თუმცა ჟიურის წევრები უპირატესობას მხოლოდ გრძელ წვერს როდი ანიჭებენ. შეფასების მთავარი კრიტერიუმია, თუ რამდენადაა მოვლილი წვერი და ულვაში. ასევე „ჯდება“ თუ არა ისინი კონკურსანტის გარეგნობაში და რა თქმა უნდა, მათი ფორმა და მოყვანილობა.

# ახალი ხაზები და ახალი პრობლემები

**— ვცხოვრობ თბილისში და მაქვს ბინა თელავში. თელავის ატეესი ახალ ხაზზე გადაყვანასთან დაკავშირებით ყოველი ოჯახისგან ითხოვს 50 ლარს. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებიან გამორთვით. რამდენად სამართლიანია ეს მოთხოვნა და სავალდებულოა თუ არა ახალ ხაზზე გადასვლა ყველა აბონენტისთვის. მაქვს თუ არა უფლება დავრჩე ძველ ნომერზე (გადასახდელი თანხის უქონლობის გამო).**

***ერთგული მკითხველი***

კითხვაზე უპასუხებს **მერაბ კანკავა**, საქართველოს ელექტროკავშირის დირექტორის მოადგილე.

— საქართველოს ელექტროკავშირი არავის აიძულებს გადაერთოს ახალ ხაზზე, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ძველი კომუნიკაციები გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან არსებობს თელავში. შესაბამისად, ისინი უკვე უხარისხოა. თუ რაიმე კეთდება ამ მხრივ თელავის რაიონში, ეს ფაქტი მისასალმებელია, ვინაიდან ჩვენ კავშირს ვაუმჯობესებთ. ჩემი ინფორმაციით, თელავის მოსახლეობის უმეტესობა ამ ამბავს დიდი სიხარულით შეეგება. რაც შეეხება იმ მოქალაქეებს, რომლებსაც არ სურთ ან არ შეუძლიათ სხვადასხვა მიზეზის გამო ახალ ხაზზე გადართვა, რა თქმა უნდა, შეუძლიათ დარჩნენ ძველ ხაზზე, მაგრამ იმის გარანტიას, რომ ხაზი ხანგრძლივი დროის მანძილზე გამართულად იმუშავებს, ვერავინ მისცემს. იმასაც განვაცხადებ, რომ თუ ძველ ხაზზე აბონენტთა მცირე ნაწილი დარჩება, მაგალითად, 20 კაცი, მათი გულისთვის ამ ხაზს უბრალოდ, ვერ ვამუშავებთ, ძველი ხაზის არსებობა დამოკიდებულია მასზე დარჩენის მსურველთა რაოდენობაზე. აბონენტებს ახალ ხაზზე გადართვისას ელექტროკავშირი ისედაც შეღავათს უწევს. მოქალაქეებს შეუძლიათ 50 ლარი გადაიხადონ ეტაპობრივად. მაგალითად, 8-10 თვის ვადაში.

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

# მედიცინა

# შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ბავშვობიდან სახეზე მაქვს წითელი ლაქები, ექიმს დედაჩემისთვის უთქვამს, ეს დიათეზია და თევზის ქონი ასვიო, მაგრამ მშობლებს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ და დავრჩი ასე წითელლოყება. ახლა კი ძალიან მტკენს გულს აჭრელებული ლოყები. ამას წინათ, „კვირის პალიტრაში" წავიკითხე, რომ სახეზე წითელი ლაქები უკვალოდ გაქრება, თუ რაციონს A და B ვიტამინებს დაამატებთო. მაინტერესებს, როგორ უნდა მივიღო ეს ვიტამინები და უშველის თუ არა წითლად აჭრელებულ სახეს (რომელიც დიათეზს მიაწერეს).**

***რუსო ა. 22 წლის, ბაღდათი***

არის შემთხვევები, როდესაც ადამიანს თანდაყოლილი ჰიპერემიული (წითელი) კანი აქვს ლოყებზე. ასეთ დროს კანის გასაუფერულებლად მხოლოდ კოსმეტიკური საშუალებები უნდა გამოვიყენოთ. მაგრამ თუ კანის სიწითლე ალერგიულ რეაქციასთანაა დაკავშირებული, მაშინ მიიღეთ რომელიმე ანტიალერგიული საშუალება, კალციუმის ქლორიდი (10%-იანი), აგრეთვე A ვიტამინის პროფილაქტიკური დოზა (იყიდება აფთიაქებში), B კომპლექსი. თუ აღნიშნული მკურნალობა უშედეგო აღმოჩნდება, გირჩევთ, მიმართოთ ექიმ-თერაპევტს, რომელიც დაადგენს, ხომ არ არის აღნიშნული სიმპტომი რომელიმე ქრონიკული დაავადების გამოხატულება.

**როგორ უყურებს თანამედროვე ოფიციალური მედიცინა ნემსთერაპიას?**

***ერთგული მკითხველი***

ნემსთერაპიას თანამედროვე მედიცინა იყენებს, როგორც მკურნალობის ერთ-ერთ მეთოდს. თუმცა, დებატები იმის შესახებ, ნამდვილად არსებობს თუ არა მერიდიანები, გრძელდება, რადგან მათი მეცნიერული ახსნა ჯერ არ მოგვეპოვება. მერიდიანები და აქტიური წერტილები არის არა ფიზიკური, არამედ ენერგეტიკული წარმონაქმნები, რომლებიც ფიზიკური სხეულის გარკვეულ უბნებზე პროექტირდება. მეთოდის ეფექტიანობა დადასტურებულია კლინიკურ პრაქტიკაში.

**პერიოდულად მაქვს ტკივილი მარჯვნივ, ნეკნების ქვეშ. მეწყება ხოლმე ჭამის შემდეგ. როგორ მოვიქცე?**

***ლევან შალვაშვილი, თბილისი***

თუკი მარჯვენა ფერდქვეშა არეში ტკივილი გაწუხებთ საკვების მიღების შემდეგ, ყველაზე მეტად სავარაუდოა სანაღვლე გზების პათოლოგია. უნდა მიმართოთ თერაპევტს ან გასტროენტეროლოგს, დიაგნოზის დაზუსტების შემდეგ დაგენიშნებათ სათანადო მკურნალობა.

**ვარ 69 წლის. ისევ მაწუხებს კლიმაქსი. მეგობარმა მასწავლა ასეთი რეცეპტი: „10 ცალი ლიმონი კანიანად დავჭრათ და დავაქუცმაცოთ, შევურიოთ 5 ცალი უმი კვერცხის ნაჭუჭი და დავამატოთ ნახევარი ლიტრი არაყი, დავდგათ 5 დღე-ღამე გრილ, ბნელ ადგილას, გავფილტროთ. მივიღოთ 2 ს/კ 3-ჯერ დღეში ერთი თვის განმავლობაში.**

***პატივისცემით ნუნუ ჭერაშვილი***

**ექიმის კომენტარი:** ეს რეცეპტი გამოიყენება ორგანიზმში კალციუმის დეფიციტის შესავსებად ბუნებრივი კალციუმით, რომელსაც კვერცხის ნაჭუჭი შეიცავს. ცნობილია, რომ კლიმაქსის პერიოდში ქალის ორგანიზმში ხდება ისეთი ჰორმონული ძვრები, რომელიც დეკალციფიკაციას უწყობს ხელს. სწორედ ამიტომ ხდება ოსტეოპოროზის (ძვლების გამოფიტვა) განვითარება ინტენსიურად ამ ასაკში. ძვლები მყიფდება და მოტეხილობა ადვილად ვითარდება. კალციუმის დეფიციტი სხვა მრავალ პათოლოგიურ პროცესსაც იწვევს, ამიტომ საჭიროა მისი დანაკარგის აღდგენა, რისთვისაც ყველაზე ეფექტური საშუალება სწორედ ბუნებრივი კალციუმი გახლავთ. სასურველია, კვერცხი შინაური ქათმისა იყოს, რადგან იგი მდიდარია მინერალებით.

## მკითხველი — მკითხველს

**აგერ უკვე 10 წელია, მაწუხებს ფაღარათი, რომელსაც ვერაფერი მოვუხერხე. ექიმის მიერ დანიშნულმა წამლებმა დროებითი შედეგი მომცა, შემდეგ უფრო გამიუარესდა მდგომარეობა. ხშირი მოქმედება არ მაქვს, მაგრამ მაწუხებს მოვლითი ტკივილები მუცელში, გაზების დაგროვება და თხელი განავალი. იქნებ იცოდეთ ამ დაავადების მცენარეული წამალი.**

***ერთგული მკითხველი***

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის" დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში" მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

# შხაპი დაღლილობას ხსნის



დაღლილობის მოსახსნელად შესანიშნავი საშუალებაა შხაპი. უნდა იდგეთ 2 წუთი თბილი წყლის ქვეშ, შემდეგ 10 წამით მოუშვით ცივი წყალი. ასეთი შხაპი ნივთიერებათა ცვლის პროცესს ააქტიურებს, ეხმარება შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების აქტიურობას. შხაპი ახალი ენერგიით ავსებს ორგანიზმს. კარგია, თუ კვირაში ორჯერ აუზშიც იცურავებთ.

დადებითად მოქმედებს დილის ვარჯიშიც. არ არის აუცილებელი რთული ილეთების შესრულება.

**პირველი.** დადექით კედელთან; ასწიეთ ხელები მაღლა, მკერდი წინ გამოსწიეთ, რამდენიმე წამი შემდეგ დაიხარეთ და თითებით შეეხეთ იატაკს (გრძელდება 10 წმ), გაიმეორეთ 10-ჯერ.

**მეორე.** დაჯექით იატაკზე. ასწიეთ ხელები ზევით და გადაიხარეთ წინ და შემდეგ უკან, სანამ არ დაიღლებით.

**მესამე.** დაწექით პირქვე იატაკზე. ჩაისუნთქეთ, დაეყრდენით ფეხის თითებს, ხელისგულებსა და თითებს: აიწიეთ მოხრილად, ამოისუნთქეთ და დაეშვით იატაკზე. ასეთი ვარჯიში ჩაატარეთ სულ ცოტა 5-ჯერ მაინც.

**მეოთხე.** გაიკეთეთ დოინჯი. დაჯექით ტახტთან დაბალ სკამზე. გადაიხარეთ უკან. ჯერ მსუბუქად, შემდეგ უფრო ძლიერად. შეასრულეთ ეს ვარჯიში რამდენჯერმე.

ბოლოს მიიღეთ შხაპი და თქვენ მოგეხსნებათ ყოველგვარი დაღლილობა.

***მირ ნოვოსტეი №26***






## დაინფიცირებულია მსოფლიოს 1/5

## „პიმაფუცინი" – ეფექტურობა და უსაფრთხოება

სოკოვანი ინფექციები ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოს მასშტაბით. დედამიწის მოსახლეობის 1/5-ს აღენიშნება სხვადასხვა სახის სოკოვანი დაავადება. მათ შორის აღსანიშნავია კანდიდოზური ვულვოვაგინიტი- საშოს სოკოვანი ანთება, რომელსაც საშოს საერთო ინფექციებს შორის 30-40% უკავია. მისი გამომწვევი 85-95%-ში არის საფუარა სოკო Candida albicans. რეპროდუქციული ასაკის ქალთა 75%-ს ერთხელ მაინც გადატანილი აქვს კანდიდოზური ვულვოვაგინიტი. დაავადების სიხშირე ორსულებში 2-3-ჯერ მაღალია და 50%-ს აღწევს. ორსულობა წარმოადგენს საშოს სოკოვანი დაავადების გამოვლენის მაღალ რისკს. ამას განაპირობებს ჰორმონალური ბალანსის ცვლილება და ორგანიზმის იმუნური სისტემის დაქვეითება. ამდენად, ორსულებში საშოს სოკოვანი ანთება შეიძლება გახდეს მიზეზი ნაყოფის დაინფიცირებისა. საშოს სოკოვანი ანთება შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ნიშნებით: 1. მცირე ან ზომიერი თეთრი ხაჭოსებრი გამონადენი საშოდან. 2. ქავილი, წვა, გაღიზიანება გარეთა სასქესო ორგანოების მიდამოში, შესაძლოა გამოვლინდეს ტკივილი მოშარდვისას. 3. ქავილი ძლიერდება სითბოში, ძილის დროს, თბილი აბაზანის და სქესობრივი აქტის შემდეგ. მიუხედავად სოკოს საწინააღმდეგო მაღალეფექტური თერაპიისა, ხშირია დაავადების რეციდივები. ეს შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ არაა ჩატარებული კომპლექსური მკურნალობა ან დაირღვა მკურნალიობის სქემა. კომპლექსური მკურნალობა გულისხმობს ადგილობრივად ვაგინალური სანთლების გამოყენებასთან ერთად ვიმოქმედოთ სოკოს ძირითად წყაროზე კუჭ-ნაწლავის ტრაქტში, (რაც განაპირობებს რეინფექციას), ტაბლეტირებული ფორმით. ასევე გამოყენებულ იქნას კრემი გარეთა სასქესო ორგანოების და შორისის კანის სამკურნალოდ. აუცილებელია იგივე კრემით იმკურნალოს პარტნიორმაც. საშოს სოკოვანი ინფექციების სამკურნალოდ გამოიყენება მრავალი სისტემური თუ ადგილობრივი მოქმედების პრეპერატები. მათ შორის აღსანიშნავია ადგილობრივი მოქმედების პრეპარატი პიმაფუცინი (ნატამიცინი), რომელიც გამოდის სანთლის, ტაბლეტის და კრემის სახით. მისი ნაწლავში ხსნადი ტაბლეტები არ შეიწოვება კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან რისგამოც ის მაღალი კონცენტრაციით აღწევს მსხვილ ნაწლავს - სოკოს ძირითად წყაროს. სწორედ ამ თვისების გამო, განსხვავებით სისტემური პრეპარატებისა, პიმაფუცინს არ აღენიშნება გვერდითი მოვლენები და მისი გამოყენება უსაფრთხოა ორსულობის ნებისმიერ ფაზაში, ძუძუთი კვების დროს და ახალშობილებში. საშოს მწვავე სოკოვანი ანთების დროს პიმაფუცინის ვაგინალური სანთელი ინიშნება ერთხელ დღეში ძილის წინ 6 დღის განმავლობაში. ქრონიკული პროცესის დროს იგივე დოზირებით 9 დღე. ამავდროულად ინიშნება ტაბლეტირებული ფორმა- თითო აბი 4-ჯერ დღეში 6-10 დღის განმავლობაში, ვიყენებთ კრემს და მკურნალობს პარტნიორიც. ბავშვებში შეიძლება დაინიშნოს ერთი აბი 2-ჯერ დღეში. გარდა ზემო აღნიშნული დაავადებისა პიმაფუცინი გამოირჩევა მაღალეფექტურობით ნაწლავური კანდიდოზების სამკურნალოდ და მის საპროფილაქტიკოდ ინტენსიური ანტიბიოტიკოთერაპიის თუ ქიმიოთერაპიის დროს.

***მწარმოებელი ფირმა: „იამანუჩი" (ნიდერლანდები)***

R




# ზღვაზე დამსვენებლებს ვურჩევთ:



1. მანამ, სანამ მზეზე გახვალთ, 15-20 წუთით ადრე მშრალ ტანზე წაისვით მზისგან დამცავი კრემი;

2. მაშინაც კი, როდესაც არ ბანაობთ ზღვაში, დროდადრო ხელახლა უნდა წაისვათ მზისგან დამცავი კრემი;

3. ზღვაში ბანაობის შემდეგ ტანზე აუცილებლად გადაივლეთ მტკნარი წყალი და კარგად გაიმშრალეთ, რათა ძალიან არ დაიწვათ;

4. მზის დამცავი კრემი შეინახეთ მაცივარში;

5. ზღვაზე გამგზავრებამდე, 2 კვირით ადრე, ნუ შეილებავთ თმას;

6. ლამაზად გაირუჯებით, თუ პლაჟზე კი არ დაწვებით, არამედ ისეირნებთ;

7. თუ თქვენს ბავშვს უყვარს პლაჟზე ქვიშით თამაში და უარს გეუბნებათ დამცავ კრემზე, მაშინ იხმარეთ სპრეი.

8. მზეზე ყოფნისას უმჯობესია, უარი თქვათ სპირტის შემცველ კოსმეტიკაზე;

9. ცხვირს, ტუჩებს და ყურებს სპეციალური მზის დამცავი კრემი სჭირდება.

***ლიზა №27***


**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**



## *პირველად საქართველოში!*

**მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:**

სქესობრივი აქტის ჩატარების გამნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

**ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური განჯანსაღების გარანტიაა!!!**

კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, მე-2 სართული, ტელ: **99 64 99**
მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა
**ანონიმურობა დაცულია!**


**რას წარმოადგენს პოლინოზი. როგორ დავიცვა მისგან თავი, როგორ ვითარდება ის და რას მირჩევთ?**

***გ. გაბეჩავა (თბილისი)***

# როგორ ვებრძოლოთ ალერგიას?



პოლინოზი არის ალერგიული რეაქცია მცენარეული მტვრის წინააღმდეგ. მისი გამოცნობა ხშირად ერევათ გაცივებაში, ამიტომაც გაითვალისწინეთ:

— პოლინოზის დროს გამოხატული სიმპტომები სეზონური ხასიათისაა. ის ყოველთვის წელიწადის ერთსა და იმავე დროს იჩენს თავს.

— ცხვირიდან გამონადენი უხვია და წყლის მაგვარი, გაცივებისას კი მას მოყვითალო ფერი აქვს.

— დამახასიათებელია ქავილი და თვალების შეწითლება, ცრემლდენა.

— არ ახასიათებს სხეულის ტემპერატურის მატება, თუმცა ზოგჯერ ტემპერატურა $37^0$-მდე მატულობს.

— ყველა სიმპტომი უმეტესად გამოხატულია დღის პირველ ნახევარში მშრალ, ცხელ, ქარიან ამინდში, როდესაც მტვრის კონცენტრაცია ჰაერში მეტია; წვიმიან და უქარო ამინდში სიმპტომები მცირდება.

— ალერგია ძლიერდება ქუჩასა და ქალაქში, ჩაკეტილ ოთახში. აბაზანის მიღების შემდეგ მდგომარეობა მნიშვნელოვნად მსუბუქდება.

— თუკი რომელიმე ანტიჰისტამინურ პრეპარატს იყენებთ და სიმპტომებმა უკან დაიხია, ეს ალერგიის ნიშანია.

მცენარეული მტვრის ალერგენული თვისებები მნიშვნელოვნად მატულობს დიზელის გამონაბოლქვით, ოზონით, გოგირდის ოქსიდითა და აზოტით დაბინძურების დროს, რაც აღიზიანებს სასუნთქი გზების ლორწოვანას. ალერგიას იწვევს აგრეთვე სხვადასხვა საკვები (უპირველესად ბოსტნეული, ხილი, თხილი).

ზოგიერთი მცენარის მტვერი ძლიერი ალერგენია. ადრე ფიქრობდნენ, რომ ამას მტვრის ნაწილაკის ზომა განსაზღვრავდა. რაც მცირე იყო მისი ზომა, მით უფრო ალერგიული იყო ის. ახლა კი დამტკიცდა, რომ ეს ალერგენობის განმსაზღვრელი მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორი ყოფილა. გადამწყვეტია ცილა-ალერგენი, რომელსაც შეიცავს მტვრის ნაწილაკი, რაც, თავის მხრივ, მცენარისთვის თავდაცვის საშუალებაა. ალერგოლოგები საფრთხედ მიიჩნევენ გენეტიკურად შეცვლილ მცენარეებსაც.

საქართველოში გავრცელებული მცენარეთაგან ალერგიის გამომწვევი ბევრია, ყველაზე სახიფათოა ამბროზია, რომელიც ჩვენთან დეკორატიულ მცენარედ ითვლება (ბაღებსა და სახლების გარშემო რგავენ).

მნიშვნელოვანია განსაზღვროს, რომელი მცენარის მიმართ გაქვთ ალერგია, უნდა მიმართოთ ექიმ-ალერგოლოგს, რომელიც სინჯების საშუალებით ადვილად დაადგენს თქვენი ალერგიის მიზეზს. სინჯების გაკეთებამდე 2 კვირით ადრე ანტიჰისტამინური პრეპარატების მიღება უნდა შეწყდეს. ალერგიის დიაგნოსტიკა ძალზე მარტივია, სისხლის საერთო ანალიზით ხდება ეოზინოფილების რაოდენობის შეფასება. ალერგიის დიაგნოსტიკა სისხლის ვენიდან აღების შედეგად ხდება. განისაზღვრება იმუნოგლობულინები.

ალერგია მთელი ცხოვრება თან სდევს ადამიანს. თავის დასაცავად და სიმპტომების შესამცირებლად გამოიყენება ანტიჰისტამინური პრეპარატები. თუმცაღა გაითვალისწინეთ, რომ ისინი განსხვავდებიან არა მარტო ფასით, არამედ მოქმედების სპეციფიკითა და ხანგრძლივობით, ასევე გვერდითი მოვლენებით. ზოგჯერ ალერგიული რინიტის (ცხვირის ლორწოვანის ანთება) მოსახსნელად ჰორმონალურ პრეპარატებს იყენებენ.

ალერგიის წინააღმდეგ ასევე გამოიყენება იმუნოთერაპია, რაც შემდგომში მდგომარეობს:

3-4 თვე ექიმ-ალერგოლოგს პაციენტის კანში ალერგენი შეჰყავს. დასაწყისში 2-3-ჯერ კვირაში, შემდეგ ერთხელ — მხარზე კანქვეშ (ეს უმტკივნეულოა). ყოველ სეანსზე დოზა იმატებს. შედეგად მიიღწევა სტაბილური რემისია (უსიმპტომო პერიოდი), ადამიანს 5 წელი მედიკამენტები არ სჭირდება.

არსებობს უფრო სწრაფი იმუნოთერაპიის კურსი (სტაციონარული), კურსი 2 კვირა გრძელდება და ექიმის მუდმივი მეთვალყურეობაა საჭირო.

ალერგიული რეაქციისგან თავის დასაღწევად გთავაზობთ ფიტოთერაპიულ საშუალებას, რომელიც 2-3 კვირით ადრე უნდა დაიწყოთ. მაშ ასე: ყოველდღე ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, დღეში 3-ჯერ მიიღეთ 1/2-1/3 ჭიქა ნაყენი: 10 გ დაქუცმაცებულ კრაზანას დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი. 2 საათი თერმოსში გააჩერეთ და მიიღეთ დღეში სამჯერ, 2 სუფრის კოვზი ჭამამდე.

***მაია მუხიგული***




ამიერკავკასია

## აზერბაიჯანი და სომხეთი – ისევ ომის ზღურბლზე

აზერბაიჯანი-სომხეთის საზღვარზე ატეხილმა სროლამ, რომელმაც ორივე მხარის ოფიცრებისა და ჯარისკაცების სიცოცხლე შეიწირა, აიძულა ამ ქვეყნების თავდაცვის მინისტრები ს. აბიევი და ს. სარქისიანი სასწრაფოდ შეხვედროდნენ ერთმანეთს. მომხდარს მინისტრებმა განსხვავებული შეფასება მისცეს. სომხეთის თავდაცვის მინისტრის პრესმდივანმა ჟურნალისტებს განუცხადა, — საზღვარზე სერიოზული შეტაკება არ მომხდარა და მას არც მსხვერპლი მოჰყოლიაო; აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრის პრესმდივნის განცხადებაში ნათქვამი იყო — სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაცხრილეს აზერბაიჯანის პოზიციები, რასაც რამდენიმე ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირაო. არაფერი თქმულა იმაზე, თუ რამ გაამწვავა ურთიერთობა.

აზერბაიჯანელი ექსპერტების აზრით, საზღვარზე ახალი კონფლიქტი ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნების წინ დესტაბილიზაციის აზვირთების მიზნით გაჩაღდა და მას შეიძლება ფართომასშტაბიანი ომი მოჰყვეს.

სომხეთ-აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევის (9 წელია საზღვარზე ინციდენტი თითქმის აღარ მომხდარა) ფაქტი აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ბაქოში მყოფ ევროკავშირის დელეგაციის წევრებთან ერთად განიხილა და დასძინა, — სომხეთი ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგებას არ ცდილობს, იგი არა მარტო არ ასრულებს გაეროს მიერ მიღებულ დადგენილებას, არამედ ეწინააღმდეგება კიდეცო. ბაქო ევროკავშირიდან მხარდაჭერას ელის.

*ნეზავისიმაია №138*

იტალია

## იტალიელებმა მხარი აუბეს ბერლუსკონის



იტალიელ და გერმანელ პოლიტიკოსებს შორის აურზაური არ ცხრება. ჯერ კიდევ ყველას პირზე აკერია ბერლუსკონის უკბილო ხუმრობა, როცა მან გერმანიის წარმომადგენელი საკონცენტრაციო ბანაკის ზედამხედველს შეადარა და იტალიამ ისევ „იშაყირა“. მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ტურიზმის დარგში სტეფანო სტეფანიმ გერმანელ ტურისტებს ეროვნული პატივმოყვარეობით გაპეყილი ქერა დოყლაპიები უწოდა. ისინი ჩვენს კურორტებზე ისვენებენ და თან გვლანძლავენ. მათი გაზეთი „ბილდი“ სულ იმას წერს: რიმინიში ამდენი მანქანა მოგვპარეს, სიცილიაში კაცი მოგვიკლეს, ეს წაგვგლიჯეს, იქ გაგვატყავესო, — განაგრძო ტირადა სტეფანიმ. „ბილდს“ პასუხი არ დაუყოვნებია — სტეფანო სტეფანის ტვინის მაგივრად თავში სპაგეტი უდევსო. კანცლერმა გერჰარდ შრედერმა, რომელსაც ძალიან უყვარს იტალიაში დასვენება, ბრძანა, — ამის შემდეგ ჩემი ფეხი იქ აღარ იქნებაო.

მდგომარეობის გამოკეთებას შეეცადა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკო ფრატი, რომელმაც სტეფანის არ მოუწონა ნათქვამი — რას ბრძანებთ, გერმანელი ტურისტები იტალიაში სასურველი სტუმრები არიანო.

*უტრო.რუ*

## რად სჭირდებათ ერთმანეთი აშშ-სა და აფრიკას



აქამდე აშშ-ის პრეზიდენტი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა აფრიკის პოლიტიკას. პრეზიდენტობის ორწელიწად-ნახევრის განმავლობაში ის პირველად ეწვია შავ კონტინენტს. ბუშს ამ ტურნეს ჩასატარებლად უბიძგა რამდენიმე მიზეზმა. ეს გახლავთ ლიბერიის პრობლემა, შიდსთან ბრძოლა, აფრიკის ნავთობკონტრაქტები და რაც ყველაზე მთავარია, აშშ-ის მომავალი არჩევნები. ჩანს, პირველ რიგში სწორედ ამომრჩეველს მიმართავდა ბუში ტურის პირველ დღეს, როცა მონებით ვაჭრობას ისტორიაში უდიდესი დანაშაული უწოდა. ბუში აშკარად ცდილობდა შავკანიანი ამერიკელების მხარდაჭერის მოპოვებას.

აფრიკაში აშშ-ის ლიდერი მაინცდამაინც არ უყვართ, მაგრამ იციან, რომ მას ბევრი პრობლემის გადაჭრა შეუძლია. უპირველეს ყოვლისა, მისგან ელიან სამშვიდობო ჯარის შეყვანას ლიბერიაში, სადაც რამდენიმე წელია გრძელდება სამოქალაქო ომი. ბუში აფრიკელებს დაჰპირდა, შიდსთან საბრძოლველად 15 მლრდ დოლარს გამოგიყოფთო. არსებობს რამდენიმე მიზეზი, რომლის გამოც აფრიკას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს თავად აშშ-ისთვის. მთავარი მაინც ნავთობია. დასავლეთ აფრიკის წილად მოდის აშშ-ში შემავალი ნავთობის 15% და ეს მაჩვენებელი უახლოეს წლებში 25%-მდე გაიზრდება.

ჯორჯ ბუშის აფრიკულმა ტურნემ მსოფლიოს უნდა დაანახვოს, რომ აშშ-ის ამბიციები ახალ ფაზაში შევიდა.

*ნიუს.რუ*

## ვინ არის რომან აბრამოვიჩი?



ჩუკოტკის გუბერნატორის, რომან აბრამოვიჩის მიერ ინგლისის საფეხბურთო კლუბ „ჩელსის“ ყიდვას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. მასმედიას ყველაფერი აინტერესებს — რამდენი აქვს ვალი „ჩელსის“ ან მისი ახალი მეპატრონე აბრამოვიჩი რა ქონების პატრონია, ან რა ხეირს ელის ამ გარიგებიდან.

თავად აბრამოვიჩმა ბი-ბი-სის კორესპონდენტს გაანდო: ინგლისი ძალიან მიყვარს, ბავშვობიდან ვოცნებობდი საკუთარ საფეხბურთო გუნდზეო.

აბრამოვიჩზე საუბრისას რატომღაც ხშირად იხსენებენ პრინცესა დაიანასთან ერთად კატასტროფაში დაღუპულ დოდი ალ-ფაიედის მამას, მოჰამედ ალ-ფაიედს, რომელმაც 1997 წელს საფეხბურთო გუნდი „ფულჰემი“ იყიდა. ის მაღაზია „ჰეროდსის“ მფლობელიცაა, აქვს ბანკი, კაზინო, უძრავ-მოძრავი ქონების სააგენტოები, ავიაკომპანიაც კი. ალ-ფაიედი ყველაზე სახელგანთქმული ადამიანია მათ შორის, ვისაც ლონდონმა XX საუკუნეში უარი უთხრა მოქალაქეობაზე. ის ყველაფერს აკეთებდა, რათა ნამდვილი „ბრიტანელი“ გამხდარიყო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ლონდონში 35 წლის ცხოვრების შემდეგ იგი შვეიცარიაში გადასახლდა. ასე რომ, დიდმა ბრიტანეთმა ალ-ფაიედს 1:0 მოუგო.

ალ-ფაიედსა და აბრამოვიჩს ბევრი აქვთ საერთო. ალ-ფაიედი ალექსანდრიელი ღარიბი მასწავლებლის შვილია. აბრამოვიჩი — ოთხი წლიდან ობლად გაიზარდა რუსეთის რომელიღაც მივარდნილ კუთხეში. ორივეს ძალიან უყვარს ინგლისი. „ჩელსის“ გარდა აბრამოვიჩს დიდ ბრიტანეთში ეკუთვნის ლამის კლუბი, ტურისტული კომპანია, კომუნალური მომსახურების საწარმოები, სატელევიზიო და ინტერნეტმაუწყებლობა და ა.შ.

თავად აბრამოვიჩი ირწმუნება, იმპერიული ამბიციები არ მაწუხებს, არ მსურს ნაპოლეონობა. უბრალოდ, მუხლჩაუხრელად ვშრომობ და პრაგმატიკოსი ვაროო. თავის თავს აბრამოვიჩი „ოჯახის კაცს“ უწოდებს, მას 5 შვილი ჰყავს. ნიცაში, საკუთარ ვილაში დასასვენებლად საკუთარი „ბოინგ-756“-ით მიფრინავს.

ჩუკოტკის გუბერნატორი თავის გუბერნიას თვეში ერთხელ თუ ეწვევა, იქ ორსართულიან ხის სახლში ცხოვრობს. მამულები აქვს მოსკოვის მახლობლად და სამხრეთ ინგლისში. აბრამოვი არც სვამს და არც ეწევა. თავს პირველ რიგში ებრაელად და შემდეგ რუსად მიიჩნევს. დიდი სიმდიდრის მიუხედავად, ძალიან თავმდაბალი და მოკრძალებული კაცია.

## ბერეზოვსკის ყველაფერზე აქვს საკუთარი აზრი

ხმები დადის, შეიძლება „მანჩესტერ იუნაიტედიც“ რუსმა იყიდოსო, მისი ფასი 500 მლნ გირვანქა სტერლინგია, ანუ 8-ჯერ მეტი, ვიდრე აბრამოვიჩმა „ჩელსიში“ გადაიხადაო. რუსის ვინაობას არ ამხელენ. „დეილი ექსპრესის“ ცნობით, საიდუმლო მაგნატმა უკვე დაიწყო მოლაპარაკება.

მართლა დაიდება „საუკუნის გარიგება“, როგორც მას ლონდონში უწოდებენ? დღეს აქციების 75% კლუბის მენეჯერის, ალექს ფერგიუსონის და მისი მეგობრების — ჯონ მაგნიერისა და ჯონ მაკმანუსის ხელშია... ამბობენ, რომ ისინი გაყიდვაზე თანახმანი არიან. არც დანარჩენი აქციების მფლობელი, საგაზეთო მაგნატი დერმონტ დესმონდია უარზე. ისე რომ, უცნობ რუს ოლიგარქს შანსი ნამდვილად აქვს. თავად „მანჩესტერ იუნაიტედის“ პრესოფისში კომენტარს არ აკეთებენ და ცხადია, არც იმაზე პასუხობენ, კლუბს მართლა ბერეზოვსკი ყიდულობს თუ სხვა ვინმე. ეგებ მყიდველი კახა ბენდუქიძის უწყებაში იმალება (გაერთიანებული მანქანათმშენებელი ქარხნები)? არც ეს უწყება ადასტურებს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყიდვას. ირწმუნებიან, აქ ამაზე საფიქრალად არ გვცალია, სერიოზულ სამანქანათმშენებლო ბიზნესს ვეწევითო. ეგებ მიხაილ ხოდორკოვსკის კლავს მისი შეძენის სურვილი? „იუკოსში“ ეს კითხვა დაცინვად მიიჩნიეს — თქვენ რა, ტელევიზორს არ უყურებთ, მაგისთვის გვცხელაო? „მანჩესტერის“ შეძენის თაობაზე არაფერი იციან არც სხვა ოლიგარქებმა. თუმცა ბერეზოვსკიმ აბრამოვიჩის მიერ „ჩელსის“ ყიდვის კომენტირებისას განაცხადა, — თუ ფეხბურთის გუნდს ყიდულობ, სჯობს „მანჩესტერ იუნაიტედი“ იყიდო. უკეთესიც არის და უფრო პერსპექტიულიცო.

ბორის ბერეზოვსკი ირწმუნებოდა, — როგორც კი ხელისუფლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე კონტროლს ხელთ იგდებს, მაშინვე ბიზნესს მისდგებაო. „იუკოსის“ საქმემ ყველას მისი ნათქვამი გაახსენა. თვით ბერეზოვსკი კი უკანასკნელ მოვლენებს ასე აფასებს: „როცა კრემლი დარწმუნდა, რომ ხოდორკოვსკი გარკვეულ ზღვარს გადავიდა და მისი გავლენა მეტისმეტად იზრდებოდა, აღარ მოუთმინეს. პუტინის დავალებით გამოიძახეს. მისივე დავალებით წამართვეს მეც ო-ერ-ტე. პუტინმა თვითონ მითხრა, — მე მინდა ო-ერ-ტე-ს ვუხელმძღვანელოო. პუტინის დავალებით წაართვეს გუსინსკისაც ენ-ტე-ვე.... ვფიქრობ, ხოდორკოვსკიმ ბოლომდე ვერ გათვალა, რომ ხელისუფლება უკვე აბსოლუტურად ყველაფრისთვის მზად იყო. მიშას არ ეგონა, რომ ასე მოხდებოდა. მე მას კარგად ვიცნობ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი კომპანია შექმნა, ის სუსტი ადამიანია. ჩვენი ოლიგარქების სისუსტე ის არის, რომ ვერ ქმნიან პროცესს, მხოლოდ მასში ჩართვა შეუძლიათ. ასე იყო 1996-ში, 1999-ში. სად იყო მაშინ ხოდორკოვსკი? გასუსული უცდიდა, ვინ გაიმარჯვებდა — პრიმაკოვი თუ პუტინი, მიშაც იმისკენ წავიდოდა. ასეც მოიქცა. ახლაღა მიხვდა, რომ ხელისუფლება ხელს უშლიდა კომპანიას და პოლიტიკას შეეჭიდა. ამიტომაც მოხვდა ცხვირში“.

*უცხოური პრესის მიხედვით*

პალესტინა

## აბასის მთავრობა ბეწვზე ჰკიდია



პალესტინის ნაციონალური ავტონომია სამთავრობო კრიზისის ზღურბლზე აღმოჩნდა. პრემიერ-მინისტრი მაჰმუდ აბასი მოძრაობა „ფაჰთი“-ს ცენტრალური კომიტეტიდან გამოვიდა და განაცხადა, — შესაძლოა მთავრობის მეთაურის პოსტიდანაც გადავდგეო.

მოძრაობის ბევრი აქტივისტი უკმაყოფილოა მის მიერ ისრაელთან ჩატარებული მოლაპარაკებებით — მეტისმეტად ბევრი დათმოო. მიუხედავად ამისა, „ფაჰთი“-ს ცენტრალურმა კომიტეტმა არ დაუჭირა მხარი მის გადადგომას. პალესტინის ხელისუფლებაში დაპირისპირება მხოლოდ ლიდერობის მიზეზით არ არის გამოწვეული. კონფლიქტი „ფაჰთი“-ს ცენტრალურ კომიტეტში ფაქტობრივად არიელ შარონმა გამოიწვია, რომელმაც სიტყვა გატეხა. მაგალითად, ციხეებში კვლავ არიან არა მარტო რადიკალები, არამედ „ფაჰთი“-ს წარმომადგენლები. ისრაელელებმა უმთავრესად ის პალესტინელები გაათავისუფლეს, რომელთაც ადმინისტრაციული სასჯელი ჰქონდათ დადებული. ამის გარდა თავისუფალი გადაადგილების უფლება არ მიეცა არაფატს (თუმცა კი შეთანხმებული იყო). ეს პალესტინელებმა აბუჩად აგდებად მიიჩნიეს. ბოლოდროინდელი მოვლენები სათუოს ხდის ახლო აღმოსავლეთის მოწესრიგების გეგმის განხორციელებას. თუ აბასი მართლა გადადგა, ისრაელელებს ისევ არაფატთან მოუწევთ საქმის დაჭერა, შარონის კაბინეტი კი ამის კატეგორიული წინააღმდეგია. აშშ-მა და ევროკავშირმა უკვე დაიწყეს პალესტინის მთავრობისათვის ფინანსური მხარდაჭერის პროგრამის განხორციელება.

*ნიუ ზუიქი*

## მოკლედ

**აზერბაიჯანის** პრეზიდენტის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა. ჰეიდარ ალიევი სასწრაფოდ დააწვინეს თურქეთის სამხედრო სამედიცინო აკადემიის კლინიკა „გიულჰანის“ სარეანიმაციო განყოფილებაში.

**ამერიკელმა** გენერალმა ტომი ფრენქსმა, რომელიც ერაყის ომის დროს კოალიციის ძალებს სარდლობდა, განაცხადა, რომ ამერიკის ჯარს ამ ქვეყანაში კარგა ხანს მოუწევს ყოფნა. ერაყში ოპერაციების ჩატარება აშშ-ს თვეში 3,9 მლრდ დოლარი უჯდება.

**ბაღდადის** ნაციონალურ მუზეუმში, რომელსაც ომის დროს ხელი არ დააკლეს მძარცველებმა, გაიხსნა ნიმრუდის საგანძურის გამოფენა, რომელიც ჩვენს ერამდე 900 წლით თარიღდება. აქამდე ის მხოლოდ ერთხელ, სადამ ჰუსეინის სტუმრებს უჩვენეს.

**წითელი ზღვის** სანაპიროზე, ქალაქ პორტ-სუდანის მახლობლად, ავიაკატასტროფა განიცადა სამგზავრო თვითმფრინავმა „ბოინგ-737“-მა. 117 მგზავრისა და ეკიპაჟის წევრთაგან ცოცხალი მხოლოდ ორი წლის ბავშვი გადარჩა.

**სინგაპურში** წარუმატებლად დამთავრდა სიამის ტყუპის, ირანელი დების ლიალეჰისა და ლადან ბიჯანის გასაცალკევებელი ოპერაცია. დები დაიღუპნენ.

**ავსტრალიელი** ჯეიმს ჰარისონი გინესის წიგნში შევიდა, როგორც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე გულუხვი დონორი. სიცოცხლის მანძილზე მან 480 ლ სისხლი ჩააბარა.

**ჩინეთის** აღმოსავლეთი რაიონებიდან დაახლოებით 55 ათასი ადამიანია ევაკუირებული. აქ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ყველაზე დიდი წყალდიდობა მოხდა. ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობს წყალდიდობის შედეგების აღმოსაფხვრელად. დაზარალებული რაიონიდან ევაკუირებული არიან უმეტესად ქალები, ბავშვები და მოხუცები.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*


საქართველოს ბიზნესის უნივერსიტეტი

(რექტორი აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი)

გიწვევთ შემდეგი კვალიფიკაციების დასაუფლებლად:

1. საგარეო ურთიერთობათა ეკონომისტ-მენეჯერი; საერთაშორისო ბიზნესის მენეჯერი;
2. იურისტი; იურისტ-მენეჯერი; საერთაშორისო სამართალმცოდნე; ექსპერტ-კრიმინალისტი; აგრარულ ურთიერთობათა (მიწის კადასტრის) იურისტი;
3. ფინანსისტ-ეკონომისტი; ბუღალტერ-ეკონომისტი; საბანკო საქმის მენეჯერი; კომერსანტ-მენეჯერი, ვაჭრობის საქონელმცოდნე;
4. კვების მრეწველობის ტექნოლოგ-მენეჯერი;
5. აგროსამრეწველო წარმოების მენეჯერი;
6. საკურორტო და ტურისტული მეურნეობის მენეჯერი;
7. სამედიცინო სამსახურის მენეჯერი.

სწავლის წლიური მინიმალური საფასურია 100$ ეკვივალენტი

მის: ჩიქოვანის 26 (სპორტის სასახლიდან, ან ვაკიდან ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ გავლით). ☎ 36-33-78; 22-75-50 (საღ.); 32-89-42; 899-22-75-50





დასასვენებელი სახლი „გიო“

დასვენება მწვანე კონცხზე

კომფორტული 2 და 3 ადგილიანი ნომრები სანიტარული კვანძით, მწვანეში ჩაფლული ეზოთი, სამჯერადი კვებით.

ფასი დღე-ღამეში 1 ადამიანზე:

ლუქსი - 25 ლარი

2-ადგილიანი - 18 ლარი

3-ადგილიანი - 15 ლარი

☎93-68-12; 899-58-00-32

# დაზვერვის დეპარტამენტი სულ მთლად „ჭურში არ ზის“

## „მეც მაქვს ჩემი ინტერესები გარკვეულ ქვეყნებში“

(დასაწყისი იხ. გვ. 11)

არ შეიძლება ყველა ჟურნალისტურ გამოხდომას ავყვეთ(?!). თავის დროზე, როცა საქართველოს წინააღმდეგ სისულელეების წერა დაიწყეს, მე ვუკავშირდებოდი ჩემს კოლეგას რუსეთში და პასუხს ვთხოვდი. ის კი მპასუხობდა — ჩვენ არა ვართ ამ ინფორმაციის ავტორები, რას აქცევთ ყურადღებას, რომელი ჟურნალისტი რას დაწერს ან კიდევ, მე რატომ უნდა ვაგო პასუხი ვიღაცის გამოო. მათი პასუხი პრინციპში კორექტული და ლოგიკური იყო.

**— ნუთუ წამითაც არ უშვებდით ეჭვს, რომ თქვენი რუსი კოლეგა სწორედ მის მიერვე კარგად დაგეგმილი ავანტიურის შემსრულებელ ჟურნალისტებს „აზრალებდა“ ყველაფერს და ცდილობდა, „მოხდენილი რევერანსით მეგობრობა“ დაემტკიცებინა თქვენთვის? ან რა მნიშვნელობა აქვს, ვინ არის დეზინფორმაციის ავტორი, საზოგადოებრივ აზრს ხომ მასმედია ქმნის, რომელსაც რუსული ხელისუფლება შესანიშნავად იყენებს საინფორმაციო ომში.**

— გეთანხმებით, მაგრამ მე რომ გითხრათ, რასაც გეტყვით, ის დაწერეთ-მეთქი, მყისვე საშინელი იარლიყი მომეწებება. რუსეთში კი ეს საქმე შესანიშნავად აქვთ აწყობილი. იქ მართლაც არიან ჟურნალისტები, რომლებიც თავიანთი ქვეყნის და ხელისუფლების ინტერესების გამტარებლად მუშაობენ. ანუ იციან, რა დეზინფორმაცია რა დოზით უნდა მიიტანონ თავისი ან სხვა ქვეყნების მოსახლეობამდე, რომ ხელისუფლების ინტერესი დააკმაყოფილონ. მე ვერ მოვუწოდებ ქართველ ჟურნალისტებს, თქვენც საქართველოს ხელისუფლების ჭკუაზე იარეთ-მეთქი. ერთს კი ვიტყვი, რასაც სინდისი გიკარნახებთ, ის უნდა აკეთოთ.

**— სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლების მიერ მისი ჭკუით გადადგმული ნაბიჯები სახელმწიფოებრივ ინტერესებს ვერ გამოხატავს. მაინც რა კომენტარს გააკეთებთ რუსეთში ბოლოდროინდელი ტერაქტების შემდეგ გავრცელებული დეზინფორმაციების შესახებ, სადაც ისევ „გაგვიხსენეს“?**

— რაც შეეხება რუსი ჟურნალისტების ბრალდებებს, მარაზმია თუნდაც ბოლო დეზინფორმაცია, რომ ნაზრანიდან მოსკოვში ჩაფრენილი შაჰიდი ქალი თბილისიდან წავიდა. ამას არც ერთი ნორმალური არ დაიჯერებს. იმ ქალებთან ჩვენ არანაირი ურთიერთობა არ გვაქვს და მსოფლიომ იცის, რომ საქართველოს ხელისუფლება დაინტერესებულია ჩეჩნეთში პრობლემების სწრაფად მოგვარებით, რომ რუსეთი დაწყნარდეს და ომის ქარცეცხლი ამდენი შეძახილით მართლა არ გადმოვიდეს ჩვენთან. როგორც კი ეს დეზინფორმაცია გავრცელდა, რუსეთში მაშინვე დავუკავშირდით საქართველოს საელჩოს და რეაგირება მოვახდინეთ.

**— ხშირად „კვირის პალიტრასთან“ საუბრის დროს მიგვანიშნებდით „ორ სკამზე მჯდომი“ მოღალატე ქართველებისაკენ. თუმცა, არ აკონკრეტებდით მათ ვინაობას. იქნებ თქვენი და სხვა ოფიციალური პირების ასეთი დამოკიდებულების გამოცაა, რომ ეს ხალხი კვლავაც აქტიურად მუშაობს და ხელს უშლის ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას? პარასკევს უშიშროების სამინისტრომ დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს სერიოზული საფრთხე ემუქრება.**

— ყველაფერი ცუდი, რაც საქართველოში ხდება, იგეგმება ქვეყნის გარეთ, მაგრამ შემსრულებლები ნამდვილად ქართველები არიან და ვერც ერთი ქვეყნის სპეცსამსახური ვერაფერს გააკეთებს ამა თუ იმ ქვეყანაში, თუ მას არ ექნება დასაყრდენი. მეც მაქვს ჩემი ინტერესები გარკვეულ ქვეყნებში და ვცდილობ, შევქმნა ისეთი პოზიციები, რითაც სრულ ინფორმაციებს მივიღებთ ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. ანალოგიური პოზიციები აქვთ ჩვენ მიმართაც. უნდა გითხრათ, რომ სულ მთლად ჭურში არ ვზივართ. რაც შეეხება საქართველოში მნიშვნელოვანი პროექტების ჩაშლის მცდელობას, პირდაპირ გეტყვით, რომ არიან ძალები, ვისაც საქართველოს ეკონომიკური და შესაბამისად პოლიტიკურად დამოუკიდებლობა არ სურთ.

**— რა ძალებზეა ლაპარაკი, ბოლოს და ბოლოს, როდის უნდა დავაკონკრეტოთ „კოლმეურნეობის თავმჯდომარის“ ვინაობა?**

— არიან ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, კონკრეტული პიროვნებები, ვისაც საქართველოს დამოუკიდებლობა არ აწყობს და ინფორმაცია მაქვს, რომ კედელზე რუსეთის პრეზიდენტის სურათი უკიდიათ. მთელი უბედურება ის არის, რომ მოღალატისთვის ღალატის დამტკიცება ძალიან ძნელია. აი, შენ იტყვი, რომ არ გინდა გავიდეს შაჰდენიზის გაზსადენი საქართველოში, ამისთვის ვერავინ დაგსჯის, რადგან ასეთი გამოხდომა არ არის დასჯადი. შენ გაქვს თავისუფალი სიტყვით გამოსვლის უფლება და ამბობ, რასაც გინდა. მიუხედავად იმისა, რომ კაცი შეიძლება თავისი გამოსვლებით ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას ეწეოდეს, მას პასუხს ვერ მოსთხოვ. დასჯადია ტერაქტის ორგანიზება, სახელმწიფო საიდუმლოს მოპარვა, საიდუმლო თათბირის ჩაწერა, მაგრამ აქაც თუ დაგიჭირეს, მერე რა, შექმნიან კომისიას, იმისათვის, რომ შეისწავლონ, რაც შენ მოიპარე ან მოისმინე იყო თუ არა მართლა საიდუმლო. კომისია დაასკვნის, რომ თქვენ უდანაშაულო ხართ და ამით დამთავრდება ყველაფერი. როცა უშიშროებაში ვმუშაობდი, კაცმა დაზვერვის დეპარტამენტის დებულება მოიპარა, მაგრამ უდანაშაულოდ ცნეს, დაზვერვის დეპარტამენტის დებულება რა საიდუმლოაო.

**— ბატონო ავთანდილ, ყოფილი ესპანელი ტყვეების განცხადების შესახებ რა კომენტარს გააკეთებთ, მათ უარი თქვეს ქართულ მხარესთან ჩვენების მიცემაზე, „საქართველოს მთავრობის შიშით ვერაფერს ვიტყვითო“. მათ ეს განაცხადეს ესპანური და ინგლისურენოვანი პრესით, რომელსაც თითქმის მთელი მსოფლიო კითხულობს.**

— ჩემი აზრით, ესპანელების საქმე თავიდან ბოლომდე უნდა იყოს გამოძიებული და არავითარ დათმობას და ვინმეს შეფარებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ვისაც ბრალი ედება მათ გატაცებაში, იმ ხალხსაც მოვუსმინოთ. თუ ესპანელები ქართველ ძალოვან ექსჩინოსნებს ადებენ ხელს, საკმარისი მტკიცებულება აქვთ თუ არა, უნდა გაირკვეს. ისე კი არ მესმის, რას ნიშნავს ჩვენებაზე უარის თქმა, თუ ბრალდებულებები დაასახელეს და ვიღაცებს ხელი დაადეს, მიუციათ ჩვენება და ეგ არის.

***ეკა ლომიძე***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 12 ივლისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1400 |
| ევრო | 2,4238 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,4942 |
| რუსული რუბლი | 0,0704 |
| თურქული ლირა **(1.000.000)** | 1,5357 |

# „ბე-ი-კერ-მა და-გვი-ბარა“...

(დასაწყისი იხ. გვ. 11)

ოპოზიციურ პარტიებს უნდათ ბეიკერის ვარიანტის წყალობით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ — რა თქმა უნდა, ურჩევნიათ, 15-კაციან კომისიაში ჰყავდეთ ერთი კაცი, ვიდრე 17-იანში.

მათ შორის დიდი კონკურენციაა. ჩვენ მოგვაკლებენ ერთ ხმას კომისიაში და თავიანთ სატელიტ პარტიას უბოძებენ. კატეგორიულად ვითხოვთ, თუ რომელიმე პარტია (რომელსაც ჰყავს კომისიაში წარმომადგენელი) სხვა პარტიასთან შექმნის ბლოკს, კომისიაში თავის წარმომადგენელს შეელიოს.

პრეზიდენტმა ამ პროცესში ჩაურევლობა არჩია. მას და მის ბლოკს 5 გარანტირებული ხმა აქვთ, ოპოზიციას 9 ადგილი მიუგდეს და უთხრეს — დაჭამეთ ერთმანეთი, ოღონდ ამ რაოდენობას არ ასცდეთო.

**— „აღორძინებას“, რომელსაც ამჟამად ცესკოში სამი წევრი ჰყავს, ერთი წარმომადგენელი დაუტოვეს. ამის გამო ისინი არჩევნების ბოიკოტით იმუქრებიან, ხომ არ შეუერთდებით მათ?**

— ჩვენს ოპონენტებს დავამშვიდებ, — არავითარ აქციებს არ მივმართავთ, არჩევნებში ჩვენი თავის იმედად მივალთ.

**— წინასაარჩევნოდ პარტიებმა უკვე დაიწყეს ერთმანეთზე კომპრომატების შეგროვება. „ახლები“ რუსული კაპიტალის ლობირებაში გადანაშაულებენ. 70 მილიონი, რომელიც „ბაკურიანის პროექტის“ განხორციელებისთვის მოდის რუსეთიდან, გოგი თოფაძის „ბრალდება“...**

— ჩვენი ეკონომიკა ასეთმა მიდგომამ დაანგრია. 70-მილიონიან ინვესტიციას ხელს იმიტომ უშლიან, რომ იგი მათმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგემ მოიზიდა. მამა უცხონდა იმ კეთილსინდისიერ ინვესტორს, რომელიც 70მლნ-ს აბანდებს მაღალმთიანი რაიონის აყვავებისთვის. ასეთი კაცი გინდ რუსი ყოფილა, გინდ სომეხი და გინდაც — ამერიკელი. ბაქო-ჯეიჰანი ხომ იყო მისაღები (რაკი ამერიკული ინვესტიციაა), რომელიც იმდენ შემოსავალს ვერასოდეს მოუტანს ბიუჯეტს, როგორსაც ეს 70-მილიონიანი პროექტი? რა მნიშვნელობა აქვს, ინვესტიცია ამერიკული იქნება თუ რუსული?! ამერიკელებმა 25 მლნ დააბანდეს „ეი-ი-ეს თელასში“ და 3 მილიარდად ყიდიან დღეს რუსებზე და ისინი არიან კეთილსინდისიერი ინვესტორები და მეგობრები?

იმ ოლიგარქებმა, რომლებიც ამ პროექტს ეწინააღმდეგებიან, საკუთარ თავს მიხედონ, თორემ ისიც ითქმება, თვითონ ვისი ინვესტიციებით არიან ზურგმომაგრებული.

**— თოფაძის ლუდის ერაყში გატანა შევარდნაძის დამსახურებად ჩაითვალა, პრეზიდენტის მხარდაჭერა რომ არა, „მრეწველები“ ერაყის ბაზარზე ვერ გავიდოდნენო.**

— რა შუაშია პრეზიდენტი? ეს გოგის კავშირების წყალობით მოხდა. თოფაძის პარტნიორი თურქების დახმარებით გაიჭრა გზა ერაყისკენ. პრეზიდენტს ამაში წვლილი არ მიუძღვის. სანამ ამ ქვეყანაში იმას არ მიხვდებიან, რაც მეწარმისთვის კარგია, ქვეყნისთვისაც სასიკეთო იქნებაო, ვერაფერს მივაღწევთ.

**— ანუ?**

— ...ამ არჩევნებში 15 პროცენტის მოპოვებას ვაპირებთ. ხელისუფლებაშიც მოვალთ და პასუხისმგებლობასაც ვიკისრებთ...

**— 2005 წელს რას აპირებთ?**

— აუცილებლად გვეყოლება საპრეზიდენტო კანდიდატი. ბოლმანარევი დარტყმები რომ ავაცილო, მის ვინაობას ჯერ არ ვასახელებ...

***მარი ზანდუკელი***

# მცირე ფერმერული მეურნეობის განვითარება კახეთში



რამდენიმე წლის წინ მასობრივად დაიწყო კახეთში თხილის პლანტაციების გაშენება, მაგრამ ამ რეგიონში არატრადიციული კულტურის დამკვიდრება, მხოლოდ ფერმერების ენთუზიაზმით შეუძლებელი გახდა; ამჯერად კი მსოფლიო ბანკმა დააფინანსა პროექტი, რომელიც უშუალოდ თხილის მრავალწლიანი ნარგავების გაშენებას ითვალისწინებს ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის ტერიტორიაზე. ამგვარი პროექტების განხორციელების შემთხვევაში, ჩამოყალიბდება მრავალპროფილიანი ფერმერული მეურნეობები.

პროექტი — „თხილის, თაფლისა და რძის კომპლექსური წარმოება და გადამუშავება მცირე ფერმერულ მეურნეობაში“ მიმდინარეობს 2003 წლის 1 მარტიდან, გიორგი ენუქიძის ხელმძღვანელობით.

ტრანშზე შეირჩა 8 ჰა მცირემოსავლიანი, ფაქტობრივად მიტოვებული, ქვიანი ტერიტორიები, გაიწმინდა და გამზადდა სათესად. ჩამოყალიბდა წამყვანი ორგანიზაცია „კახეთი — ჩემი მხარე“. პროექტის ხელმძღვანელის აქტიური ჩარევით, 8 ფერმერთან ერთად, წარმატებით ხორციელდება პირველი ტრანშით გათვალისწინებული სამუშაოები: 8 ჰექტარზე დაითესა კავკასიური ესპარცეტი, დაიგეგმა მეფუტკრის სახლის მშენებლობა. ფუტკრის 40 ოჯახი განლაგდება ესპარცეტის ველზე. პარალელურად გამზადდა ნიადაგი თხილის პლანტაციისათვის. ამ ორი კულტურის ერთ ტერიტორიაზე გაშენება, გამართლებულია იმ თვალსაზრისითაც, რომ ესპარცეტი 5-7 წელიწადში ერთხელ საჭიროებს ხვნა-თესვას და ამდენად გაადვილებულია თხილის პლანტაციებს შორის ჩასატარებელი სამუშაოები.

მთავარი აგრონომი ჯემალ სიყმაშვილი ხაზს უსვამს მცენარის ვეგეტაციის პირობებს: „თხილის კრეფის დროს ესპარცეტი გათიბულია და ხელს არ უშლის მოსავლის აღებას, ამასთან შერჩეულია ისეთი ჯიშის თხილი, რომელიც ამ ხნის მანძილზე არ დაჩრდილავს ნათესს. ვიდრე თხილის პლანტაცია მოსავლის მისაღებად მზად იქნება, ფერმერები დიდი რაოდენობით თაფლს მიიღებენ ესპარცეტის ყვავილისაგან (ეს მცენარე წელიწადში სამჯერ ყვავის და მისი ყვავილი თაფლის მატებას უწყობს ხელს)“.

გიორგი ენუქიძის თქმით, პროექტით გათვალისწინებული ვადის შემდეგ, 8 ფერმერს ექნება საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი მეურნეობა და მაღალშემოსავლიანი თხილის ბაღი.

***მაია ყალაბეგაშვილი*** R


## თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები“

*აცხადებს მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისთვის შემდეგ სპეციალობებზე:*

**1. სამართალმცოდნეობა (იურიდიული); 2. უცხოური ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული); 3. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა; 4. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია; 5. ქართული ენა და ლიტერატურა; 6. ისტორია; 7. ჟურნალისტიკა; 8. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; 9. საბანკო საქმე; 10. საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი; 11. ფინანსები და კრედიტები.**

***წარმოებს მოწინავე სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ***

**ინსტიტუტთან 9 და 11 კლასდამთავრებულთათვის ფუნქციონირებს კოლეჯი შემდეგი სპეციალობებით:**

**1. სამეანო საქმე; 2. ორთოპედიული სტომატოლოგი; 3. მედდა; 4. სამართალმცოდნეობა; 5. საბაჟო-ეკონომიკური; 6. უცხოური ენები.**

*კოლეჯდამთავრებულები ჩაირიცხებიან ინსტიტუტში II კურსზე. ლტოლვილები და მრავალშვილიანები თავისუფლდებიან გადასახადისაგან 50%-ით.*

**მისამართი: დავით აღმაშენებლის 178, მე-18 სკოლა**

**☎ 35-27-00; 38-00-83; 899-90-25-99; 893-30-32-83; 52-67-67**



„ტონსტროინის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091



შპს „გეოკორი“ აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02



ფირმა „ლაზისი“
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად და ხარისხიანად ევროსტანდარტის პროფილით ესპანური სისტემის საკეტებით
ფერები — სხვადასხვა.
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან, სალაროების მხრიდან)
☎ 33-75-87; 899-18-66-15; 899-55-62-77; 34-52-93 (საღამოს)

# ცხოვრებისეული კურიოზები

## ნამდვილი კურიოზი, ანუ როგორ დავკარგე ნაპოვნი მობილური



მინდა მოგითხროთ იმ ნამდვილ კურიოზზე, რომელიც ამ ზამთარს შეგვემთხვა მე და ჩემს მეუღლეს.

მე გახლავართ ყოფილი ბორჯომის მინის ქარხნის ასევე ყოფილი ინჟინერი. მეუღლე კი ბორჯომშივე, სამშობიარო სახლის ბებიაქალია. მყავს ორი ქალიშვილი. ერთი ექიმია და თავის მეუღლესთან ერთად კურნავს თურქებს, ხოლო მეორე მასწავლებელია და ზრდის თურქეთში გადახვეწილი დის შვილებს ქართულად ბორჯომში.

როგორც ყოველთვის, ბორჯომში ზამთარში თოვლი მოდის. ასე მოხდა წელსაც. მეუღლეს ყოველდღე ვაცილებ სამსახურში (ეტყობა, ესეც უმუშევრობის ბრალია).

ერთხელაც ქუჩაში, თოვლში მიმავლებმა შევნიშნეთ რაღაც შავი საგანი, წავკარი ფეხი და რას ვხედავ — მობილური. ავიღე მაშინვე და მეუღლის კარნახით სასწრაფოდ ჩავიდე ჯიბეში. ისეთი შეგრძნება დამეუფლა — თითქოს მილიონი მეპოვოს.

დავიწყეთ განსჯა: უფროს შვილიშვილს, რომელიც მე-11 კლასშია, მობილური აქვს. ამას ვაჩუქებთ ჩვენს პედაგოგ ქალიშვილს და შინ გვექნება ორი მობილური. ამ, როგორც იტყვიან, ახდენილ ოცნებაში ვართ და, უცებ გაისმა მობილურის ზარი. გადავწყვიტე მეპასუხა, ამოვიღე, დავაჭირე ღილაკს თითი, გისმენთ-მეთქი და შემომესმა ნაცნობი ხმა: — მამა, როგორა ხართ? — მეკითხება ჩემი თურქეთში მცხოვრები შვილი. ისე დავიბენი, ვერაფერი ვუპასუხე. ისევ მეუღლემ გამომიყვანა მდგომარეობიდან.

თურმე მობილური, რომელიც მე ვიპოვე, ჩემს შვილიშვილს დაუკარგავს. ნამდვილი კურიოზიც ეს არის.

*ვაჟა ხარაზიშვილი, ბორჯომი*

## მეორე „კრუგზე"



იმ ზაფხულს მეუღლე შვილებით და შვილიშვილებით გურიაში გავაგზავნე დასასვენებლად. თბილისში, იზოლირებულ ბინაში მარტო დარჩენილი, გამთენიისას [illegible] ხმამ გამომაღვიძა. „[illegible]" გახლდით და [illegible] მართლაც არ მაწყენდა. სასწრაფოდ მოვიცვი შარვალი და მე-4 სართულიდან კიბეზე შურდულივით დავეშვი. როდესაც [illegible] კარს მივადექი, მაშინღა დავაფიქსირე, რომ ჩაკეტილი იყო (ავტომატურად იკეტება), გასაღები კი შინ დამრჩენოდა. მშველელი მხოლოდ ჩემ ზემოთ მცხოვრები მეზობელი თუ იქნებოდა და მეც, მეტი რა გზა მქონდა, მას მივადექი. მეზობლებმა დიდი გულმოდგინებით შემაბეს წელზე თოკი და როგორც კარგი ალპინისტი, ისე ჩამიშვეს ჩემი ბინის აივნისკენ, დიდი ვაი-ვაგლახით შევაღწიე სახლში და როდესაც გახარებულმა გადავწყვიტე „მშვიდობიანად დაბრუნების შესახებ" ჩემი მშველელებისთვის მეცნობებინა, შემოსასვლელ კართან, უშუალოდ კარის მეზობლის ღიმილიანმა სახემ შემომანათა, რომელსაც „ჩემი [illegible]" ამბავის გაგება უკვე მოესწრო. გულიტკივილით გამომიცხადა თანაგრძნობა და თან დაინტერდა, „ამ ჭკვიან კაცს", ამ მოხუცებულობაში ასეთი იაღლიში როგორ მომივიდა. თავის გამართლების მიზნით მეც დაწვრილებით აუხსენი, თუ როგორ აღმოვჩნდი გარეთ და მეტი დამაჯერებლობის მიზნით, გადავწყვიტე პრაქტიკულად მეჩვენებინა კარის ჩაკეტვის პროცედურა... და როდესაც „საჩვენებლად" გამოხურული კარის გაღება მოვინდომე, მაშინღა დავაფიქსირე, რომ ამ სურვილის შესასრულებლად მეორე „კრუგზე" მომიწევდა წასვლა...

*მურად უჩუაიძე, თბილისი*

## შეცდომა



ძმაკაცი მყავს ერთი, თაზო. დაჭერილი იყო რუსეთში, ეჩხუბა ვილაცას. ოჯახში ვიყავით მამამისთან სტუმრად, ვალიკო პქვია.

გაიშალა პურმარილი. ვალიკო ბიძიამ ბლომად დალია, ღვინო მოეკიდა. ჩვენი საძმაკაცოს სასმისი რომ აავსო, ასე დაგვლოცა: — შენ, ჩემო ჯანო, ქუთაისში ხარ და იქ მეყოლე დიდხანსო და ასე ადღეგრძელა დანარჩენებიც. ბოლოს თაზოც დალოცა, თავისი შვილი — თქვენი ძმაკაცი, ჩემი თაზო, რუსეთში ზის ციხეში და იქ გვიმყოფოს ღმერთმა დიდხანსო!..

*ჯანო ონიანი, ქუთაისი*

## აზარტი



ბიკენტის დედა გარდაეცვალა. ტრადიციის თანახმად მეზობლები და ახლობლები ღამეს უთევდნენ ოჯახის საპატივცემულოდ. ზამთრის გრძელი ღამეები იყო და გაუჭირდათ ღამის მთევლებს. სხვა ვერაფერი საშუალება რომ ვერ გამონახეს, სთხოვეს ბიკენტის, ნამეტანი გრძელი ღამეა და დროის მოსაკლავად ნარდს ვითამაშებთ თუ ნებას დაგვრთავ და არ გეწყინებაო. ითამაშეთო — უთხრა ბიკენტიმ. დაიწყეს თამაში, ჯერ მორიდებით, შემდეგ კი აზარტით.

ბიკენტი თავად იყო ნარდის მოყვარული. უყურა ერთხანს თამაშს, შემდეგ ველარ მოითმინა და ისიც ჩაერთო თამაშში. მოწინააღმდეგე დაწინაურდა, ბიკენტის „დავი" შესთავაზა, ბიკენტი დათანხმდა დავზე, მაგრამ წააგო პარტია. ბიკენტის კვლავ მოუწია იმ მოწინააღმდეგესთან შეხვედრა, ამჯერად ბიკენტი დაწინაურდა, მოუკლა მოწინააღმდეგეს ქვა და „დავი" გამოუცხადა.

— ვერ გაგყვები „დავზე", უპასუხა მოწინააღმდეგემ.

— რატომ? — შეეკითხა ბიკენტი.

— იმიტომ, რომ ქვა მყავს მკვდარი...

— კი მაგრამ, შე ოჯახაშენებულო, მე დედა მყავს მკვდარი და გაგყევი „დავზე" და შენ მკვდარი ქვის გულისთვის არ მიმყვები?

*გაბო მაღლაფერიძე, ოზურგეთის რაიონი, სოფელი გაღმა დვაბზუ*

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



### მოხერხებული სვანები

როცა რუსეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების თამაშის დროს ლოკომოტივის სტადიონზე შუქი ჩაქრა და ფეხბურთი შეწყდა, ორი სვანი გამოვარდა გარეთ. პოლიციელი ეკითხება, სად გეჩქარებათ ასე ძალიანო. სვანებმა უპასუხეს: — შინ გავრბივართ, „დვიჟოკს" ჩავრთავთ და ტელევიზორში მაინც ვუყურებთ თამაშსო.

*გიგი ხაშურიდან*



— მიხო, შენი მაყვალასთვის ზაქარას ბიჭს ხელი უთხოვია.

— თუ მარტო ხელი სთხოვა, არა უშავს, თუ სხვა რამეც მიაყოლა, რასაც მე იმაი ვუზამ, თავის თავ დააბრალოს!..

*ტატო ი., თბილისი*



ჭიჭიკიამ უთხრა ბიჭიკიას:

— რა კაი ყოფილა, ბიჯო, ეს გრუპენსექსი!..

— კი მარა, რატომ? — დაინტერესდა ჭიჭიკია.

— რატომ და ისე გამევიპარე, კაციშვილმა ვერ გეიგო!

*ნონა ჯ., თბილისი*

## ხოტბა ურნის პოეტს, ანუ ერთი მარკშეიდერი ჩვენც გვყავს...

**პაროდიის კუთხე**




...ორიოდე თვის წინ, თბილისში დადგეს სანაგვე ურნები, რომლებსაც თანამედროვეობის ძალიან ტელეგამოჩენილი პოეტის „რითმოს-I"-ის უკვდავი პოეტური სტროფები ამშვენებენ, ასე მაგ:

*„არ დაყარო ნაგავი,*
*იქნები მაგარი".*

...მერიამ და საკრებულომ ეს არნახული აქცია წარმატებით დაიწყო... სურვილი წმინდაა, მიზანი ნათელი, მოქალაქე წაიკითხავს თუ არა ამ ზედმიწევნით შთამაგონებელ მოწოდებას, წამსვე გლდანის ნაგავსაყრელისაკენ უკანმოუხედავად თუ არ გაიქცევა, აუცილებლად იქვე ურნასთან ჩაიმუხლებს, დინჯად და მოზომილი მოძრაობით სათითაოდ ჩაალაგებს ნაგავს ურნაში, შემდეგ სუფთა ცხვირსახოცით მოასუფთავებს მის ზედაპირს, ერთხელ კიდევ წაიკითხავს დიდაქტიკურ სტროფს და სახეგაბადრული, კმაყოფილების უდიდესი შეგრძნებით გააგრძელებს გზას...

— დამეთანხმებით, დღეს ჩვენს ქალაქს სხვა სატკივარიც სჭირს და იქნებ მათ მოსაშორებლად ხსენებული სანიტარულ-ლიტერატურული მეთოდიც მოგვესინჯა?

ამასთან დაკავშირებით თქვენს ყურადღებას შევაჩერებ ზოგიერთ მათგანზე.

ცნობილია, რომ რიგი ადამიანებისა შუქნიშნების ანთებულ წითელ ფერზე იწყებენ მოძრაობას და ქუჩაზე გადადიან, რითაც თავს ხშირად განსაცდელში იგდებენ და თუ იცით რატომ? იმიტომ, რომ შუქნიშანზე არავითარი გამაფრთხილებელი პოეტური მოწოდების სტროფები არ არის დაწერილი, არადა, ეს საქმე ძალზე ადვილი მოსაგვარებელია, თუ შუქნიშნის ბოძზე ან თვით შუქნიშანზე სანაგვე ურნების მსგავსად დავაწერთ მოკლედ გალექსილ რამდენიმე სიტყვას, თუნდაც ასე:

*წითელზე სდექ!*
*მწვანე გასწი!*
*იცოდე აწი!*

ხომ წარმოგიდგენიათ, ამით რამდენ ადამიანს ვიხსნით უბედური შემთხვევისაგან.

*ულრმესი პატივისცემით და კეთილი სურვილებით მარკშეიდერი გურამ რეხვიაშვილი, თბილისი*

*ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ფელეტონებს და იუმორესკებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.*

*მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.*

## მილოცვა

**ლაშა თათარაშვილს!**

ჩვენს დამობაში განურჩეველო, ჩვენო ერთადერთო მამიდაშვილო, ჩვენო ლაშიკო, გილოცავთ დაბადების დღეს! ღმერთის წყალობა ნუ მოჰკლებოდეს შენს ცხოვრებას. მუდამ ლაღი და ხალისიანი ყოფილიყავი. იცოცხლე დიდხანს. შენ ხომ დედის ერთადერთი სანთელი, იმედი და მომავალი ხარ!..

*შენი ვახო, ინგა, მაია, მარი*



**ჩვენო ლაშა!**

ოცი წლის უკან დიდი სიხარულით შეხვდა დედაშენი შენს დაბადებას. გილოცავთ ამ დღეს. მრავალს დაესწარი, სულ გახარებულსა და ხელმომართულს გევლოს შენი ცხოვრების მანძილზე.

*ზაქრო, მზია, ნიკა, მარი*

ჩემს უსაყვარლეს ადამიანს, ჩემი შვილიშვილების მხსნელსა და უანგაროდ, უსასყიდლოდ მკურნალს — ბატონ **თემურ ჯღარკავას** ვულოცავ პირველი ვაჟიშვილის შეძენას და ვუსურვებ ყოველივე კარგს, დიდ ოჯახურ ბედნიერებას, შვილების სიმრავლეს, მშობლების კარგად ყოფნასა და სამედიცინო პრაქტიკაში უდიდეს წარმატებებს. ჩემო თემურ, იხარე და იდღეგრძელე. შენს სახელოვან მშობლებთან და ახალშექმნილ ოჯახთან ერთად. მრავალჟამიერ!



*პატივისცემით, ლამარა ჩხეიძე*

იყიდება საგურამოდან 1 კილომეტრში ახალაშენებული, ევროდიზაინის სახლი, შიდა ტერასული ოთხი სართულით, ოთხი საძინებლით — თითოეული თავისი აბაზანა-ტუალეტით. საერთო ფართი — 350 კვმ, ეზო — 1200 კვმ; დეკორატიული ბაღით, კაპიტალური შემოღობვით, მუდმივი დენით, ცივი და ცხელი წყლით, ბ/აირით. ტელ: 899 94-11-94

გვჭირდება განათლებული ადამიანები ოფისში სთანამშრომლოდ. სამუშაო კონტრაქტითაა. მსოფლიოში საუკეთესო მუშაკებს, შანსი ეძლევათ ყოველ 3 თვეში უფასოდ წასვლისა საზღვარგარეთ, სამუშაოდ ან სტაჟირებით (კომპანიის პროფილით). გამომუშავება — ყოველდღიური, თვეში — საშუალოდ 300-600 ლარი. მიმდინარეობს შერჩევა. ფირმის საერთაშორისო მენეჯერი ბ-ნი დავითი (ან დიმიტრი). მის. „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი №6. ტ: 34-02-38 (19 სთ-მდე); 78-14-94; 899 90-54-78

გთავაზობთ ამერიკულ კომპანიაში 3 ვაკანსიას, 17-40 წლამდე ადამიანებს. გამომუშავება: თვეში — $150-200. ტელ: 93-56-89

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში, 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

Работа педагогам и психологам. Стаж не менее 5 лет. Собеседование: Тел. 22-40-06; 33-28-42

## მომსახურება

„ახალგაზრდა დამცველთა ასოციაცია" (ადვოკატურა) გთავაზობთ უფასო იურიდიულ კონსულტაციებს, მაღალკვალიფიციურ საადვოკატო მომსახურებას შეღავათიან ფასებში; ყველანაირი სახის ფირმის რეგისტრაციასა და ხელშეკრულებების შედგენას; წარმომადგენლობას სასამართლოში; სტაჟიორ-ადვოკატების მომზადებას. მის: მარჯანიშვილის ქ. №5. მე-2 სართ. ოთახი №11. ტელ: 91-11-94; 899 10-93-97

დასვენება ქობულეთში კერძო ბინებში და სამკურნალო კვებით კაფეში. 10 დღე — 80-100-120 ლარი, ბინის კომფორტის მიხედვით და კვების საფასურის ჩათვლით. ბავშვებზე და ჯგუფებზე ვრცელდება შეღავათები. ცნობებისათვის: დავით აღმაშენებლის 113/115, (ეზოს სიღრმეში, სამკ. ცენტრი), კაბ №31. ტელ: 91-18-38 (სამს); 69-18-38 (ბინა); 877 41-86-16. ცისანა სუმბაძე

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას (აღდგენა-განახლებას), კარადებზე, მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე, ლეიბებსა და სავარძლებსა შალითების გადაკვრა-დარბილებას სრული გარანტიით. აგრეთვე ვამზადებთ ლამინირებულ ДСП-სგან სამზარეულოებს და საოფისე ავეჯს. ტელ: 69-45-18. გიორგი

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია: 1 სთ — 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, IX კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები"! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ — 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა — $200. მის: გაგარინის ქ. №10, მე-2 სად, ბინა №17. ტელ: 38-77-58; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ — 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასალები იაფად). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი გთავაზობთ ჭარბთმიანობისაგან განკურნებას მხოლოდ ერთხელ გაკეთებული ეპილაციის შედეგად. ასეთი მეთოდით და აპარატურით ვმკურნალობთ მხოლოდ ჩვენ! შედეგის არქონის შემთხვევაში (რაც არ ხდება), გადახდილი თანხა დაგიბრუნდებათ. მიღება წინასწარი ჩაწერით ტელეფონზე: 893 31-05-49. ლალი

ეპილაცია ვოლფრამის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი პირველივე სეანსზე. სახის გაწმენდა საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის №66. მე-2 სად. VIII სართ. ბინა 46. ტ: 37-74-22. მანანა

## მკურნალობა

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხეში მასაჟებისა და ნემსების გარეშე — ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტელ: 96-62-58; 899 14-64-95

სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსაგან მედმუშაკი მაყვალა ცინცაძე წინაპართა გადმოცემით ამზადებს მალამოებს და საფენებს. მკურნალობს სახსრებს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), ართროზს, საშჯდომი ნერვის ანთებას, პოლიართრიტს, რადიკულიტს (მხოლოდ ჰაიმორიტი, ფრონტიტი იკურნება 8-10 დღეში სრული გარანტიით). ტელ: 35-81-81, 34-62-51

ხალხური მედიცინა — მაქსიმალურად გარანტირებული უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, პლექსიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის ამოვარდნა), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილების დაგროვება), პოდაგრა. გასინჯვა-კონსულტაციები უფასოა. მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან", ც. დადიანის №87), კაბ. №11, 11-15 სთ. ტ: 61-02-97; 69-91-92; 39-39-97; 899 57-16-99. ექიმი ალექსიშვილი

სიმაღლეში ზრდა, სქოლიოზი, კიფოზი (ხერხემლის გამრუდება), გულმკერდის დეფორმაციები (ქათმისებური, მეწაღისებური), რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი — დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი ექიმი — მანუალური თერაპევტი სოსო ფირცხალაიშვილი. მის: აღმაშენებლის №90, I სად. II სართ. ბინა №2 (შესასვლელი მარჯანიშვილის მოედნიდან). ტელ: 899 26-51-08; 95-51-08

თმის დაავადებები: ქერტლი, ქაჯილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო (გარანტიით); ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. მჭედლიძე

## განათლება

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი აცხადებს მიღებას დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. სამართალმცოდნეობა (იურიდიული); 2. ეკონომიკური; 3. უცხო ენები. უმაღლესდამთავრებულები ჩაირიცხებიან მე-3 კურსზე. ფასი 150 ლარიდან. ტელ: 30-51-30; 32-06-97; 32-82-60

კომპიუტერული სტუდია „დაჯი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: პარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემია აცხადებს მიღებას 2003-04 სასწავლო წლისათვის, იურიდიული ფაკულტეტის არასაბიუჯეტო (ფასიან) ქართულ სექტორზე. საბუთები მიიღება 22 ივლისის ჩათვლით, ყოველდღე, 10-17 სთ. მის: ვლდანი, ქერჩის ქ. №22. ტელ: 57-17-78

## იყიდება

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

## ქირავდება

კომერციული ფართი — 45 კვმ, წელიწადში 4.000-ად, სიგნალიზაციით, საკაბელო ტელევიზიით, 2 შესასვლელით 1 სართულზე, ტელეფონით, სველი წერტილით, გათბობითა და ცხელი წყლით. მის: დ. აბაშიძის №2 (მეტრო „მარჯანიშვილთან"). ტელ: 96-30-54

კომერციული ფართი — 140 კვმ (მაღალი ბელეტაჟი — 80 კვმ, ნახევარსარდაფი — 60 კვმ), წელიწადში 15.000-ად, ევრორემონტით, კონდიცირებისა და ვენტილაციის სისტემით, სახანძრო დაცვის სიგნალიზაციით, 2 შესასვლელით, 2 სველი წერტილით, ბუნებრივი აირით, საკაბელო ტელევიზიით (აგვისტოდან). მის: აღმაშენებლის 76/1 (მეტრო „მარჯანიშვილთან"). ტელ: 899 10-27-92

34 სმ-ზე გრძელ თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.

პირველად საქართველოში — ფინანსური დამოუკიდებლობა! ამერიკული კომპანია იწყებს ბიზნესის განვითარებას ამიერკავკასიაში. არის რამდენიმე ვარიანტი. რისკის ფაქტორი გამორიცხულია. გვესაჭიროება პარტნიორები. დაგვიკავშირდით რეგიონებიდანაც. ტელ: 877 71-69-35. ნოდარი

ყურადღება!!! მსოფლიო სავაჭრო ცენტრს ინტერნეტ მაღაზიებში ესაჭიროება ბიზნეს-პარტნიორები. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. შემოსავალი — მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 34-67-71; 893 33-18-86

ვისაც გსურთ შეიძინოთ სამკურნალო-სასარგებლო წიგნი „ჯანმრთელობის საგანძური", რომელშიც წარმოდგენილია 420-მდე დაავადების 1000-მდე რეცეპტი და რჩევა. შეგიძლიათ ისარგებლოთ საფოსტო მომსახურებით, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, თუ დაგვიკავშირდებით ტელეფონით: 75-68-22; 34-78-83


# WWW.SHOPGE.COM

## გასახდომი სავარჯიშო ქამარი – AB Tronic – "აბტრონიკი"



გსურთ გახდომა?
გსურთ გათავისუფლდეთ ცელულიტისგან?
გსურთ მოიცილოთ ზედმეტი ცხიმები?
გეზარებათ ვარჯიში?

გასახდომი სავარჯიშო ქამარი "აბტრონიკი" ეფექტური საშუალებაა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოსაგვარებლად. იგი ძირეულად განსხვავდება სხვა მსგავსი ქამრებისგან და ახალი სიტყვაა AB სისტემებში. თუ სხვა ქამრებს აქვთ მხოლოდ მასაჟის რეჟიმი, "აბტრონიკს" გააჩნია დაზელვისა და ვარჯიშის ფუნქციებიც. მასში გამოყენებულია ნეოპრენის მასალა, რომლის საშუალებითაც "აბტრონიკი" წარმოქმნის მსუბუქ ვიბრაციულ დარტყმებს. ასეთი უსაფრთხო ვიბრაცია უზრუნველყოფს თქვენი კანქვეშა მამოძრავებელი ნერვების აქტივიზაციასა და კუნთის შეკუმშვას. რაც არ უნდა მკაცრ დიეტას იცავდეთ, თქვენი კუნთები მაინც ეშვება და კარგავს ტონუსს, რაც თავისთავად ფორმას უკარგავს სხეულს. "აბტრონიკის" ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ამ მოშვებული კუნთების გამოკვლევა, მათი გამკვრივება, ცხიმების დაწვა და ცელულიტის დაშლა, კანის სტრუქტურის გაუმჯობესება და, რაც მთავარია, სხეულის იმ ნაწილებზე ზემოქმედება, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას.



მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება, რითაც "აბტრონიკი" გამოირჩევა სხვა ქამრებისგან, არის ის, რომ იგი აღჭურვილია LCD მონიტორით. Mმისი საშუალებით თქვენ თვალნათლივ შეგიძლიათ სხვადასხვა კუნთებზე განსხვავებული სავარჯიშო რეჟიმების შერჩევა. "აბტრონიკს" ასევე მოყვება სხვადასხვა ზომის ქამარი, რომლის საშუალებითაც შეგიძლიათ მოირგოთ იგი როგორც წელზე, ასევე ხელებზე და ბარძაყებზე.

"აბტრონიკის" ქამარი არ წარმოადგენს სამედიცინო დანიშნულების ხელსაწყოს. იგი დამზადებულია მხოლოდ ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ვარჯიშის გარეშე თქვენთვის სასურველი მიზნების მისაღწევად სწორ კვებასთან ერთად. ყოველდღიურად 30 წუთის განმავლობაში ქამრის გამოყენებით თქვენ იგრძნობთ შედეგს სულ რაღაც ოთხ კვირაში.

გასახდომი სავარჯიშო ქამარი AB Tronic – ნებისმიერ დიეტაზე ბევრად უფრო ეფექტური და იოლი საშუალებაა!

ფასი 154 ლარი

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
☎ (995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45 ან ეწვიეთ ინტერნეტ მაღაზია – www.shopge.com. ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში კურიერის მომსახურება უფასოა



# ბაკურიანის გართობისა და დასვენების ჯადოსნურ სამყაროს 2003 წლიდან შეემატა ახალი, ულამაზესი

# სასტუმრო „მელისი"

*ტყის პირას*

თითოეული ნომერი აღჭურვილია აბაზანა-ტუალეტით, ტელევიზორით, ფოიეში მინი ბარი, სასიამოვნო მუსიკა.
და რაც მთავარია, სუფთა ჰაერზე გაღვივებულ მადას პროფესიონალი მზარეულების მიერ მომზადებული უგემრიელესი, ეკოლოგიურად სუფთა, ქართული და ევროპული კერძები დაგიცხრობთ.
ეს ყველაფერი 15$-ად.




## გაატარეთ ცხელი ზაფხული სიგრილეში

მის: თბილისი, უზნაძის ქ. № 113ბ; ☎ 94-23-55; 96-05-64; 899-17-15-19
ბაკურიანი, აღმაშენებლის ქ. 55; ☎ 899-20-59-42; 899-24-86-86

# სპირიტიზმით გატაცება სიცოცხლეს ამოკლებს...

შორენა კ-ძემ მიამბო ეს უცნაური და დამაფიქრებელი ამბავი: — დედისერთა ვიყავი და მშობლებს ეჩქარებოდათ ჩემი გათხოვება, უნდოდათ, ბევრი ბავშვი გამეჩინა. მე კი, რაღაც დამემართა — ეკლესიურმა ცხოვრებამ ისე გამიტაცა, აღარაფერი მაინტერესებდა მიწიერი და გადავწყვიტე მონაზვნად აღკვეცა. მამაჩემი მორწმუნე კაცი იყო და ეკლესიის წინააღმდეგი როგორ წავიდოდა, მაგრამ ისე იჯავრა, მისი ერთადერთი შვილი რომ ოჯახს არასოდეს შექმნიდა, ინსულტი დაემართა და გარდაიცვალა. მამის წლისთავის გასვლამდე გადავდე მონაზვნად აღკვეცა, წლისთავის შემდეგ აცრემლებულმა მამიდაჩემმა მითხრა: „სპირიტიზმით გატაცების გამო ერთხელ უკვე დავისაჯე და მხოლოდ იმან გადამარჩინა, რომ უფალს შევფიცე, ამ საქმეს სამუდამოდ დავანებებდი თავს (ფეხმძიმე ანა მამიდა ქმართან ერთად ავარიაში მოყვა, მეუღლე დაეღუპა, ბავშვი დაკარგა, თვითონ ძლივს გადარჩა), მაგრამ ახლა აღთქმა უნდა დავარღვიო: სიზმრებმა გამტანჯეს, მამაშენი თითქმის ყოველღამე მესიზმრება და მევედრება, შენთან „დაველაპარაკოო.“

უარი ვუთხარი, რადგან მართლმადიდებლობა არ აღიარებს და კრძალავს ნებისმიერ მაგიურ რიტუალს, მათ შორის სპირიტიზმის სეანსში მონაწილეობას, მაგრამ მერე ერთი უცნაური შემთხვევის გამო მაინც დავთანხმდი. კვირა დილით წირვაზე მიმავალს მათხოვარი შემხვდა. მოხუცი კაცი იყო, რაღაცით მამაჩემს მივამსგავსე. მივეცი, რისი გაღებაც შემეძლო. მოხუცმა ფულს დახედა, მერე თვალი თვალში გამიყარა და მითხრა: „არ მინდა შენგან არაფერი, შორენა, მამას გული რატომ ატკინე, მკვდარიც კი არ გებრალება და არ უსმენო!..“

დავიბენი, უცებ ვერც მივხვდი, რა მითხრა. მობრუნებული ხურდა ჯიბეში ჩავიყარე და ნაცემივით წამოვედი, ამ მოხუცმა ჩემი სახელი საიდან იცის-მეთქი, — დამკრა თავში. მივბრუნდი და... იქ აღარავინ იდგა, თითქოს იმ მოხუცს მიწამ უყო პირიო... შემეშინდა. მოძღვარს ვუამბე ყველაფერი. ეშმაკი გებრძვისო, — მითხრა. ვეღარ მოვისვენე და ანა მამიდასთან წავედი... ეს უცნაური ნიჭი ჰქონია პაპიდასაც. ამბობენ, ამის გამო ბერიასაც კი შეხვედრიაო.

მოკლედ, ანა მამიდამ მამაჩემის სულთან დამაკავშირა, რომელმაც მითხრა, — უფალს შევეხვეწე და შენი თავი მაჩუქა, ეკლესიაში მხოლოდ მას შემდეგ მიგიღებს, რაც სამ შვილს გააჩენ და სრულწლოვანებამდე უპატრონებ. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე ეკლესიაში მისულს სიურპრიზი გელოდება, შენთან უფლის გამოგზავნილი კაცი მოვა, რომელიც შენი შვილების მამა გახდება, მას ბადრი ჰქვიაო, — და გვარიც კი დამისახელა.

ეს მითხრა, მაგრამ არაფერი დამიჯერებია.



აღდგომის წირვის შემდეგ დაღლილი ტაძრის ეზოში ყორეს მივეყრდენი. ახალგაზრდა კაცი მომიახლოვდა — ცუდად ხომ არა ხართო. ვილაპარაკეთ და... როცა გამეცნო, ბადრი ა-ძე ვარო, ლამის მუხლები მომეკვეთა. ბუნებრივია, ჩემი შეშფოთების მიზეზი მისთვის არ გამიმხელია. როგორი სათქმელი იყო — მკვდარმა მამამ მამცნო, რომ ჩემი ბედი ხარ-მეთქი. არადა ასე მოხდა, ჩვენ დავახლოვდით, რამდენიმე თვეში ჯვარიც დავიწერეთ და ახლა სამი ვაჟი გვყავს. როცა უმცროსი, ლევანიკო, 18 წლის გახდება, ვეცდები, მონასტერში წავიდე და სიცოცხლის ბოლომდე უფალს ვემსახურო.

შორენამ მამიდა გამაცნო. 72 წლის ქალბატონი სიტყვაძუნწი გამოდგა, კითხვებზე მოკლედ, მაგრამ საოცარი ფრაზებით მპასუხობდა...

**— როდის აღმოაჩინეთ საკუთარ თავში მედიუმის ნიჭი?**

— ეს უნარი ჩემთან ერთად დაიბადა... ჩვენ ოთხნი ვიყავით, სამი და და ერთიც ძმა, მაგრამ მამიდაჩემმა მხოლოდ ჩემი დაბადების შემდეგ თქვა: — მოვიდა ის, ვინც ხარკს გაიღებს მარადიულობის წინაშეო!

**— ამით რისი თქმა უნდოდა?!**

— სიკვდილი არ არის დასასრული, სიცოცხლე მარადიულია, ოღონდ ადამიანის არსებობა ხილული სამყაროდან უხილავში გრძელდება. მოკვდავმა ადამიანმა არ უნდა დაივიწყოს, რომ სიკვდილის შემდეგ კიდევ მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება თავისი ნაქნარის გამო და ამიტომ მას დროდადრო საიქიოდან სხვადასხვა ხერხით მიეწოდება ინფორმაცია. სპირიტიზმის უნარით დაჯილდოებული ადამიანები ამ მიზნით იბადებიან...

**— თუ უფლის მიერაა დაშვებული კავშირი ცოცხალთა და მკვდართა შორის, მაშ, მართლმადიდებლური ეკლესია რატომ კრძალავს მას?!**

— ვერაფერს გეტყვით, არა მაქვს განსჯის უფლება.

**— გამოდის, თქვენ დაემორჩილეთ ეკლესიის და არა უფლის სიტყვას?**

— ეკლესია და უფალი განუყოფელი მთლიანობაა: მე ჩემს უფლებებს გადავაჭარბე, რაზეც ლაპარაკი არ მსურს და ამიტომ დავისაჯე, სპირიტიზმზეც უარი ვთქვი.

**— რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ადამიანისთვის გარდაცვლილთა სამყაროსთან კავშირს?!**

— შეიძლება გაგიკვირდეთ, რასაც ახლა გეტყვით, მაგრამ... სპირიტიზმით გატაცება რომ სიცოცხლეს ამოკლებს, ამის თქმა შემიძლია...

**— ეგ როგორ?**

— როგორ სანეტარო ადგილზეც (სამოთხეში!) არ უნდა მოხვდეს გარდაცვალების შემდეგ სული, მას ადამიანობა მაინც ენატრება და ცდილობს რამდენიმე წუთით მაინც დაუბრუნეს რეალურ სამყაროს, რაც შეუძლებელია სასიცოცხლო ენერგიის გარეშე. ის, ვინც სარიტუალო სეანსის დროს გარდაცვლილის სულთან კონტაქტში შედის, თუნდაც ხუთი წუთით, ერთი წლის სასიცოცხლო ენერგიას მაინც გადასცემს გარდაცვლილს, რაც მეტია კონტაქტის მცდელობა, მით მეტ დარტყმას აყენებს კონტაქტორი საკუთარ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

**— გარდაცვლილთა სულები ჩვეულებრივი ენერგოვამპირები არიან?!**

— ალბათ. სხვათა შორის, არც ერთი წმინდანის სული სპირიტული სეანსის დროს კონტაქტზე არ გამოდის. სიცოცხლეში უცოდველი, არც გარდაცვალების შემდეგ შეცდება...

**— თუ ფლობთ სარიტუალო სეანსის დროს მიღებულ რაიმე მნიშვნელოვან ინფორმაციას, რაც მკითხველს დააინტერესებდა?**

— საქართველო უკვდავია. ქართველების საუკეთესო და რჩეული ნაწილი დიდი მისიითაა მოსული ამქვეყნად. 2007 წლიდან საქართველოს აღდგომა იწყება.

**— პირველი არა ხართ, ვინც 2007 წელს ასეთ მნიშვნელობას ანიჭებთ!**

— რა გასაკვირია. ინფორმაცია ბევრს ეძლევა სხვადასხვა არხით!..

...ქალბატონმა ანამ სხვა რამეზე საუბარი არ ისურვა, თუმც კი მიღებული ინფორმაციაც არ არის ალბათ მცირე...

***ინგა ჯაყელი***

## ჩვენ გვწერენ

# სიავისგან ბაბუა მიცავს...



მე და ბაბუაჩემს ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. ათას რამეზე ვლაპარაკობდით ხოლმე. მეათე კლაში ვიყავი, როცა გარდაიცვალა. დიდხანს ვგლოვობდი. ყოველდღე მივდიოდი სასაფლაოზე, ჩამოვუჯდებოდი ფერხთით და ვუყვებოდი ამბებს...

მათემატიკაში მაინცდამაინც არ ვბრწყინავდი. გამოსაშვები გამოცდის წინ ძალიან ვღელავდი. წინაღამეს მესიზმრა — ბაბუაჩემმა რაღაც ფურცელი მომცა და მითხრა, აი, ეს საკითხები შეგხვდება და კარგად მოემზადეო. სიზმარს რა დაეჯერება-მეთქი, — ჩავიქნიე ხელი. არადა ბაბუას რჩევა ყურად რომ მეღო, სირცხვილსაც გადავრჩებოდი — ორიანი მტკიცეს! საგამოცდო ბილეთში ზუსტად ის საკითხები ეწერა, რაც ბაბუამ მითხრა სიზმარში.

რას ვიზამდი. ვაი-ვიშით შევუდექი საგნის გადასაბარებლად მეცადინეობას. თან გულში ბაბუას ვებოდიშებოდი. გამოცდის წინაღამეს ისევ გამომეცხადა ჩემი საყვარელი მოხუცი, ისევ მიკარნახა საკითხები. განთიადზე წამოვფრინდი და წიგნს ვეძგერე. ამჯერად „ფრიადი“ დამიწერეს...

ბაბუა დღემდე მეხმარება. არასოდეს მივუტოვებივარ გასაჭირში. ჩემი შვილისთვის მძიმე ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ. ბაბუამ მკაცრად გამაფრთხილა — ბიჭის ხერხემალს დანა არ მიაკაროთო. დილით ექიმს ვუთხარი, — არასდიდებით არ გაგაკეთებინებთ ოპერაციას-მეთქი. მაშინ ბავშვი დაიღუპებაო, — მომიჭრა. ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე.

სულ რაღაც ერთ საათში პატარამ გამოკეთება იწყო. საღამოს კი წამოჯდა კიდეც.

ვარაზისხევში ვიღაც ნაძირალამ ჩანთა წამართვა და ზოოპარკისკენ გაუტია. ჩანთა — არაფერი, მაგრამ შიგ საბუთები, გასაღები, 20-ლარიანი და რაც მთავარია, ბაბუის სახსოვარი ძვირფასი სამაჯური მედო — ენა ჰქონდა გაფუჭებული და ოქრომჭედელთან მიმქონდა შესაკეთებლად.

იმის მპოვნელი კაცი არ იყო და სხვა რა გზა მქონდა — გამოვიგლოვე დანაკარგი. ამას წინათ, სრულიად შემთხვევით, ერთ შენობაში წავაწყდი წარწერას — „ნაპოვნი ნივთების ბიურო“. გამეცინა. ალბათ კომუნისტების დროინდელი აზრაა-მეთქი. საეგებიოდ მაინც შევედი. მსუქანმა, მკაცრსახიანმა ქალმა — რა გნებავთო. ჩანთას ვეძებ-მეთქი. მობრძანდით და ნახეთო. კინაღამ გავგიჟდი, როცა ჩემს ჩანთას ვკიდე თვალი — აი-მეთქი!

პატარა ფორმალობის მერე გულში ჩაკრული ჩანთით გარეთ გამოვედი. საკვირველია, მაგრამ მასში ყველაფერი ხელუხლებლად ეწყო.

***თათია ზაალიშვილი, თბილისი***

# მფრინავი დედაბერი

ყოველ არდადეგებს ბებია-ბაბუასთან ვატარებდი რიაზანის ახლოს. მახსოვს, დიდ-პატარა უთენია მოვედებოდით ტყეს და დაცვარულ სოკოებს ვკრეფდით. მერე ბებია ზოგით მარინადს აკეთებდა, ზოგს ახმობდა და თბილისში მატანდა ხოლმე. ერთ დილას გვიან გავიღვიძე. მზე უკვე კარგა მაღლა იყო წამოსული. ფაცხაფუცხით გავვარდი ტყისკენ. წამლად ერთი ცალი სოკოც ვერ ვიპოვე, ისე გაეკრიფათ. ტყეს შევერიე. ნადირის ბილიკმა კორდზე გამიყვანა. შუაგულში, კამკამა ტბორში, ხეები და თეთრი ღრუბლებით დაჩითული ცა ირეკლებოდა. უცებ თბილი თქორი წამოვიდა. თავი წამოქცეულ დევრცხილას შევაფარე. ტანმა მიგრძნო, მარტო არ ვიყავი. მივიხედე, ვიღაც შავკაბიანი დედაბერი მიწაზე ფეხდაუკარებლად მოცურავდა. გულში სწრაფად წარმოვთქვი „მამაო ჩვენო“. დედაბერი შეჩერდა, ანცად შემომხედა. ბაგეგაუხსნელად, გონებით გამოველაპარაკეთ ერთმანეთს. მერე მთხოვა, — სოფლის გზა მასწავლეო. კი, ბატონო, მაგრამ მივიხედ-მოვიხედავ, ეგებ სოკოს წავაწყდე-მეთქი. ეგ არაფერი, მე მოგეხმარებიო. დავადექით ბილიკს. გმადლობთ, შენ კეთილი ბიჭი ხარო, — მითხრა გონებით დედაბერმა, ხელი მომხვია, შუბლზე მაკოცა და გზას გაუყვა. უცებ წინ ჩხავილით ყვავი დამისკუპდა. მოკლე-მოკლე ფრენით მიიწევდა წინ და მეც მონუსხულივით მივსდევდი უკან. ახოზე ამოვყავი თავი. სამი უზარმაზარი კუნძი ეგდო. დახვეოდა სოკო — ქედნის გუნდი გეგონებოდა. წამში ავავსე კალათი, ჩანთა, აბგა. ყვავი თავს ყვა-ყვას ძახილით დამტრიალებდა. ახლოს რომ ჩამიფრინა, თვალებში იმ დედაბრის მზერა დავუჭირე, ჭკვიანი და ამავე დროს ანცი.

მეორე დილით მეზობლებთან ერთად გავწიე სოკოს საკრეფად. ნაცნობ ახოს მივაშურე. ნება-ნება ვაწყობდი კალათებში ნორჩ კალმახას, ნიყვს, ქამას... სხვები ჩემი ახოს ირგვლივ ტრიალებდნენ, მაგრამ ვიცოდი, იქ ვერავინ შემოაბიჯებდა — ყვავმა ყრანტალით მამცნო, ეს ადგილი შენიაო...

გაიარა თხუთმეტმა წელიწადმა. არეულობის გამო ვეღარ ვეწვიე დედულეთს. მხოლოდ ერთი თვის წინ მოვახერხე სტუმრობა. ჩვეულებისამებრ ადრიანად წავედი ტყეში, მეუღლეც თან ვიახლე. გაგიკვირდებათ, მაგრამ ახოში ყველაფერი უცვლელი დამხვდა. კუნძთან რაღაც ბრჭყვიალებდა ამომავალი მზის სხივებზე. დავიხარე — ჩემი ბავშვობის დროინდელი ბრელოკი არ შემრჩა? ზედ ქართული ასოებით ამოტვიფრული იყო ჩემი სახელი — „ნიკა“. ისეთი იყო, თითქოს წუთის წინ გამვარდნოდა ხელიდან. რამდენი ვეძებე მაშინ, 15 წლის წინ...

შორიახლო მხიარული ჩხავილით ყვავმა გადაიფრინა.

***ნიკა ბუქურაული***
***თბილისი***

## „საზალოო–სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი:**
1) — გ); 2) — ბ); 3) — ა); 4) — დ); 5) — ბ); 6) — ა).

**II.** მე-2 ყვავილნარიდან.

**III.** ცოდნა.

**IV.** სკამი; ფაფარი; სიმინდი; გორილა.


საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის
წმიდა ილია მართლის სახელობის

**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**

გიწვევთ სასწავლებლად სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა, 2. ჟურნალისტიკა,
3. ქართული ენა-ლიტერატურა,
4. უცხოური ენები — ინგლისური, გერმანული, ფრანგული.
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები,
6. ფინანსები და საბანკო საქმე, 7. ფილოსოფია და პოლიტოლოგია,
8. ფსიქოლოგია და სოციოლოგია,
9. ხელოვნებათმცოდნეობა და სახვითი ხელოვნება,
10. ფიზიკა და მათემატიკა, 11. ქიმია და ბიოლოგია,
12. ისტორია და რელიგიის ისტორია, 13. სკოლამდელი აღზრდა,
14. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და ფსიქოლოგია.

**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**

საბუთები მიიღება 10-17 სთ-მდე. პ. მელიქიშვილის ქ. №2
(ვერაზე, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, 51-ე სკოლა).
☎ 92-30-36; 92-30-37; 37-31-32.



**„თელისი“**

ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია, რომელშიც დაარსების დღიდან **პირველ კურსზე სწავლა უფასოა**

მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ არსებული კანონმდებლობის შესაბამისად **ვაჟები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან**

*გარდა ამისა:*
– ფრიადოსნებს ენიშნებათ *სტიპენდია;*
– გაიცემა სახელმწიფო *დიპლომი;*
– კომპიუტერზე მუშაობის დამადასტურებელი *სერტიფიკატი*

ინსტიტუტში სწავლის ვადა: იურიდიული, ეკონომიკის, ჟურნალისტიკისა და უცხო ენების სხვადასხვა სპეციალობებზე ხუთი წელია

**მის: თბილისი, ვაკე, ფალიაშვილის 42**
**☎ 25 15 61; 899 19 05 26**

# პრინცმა სამეფო სახლი „გააღარიბა"



ჟურნალ „ფორბსის" მიერ ყოველწლიურად გამოქვეყნებულ მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა სიაში მეფეები, დედოფლები და დესპოტები უმაღლეს საფეხურებს იკავებენ. მათ შორის ყოველთვის იყო ჰოლანდიის სამეფო სახლი — ისინი ხომ მილიარდობით დოლარის ქონების მფლობელები არიან. თუმცა წელს სამეფო ოჯახი „ფორბსის" ნუსხის შუაში მოექცა, ამაში კი „დამნაშავეა" დედოფალ ბეატრიქსის მამა, 92 წლის პრინცი ბერნარდი. პრინცმა სამეფო ოჯახთა ისტორიაში უპრეცედენტო რამ ჩაიდინა — „ფორბსის" რედაქტორს დაურეკა და სთხოვა, სამეფო რეზიდენციაში სწვეოდა. გაკვირვებულ რედაქტორს შემდგომში განუცხადა: — წლების მანძილზე ჩვენი სამეფო ოჯახი არასწორად იკავებდა თქვენს სიაში ადგილს, ჩვენი რეალური ქონება 250 მლნ დოლარამდეა შემცირებულიო. პრინცის სიტყვებს ენდვნენ და ჰოლანდიის სამეფო სახლი „ღარიბ" მულტიმილიონერთა — იასირ არაფატსა და ფიდელ კასტროს შორის მოხვდა.

დედოფალი ბეატრიქსი აღაშფოთა მამის საქციელმა და ოფიციალურად განაცხადა, — მოხუცმა ეტყობა, რაღაც სწორად ვერ გაიგოო.

ჰოლანდიის სამეფო სახლის სიმდიდრეს, მე-19 საუკუნეში, მეფე ვილჰელმ პირველმა ჩაუყარა საფუძველი; ხელმწიფემ სამეფო ოჯახის ხელში მოაქცია სუნელების, ჩაის, რეზინის და ყავის იმპორტიორი საწარმოები. დღეისათვის კი სამეფო ოჯახი იმდენად გაძლიერებულია, რომ თავისი აქციები გააჩნია ისეთ სანავთობო გიგანტში, როგორიცაა „როიალ დაჩშელი" და ბანკი „აბნ ამრო".

ჰოლანდიელ ექსპერტებს სასაცილოდაც კი არ ეყოთ პრინცის განცხადება, რეალურად, სამეფო ოჯახი რომ 17-დან 23 მილიარდის ქონებას ფლობს და მასში შედის არა მარტო აქციების თუ სხვადასხვა უძრავი ქონების ღირებულება, არამედ რემბრანდტის ნახატების მსოფლიოში უდიდესი კოლექცია.

დედოფალი ბეატრიქსი ტელეფონით ესაუბრა „ფორბსის" რედაქტორს და ურჩია, თუკი პრინცი ბერნარდი კვლავ დაურეკავს მას, საუბარი სხვა თემაზე გადაუტანოს — „ის მოხუცია და მალე დაავიწყდება, თუ რატომ გირეკავდათ," — დასძინა დედოფალმა.

***ნიუზუიქი***

# არა შეჯდა მწყერი ხესა...



ბელგიის სამეფო სახლი შეშფოთებულია — საცაა მას ბრიტანეთი „უხელმძღვანელებს", პრინცი ლორანი მეტად უნებისყოფო ქმარი გამოდგა.

39 წლის პრინცმა 29 წლის ინგლისელ კლერ კომბსის, უძრავი ქონების ბრიუსელური ფირმის ერთ-ერთ მეპატრონეს, ერთ თვეში ხელი სთხოვა. მეფე-დედოფალი აღფრთოვანდნენ, მიუხედავად იმისა, რომ კლერი პირველი მდაბიორი იყო, რომელიც ბელგიის სამეფო ოჯახში მოხვდა, თანაც ინგლისელი. მაგრამ პრინცმა მშობლებს ერთი გარემოება დაუმალა — თავნება კლერმა პირველივე შეხვედრისთანავე, სადილის შემდეგ მომავალ მეფეს ჭურჭელი დაარეცხვინა და მერე ლუდის საყიდლადაც გააგზავნა. ტახტის მემკვიდრემ ხალისით დარეცხა ჭურჭელი და მაღაზიაშიც გაიქცა. კლერმა პრინცს თითიც არ დააკარებინა მანამ, სანამ ნიშნობის ბეჭედი არ წამოიცვა ხელზე და განაცხადა, ჩემი მომავალი მეუღლე სექს-დიეტაზე მეყოლება — ხომ უნდა იცოდეს, ვინ არის ოჯახში უფროსიო.

ლორანის საბრალო მშობლებმა მაშინ გაიგეს, ვინ იყო მათი სარძლო, როცა კლერმა ისტერიკა გამოაცხო და ძვირფასი საპატარძლო კაბა მოითხოვა. მორჩილმა ლორანმა რამდენიმე ასეული დოლარი გაიღო ექსკლუზიური დიზაინერული სამოსისთვის. თვითონ კი იძულებული შეიქნა ოფიცრის მუნდირი ჩაეცვა, რადგან საცოლემ მიახალა — სმოკინგში მაკე ძროხას ჰგავხარო. რამდენიმედღიანი ზეიმის მიუხედავად, მეფე-დედოფალი ცხვირჩამოშვებულია. პესიმისტების აზრით, მათ წარმოდგენაც არა აქვთ, რას დაატრიალებს ქვეყანაში ინგლისელი რძალი, როცა უნებისყოფო პრინცი ლორანი ტახტზე ავა.

***პარი მატჩი***

# ვის რა უჭირს...



● 60 წლის ბუქარესტელმა ქალბატონმა, ქმრის „სექსუალური დღიურის" წაკითხვის შემდეგ ქმარს უჩივლა. კაცი დღიურში 10 000 სექსუალურ აქტს აღწერდა, ცოლის სახელი მათ შორის 3 000-ჯერ არის მოხსენიებული. როგორც მოპასუხემ აღიარა, დღიურის წერა იმისთვის დაიწყო, რომ შეემოწმებინა თეორია, რომლის თანახმად, მამაკაცს სიცოცხლის განმავლობაში მხოლოდ 10 000 სექსუალური აქტის ჩატარება შეუძლია. სასამართლო პროცესზე სექსუალურად შეჭირვებულ პენსიონერს კიდევ ერთი უსიამოვნება ელოდა: მას დღიური ჩამოართვეს.

● აშშ-ში სასამართლომ უპრეცედენტო საქმე განიხილა: ცოლ-ქმარი ძაღლს ვერ იყოფდა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ოთხფეხა მეგობარი ცოლს არგუნეს და მისი შენახვის ხარჯებიც დააკისრეს. ქმარყოფილს კვირაში ორჯერ აქვს ძაღლის ნახვის უფლება.

***ეხო პლანეტი №24***

# ძალიან ჭკვიანი

ამერიკულმა პოლიციამ ერთი 49 წლის მამაკაცი სამუშაოზე არ მიიღო „ზედმეტად განვითარებული ინტელექტის" გამო. კონექტიკუტელმა რობერტ ჯორდანმა საკონკურსო ტესტირებაზე 33 ქულა მოაგროვა. ეს გონებრივი განვითარების კოეფიციენტის 125 პუნქტის ეკვივალენტია. პოლიციას კი 20-დან 27 პუნქტამდე კოეფიციენტის მქონე თანამშრომლები სჭირდებოდა. მიზეზი უბრალოა: „ძალიან ნიჭიერს" შეიძლება მალე მოჰბეზრდეს პოლიციელობა, ძვირად ღირებული სწავლის კურსი არად ჩააგდოს და უწყებიდან წავიდეს. ჯორდანმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა, მაგრამ ამაოდ — მოსამართლეები ერთხმად დაეთანხმნენ პოლიციას.

***ლიზა***

# კენედისაც ჰყავდა თავისი მონიკა



ჯონ კენედიმ თეთრი სახლის ოვალური კაბინეტი ჯერ კიდევ მაშინ წაბილწა, როცა ბილ კლინტონი მაგიდის ქვეშ დარბოდაო, — წერს ამერიკული პრესა. როგორც კენედის ბიოგრაფმა გაარკვია, 1962 წელს ჯონ კენედიმ თეთრ სახლში სამუშაოდ მიიღო 18 წლის მერიონ ფანესტოკი. 17 წლის მერიონს პრეზიდენტისგან ინტერვიუ აუღია. ნორჩ ინტერვიუერთან საქმის დაჭერა სარისკო საქმე იყო, სამაგიეროდ, კენედის ის არ დავიწყებია — ერთი წლის შემდეგ მერიონს თეთრ სახლში მუშაობა შესთავაზეს. ახალმა თანამშრომელმა არაფერი იცოდა — ვერც საბეჭდ მანქანაზე ბეჭდავდა, არც სტენოგრაფიის გაეგებოდა რამე და მხოლოდ სატელეფონო ზარებს თუ უპასუხებდა, ისიც გაჭირვებით. სამაგიეროდ, მერიონს დიდი მკერდი, გრძელი ფეხები და ლამაზი ცხვირ-პირი ჰქონდა, ყველა ამ სიკეთესთან ერთად ქერათმიანი იყო. საღამოობით პრეზიდენტი დროს ცოლთან ან სხვადასხვა საყვარელთან ატარებდა, დღისით კი ოვალურ კაბინეტში მერიონს „პატიჟებდა". „ოვალური" რომანი 1962 წლის ივნისიდან 1963 წლის ნოემბრამდე გაგრძელდა და კენედის მკვლელობამ მოუღო ბოლო. ეს ამბავი 40 წლის შემდეგ გახმაურდა. თუმცა საეჭვოა, კლინტონს მისი წინამორბედისა შურდეს — სჯობს სექს-სკანდალის გამო დატოვო პოსტი, ვიდრე სნაიპერის ნასროლი ტყვიით. მერიონ ფანესტოკი ახლა 60 წლისაა. მას არასოდეს გაუმხელია თავისი რომანის ამბავი. მიუხედავად აღთქმული მილიონებისა, კატეგორიულ უარს ამბობს წიგნის დაწერაზე. მონიკა ლევინსკიმ კი სექს-სკანდალით დიდი ქონება დააგროვა.

***ოკნა №23***

# ოთხფეხა და...



ბუნებაში ანომალიები არავის უკვირს. არც მახინჯი ადამიანის დაბადება. არაერთგზის წაგვიკითხავს, გვსმენია ორფეხა და ორტანიანი, ორთავა, ორსახოვანი, ორცხვირა, ციკლოპივით ცალთვალა, რქოსანი და ჩლიქოსანი ადამიანების ამბავი. ის კი არა, ავსტრიის ცირკში ადამიანი-მუხლუხოც კი მუშაობდა თურმე — არც ხელები ჰქონდა და არც ფეხები, ტანზე მხოლოდ თავი იყო მიბმული. ისეთი მარჯვე ყოფილა, კაი ქონებაც დაუგროვებია და ორი ცოლიც გამოუცვლია...

ახლახან ზამბიაში კიდევ ერთი უცნაური არსება დაიბადა — მშვენიერი შავტუხა გოგონა, რომელსაც ოთხი ხელი, სამი ხელი და ამდენივე თირკმელი აქვს. საგულისხმოა, რომ პაწია თავს სავსებით ნორმალურად გრძნობს — ძალიან მხიარულია და ჯერჯერობით თავისი სამი ხელით ოთხ ფეხს ეთამაშება.

***ტაიმსი***

# გაგძარცვეს? — ჯარიმა გადაიხადე

კოლორადოელ (აშშ-ის შტატი) ჰექტორ ერნანდეს-გრაცს ავტომობილი მოჰპარეს. რა თქმა უნდა, პოლიციამ დაზარალებულს თანაუგრძნო, მაგრამ სანამ შინ გაისტუმრებდნენ, 15 დოლარით დააჯარიმეს. საქმე ის არის, რომ თავქარიან მძღოლს ავტომობილი არ ჩაუკეტავს, ისე შებრძანებულა სუპერმარკეტში საყიდლებზე. კოლორადოს შტატში კი მეტად ორიგინალური კანონი მოქმედებს — საკუთარი უყურადღებობით ავტომობილის დამკარგავები ჯარიმდებიან — ასეა, პოლიციას ზედმეტი საზრუნავი არ უნდა გაუჩინონ!

***ტრუდ-7 №104***

# ვინც ეძებს, პოულობს



ძველი პლუშის დათუნიამ, რომელიც საქველმოქმედო აუქციონზე სულ ერთ დოლარად გაიყიდა, თავისი ახალი პატრონი გაამდიდრა.

ალასკელმა ვან სონგმა დანაზოგი — 45 000 დოლარი დათუნიაში ჩააკერა. როცა ადგილობრივ ეკლესიაში საქველმოქმედო ყიდვა-გაყიდვა გაიმართა, მისის სონგმა მოგროვილი ნივთები ქმარს გაატანა. ყველაფერი ელვისუსწრაფესად გაიყიდა და მისტერ სონგი შინ დაბრუნდა ეკლესიაში კიდევ რამის წასაღებად. გარდერობში ძველი დათუნია მოხვდა თვალში და სასწრაფოდ გააქანა გასაყიდად. მისის სონგმა გვიან აღმოაჩინა დანაკარგი — იგი 1 დოლარად მიჰყიდეს ვიღაც ქალს. მისის სონგის განცხადებას, — დათუნია დამიბრუნეთო, ჯერჯერობით არავინ გამოხმაურებია.

***ვოკრუგ სვეტა***

# უიღბლო იღბლიანი



74 წლის ხორვატი ფრეინ სელაკი თავისი სიცოცხლის მანძილზე შვიდჯერ მოხვედრილა ავია თუ ავტოკატასტროფაში და ყოველთვის თითქმის საღ-სალამათი რჩებოდა. ახლა ამ უიღბლო იღბლიანმა ჯეკ-პოტში 900.000 დოლარი მოიგო.

პირველად, 1962 წელს მოყვა კატასტროფაში — მატარებელი, რომლითაც მგზავრობდა, რელსებიდან გადავიდა და მდინარეში გადაიჩეხა, მაშინ 17 კაცი დაიღუპა. ფრენკი კი ოდნავ შეშინდა. გავიდა წელიწადი და თვითმფრინავიდან მთელი ეკიპაჟი და მგზავრები გადმოცვივდნენ. ცოცხალი მხოლოდ სელაკი გადარჩა, იგი თივის ზვინზე დაეცა. მას შემდეგაც არ დაჰკლებია ავია თუ ავტოკატასტროფები, ხანძარი და ვინ იცის, კიდევ რა... თითიც არ გაჰკაწვრია. ჯეკ-პოტის მოგებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ბედი მის მხარეზეა.

***მირ ნოვოსტეი***

# ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში პეტრე I-ის სიტყვებს ამოიკითხავთ.**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩ | ვ | ე | ნ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ | ა | რ | ა | ს | ო | დ | ე | ს | მ | ო | ი | წ | ყ | ე | ნ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ზ | ე | ე | ი | | ა | ე | ა | ი | ნ | ა | ნ | ე | | ნ | ა | ა | ა | ა | კ | ი | ი | ო | | ო | ი | ე |

**ჩ.** რა ჰქვია დესერტს ქართულად; **ვ.** რუსი ფერმწერი; **ე.** მწვავე შეხლა-შემოხლა; **ნ.** მონღოლების მიერ დაპყრობილი ტერიტორიის გარკვეული ადმინისტრაციული ერთეულის მმართველი; **თ.** ის, რისგანაც ფოლადს ადნობენ; **ა.** ტროპიკული ხილი; **ნ.** ქართული მხატვრული ფილმი, რომელშიც რამაზ ჩხიკვაძეს პარტნიორობას მიხეილ მესხი უმცროსი უწევს; **ე.** გემის ან თვითმფრინავის მომსახურე პერსონალი; **რ.** მსუბუქი ყოფაქცევის ქალი; **თ.** მეტსახელი; **ა.** უსაქმოდ მოხეტიალე მოხულიგნო ახალგაზრდა; **დ.** სამეცნიერო წოდება; **ა.** „დათა თუთაშხიას" ამ პერსონაჟს რომანში ტოფანა ჰქვია. რა ჰქვია მას ფილმში; **რ.** თბილისის ერთ-ერთი უბანი; **ა.** ჩვილის სარწეველა საწოლი; **ს.** ჩეხი კომპოზიტორი; **ო.** ქალაქი, რომელიც გაათავისუფლა ჟანა დ'არკმა; **დ.** დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება, რომელსაც მიიჩნევენ ურყევ ჭეშმარიტებად ყველა დროისა და ისტორიული პირობებისათვის; **ე.** საბერძნეთის მეორენაირი სახელწოდება; **ს.** ნერონის მასწავლებელი; **მ.** ანდამატი; **ო.** მოწონების, აღტაცების გამოხატვა მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით; **ი.** რა ერქვა ნოდარ დუმბაძის „ნუ გეშინია დედას" ერთ მთავარ პერსონაჟს, ავთო ჯაყელის ბაბუას; **წ.** ძვირფასბეწვიანი ცხოველი; **ყ.** ჩიბუხი; **ე.** სახელმწიფოს მიერ ქაღალდის ფულის გამოშვება; **ნ.** გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**ჩ.** ჩადრი; **ვ.** ვუალი; **ე.** ეგრისი; **ნ.** ნუდიზმი; **თ.** თეირანი; **ა.** არსენა; **ნ.** ნიუტონი; **ე.** ეტლი; **რ.** რეისი; **თ.** თასმა; **ა.** ასმათი; **დ.** დიონისე; **ა.** ამური; **რ.** რუსეთი; **მ.** მეველე; **ო.** ოფელია; **ი.** იუნგა; **წ.** წურბელა; **ყ.** ყლორტი; **ე.** ელბა; **ნ.** ნუარე; **თ.** თლაშო.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: დარდი სულის მოუსვენრობაა.**



# ხულიო იგლესიასი: „ხელს ვთხოვ, უარზეა...“

ჩემი მეუღლე — ხულიო იგლესიასს — წელს 60 წელი უსრულდება, მაგრამ ესპანელი ტემპერამენტიანი მომღერლისათვის 60 წელი იგივეა, რაც 26. მის კონცერტზე ყოველთვის ანშლაგია, იპყრობს ყველა ლამაზი ქალის გულს — ეჯიბრება თავის არანაკლებ ცნობილ ვაჟს. სენიორ იგლესიასს უყვარს სპორტი და ჯანსაღი საკვები, არ ამბობს უარს პლასტიკურ ოპერაციებზე. ხშირად იცვლის გარეგნობას.

**— თქვენი ოჯახის წევრები თუ დაგყავთ გასტროლებზე?**

— არა. ძალიან დიდი ოჯახი მყავს. ჩემი და მირანდას 4 შვილი ჯერ სულ პატარები არიან. ახლო მომავალში ახალ ზელანდიაში მივფრინავ. ჩემი ოჯახი ახლა მაიამიში არის, მოგვიანებით ესპანეთში ჩავლენ — ჩვენს სახლში და იქ დამელოდებიან. გარდა ამისა, მაქვს სახლი კარიბის კუნძულებზე, დომინიკის რესპუბლიკაში, კერძოდ, პუნტო კანაში. ეს ადგილი ჩემმა ძველმა მეგობარმა შემირჩია და მერე ულამაზესი ვილა ავაშენეთ ორივემ ერთად — ორი ოჯახისათვის. იქ ჩვენ მთელი კომპლექსი გვაქვს — მოტელებით და საკუთარი აეროპორტით.

**— ვილა თქვენი მეგობრის პროექტით აშენდა?**

— არა, ჩემი. მირანდამაც რაღაცები მიკარნახა. მე საკმაოდ კარგი დიზაინერი ვარ.

**— ვიცი, რომ თქვენი დიზაინით აშენდა სასტუმროები ესპანეთში.**

— დიახ. ფულიც ჩავდე საკურორტო ზონის მშენებლობაში. თქვენ საიდან იცით?

**— წავიკითხე. ეს რა, საიდუმლოა?**

— რა თქმა უნდა, არა.

**— როცა შინ ხართ, როგორ ატარებთ დროს ბავშვებთან?**

— ჩემი შვილები სუფთა ჰაერზე იზრდებიან — მაიამიში, კარიბზე, ესპანეთში, სადაც ყოველთვის შესანიშნავი ამინდია. მე და ჩემი შვილები ძალიან სპორტულები ვართ. როცა შინ ვარ, ყოველდღე ვცურავთ, დავრბივართ, ვთევზაობთ. ჩემი მეუღლე მირანდა წიგნებს უკითხავს მათ.

**— მირანდას მეუღლე უწოდეთ, თქვენს ერთ-ერთ ინტერვიუში წავიკითხე, რომ რამდენჯერმე სთხოვეთ ცოლობა მირანდას, მაგრამ...**

— რა თქმა უნდა, ცოლია! ჩვენ ერთად ვცხოვრობთ, ბავშვებს ვზრდით. უკვე რამდენიმე წელია, ხელს ვთხოვ. უარზეა... ასეა თუ ისე, ჩვენ ჩვეულებრივი ოჯახი გვაქვს.

**— სამაგალითო მამა ხართ?**

— კარგი მამა ვარ ახლაც და 20 წლის წინაც ასეთი ვიყავი, როცა ჩემი უფროსი შვილები პატარები იყვნენ. უკვე ბაბუა ვარ, ჩემს ქალიშვილს შვილი ჰყავს.

**— პრესაში დაიწერა ენრიკესა და ანას ქორწილის შესახებ.**

— არანაირი ქორწილი არ ყოფილა. ენრიკეს და ანას უყვართ ერთმანეთი, მაგრამ ქორწილი ჯერ არ არის მოსალოდნელი. ვიცნობ ანას და ძალიან მომწონს, ასე რომ, ენრიკეს არჩევანს ვეთანხმები. ჩემი ვაჟი და მისი მეგობარი ძალიან ცნობილი პიროვნებები არიან, ამიტომ მათ შესახებ ყველა ყოველთვის ლაპარაკობს და ბევრ რამესაც თხზავენ...

**— როცა ენრიკე დაქორწინებას გადაწყვეტს, გთხოვთ დალოცვას?**

— პირველად რომ შევირთე ცოლი, რა თქმა უნდა, მშობლებს ვთხოვე დალოცვა. ახლა სულ სხვა დროა. ბავშვები უფრო დამოუკიდებლები გახდნენ, ისინი მშობლებს აღარაფერს ეკითხებიან. მაგრამ თუ ენრიკე გადაწყვეტს ცოლის შერთვას, რა თქმა უნდა, პირველი მე შევიტყობ!...

*7 დღეი №27*

## კინომოზაიკა. კინომოზაიკა. კინომოზაიკა.

# კამერონ დიასის მარტოობა ორი კვირა გაგრძელდა





თავის ბოიფრენდთან, მსახიობ ჯარედ ლეტისთან განშორება კამერონ დიასს დიდხანს არ უდარდია და უკვე ორი კვირის შემდეგ მან ახალი სატრფო გაიჩინა. ის გახლავთ 22 წლის პოპულარული მუსიკოსი ჯასტინ ტიმბერლეიკი. თავდაპირველად ქალ-ვაჟი ჩუმად ხვდებოდა ერთმანეთს. ბოლო დროს კი, აღარ მალავენ თავიანთ ნაზ გრძნობებსა და ურთიერთობას. „ჯერ არ ვიცი, რა გამოვა ჩვენი ურთიერთობიდან, მაგრამ ჯერჯერობით ზღაპარში მგონია თავი,“ — ამბობს კამერონი.

ძნელია იმის წინასწარმეტყველება, თუ რამდენ ხანს გასტანს ეს კავშირი: კარგად არის ცნობილი, რომ ჯასტინი არ გამოირჩევა მტკიცე ხასიათით. ბრიტნი სპირსთან დაშორების შემდეგ ერთი წელი გავიდა და ამ ხნის მანძილზე ის ეარშიყებოდა ჯენეტ ჯექსონს, ალისა მილანოს და ჰოლივუდის ბევრ სხვა ლამაზმანს...

# ამერიკის დამსახურებული დონორი

ნიკოლას ქეიჯი მშვენიერი მსახიობია, ბევრისგან განსხვავებით — წიგნიერი კაციც, მრავალგვარი ინტერესი აქვს, მაგრამ ზოგიერთივით მასაც ჰობი აქვს, თუმცა ერთობ განსხვავებული — ცნობილ ცოლთა კოლექციას აგროვებს (მისი მეუღლეები იყვნენ პატრისია არკეტი და ლიზა-მარია პრესლი), ქალს მოიყირჭებს, ქვეყანას აალაპარაკებს და მერე სასწრაფოდ გაეყრება.

ქეიჯი ჰოლივუდში ახალი სენსაციის მიზეზი გახდა — იგი ანჯელინა ჯოლის ცოლად შერთვას აპირებს.

ამ მსახიობების უცნაურობაზე ათასნაირი ხმა დადის.

ნიკოლასს და ანჯელინას ადრეც ჰქონდათ რაღაც, რომანის მაგვარი,



მაგრამ მაშინ ორივე ჰიმენეს ტყვეობაში იყო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა — ორივემ ორ-ორჯერ იქორწინა. ახლა ორივე ისევ თავისუფალია და ბობოქარი რომანიც გააჩაღეს. ქეიჯი რომ სერიოზულად უდგება საქმეს, იქიდანაც ჩანს, რომ ქალს ბროლის პატარა ფლაკონით თავისი სისხლი მიართვა — ჯოლის ვამპირული გამოხდომები ყველამ იცის, მათ შორის, ქეიჯმაც.

თუ საქმე ქორწილამდე მივიდა, ანჯელინა ქეიჯს 100 გრამს კი არა, ლიტრობით სისხლს გამოსწოვს. თუმცა არც ქეიჯია დიდი ხვითო — თავყრილობებზე წანწალი უყვარს და არც დიდი მეოჯახეა.






ქართველების რძალი

# შეიძლება ეს ქვეყანა არ გიყვარდეს?..

## დალოცვილო, რაღა მუხრანბატონის სათქმელს ამახინჯებ?

(დასაწყისი იხ. გვ.17)

პოლონეთში ეს ხელობა, როგორც თქვენთან ხალხური მედიცინა, მამიდან შვილზე გადადის. რთულ ნიუანსებს მამები მხოლოდ შვილებს ასწავლიან. მე მაინცდამაინც ამ საქმის სწავლა ავირჩიე. მშობლები არასოდეს მაიძულებდნენ რაიმეს — ვთქვათ, მედიცინის სწავლას, ნება დამრთეს კრაკოვში წავსულიყავი. მოვეწყვე სახელოსნოში, სადაც ამ საქმის მხოლოდ ზოგადი წესები ვისწავლე. მეგონა, რომ ვიმუშავებდი და ყველა საიდუმლოს ჩავწვდებოდი, მაგრამ სახელოსნოს პრობლემები დაეწყო — ამ მინას მხოლოდ მდიდრები უკვეთენ და შეკვეთი არ გამოჩნდა. სამაგიეროდ, გამოჩნდა ზაზა, დავუახლოვდი და რახან პროფესიით მუსიკოსი ვარ, ჯაზის აკადემიაში გადავწყვიტე ჩაბარება... მერე, თანდათან საქართველოში წამოსვლაზეც დავიწყე ფიქრი.

**— არ მიამბობ, ზაზა როგორ გამოჩნდა?**

— უბრალოდ. ვიჯექი სკვერში. ძალიან ლამაზი საღამო იყო. ვუყურებდი კრაკოვის ხედს, რომელიც მზის ჩასვლისას მშვენიერი ჩანდა და უცბად მოვიდა ზაზა თავისი გიტარით.

**— რატომ მაინცდამაინც შენთან მოვიდა?**

— იმიტომ, რომ უნდა მოსულიყო. არ მახსოვს, რა მკითხა, მაგრამ ხომ არის წუთი, როცა ხედავ ადამიანს და ხვდები, მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს შენს ცხოვრებაში. შევხედე და ვიფიქრე, რომ რაღაც გადამწყვეტი უნდა ეთქვა. როცა დამელაპარაკა, ვიგრძენი ბგერების უცნაური ჟღერადობა... რამდენიმე ენას ვფლობ, მაგრამ მსგავსი რამ არასოდეს მიგრძნია. ამ ხმამ მიმიზიდა. მე ის ადამიანი ვარ, ვინც ხმას უფრო უჯერებს, ვიდრე იმას, რასაც ხედავს. სამყაროს უფრო ყურით ვუგებ, ვიდრე თვალით. ბგერა არასოდეს მატყუებს და სულაც თვალწინ, საქმით რომ მიმტკიცებდნენ რაიმეს, თუკი ცრუობენ, ბგერით მივხვდები. ზაზას ხმა სანდო იყო. მან მშვენივრად გამოიყენა ეს თვისება ჩემი ოჯახის გასაცნობად. დედა ხასიათით ისედაც მას ჰგავს, მამა, საერთოდ, მაშინვე მოიხიბლა, რადგან ოჯახში მხოლოდ ქალები ვართ და ძლივს ნახა მამაკაცი, რომელსაც კაცურ საქმეებზე დაელაპარაკებოდა. თანაც ზაზამ მოიგონა მუსიკალური ენა, რომლითაც ყველას დაგვანახვა, რა დიდი კულტურის სამშობლო ჰქონდა, როგორი ხალხის შვილი იყო.

**— აქ რომ ჩამოხვედი, ეს წარმოდგენა ხომ არ შეგცვლია?**

— რას ამბობთ? იმდენად ძლიერ კულტურასთან მაქვს საქმე, ამას როგორ ვიფიქრებ? უნივერსიტეტში ვსწავლობ, ფილოლოგიის ფაკულტეტზე და იქ სულ მოდის და მოდის ინფორმაცია ამ კულტურის სიძველეზე. ერთმა ჩემმა ლექტორმა მითხრა, რომ ახლახან მესამე საუკუნის ახალი ქართული ხელნაწერები აღმოაჩინეს. მართალია, ეს ჯერ მეცნიერულად დამტკიცებული არ არის, მაგრამ ეჭვიც არ მეპარება, რომ ასე იქნება. როგორ შეიძლება წაიკითხო მეხუთე საუკუნის „შუშანიკის წამება“ და იფიქრო, რომ ის პირველი ქართული წიგნია?! ახლა ფოლკლორი?! ის არაჩვეულებრივია! ეს კულტურა თავისი პირველი სახით მოვიდა დღემდე და მას რომ ამახინჯებენ, აღარ ვიცი, სად გავიქცე. ასე როგორ შეიძლება? როგორ უყვართ ქართველებს თავისი კულტურა და რანაირად იტანენ ასეთ დამახინჯებას?

**— რემიქსებს გულისხმობ?**

— არა მარტო, — ყველაფერ იმას, რაც ძველ კულტურას შეეხება. ეს რა საცოდაობაა, რომ ძველი ფოლკლორი გადააკეთო? თუ რაიმეს თავი გაქვს, ახალი შექმენი! ადვილია, არა, უკვე შექმნილი დაღეჭო და ამით მოიპოვო პოპულარობა? აზრად არ მომივა, ვინმეს მივბაძო... საშინელებაა ისე დაამახინჯეს ათასწლეულებში შექმნილი... მაგათი გაპოპულარება როგორ შეიძლება? ხალხის ემოციებზე თამაშობენ — ხალხს უყვარს ყველაფერი ძველი და ნებისმიერი სახით იღებს მას, ამიტომაც მაინცდამაინც ძველს დაეტაკებიან ხოლმე დასამახინჯებლად. ეს არის გაყიდვა იმისა, რაც შენ არ გეკუთვნის. კულტურა ერის არის და საშინელებაა, რომ გუშინ დაბადებული და დღეს ვარსკვლავად ქცეული ისე იყენებს მას, როგორც ცხვირსახოცს.

**— გაჯავრებული ჩანხარ...**

— რა თქმა უნდა, გაჯავრებული ვარ. საქართველოში, გარდა ოჯახის და ახლობლების სიყვარულისა, ამ კულტურის სიყვარულითაც ვცხოვრობ. დალოცვილო, რაღა მუხრანბატონის სათქმელს ამახინჯებ? — სათქმელის და პრობლემის მეტი რაა, თქვი თანამედროვე ენაზე, დღეს რა აწუხებს შენ გვერდით ადამიანებს...

**— საინტერესოდ ლაპარაკობ...**

— მე კიდევ სულ მგონია, რომ ქართული კარგად არ ვიცი. ხანდახან ვფიქრობ, უნივერსიტეტში ჯერ არ უნდა მივეღე-მეთქი. ჩემი იქ ჩარიცხვა ქართველების მხრიდან კეთილშობილი ჟესტია და მე ამის მადლობელი ვარ. ჯერჯერობით, მხოლოდ ის შევძელი, რომ პოლონურ სკოლაში ვასწავლი და საქართველოში მცხოვრები პოლონელებისთვის ჟურნალი გამოვუშვი. სხვათა შორის, აქ ბევრი პოლონელი ქალი იყო გამოთხოვილი, მათ შორის, ცნობილი ადამიანების დედები. მაგალითად, ნატო ვაჩნაძის და ვახუშტი კოტეტიშვილისა.

**— როგორი რძალი ხარ?**



— ეგ ჩემმა მულმა გითხრას, ახლა აქ არის. სხვათა შორის, ცალკე გადმოვედით, მაგრამ ჩემს მულებს როცა მოუნდებათ, ჩვენთან ერთად ცხოვრობენ. დედამთილთანაც მშვენიერი ურთიერთობა მაქვს. ძალიან თბილად შემხვდა. როგორც მე ვსარგებლობ ოჯახში ნდობით, ისეა ზაზაც. როგორც მე მეუბნებოდნენ ჩემი მშობლები, სადაც ბედნიერი იქნები, იქ იყავიო, ისე ეუბნებიან ზაზასაც. ვამაყობ ჩემი ოჯახით. იმიტომ კი არა, რომ ვაიდეალებ, არამედ იმიტომ, რომ სხვანაირ ოჯახში ვერ ვიცხოვრებდი. როცა მეუბნებიან, ცუდი დედამთილი ან ცუდი მული მყავს და არ მიყვარსო, სულ ეს კითხვა მიტრიალებს თავში: თუ არ გიყვარს და გძულს, მაშინ როგორ უნდა გქონდეს ურთიერთობა ან როგორ უნდა ცხოვრობდე ასეთ ადამიანთან?

**— ისეთი ნიჭიერი ხარ, ქართული კერძების კეთებასაც ისწავლიდი.**

— ვისწავლე, მაგრამ ყოველთვის არ ვაკეთებ. ვინც არის სახლში, სადილს ის ამზადებს — ხან დედამთილი, ხან მულები, ხან მეგობრები. ძალიან დაკავებული ვარ, ამას რემონტიც დაერთო. სულ იმას ვნატრობ, გავიდე ქალაქიდან და უბრალოდ წამოვწვე ბალახზე.

**— მეზობლებმა — რაო?**

— კარგი გოგო ხარო (იცინის)... აქ ისეთი ხალხია, ყველა ცდილობს ერთმანეთს გაუფრთხილდეს. თუ დახმარება მჭირდება, იმ წუთში მეხმარებიან. ტყემალიც რომ მოვხარშო, იმასაც იგებენ ხოლმე. ხან ისინი შემოდიან მწვანილის და მარილის სათხოვნელად, ხან მე შევდივარ მათთან.

**— ჭორაობ მეზობლებთან?**

— როცა დრო მაქვს, ძალიან მიყვარს ეს საქმე. ამას წინათ, ტელევიზორით მოვისმინე — ჭორი სოციოლოგიური საკვებიაო და ძალიან მომეწონა ეს გამოთქმა. მართლაც ასეა.

**— ესე იგი, შეგიყვარდა საქართველო?..**

— როგორ შეიძლება აქაურობა არ შეგიყვარდეს? ერთხელ რომ ჩამოხვალ, ისე დაგხვდებიან, ისეთ რამეს გაჩვენებენ, მერე ხარ გაგიჟებული და ფიქრობ, როდის დაბრუნდები უკან. ახლა ამას დაემატება ის, რომ აქ უკვე მყავს ოჯახი, ახლობლები და ძალიან ბევრი მოსიყვარულე და ჭკვიანი მეგობარი. შეიძლება ამდენი რამ გქონდეს, ამდენ სითბოს გაძლევდნენ და ეს ქვეყანა არ გიყვარდეს?

*ეთერ ერაძე*

CMYK

# „აცალეთ მწვრთნელებს და მოვიგებთ“

## არველაძეს ქინქლაძე 10 წამისთვის უყვარს

უცებ გაფრინდა დრო. ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის შემდგომ წამოჩიტული პირველი თაობაც უკვე კარიერასასრულებს. ასე ჩაიქროლა დროის მატარებელმა, ბევრი იმედიც ფეხქვეშ გათელა და 13 მაისის სანაკრებო დონეზე დაბრუნების იმედიც წარსულს ჩააბარა.

დროის ულმობელმა ფილტრმა ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელის კარიერა შეიწირა, რაც ზოგიერთმა საკუთარ ახირებას უნდა დააბრალოს, ზოგიერთიც გაჭირვებული ქვეყნის ნანგრევებქვეშ აღმოჩნდა.

მხოლოდ იშვიათებმა გაუძლეს ცხოვრებისეულ გამოცდას. ერთი მათგანი შოთა არველაძეა. ვერცხლისწყალივით მოძრავი დოლიძელი ბიჭი უკვე 30 წლისა მოიყარა და როდესაც გაიხედ-გამოიხედა, აღმოაჩინა, რომ ნაკრებში, გია ნემსაძესთან ერთად, პირველი თაობის უკანასკნელი წარმომადგენელია.

შოთა არველაძის კარიერა შთამბეჭდავია. საქართველოს, ჰოლანდიისა და შოტლანდიის ჩემპიონობით ერთგვარი ჰეთ-თრიქი შეასრულა. თურქეთის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად და ბომბარდირად მაშინ დაასახელეს, როდესაც ჩვენი მეზობლები აღმავლობის გზას შუქურ-შაშ-არიფების თავკაცობით დაადგნენ.

მხოლოდ წელს შოტლანდიიდან სამი ტიტული ჩამოიტანა — ჩემპიონის, ეროვნული და ლიგის სპონსორის თასის მფლობელისა.

**შოთა არველაძე** ახლა ისევ თბილისშია, ისვენებს. მალე ისევ დაიწყება მომზადება, დამღლელი სეზონი და ა.შ.

თუმცა, მისთვის ეს ყოველივე სულაც არ ყოფილა დამღლელი. ამაში თავადაც დარწმუნდებით...

**— შოთა, იწყება მორიგი შეკრებები, თამაშები... შოტლანდია მაინც განსაკუთრებით მძიმე პირველობით გამოირჩევა.**

— არა, რატომ? მირჩევნია ყოველდღე ფეხბურთი ვითამაშო და ვივარჯიშო, ვიდრე მისგან დავისვენო. ეს ჩემთვის დასვენება კი არა, ტანჯვა იქნება. თანაც, შოტლანდიას მე ძალიან შევეჩვიე. ძალიან კარგი ხალხია, ფეხბურთზე აღარაფერს ვამბობ. მე ვერ ვიხსენებ შეხვედრებს, სადაც მაყურებელი სტადიონს არ ავსებდეს. ასეთი გარემო არც ერთ სხვა ქვეყანაში არ მეგულება. ერთადერთი იქაური გაუთავებელი წვიმები მბეზრდება.

**— მართალია, თითქოს ხიზანიშვილის ტრანსფერს შენც შეუწყვე ხელი? ბრიტანული მასმედია ამ ინფორმაციას ხშირად აქვეყნებს.**

— როდესაც მწვრთნელმა ზურაზე აზრი მკითხა, ვუთხარი რეალურად რაც იყო. ეს იყო და ეს. ხიზანიშვილი ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია და შემთხვევით მას „რეინჯერსის“ დონის გრანდში არ აიყვანდნენ. ბოლოს და ბოლოს, შოტლანდიელებმა წლის საუკეთესო ახალგაზრდად დაასახელეს; მგონი, „დანდიში“ დღემდე ვერ ინელებენ ზურას ჩვენთან გადმოსვლას.

**— გაქვს იმედი, რომ ერთბაშად ორი ქართველი ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს?**

— თუკი რომელიმე გრანდი არ „დაგვეჯახა“, ვთქვათ, იტალიური, ინგლისური ან ესპანური გუნდი, ლიგაში უნდა მოვხვდეთ. „რეინჯერსი“ სხვა მიზნებზე არც ფიქრობს.

**— ნაკრებზე რას გვეტყვი? რუსებთან გამარჯვებით გამოწვეული ილუზიები ირლანდიელებმა საკმაოდ სწრაფად გააქარვეს.**

— პირადად მე მერჩივნა ყველა სხვა თამაში მოგვეგო და რუსებთან წაგვეგო. არ შეიძლება მეტისმეტად პოლიტიკაში შეჭრა. იმის მიუხედავად, რომ რუსებთან მოგებამ ყველა უზომოდ გაგვახარა. ირლანდიასთან რატომ წავაგეთ? ძნელია ძლიერი ნაკრების ჩამოყალიბება, როდესაც გუნდის მწვრთნელი თითქმის ყოველ წელს იცვლება. ფერგიუსონი უკვე მეთვრამეტე წელია „მანჩესტერს“ წვრთნის. ვინმემ იცის, სამი წლის შემდეგ მის მოხსნას ფანები რომ ითხოვდნენ? კაცს აცალეს მუშაობა და არც ინანეს. ასეთი სტაბილური შედეგებით ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში არც ერთი ევროპული გრანდი არ გამოირჩევა. სამწუხაროდ, ამდენის მოთმენა ქართველებს არ გვახასიათებს და შედეგიც აშკარად ჩანს. რომ მოგვეთმინა, ბევრსაც მოვიგებდით. ამ მხრივ ჩვენი თაობა ძალიან დაიჩაგრა. ძალიან მიკვირს, რომ ვერაფერს ვაღწევთ. კალაძემ ჩემპიონთა თასი აიღო, ხიზანიშვილი ვარსკვლავად ყალიბდება, კობიაშვილი „შალკეში“ ჩაირიცხა, ლომაია ნელ-ნელა დიდ პოტენციალს ავლენს, ბევრი ნიჭიერი ბავშვიც გვეზრდება და ამ სიმდიდრეს ვერ ვიყენებთ. ეს დანაშაულია.

**— ნაკრებში როდისმე ძლიერი სპეციალისტი თუ გავარჯიშებდათ?**

— არავის მუშაობა არ აცალეს და რა შედეგი უნდა ეჩვენებინათ? თუმცა, ბევრჯერ მითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ერთი და იმავე პროდუქტებისგან ყველა სხვადასხვაგვარი გემოს საჭმელს ამზადებს. კარგი მზარეულობა ყველას არ ეხერხება.

**— შუშაკი როგორი „მზარეულია“?**

— კაცს ბლაჟევიჩთან და ხორვატიის ახალგაზრდულ ნაკრებში უმუშავია. მეტი რა გითხრათ? ეს გვარი პირველად „აიაქსში“ თამაშის პერიოდში დამამახსოვრდა, 1999 წელს უეფას თასზე „მარიბორს“ 9:0 მოვუგეთ და მეორე წელს ეს სლოვენიური გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში მოხვდა. დავინტერესდი, ვინ იყო გუნდის მწვრთნელი და გვარი დამამახსოვრდა. გავიდა წლები და ეს კაცი საქართველოში ჩამოიყვანეს. მითხარით, რას უნდა ვფიქრობდე?



**— თუმცა, ისიც ფაქტია, რომ შენ და გიორგი ქინქლაძეს მასთან პატარა პრობლემები შეგექმნათ.**

— პატარა პრობლემები ყველა გუნდში იქმნება. მთავარია, რომ იგი მოგვარდა. მე მადლიერი ვარ ჟურნალისტების, რომლებმაც ვითარება არ გაამწვავეს და ამით ცეცხლზე ნავთი არ დაასხეს.

უბრალოდ, უსიამოვნოა, როდესაც სამჯერ იცვლი თვითმფრინავს, დილის ექვს საათზე გადიხარ აეროპორტში, ნაკრებში თამაში გიხარია და დაღლილობის მიუხედავად, მგზავრობიდან ორ საათში ვარჯიშზე ცხადდები და ამის შემდეგ კედელზე გაკრული ფურცლიდან შეიტყობ, რომ 18 კაცშიც ვერ მოხვდი. მე არ ვარ ის ტიპი, უთამაშებლობის გამო მწვრთნელს გავებუტო. ჩივაძემ შვეიცარიასთან შეხვედრამდე მითხრა, რომ მეორე ტაიმში ვჭირდებოდი და არ მწყენია. კაცმა თავისი საქმე უკეთ იცის. როდესაც რუსეთთან შეხვედრამდე ორიოდე სიტყვით გაფრთხილების ღირსად არ ჩამთვალეს, მივხვდი, რომ მწვრთნელს იმ დღეს არ ვჭირდებოდი...

საერთოდ, ნუ გავბუქავთ უსიამოვნებას. ადამიანები ვცდებით, ხან ფეხბურთელები, ხანაც მწვრთნელები, მთავარია, ორივეს კეთილგონიერება გვეყო და წყენა გულში არ ჩაგვიდია. ალბათ, ქინქლაძის ამბავიც ასე დამთავრდება. გიოსნაირი კაცი ნაკრებს სჭირდება. ასეთები ევროპელებს იმ 10 წამის გამო უყვართ, რომელსაც მთელი შეხვედრის განმავლობაში ელიან და ერთი პასით თამაშის ბედს წყვეტენ.

გიო უცნაური კაცია. „აიაქსში“ მწვრთნელს გაებუტა და ფლანგზე თამაში იუკადრისა. ვეუბნებოდი, „სარად“ რომ დაგაყენონ, მაინც ითამაშე, არ ინანებ-მეთქი. არ დამიჯერა, მაგრამ ასეთი ფეხბურთელები იშვიათად იბადებიან და გაფრთხილება სჭირდებათ. მასთან ერთად მოედანზე თავს კარგად ვგრძნობ. ვიცი, რომ უსიტყვოდ გამიგებს და ისეთ პასს მომცემს, სხვას რომ არ მოაფიქრდება. იმედი მაქვს, მალე ის ჩემთან ძალიან ახლოს ითამაშებს.

**— ნუთუ, „სელტიკი“ მას მართლაც იწვევს? შენი მინიშნება სხვას რას უნდა ნიშნავდეს.**

— მალე ყველაფერი გაირკვევა და გიო ჩემზე უკეთ გეტყვით, სად ითამაშებს.

**— ბევრი თვლის, რომ შენი კარიერის კარგად აწყობა მენეჯერის დამსახურებაც არის.**

— შეიძლება, ასეც იყოს. თუმცა ქეცბაია ხუმრობდა, მენეჯერი არ მყავდა და „ნიუკასლში“ ამიყვანეს, მენეჯერი დავიქირავე და კვიპროსში დავბრუნდიო. ყველაფერი მაინც შენზეა დამოკიდებული.

**— ამ ბოლო დროს რამდენჯერმე შეადარე საქართველო ავღანეთს. თუმცა, მაინც აქ ჩამოდიხარ დასასვენებლად.**

— ჩამოვდივარ და დიდი ხნის უნახავ ხალხს ვნახულობ. ეს ძალიან მავსებს და ამით რა იცვლება? შეიძლება, მართლა ავღანეთის დღეში არ ვართ, მაგრამ ამ გაჭირვებული ხალხის ყურება ძალიან მიმძიმს. ასეთი გამათხოვრებული და ასეთი ნიჭიერი ხალხით სავსე ქვეყანა თქვენ არ გიკლავთ გულს? მე სხვანაირი წარმომიდგენია საქართველო. ასეთ შედარებას ზიზღით არ ვამბობ. მეც მინდა აქაურობა აყვავებული იყოს, უცხოელები სიხარულით მოდიოდნენ და ჩვენზე უკეთესი წარმოდგენა ჰქონდეთ.

**— ალბათ, ასეთი ქვეყნის ნაკრების პერსპექტივის დაჯერებაც ძნელი უნდა იყოს.**

— ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი. თუმცა, ჩვენ ევროპას რომ დავეწიოთ, ძალიან დიდი დრო დაგვჭირდება. როდესაც საქართველოში ნორმალური მოედნები იქნება, გუნდების შენახვა პრობლემა არ გახდება და ფეხბურთელებს გამუდმებით უცხოეთისკენ არ ეჭირებათ თვალი, მაშინ მართლაც ძალიან ბევრს მივაღწევთ.



ვასილ გიგიაძე

# ქუთაისური სატრანსფერო კვირეული

## აშვეთია რუსულ მატარებელს შეახტა

ასეთი წარმატებული სატრანსფერო სეზონი დიდი ხანია ქართველებს არ გვახსოვს. ყველაფერი გერმანიიდან დაიწყო. ბუნდესლიგის ერთ-ერთმა გრანდმა, გელზეკირხენის „შალკემ“ „ფრაიბურგის“ 25 წლის ნახევარმცველს, ლევან კობიაშვილს სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა და გერმანული ფეხბურთის ელიტაში გზა გაუხსნა.

ზურაბ ხიზანიშვილის „რეინჯერსში“ გადასვლით ქართველებს წლეულს მეორედ შეგვახსენეს, რომ მთლად უნიჭო ფეხბურთელების პატრონები არ ვართ. ხან ლისაბონის „სპორტინგმა“ გამოყო თავი პირინეიდან, ხან აპენინებზე „ლაციოს“ სურდა ქართველი მცველის შეძენა. „ტოტენჰემის“, წარსულში კი ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა, გლენ ჰოდლმაც იაქტიურა, თუმცა ლიგის პერსპექტივას ჩამოშორებულებს ხიზანიშვილმა უარი უთხრა. რომაელებს კი დაუგვიანდათ საქმის გაჩარხვა.

ხვავრიელი აღმოჩნდა ივლისიც. მართალია, ვლადიკავკაზის „ალანიას“ ქართველთა გუნდად ვიცნობთ, მაგრამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ოსურ კლუბს „პროქართული“ განწყობით სიმფეროპოლის „ტავრიამ“ გადააჭარბა. წელი არ გავა, ყირიმელებმა გასასინჯად თუ ჩასარიცხად რამდენიმე ქართველი არ მიიწვიონ. ტრადიცია არც ამჯერად დაურღვევიათ. ივლისის დასაწყისში საქართველოს დასრულებული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი, ქუთაისის „ტორპედოს“ თავდამსხმელი ზურაბ იონანიძე მიიწვიეს და ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

იონანიძის გზას მეორე ტორპედოელი, მეკარე გია ჭანტურიაც დაადგა. გუნდში მათ შოთა ჩომახიძეც დახვდებათ. თუმცა, „ტავრია“ გოჩა ტრაპაიძეს შეელია, სიმფეროპოლელებს ძალიან არ უნდოდათ ვასიკო გიგიაძის დატოვება და მის საფასურად ზამთარში 800 ათას დოლარს ითხოვდნენ. ქართველ თავდამსხმელს ახლახან კონტრაქტი დაუსრულდა, ხელ-ფეხი გაეხსნა და ელისტის „ურალანში“ ჩაირიცხა. მართალია, „ურალანი“ ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტს, მაგრამ რუსეთის პრემიერ-ლიგის გუნდების ჩეხ და ყოფილ იუგოსლაველებზე აღებული სატრანსფერო სტრატეგიის ფონზე, გიგიაძის ჩარიცხვა ყურადღებას იმსახურებს. მასში ყალმუხებს ყაზანის „რუბინი“ ეცილებოდა, მაგრამ უშედეგოდ. გიგიაძე საქართველოში ძალიან დაუფასებელი ფეხბურთელია. მისი არსებობით ეროვნულ ნაკრებში ერთადერთხელ ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი დაინტერესდა. როდესაც გიგიაძემ უკრაინაში ფრთები გაშალა, ერთხელაც კი, თუნდაც საკონტროლო შეხვედრაში არ მიეცა თავის გამოჩენის შესაძლებლობა.

უკრაინაში ითამაშებს ოლეგ გველესიანიც, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი. „გაგუა-კოპალეიშვილის“ ბიჭებად მონათლულთაგან ერთ-ერთი ჯამარაულთან და დემეტრაძესთან ერთად შეეცდება დონეცკის „მეტალურგის“ ჩემპიონატსა და უეფას თასზე დახმარებას. კიევის „არსენალსა“ და მოსკოვის „სპარტაკში“ უშედეგო კასტინგის შემდეგ, გველესიანს კარიერის აწყობის საშუალება მიეცა. თუკი უკრაინული კლუბის გაქანებასა და დღევანდელ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, ეს სულაც არ უნდა მივიჩნიოთ ურიგო ტრანსფერად. ყოველ შემთხვევაში, დღეს „მეტალურგი“ „ალანიასნაირ“ „ლომებს“ ასჯერ იყიდის და გაყიდის, კლასითაც იოლად აჯობებს.

„ვიტ ჯორჯია“ გველესიანამდე კიდევ ერთ ლიდერს, თავდამსხმელ ლევან მელქაძეს შეელია. ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაზე მეოცნებე „დინამოს“ თავდასხმაში სერიოზული პრობლემები შეექმნა. რატი ალექსიძის ირლანდიაში დაშავებამ ივო შუშაკს თავის ტკივილი კიდევ უფრო გაუმძაფრა. უცხოეთიდან ჩამოყვანილ თავდამსხმელთა გასინჯვამაც ხეირი არ მოუტანა ხორვატს. ვერც ერთი მათგანი „დინამოს“ ვერ მოერგო. ამიტომაც, შუშაკი საქართველოში მოთამაშე ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა ფორვარდის სამსახურით დაინტერესდა და წესით, არც უნდა ინანოს. სხვა საქმეა, გამოიღებს თუ არა ნაყოფს, ფაქტობრივად, ძველი შემადგენლობით დარჩენილი „დინამო“, რომელიც 16 ივლისს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო პირველ წრეში ალბანეთის ჩემპიონ „ტირანას“ უმასპინძლებს. შუშაკის სამწყსოს პრობლემას ცარიელი ტრიბუნების წინ თამაში ართულებს. შარშან „ლიბერეცთან“ ქვებისმსროლელთა „ნაყოფიერი“ შრომა უეფამ სათანადოდ დაგვიფასა და ორიოდე ოფიციალური პირის გარდა, თამაშის ცქერა ყველას ტელევიზიით მოგვიწევს.



ზურაბ იონანიძე

იმ დროს, როდესაც „ჭ“ კლასის გუნდების წევრებსაც კი თვალი უცხოეთისკენ უჭირავთ, მოულოდნელი აღმოჩნდა შვეიცარიიდან ლევან ხომერიკის დაბრუნება. თუმცა, ამ ქვეყნის კლუბების ფინანსური გაჭირვებიდან და ლევანის „აარაუსთან“ გამძაფრებული ურთიერთობებიდან გამომდინარე, ეს ნაბიჯი ლოგიკურიც ჩანს. ხომერიკი ახლა ბედს რეზო არველაძესთან „ლოკომოტივში“ ცდის.

ბოლოს ყველაზე სასიამოვნო სიახლე შემოვინახოთ: მოსკოვის „ლოკომოტივთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა, მიხეილ აშვეთიამ. დანიის ჩემპიონ „კოპენჰაგენის“ კუთვნილი ფეხბურთელი ამიერიდან აღარ იფიქრებს, თუ სად ითამაშოს არენდით. მართალია. აშვეთიას „როსტოვში“ გადასვლას უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა, მიშა ყველაზე სასურველ და სოლიდურ რუსულ კლუბში ჩაირიცხა. ახლა „ლოკომოტივს“ მცირე ჩავარდნა აქვს, მაგრამ რუსული რკინიგზის სიამაყე აშვეთიას ძველ კლუბს, „ალანიას“ ნამდვილად სჯობია. ამასთანავე, მალე იური სიომინის გაწვრთნილები აგვისტოში ჩემპიონთა ლიგაში მესამედ შეეცდებიან მოხვედრას.

აშვეთია ამ ამოცანის გადაწყვეტას ასევე ქუთაისელ მალხაზ ასათიანთან ერთად შეეცდება. წესითა და რიგით, „ლოკომოტივმა“ ეს უნდა მოახერხოს. ასე რომ, დღეისათვის ლიგაში მოთამაშე მხოლოდ ერთი ქართველის სახელია ცნობილი — მილანელი კახა კალაძე თასის აღმართვით მოგვრილი სიხარულის ხელმეორედ განცდას შეეცდება. ორი „რეინჯერსელი“ (არველაძე, ხიზანიშვილი) და ორიც „ლოკომოტიველი“ (ასათიანი-აშვეთია) ლიგას ჯგუფური ტურნირიდან „დაუმიზნებენ“.

დაბოლოს — გასულ კვირას თავისუფლად შეიძლება ქუთაისური სატრანსფერო კვირა ვუწოდოთ. გიგიაძე, აშვეთია და იონანიძე ხომ ქუთაისელები არიან, ჭანტურია კი „ტორპედოს“ კარს იცავდა.

***გვერდი მოამზადა ჯაბა ლეონიძემ***

## №27 (353) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 641 მკითხველი გამოეხმაურა. 6 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 240-მა ქალმა და 395-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რა სახის ტელეგადაცემები მოგწონთ ყველაზე მეტად?“**

როგორც ვხედავთ, პოლიტიზებულ საზოგადოებას ყველაზე მეტად საინფორმაციო გადაცემები იზიდავს — რესპონდენტთა 46-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით, მინიმალური კი მხოლოდ ხუთმა მკითხველმა (0,8) დაუწერა. **6,64** საშუალო ქულით **„საინფორმაციო გადაცემა“** პირველ ადგილზეა, რაც სავსებით ლოგიკურია — მაყურებელი ელის იმ ინფორმაციას, რისი შეგნებული თუ უნებლიე მონაწილე თავადაც არის.

შემდეგ ადგილზეა „ინტელექტუალური თამაში/ტელევიქტორინა“, საშუალო ქულაა 5,87. მკითხველთა 22-მა მიაკუთვნა მას მაქსიმალური — 8 ქულა.

რესპონდენტთა დაახლოებით 14-ს კი, აქ ჩამოთვლილთა შორის, ყველაზე მეტად მხატვრული ფილმები მოსწონს — აღსანიშნავია, რომ „მხატვრულმა ფილმმა“ დაიმსახურა ყველაზე ცოტა რაოდენობის მინიმალური ქულა (0,5).

როგორც ჩანს, მკითხველს შედარებით ნაკლებად იზიდავს ტელესერიალი, ტოქშოუ და მულტფილმი. ყველაზე მეტი რაოდენობის მინიმალური ქულა „მულტფილმმა“ დაიმსახურა — რესპონდენტთა 51-მა დაუწერა მას 1 ქულა და 1,93 საშუალო ქულით რეიტინგშიც ბოლო ადგილზეა.

მამაკაცებს ინტელექტუალურ თამაშებს მხატვრული ფილმი ურჩევნიათ, ქალები კი სპორტულ გადაცემებზე მეტად მუსიკალური კლიპებით ირთობენ თავს.




საპრიზოს ზუსტად მხოლოდ ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული 54 წლის რუსთაველი **ელიზბარ აივაზიანი.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 200 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 16 ივლისს, 17 საათზე.

## №28 (354) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგსა* და **მკითხველის პრემიაში**

**№28 (354) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 16 ივლისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 17 ივლისის 13 საათამდე.**

© თბილისი

ყურადღება! საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ბარათები, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

თემა №28 (354) — პრეზიდენტი

**თქვენი აზრით, ვის ენდობა პრეზიდენტი შევარდნაძე ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№28(354) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ვანო ზოდელავა | |
| 2 | ავთანდილ ჯორბენაძე | |
| 3 | ირინა სარიშვილი-ჭანტურია | |
| 4 | ლევან მამალაძე | |
| 5 | ვახტანგ რჩეულიშვილი | |
| 6 | ვიტალი ხაზარაძე | |
| 7 | მედეა მეზვრიშვილი | |
| 8 | აკაკი ჩხაიძე | |
| 9 | ბადრი პატარკაციშვილი | |

**მკითხველის რეიტინგი**

დაასახელეთ თანამედროვე ქართული ესტრადის სამი ყველაზე სიმპათიური მამაკაცი

1. ________
2. ________
3. ________

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

თანამედროვე ქართული ესტრადის მომხიბვლელი და სიმპათიური ქალბატონები

| | | ქულა |
|---|---|---|
| 1. | ლელა წურწუმია | 264 |
| 2. | ნანი ბრეგვაძე | 223 |
| 3. | ეკა მამალაძე | 199 |
| 4. | თამრიკო ჭოხონელიძე | 170 |
| 5. | ქეთა თოფურია | 127 |
| 6. | მაია ჯაბუა | 114 |
| 7-8. | თიკა ფაცაცია | 95 |
| 7-8. | ეკა კახიანი | 95 |
| 9. | ბუკა მანაგაძე | 88 |
| 10. | ნუკრი კაპანაძე | 79 |



მკითხველთა მხოლოდ 1%-ს გაუჭირდა მომხიბვლელი ქალბატონის დასახელება. სულ 50-მდე სიმპათიური მომღერალი დასახელდა. მართალია, ათეულში ვერ მოხვდნენ, მაგრამ, ქულათა საკმაოდ ანგარიშგასაწევი რაოდენობა დააგროვეს — ლიზა ბაგრატიონმა (65), ირმა სოხაძემ (63), ეკა კვალიაშვილმა (61), თამუნა ამონაშვილმა (55), ნინი ბადურაშვილმა (54)...

***მკითხველის რეიტინგში 483 რესპონდენტი მონაწილეობდა***

## ფოტოანტიკვარი ©



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

________

— თმების მიხედვით ნუ მომძებნით, იქნებ სიმღერით მომაგნოთ

## • ფოტოპალიტრა •



ზურაბ ჟვანია, ირინა სარიშვილი, გიგი წერეთელი

უყურებენ „მიმინოს“, იცინიან, „ბორჯომს“ სვამენ. უცებ ეკრანიდან ისმის:

— Такие, как вы, позорят республику!

**გ.წ.** — ვაიმე, ნახეთ, ხალხი ჩვენკენ იყურება!

***კოკა, დრანდა***

**გ.წ. ი.ს.**-ს — რა არის, ზურაბი სახელმწიფოში მეორე კაცი იყო და კარგი მანერები მაინც ვერ ისწავლა?! წყალს ისევ ბოთლიდან სვამს.

**ი.ს.** — რას ამბობ, გიგი, ეს ხომ ამერიკული სტილია.

***თბილისელი პედაგოგი***

**ი.ს.** — უიმე, რა კარგად ასრულებს, მშვენიერი მსახიობია.

**გ.წ.** — ირინა, შენ თუ შესრულება გაოცებს, მართლაც საკვირველია.

***დათო ქოჩაკიძე, რუსთავი***

— ნახეთ, როგორ ვუბერავთ!

***გ. გელენიძე, ხონი***

**გ.წ.** — ჩავუთქვი, თუ ეს არაყი დაცალა, მომავალ პარლამენტში მოადგილე კი არა, თავმჯდომარე ვიქნები!

**ი.ს.** — თუ დაცალა, მე მინისტრი გავხდები!

**ზ.ჟ.** (ფიქრობს) — ამისრულდეს, რაც ჩავუთქვი და მერე იქნება, „მოიდა ზურაბა!“

***კ. ოთარაშვილი, ბოდბე***

**ზ.ჟ.** — ბოთლის ტუჩი მირჩევნია ქალისას, მირჩევნია ქალისას...

***ნუგზარ ტუაევი, თბილისი***

**გ.წ.** — ზურა, რომ იცოდე, როგორ მიხარია, ირინა რომ შევარდნაძესთანაა.

**ზ.ჟ.** — რატომ?

**გ.წ.** — საათივით აწყობილი პარტია დაანგრია და მაგათ რას უზამს?!

***ვარა ოგბაიძე, სალაჯური***

**ზ.ჟ.** და **გ.წ.** (გულში მღერიან ირინაზე) — უწინ ჩვენი ვარდი იყავ, ახლა დარდი ხარ...

***ელ-გუჯა, თბილისი***

მიმდინარეობს წინასაარჩევნო კამპანია კახეთში. კახელების გულის მოსაგებად ჟვანიამ ორიგინალური გამოსავალი ნახა — „ბორჯომს“ დალევს ბოთლიდან, პირიდან გამოუშვებს ხმაურით გაზებს და იტყვის: „— იმიტომ მიყვარს, ეს დალოცვილი, ესააა“.

„— დიდი დიპლომატია“ — ეუბნება გიგი ირინას.

***გელა ზურაბიშვილი, შილდა***

## ფოტოგანწყობა



— შენ გქვია ჩემი კლონი?

## საშეფო საჩუქარი



ემინემის თაყვანისმცემლები შოკში არიან. მათმა ექსტრავაგანტურმა კერპმა ინგლისის ქალაქ მილტონ-კეინში გამოსვლისას განაცხადა, რომ 450.000-დოლარიან ყელსაბამს აჩუქებს ყველაზე სექსუალურ მანდილოსანს, რომელსაც სცენიდან დაინახავს.

მომღერლის რჩეული გახდა 20 წლის სიმპათიური ქერათმიანი მანდილოსანი. ემინემი სცენიდან დაიხარა და გოგონას ყელსაბამი თავისი ხელით გაუკეთა. ქალმა კინაღამ გრძნობა დაკარგა შოკისგან. მაგრამ, მოგვიანებით გაირკვა, რომ ბრილიანტისთვლიანი ყელსაბამი მხოლოდ 750 დოლარი ღირდა... ისე, ნაჩუქარ ცხენს კბილს არ უსინჯავენ...

**14/VII**

**სავსე მთვარე**

**მაგნიტური დღეა**
**16/VII 14-დან 16 საათამდე**

* * *



ორნი გარბიან, მატარებელზე აგვიანდებათ.

— რამდენი დარჩა გასვლამდე?
— 10 წუთი...
— ჩემს საათზე — 5...
— ე.ი. შენ ველარ მიასწრებ.

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები





**თარაზულად:** 1. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა, რომელიც შედგება წყლის ჭურჭლის, ტყავის გრძელი მილისა და ჩიბუხისაგან; 4. აშშ-ისათვის დამახასიათებელი სტიქიური უბედურება, ქარბორბალა; 6. ნაკეთობა, რომლითაც განთქმულია შვეიცარია; 7. ამერიკელი პროდიუსერი, სცენარისტი, რეჟისორი და მსახიობი; 8. პირველი მეიგავე; 9. თვალის ფერადი გარსი; 10. ჯინსების კლასიკური „ფერი"; 13. მწერალი ქალი, რომელსაც ეკუთვნის სიტყვები: „მშვენიერია არქეოლოგის ცოლად ყოფნა — რაც უფრო გემატება წლები, მით უფრო მიმზიდველი ხდები მისთვის"; 16. შესაძლო შედეგი ჭადრაკის თამაშისას; 18. ქართული ვარდისფერყურძნიანი მაღალხარისხოვანი საღვინე ვაზის ჯიში; 19. პერსონაჟი თენგიზ აბულაძის ფილმისა „მონანიება"; 20. განთქმული კურორტი სირიაში; 22. „ჯეოსელის" საკრედიტო ბარათი; 23. ნახევარკუნძული შავ ზღვაში, რუსეთის ექსპანსიის ობიექტი საუკუნეების მანძილზე; 27. მოძრაობათა თანაზომიერი პერიოდული მონაცვლეობა ცეკვაში; 28. იტალიელი კომპოზიტორი, ავტორი ოპერისა „ფალსტაფი", 29. საქართველო — ვ. ჭაბუკიანი, ლატვია — მ. ...? 30. იმპერატორის სამფლობელო; 31. აშშ-ის მიერ საქართველოსთვის საჩუქრად გადმოცემული ინდიელთა ტომის მოსახელე საბრძოლო ვერტმფრენი.

**შვეულად:** 1. ამერიკელი პროდიუსერი და მსახიობი, რომელსაც წამყვანი ადგილი უკავია მამაკაც-მსახიობებს შორის 1960 წლიდან; 2. სახელმწიფო ევროპაში; 3. გრამატიკული ბრუნვა; 4. მანაგაძის სიმღერა, მეტად პოპულარული ბესიკ კალანდაძის შესრულებით; 5. რაიმე მოძლვრების განუხრელად მიმდევარი; 11. მსახიობი, რომლის კინოკარიერა დაიწყო ფილმით „ნიღაბი"; 12. წარმოშობით შვედი, ამერიკელი კინომსახიობი ... გარბო; 14. ფილიპ ანდრეს ფსევდონიმი; 15. ტაილანდის სახელწოდება 1939 წლამდე და 1945-48 წლებში; 16. იგივეა, რაც ხახა; 17. თბილისის „დინამოს" მწვრთნელი — ...შუშაკი". 21. ცხოველის გარეგნული შესახედაობა და აგებულება; 22. მინოტავრის „სახლი"; 24. საერთაშორისო კომპიუტერული ქსელი; 25. მსახიობი, რომლის კოლექციაში 5 თვითმფრინავია, მათ შორის „ბოინგ - 707"; 26. სამიკიტნოს პატრონი და დახლიდარი.

**შეადგინა რამაზ ალანია**





## ჰუმანიტარულ–ტექნიკური ინსტიტუტი

*(ტექნიკური უნივერსიტეტის სპეც. ფაკულტეტი)*
*აცხადებს მიღებას სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:*

1. ა) **სამართალმცოდნეობა** (ქართული და რუსული სექტორი);
   ბ) **საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი.**
2. ა) **საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები** (ეკონომიკური დიპლომატია) (ქართული და რუსული სექტორი); **ბ) საბანკო საქმე; გ) საბაჟო–საგადასახადო საქმე** (წარმოების, მომსახურების კონტროლი და ზედამხედველობა).
3. **მთარგმნელობითი საქმიანობა**: ა)ინგლისური ენა (ქართული და რუსული სექტორი); ბ) გერმანული ენა; გ) ფრანგული ენა.
4. **ჟურნალისტიკა**: ა) ჟურნალისტიკა; ბ) ინტერნეტ-ჟურნალისტიკა; გ) რეპორტიორი (ტელე-რადიო ჟურნალისტიკა); დ) საზოგადოებრივი ურთიერთობები (ქართული და რუსული სექტორი).
5. **ვიდეორეჟისურა**

**ინსტიტუტთან ფუნქციონირებს ლიცეუმი. სწავლა ფასიანია. ჩარიცხვა წარმოებს გამოცდა-ტესტირების საფუძველზე. აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. ატესტატი; 2. 4 ფოტოსურათი – 3X4; 3. პირადობის მოწმობა; 4.ვაჟმა აბიტურიენტებმა სამხედრო სწავლებისათვის წარმოადგინონ მიწერის მოწმობა. საბუთები მიიღება 1 ივლისიდან, შაბათ-კვირის გარდა 10-15სთ-მდე.**

მის: თბილისი, მერაბ კოსტავას 77, საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის VIII სასწავლო კორპუსი, II სართული. ☎ **36-34-34; 899-20-34-35; 36-30-72**

**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## (28) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ____________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№28 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 17 ივლისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი ©518**
**„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".